

# გზა



№2 14/1/2016 ფასი 1.5 ლ



„მე კომფორტი  
კი არა, დედის  
სითბო მჭირდება“

15 წლის გოგონას  
ბულის ამარყებელი  
წერილი

რით ერთობა  
სალომე დვინიაშვილი  
სამდგარბარეთ  
ყოფნისას

„მთხოვ, დაბრუნდი  
საქართველოში!“

გვ. 51

მოდელი ახალ ამკლუაში

გვ. 21



## დაკარგულები


გვ. 14

ლაგოდეხში გაუჩინარებული  
სამი მონადირის ამბავი



გვ. 29

ვინი წყალობით მოხვდა რუსთაველის  
თეატრში ლელა ალიბაგაშვილი  
„სცენარე გასვლის წინ აუცილებლად,  
ლოცვას ვკითხულობ“



გვ. 16

როგორ ცხოვრობს პოლიციელი, როგორღაც  
მძკვარს ახალგაზრდა კაცი გამოუსტაცა  
„მას თვითმკვლელობისკენ მშობლის  
ბარდამცვალებამ უნიძმა“

ISSN 1987 - 5029  
9 771987 502009



ჭონ რონალდ რუელ ტოლკინი

შემდეგი

ავსტოგეული ტომი I

ტომი II

# ღებენდარხუდი ბრენდი მისათებ ფასად

სარტიფიკირებული ბლუ ფილტვარს სინს 1913 კომპაქტ სინს 1913 კომპაქტ  
ფილტვარს ბლუ სინს 1913 რიქინალ სინს 1913 რიქინალ



## რატომავებუდი

მოწევა  
მოწევა იწვევს კანის



# უფუთნეთ „ჯაჲთრის ინფექციები“ თქვენი ოჯახის ერთგული ეპოზრების ღახჲარებით

**ბენეტი**  
ორალური სპრეი

**ბენეტი კლიუსი**  
ორალური სპრეი



## ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- ▶ სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- ▶ უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- ▶ აუმჯობესებს ღაჭვისა და ყლაპვის ფუნქციას
- ▶ გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებასა და ხანდაზოულაბში
- ▶ აქვს სასიძოვრო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი კლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,  
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III



**ბენეტი**  
ბენზილამინი



**ბენეტი კლიუსი**  
ბენზილამინი/ქლორპექსილინი



**QATAR AIRWAYS**  
— TRAVEL —  
**FESTIVAL**  
Going placestogether

## საოცნებო ფასები

**30%** -ზე მეტი ფასდაკლება

დაჯავშნეთ 2016 წლის 17 იანვრის ჩათვლით და იმოგზაურეთ 2016 წლის 19 იანვრიდან 15 დეკემბრამდე.

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტურისტული კომპანია GTB ტელ: +99532 2222641. თბილისი, მცხეთის ქუჩა 2.



GOING PLACES TOGETHER

\* ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. დამატებითი წესები და პირობები იხილეთ დაჯავშნისას.




ქვეყანა



### მსოფლიო ბანკის ახალი პროგნოზი...

„ნავთობის ფასების დაცემამ გამოიწვია ის, რომ ენერგოექსპორტიორ ქვეყნებს შემოსავალი მკვეთრად შეუმცირდათ. თუმცა, როგორც ამბობენ, მედალს ორი მხარე აქვს და მეზობელი ქვეყნების ვალუტების გაუფასურებამ ერთგვარი შეღავათი ცკი მოგვიტანა: გასული წლის 11 თვის მონაცემებით, ნავთობპროდუქტებში 250 მილიონი დოლარით ნაკლები გადავიხადეთ...“

9



### გუგა ბურდულის სამი „მთავარი“ საღვებრძელო

„რასაც ქალი აკეთებს ოჯახისა და ერისთვის, ეს ფასდაუდებელია!.. ხომ ხედავთ, ახლაც რა ყოჩაღები არიან: მათ გადაარჩინეს მამაკაცებიც და ოჯახებიც!.. ამიტომაც ყველაზე მოსაფერებელი სუფრაზე გვყვანან: უფალი, პატრიარქი და ქართველი ქალი!..“

20



სახე



### „მაპატიეთ, ქალებო!..“

„21-ე საუკუნეში ვართ და თანამედროვე ცხოვრებას ვეწევი, არადა, არსებობს ოჯახები, სადაც „ქალი ვიცი „კუხნაში“ დღესაც აქტუალურია... ყველა ქალი ქარაფშუტა არ არის. ამ დასამსხვრევ სტერეოტიპს „ქალიშვილობის ინსტიტუტსაც“ მივამატებ...“

23

№2  
14-20 იანვარი, 2016  
ფასი 1.5 ლარი



- **მინიატიურები** 5
  - აბა, პროგრამა ათი ათასად ანუ რჩევები დამწყებ ქობულეთელ პოლიტიკოსს
- **სახელმწიფო** 6
- **ჭრელი მსოფლიო** 7
- **ეკონომიკა** 9
  - მსოფლიო ბანკის ახალი პროგნოზი: რას მოუტანს საქართველოს 2016 წელი?
- **პოლიტიკა** 11
  - პოლიტიკური ციებ-ცხელების წელი — 2016
- **დაკარგულები** 14
  - ლაგოდეხში უგზო-უკვლოდ დაკარგული სამი მონადირის ამბავი
- **წარმატება** 16
  - როგორ იხსნა პოლიციელმა სიკვდილისგან 25 წლის ბიჭი
- **მათემატიკა!** 18
  - რატომ ვერ შეძლებს ხალხზე ზრუნვას ვერც ერთი ბიზნესმენი...
- **თამაღა** 20
  - გუჯა ბურდულის სამი „მთავარი“ საღვებრძელო და სუფრაზე შერცხვენის „საფირმო“ ხერხი
- **პარიერა** 21
  - სალომე ღვინიაშვილის ახალი ამბულა და ქალის იმიჯის მისეული ვერსია
- **სამეცნიერო და სტრატეგია** 23
  - „მაპატიეთ, ქალებო!..“
- **დაუსრულებელი წინადადება** 25
  - „როცა ძალიან გამიჭირდება, ამ მონასტერში დიდი ხნით წავალ“



## ჩემი რჩეული მსოფლიო

ჯონ რონალდ რუელ ტოლკინი

ემვსტომეულში შედის

- I სილმარილიონი
- II ჰობიტი
- III-IV ბეჭდების მბრძანებელი (ბეჭდის სამო)
- V ბეჭდების მბრძანებელი (ორი ციხე-კოშკი)
- VI ბეჭდების მბრძანებელი (მეფის დაბრუნება)



■ <b>კონკურსანტი</b>	27
„ვოისში“ მონაწილეობა ჩემთვის რისკივით იყო“	
■ <b>კულინარია</b>	29
რატომ ამბობს სერიალებში მონაწილეობაზე უარს ლელა ალიბეგაშვილი	
■ <b>ფულის გემო</b>	30
„მამას სიგარეტის ღერებს ვპარავდი“	
■ <b>ოჯახი</b>	32
10 წლის შემდეგ გაპარულები ანუ რა ჯობია ძილში „გაპარვას“	
■ <b>სცენის მიღმა</b>	35
საახალწლო კონცერტის რთული სამზადისი და ამტანი მომღერლები	
■ <b>სიტუაცია</b>	38
ნაძვის ხეზე დაკიდებული ოცნებები	
■ <b>პროფესია</b>	39
კლუბებში გატარებული ახალი წელი და კურიოზული შეკვეთები	
■ <b>ნამდვილი ამბავი</b>	41
სიკეთისა და დედობრივი ინსტინქტის შედეგი	
■ <b>ბესტსელფერი</b>	43
ქარნაღებულნი (გაგრძელება)	
■ <b>თავისუფალი თემა</b>	51
„დედა ის ციხესიმაგრეა, რომელიც არასდროს არ უნდა ჩამოიშალოს!“	
■ <b>რომანი</b>	56
თამაში ბედისწერასთან (გაგრძელება)	
■ <b>ისტორიის ლაბირინთები</b>	60
საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე აღიარება	
■ <b>გუმანი</b>	63
კუზანოვების ახალი წელი და საყვარელი რძლის შექმნილი კულინარიული პალიტრა	
■ <b>ეროდიტი</b>	66
„ბევრ უარყოფით პერსონაჟს ვამართლებ“	
■ <b>ტაძარი</b>	68
რატომ ინება უფალმა წყალში შთასვლა და ნათლისღება იოანესგან	
■ <b>ბანმრთელობა</b>	71
ჰერპესი გადამდები დაავადებაა	
■ <b>შემოქმედი</b>	73
ენდრიუ ლოიდ-ვებერის ფერადი სიზმრები	
■ <b>ეპიზოდი</b>	76
1 მამაკაცი — გივი ბერიკაშვილი და 6 შინაბერა — პატიმარი ქალბატონები...	
■ <b>თელთები</b>	78
თვითმარქვია როკფელერმა მოტყუებულ ადამიანებს დასცინა	
■ <b>მობილი-გაცია</b>	80
■ <b>კოროსკოპი</b>	87
■ <b>ბასართობი</b>	88
■ <b>სპანგორდი</b>	90



**ცხოვრება**



## „მამას სიგარეტის ღერებს ვპარავდი“

„ქალს ნამდვილად, ბევრი ფული სჭირდება იმისთვის, რომ საკუთარ თავს მოუაროს. მოვლილი ქალი, თუნდაც — გარეგნულად არცთუ ისე მშვენიერი, ყოველთვის უფრო მომგებიანად გამოიყურება, ვიდრე მოუვლელი ლამაზმანი...“

31



## საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე აღიარება

„შუუძღებელია იმ სახალხო სიხარულის სიტყვებით აღწერა, რომელიც საქართველოში დე ფაქტო აღიარებას მოჰყვება. საზიჰოდ რეკდნენ ეკლესიის ზარები, საქართველოს კათოლიკოსმა ლეონიდემ სიონის საკათედრო ტაძარში სამადლობელი წირვა გადაიხადა. სამთავრობო უწყებებმა, ბანკებმა და სხვა დაწესებულებებმა მუშაობა შეაჩერეს...“

60

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“**  
**გამოდის კვირაში ერთხელ, სუთმარაგათოვით**  
**გაზეთ „კვირის პალიტრის“ დაგაზეთა**

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მხალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**

მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლიკა ქაჯაია, მარი ჯაფარიძე**  
მენეჯერი: **გიორგი ბაბუციძე**

დიზაინი: **ლაშა გიორგაძე**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
**ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიძე**



დაიბაჟდა  
სტამბა  
კოლორში

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53  
ელ.ფოსტა: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)  
მისამართი: თბილისი, ოსებინის ქ. 49; ელ.ფოსტა: [gza@palitra.ge](mailto:gza@palitra.ge)  
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07



# აბა, პროგრამა ათი ათასად ანუ რჩევები დამწყებ ქობულეთელ პოლიტიკოსს



## შესავლის მაგიერ

საახალწლო დღეები ისევ ძალაშია და შესაბამისად, მხიარული განწყობა შენარჩუნებული მაქვს, ამიტომ გადავწყვიტე, არც თქვენ გაგიფუჭოთ გუნება და არ დავინყო იმაზე წუნწანი, რომ ლარის კურსი 2.45 გახდა, რომ თამბაქოს და კიდევ რაღაცების ფასები გაიზარდა, რომ ამ ნაღვეების შემდეგ, გზებზე „იამკების“ რაოდენობამ ავტომობილების რაოდენობას გადააჭარბა, რომ რეგიონებში ელექტროენერჯის მიწოდების მხრივ პრობლემებია და ა.შ. ჩემი დღევანდელი პროვოკაცია კი მინდა მივუძღვნა ერთ „ლაით“ ამბავს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა.

არჩევნებში, მერე ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, რაღა მეშველება?! ჩემი დანერგული პროგრამით მოსულ მთავრობას ხომ ვეღარ დავუწერ „პროვოკაციებს“!), მაგრამ არა მგონია, ამ საქმიდან რაიმე გამოვიდეს.

ეჰ, ლეონიდ ჩემო, ბედნიერი საქართველოსთვის რა არის საჭირო, რომ ვიცოდეთ, 25 წელი „ჯოს! ჯოს!“ და „გადადექი! გადადექი“-ს კი არ ვიყვირებდით. უკვე აღარც პარტიები გვეხატება გულზე, მეგობარო, სადაც ერთი და იგივე ხალხი შედის და გამოდის... თუ არ გჯერა, ჰკითხე შენი ახალი პარტიის წევრებს, ბლომად გყავს უკვე ეგეთი.

მოკლედ, რა მინდა გითხრა და გირჩიო: გაუშვი ეგ ათი ათასი ქველმოქმედებაში, შეეშვი მაგ პარტიის პროგრამასაც და პარტიასაც, იცხოვრე ქობულეთში, დატკბი ჩვენი ქვეყნის სილამაზით, აკეთე ბიზნესი, იყავი მშვიდად და უზრუნველად, თორემ, რომ აგირჩიონ, იმ იპოთეკარებმა ქობულეთის გზაც მშენივრად იციან.



საქმე ეხება, ახალწამოყალიბებული პარტია „ბედნიერი საქართველოს“ ლიდერის, მილიონერ ლეონიდ ჩერნოვეცკის მიერ გამოცხადებულ, მეტისმეტად საგულისხმო კონკურსს. ეს ჩერნოვეცკი ხომ იცით, რომელია? აი, ის, მიშაში რომ გავუცვალეთ უკრაინას და ახლა აქ რომ ცხოვრობს და პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებს. მოკლედ, ბატონმა ჩერნოვეცკიმ გამოაცხადა კონკურსი შემდეგი პირობით: ვინც ჩემი პარტიისთვის საუკეთესო საარჩევნო პროგრამას დაწერს, იმას ათი ათასი ლარით დავასაჩუქრებო. იცოცხლე, კარგი ფულია დღეს ათი ათასი (ისე, გამოგიტყდებით და, თავიდან მეც წამძლია სულმა, ხომ არ დავნერო და ფული ვიშოვო-მეთქი, მაგრამ ცოტა წინ გავიხედე და გადავიფიქრე: წარმოიდგინეთ, მართლა რომ მოენონოს და გავიმარჯვო, მერე ამ პროგრამით ლეონიდმა და მისმა პარტიამ რომ გაიმარჯვოს

**P.S.** მე მგონი, უკვე თვითონ ლეონიდი ჰყავთ მაგარი „დაბოლებული“ ვილაცებს, — არიქა, კონკურსი გამოაცხადე პარტიისთვის საარჩევნო პროგრამის დაწერაზე, ავარჩიოთ საუკეთესო და გავიმარჯვებთ არჩევნებში! რომელი არჩევნები მოიგო აქ პარტიამ კარგი პროგრამის გამო, თუ იცით ვინმემ?

**P.P.S.** ისე, იცოდეთ, ბატონო ლეონიდ, ჩვენ სტუმართმოყვარე ხალხი ვართ და რაც უნდა თქვა, როგორც პოლიტიკოსმა, თქვენები რომ ეძახიან იქ, უკრაინაში ჩვენსას, შენ იმას არასოდეს გეტყვით.

პროვოკატორი



# რას მოუტანს რეფორმა თავდაცვას



ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს არ არის სახელმწიფოს საქმე

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სამშენებლო-სარემონტო ბაზის რეორგანიზაციის პროცესის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. რეფორმა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის არსებული ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების მიზნით ხორციელდება. უწყებაში განმარტავენ, რომ აღნიშნული ბაზის სახელფასო ფონდი ყოველწლიურად 7 მილიონ ლარს აღემატება, რაც სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების არასწორი, არაეფექტიანი და არამიზნობრივი გამოყენების მაგალითია.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება სამშენებლო-სარემონტო ბაზის რეორგანიზაციის შესახებ მიმდინარე რეფორმის პროცესის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობისა და ეფექტურობის ზრდას — ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის არსებული ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება, ნაკლები ბიუროკრატიული ხარჯები და ფინანსური პოლიტიკის ოპტიმიზაცია. ფაქტები ძალიან მარტივი და ნათელია, რომლებიც თავად განმარტავენ ჩვენ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების ობიექტურობას.

პირველი, თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების 90 პროცენტი მრავალი წელია ტენდერების შედეგად შერჩეული კომპანიების მიერ ხორციელდება. მეორე, ტენდერში გამარჯვებული სამოქალაქო სამშენებლო კომპანიები სამხედრო ბაზებს, საცავებს, საიდუმლო ობიექტებს, სასადილოებს და სხვა ინფრასტრუქტურულ ნაგებობებს აშენებენ. მესამე, სტრუქტურული ერთეული, რომელმაც აქცია გამართა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძირითადად, თბილისში, სამხედრო მოსამსახურეებისთვის

საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობით იყო დაკავებული. მეოთხე, სამუშაო ადგილების გაუქმებაზე საუბარი უადგილოა, რამდენადაც სამუშაოები შესასრულებელია და ღია, გამჭვირვალე ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები, გაზრდილი სამუშაოს შესაბამისად გააგრძელებს პროფესიონალების დასაქმებას. ასევე, მათი მოქმედების არეალი საქართველოს რამდენიმე სხვა ქალაქში, ანალოგიური ტიპის საცხოვრებელი კორპუსების შეკეთება იყო. სწორედ აღნიშნული მიმართულება წარმოადგენდა მათი საქმიანობის 90 პროცენტს. შესაბამისად, სპეკულაცია იმაზე, რომ საიდუმლო ობიექტებს აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის გარდა სხვა ვერ შეასრულებს, უბრალოდ სიცრუეა.

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მრავალი წელია, ძირითადი, საიდუმლო და არასაიდუმლო სამშენებლო სამუშაოები ტენდერებით შერჩეული კომპანიების მიერ ხორციელდება. გარდა ამისა, აღნიშნული ბაზის მხოლოდ სახელფასო ფონდი, ყოველწლიურად, 7 მილიონ ლარს აღემატება, რაც თავისთავად სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების არასწორი, არაეფექტური და არამიზნობრივი გამოყენების კლასიკური მაგალითია. თუკი თავდაცვის სამინისტროს უნდა ჰქონდეს საკუთარი სამშენებ-

ლობაზა, მაშინ გაუგებარია, რატომ არ შეიძლება ასეთივე სამშენებლო ბაზა ჰქონდეს მაგალითად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომელიც გაცილებით მეტი ადამიანის საბინაო პრობლემებს ყოველდღიურად აკმაყოფილებს ან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს მთელი ქვეყნის მასშტაბით აშენებს. ცალსახად და ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს არ არის სახელმწიფოს საქმე. მსგავსი მიდგომა საფუძველს უთხრის კერძო ბიზნესის განვითარების პროცესს, კლავს კონკურენტუნარიან გარემოს და ხელს უწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის მფლანგველთა გაჩენას. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო მიზნებისათვის საქართველოს შეიარაღებულ ჯარებში არსებობს საინჟინრო ბრიგადა, რომელიც პერიოდულად გადის სამხედრო წვრთნებსა და შესაბამის სწავლებებს, რათა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენარჩუნება უზრუნველყოს. ზემოაღნიშნული ბაზის ტექნიკური საშუალებები და პროფესიონალების ერთი ნაწილი სწორედ საინჟინრო ბრიგადის დაქვემდებარებაში გადავა და ამ ბრიგადას კიდევ უფრო გააძლიერებს. ცალსახად ვაცხადებთ,





# რა ქონებას ფლობენ ქართველი პრემიერ-მინისტრები

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა ქონებრივი დეკლარაცია 2015 წლის 31 დეკემბერს შეავსო. საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული დეკლარაციის მიხედვით, ლარიბაშვილის პირად საკუთრებაშია: სამი ბინა, ორი არასაცხოვრებელი ფართობი და ავტოფარეხი. უძრავი ქონება, რომელსაც ექსპრემიერი ფლობს, 121,80 კვმ-ის ფართობის ბინაა გაგარინის ქუჩაზე, ხოლო 170 და 159 კვმ ფართობის ბინები მოსაშვილის ქუჩაზეა განთავსებული. ლარიბაშვილის საკუთრებაშია ასევე მოსაშვილის ქუჩაზე მდებარე 38 კვმ-ისა და 11 კვმ-ის არასაცხოვრებელი ფართობები, ასევე, გაგარინის

45.26 ლარი ერიცხება. დეკლარაციის შევსების მომენტში ლარიბაშვილის საკუთრებაში აღარ არის ავტომობილი. დეკლარაციის მიხედვით, 2014 წლის 19 დეკემბერს მან პირად საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომანქანა, რომლის ფასიც 9 ათას დოლარს შეადგენდა, საჩუქრად გადასცა მამას. რაც შეეხება გიორგი კვირიკაშვილის ქონებრივ დეკლარაციას, რომელიც ბოლოს 2015 წლის 8 იანვარს აქვს შევსებული, ანუ მაშინ, როდესაც ეკონომიკის მინისტრი იყო, ასე გამოიყურება: ორი საცხოვრებელი სახლი — თბილისში, ზოვრეთის ქუჩაზე 190 კვმ და დუშეთის რაიონში, 250 კვმ ფართობის სახლები, ასევე, სამგორის რაიონში მდებარე 34 კვმ ფართობი, 2

რომ არც ერთი პროექტი, რომელშიც აღნიშნული ბაზა იყო ჩართული, არ გაჩერდება და 500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე საცხოვრებელ ფართობს, დაპირებისამებრ, 2016 წლის განმავლობაში, კიდევ უფრო დაჩქარებულ ვადებში მიიღებს. სამშენებლო-სარემონტო ბაზის თანამშრომლებს, ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში ეცნობათ, რომ მათი კონტრაქტები ვადის ამონაწერის შემდეგ აღარ გაგრძელდებოდა. შესაბამისად, განცხადებები ინფორმაციის მოულოდნელობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. თავდაცვის სამინისტრო არ აპირებს პოლიტიკურ პარტიებთან უსაგნო პოლიტიკურ დებატში შესვლას. ისინი, უბრალოდ, ზუსტად უნდა ჩამოყალიბდნენ — საბჭოთა კავშირის აღდგენა სურთ თუ დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა“, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის, გიორგი გობრონიძის შეფასებით, თავდაცვის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო ბაზის გაუქმება თავდაცვის უნარიანობაზე დადებითად არ აისახება, არა მხოლოდ იმ კუთხით, რომ სამინისტროს მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების, მათ შორის საიდუმლო ობიექტების მშენებლობის მიზნით ტენდერები უნდა გამოცხადდეს, არამედ თუნდაც მხოლოდ მართვის თვალსაზრისით. სასურველია, თავდაცვის სამინისტროს ჰქონდეს ეს კონკრეტული სამსახური. ჩვენ ამაზე სხვადასხვა სამხედროსთან და უშუალოდ დაინტერესებულ პირებთან ადრეც არაერთხელ გვისაუბრია“, — აღნიშნა გობრონიძემ. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს არგუმენტს, რომ უწყების მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების 90% მრავალი წელია, ტენდერების შედეგად შერჩეული კომპანიების მიერ ხორციელდება და სამშენებლო-სარემონტო ბაზა ბოლო წლის განმავლობაში, ძირითადად, თბილისში, სამხედრო მოსამსახურეებისთვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობით იყო დაკავებული, გობრონიძის თქმით, ასეთ შემთხვევაში საქმე არასწორ მენეჯმენტთან გვაქვს, რომელიც უნდა გამოსწორდეს და არა — გაუქმდეს.



ქუჩაზე არსებული 16 კვმ ფართობის ავტოფარეხი. რაც შეეხება ირაკლი ლარიბაშვილის თანამდებობრივ სარგოს: დეკლარაციის მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე მუშაობისას მას 51.000 ლარი აქვს აღებული, რაც გასული წლების შემოსავალზე გაცილებით ნაკლებია, კერძოდ — 2012 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მისი შემოსავალი 150.000, 2013 წელს — 154.605.19, ხოლო 2014 წელს — 83.815.67 ლარს შეადგენდა. დეკლარაციის შევსების მომენტში ყოფილ პრემიერ-მინისტრს ნაღდი ფულადი თანხის სახით 10 ათასი ლარი აქვს, მის სახელზე ასევე ფიქსირდება რამდენიმე საბანკო ანგარიში. ერთ-ერთ ანგარიშზე 3.534.55 დოლარი, მეორეზე კი — 3.599.50 ევროა. დეკლარაციაში ასახულია ირაკლი ლარიბაშვილის მეუღლის, ნუნუ თამაზაშვილის პირადი ანგარიშის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც, ბანკში მას მხოლოდ

მინის ნაკვეთი დუშეთის რაიონში — 3 450 კვმ და თბილისში, ზოვრეთის ქუჩაზე — 432 კვმ. კვირიკაშვილის სახელზე გახსნილი იყო ხუთი საბანკო ანგარიში. სახელფასო ანგარიშზე იმ დროს, 150 ლარი ერიცხებოდა, სამ სხვადასხვა ანგარიშზე კი — 14.000 ლარი, 10.000 აშშ დოლარი და 5.000 ევრო, ასევე, 4.930 აშშ დოლარი. გრაფაში — „თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება 4.000 ლარს“ — მოქმედ პრემიერს მითითებული აქვს 3.700 ლარი. 2012 წელს ერთ-ერთ ბანკში კვირიკაშვილს იპოთეკური სესხი აუღია 120.000 დოლარის ოდენობით, რომლის დაფარვის ბოლო ვადა 2022 წლის პირველი ოქტომბერია. 2014 წლის გასავალში მას მითითებული აქვს სწავლის საფასური — 9.600 ლარი. 2014 წელს ხელფასის სახით, ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრს ერთი წლის განმავლობაში 81.250 ლარი აქვს აღებული.



# ბაბარი მილიარდერების ახალგაზრდა ოჯახები



ამერიკელი ბიზნესმაგნატი, ინვესტორი და 2016 წლის არჩევნებში აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი — დონალდ ტრამპი „ფორბსის“ მილიარდერთა სიაში 72-ე ადგილს იკავებს. მისი ქონება 4,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. 70 წლის ბიზნეს-

მენი, რომელიც უძრავი ქონებისა და ტელევიზიის სფეროში წლებია მოღვაწეობს, დროის უმეტეს ნაწილს მეხუთე ავენიუზე მდებარე „ტრამპ თაუერში“ ატარებს, სადაც მუშაობს და ცხოვრობს. პენტაგონის, რომელიც მანჰეტენის შუაგულში მდებარეობს და სენტრალ-პარკს გადაჰყურებს, ვერსალის სასახლეს უფრო მოგაგონებთ. 24-კარატიანი ოქროსა და ბრილიანტის დეტალები, მარმარილო და ხელით მოხატული ფრესკები ჭერზე — ეს იმ ფუფუნების მცირე ნაწილია, რაც ტრამპების სახლში მნახველს თვალში მოხვდება. იგი ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული და ძვირად ღირებული პენტაგონის ნიუ-იორკში და 100 მილიონ დოლარადაა შეფასებული. პრეზიდენტობის კანდიდატი პენტაგონში მესამე მეუღლეს-

თან — სლოვენელ მოდელ მელანი შნაუსთან და 10 წლის ვაჟიშვილთან — ბარონ უილიამ ტრამპთან ერთად ცხოვრობს.

ცნობილმა მედიამაგნატმა, რუპერტ მერდოკმა კი 84 წლის ასაკში დაქორწინება გადაწყვიტა. დასავლური მედიის ცნობით, იგი მსახიობ და მოდელ ჯერი ჰოლისთან ერთად აპირებს ოჯახის შექმნას. ეს მერდოკისთვის რიგით მეოთხე ქორწინება იქნება. ახალ პარტნიორთან ურთიერთობა მედიამაგნატმა შარშან ზაფხულში დაიწყო. წინამორბედ მეუღლეს, ავსტრალიელ ვენდი დენგს 2013 წელს გაშორდა. რუპერტ მერდოკი მსოფლიოში უმსხვილესი მედიაკონგლომერატის — „ნიუს კორპორეიშენის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელია.

## ინოვაციური ტექნოპარკი ოქროყანაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ვიცე-პრემიერმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ოქროყანაში, საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი გახსნეს. ქუმსიშვილმა დამსწრე საზოგადოებას ტექნოლოგიური პარკის კონცეფცია პრეზენტაციის სახით გააცნო. ტექნოლოგიური პარკი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ აშენდა. ტექნოპარკი ქმნის ერთიან ეკოსისტემას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელს უწყობს ინოვაციური იდეების განვითარებას. ეს არის უნიკალური შესაძლებლობების სივრცე, მომავლის პროფესიების ფორმირების

ადგილი და ინოვაციური ბაზრის გაფართოების პლატფორმა. ტექნოლოგიური პარკი დამწყებ და პატარა კომპანიებს შესთავაზებს ისეთ რესურსებს, რომლებიც მათთვის აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი იყო. იგი განსაკუთრებულ როლს ითამაშებს ახალი ბიზნესისა და ახალი კომპანიების შექმნაში, არსებული ბიზნესის განვითარებაში, ინოვაციების კომერციალიზაციასა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნაში. მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი მოიცავს როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე დიდ ოფისებს კომპანიებისთვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს. პარკის ტერიტორიაზე იმუშავებს აქსელერატორი, მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგ-ცენტრები და შოურუმები, იქნება მაღალტექნოლოგიური ინკუბატორი, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია, **co-working** ცენტრი, საკონფერენციო დარბაზი და სხვა სერვისები, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას. ტექნოლოგიური პარკი ასევე იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რომ საქართველოში საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობები

დაფუძნდნენ და უცხოური ინვესტიციები მოვიზიდოთ. ტექნოპარკი შენდება მსოფლიოში საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, მასში თავს მოიყრიან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთში გაცვლიან ინოვაციურ იდეებს და მოახდენენ ამ იდეების კომერციალიზაციას.

სიახლეს „საქართველოს განვითარების ფონდი“ ეხმარება: ფონდის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი ტატო ჭულუბაძე აცხადებს, რომ ისინი ყოველდღიურ რეჟიმში დააკვირდებიან ტექნოპარკის მუშაობას: „საქართველოს განვითარების ფონდი ამ ფაქტს მიესალმება, რაც ქვეყნის განვითარებისთვის არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. თუმცა, ტექნოპარკის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სრულყოფილი სამოქმედო გეგმის საზოგადოებისთვის და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის გაცნობა, რათა ჩვენ ვიხილოთ ის კონკრეტული შედეგი, რაც ტექნოპარკს შეუძლია შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესში. დღეს წარმოდგენილი გეგმა კი არ არის სრულყოფილი“. მისივე თქმით, ევროპული მაგალითების გათვალისწინებით, დამატებით ასევე საჭიროა ტექნოპარკში დაარსებული კომპანიებისთვის სხვადასხვა საგადასახადო შეღავათის დაწესება.





# მსოფლიო ბანკის ახალი პროგნოზი: რას მოუტანს საქართველოს 2016 წელი?

„ეს ის შემთხვევაა, როდესაც კეისრის ცოლი ეჭვზე მაღლა უნდა იდგას“



შობა-ახალი წლის დღეები იწურება და ახალი, 2016 წელი თანდათან ძალას იკრებს. ალბათ უკვე დროა, სადღესასწაულო განწყობილება გვერდზე გადავდოთ და დავფიქრედეთ, როგორ ხვდება საქართველო ამ ახალ წელიწადს. მსოფლიო ბანკის პროგნოზს თუ დავუჯერებთ, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკის 3%-იანი ზრდაა მოსალოდნელი, რაც შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით, 0,5%-ით მეტია. ამავე ანგარიშის თანახმად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2017 წელს 4,5%-მდე გაიზარდება, 2018 წელს კი — 5,0%-ს მიაღწევს. როგორც ექსპერტები ამბობენ, ეს ციფრები შესაშური სულაც არ არის.

სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ სოსო არჩვაძესთან.

## ხატუნა ჩიბოგიძე

— ბატონო სოსო, თქვენი შეფასებით, რამდენად რეალურია მსოფლიო ბანკის ახალი პროგნოზი?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ერთი ცნობილი გამონათქვამი მახსენდება: კეისრის ცოლი ეჭვზე მაღლა უნდა იდგესო. მსოფლიო ბანკის პროგნოზის საპირისპიროდ მხოლოდ ერთი ოპონენტი თუ გამოდგება და ეს — საერთაშორისო სავალუტო ფონდია. ამას ნახევრად ხუმრობით ვამბობ. სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, მსოფლიო ბანკი — ეს არის პროფესიონალთა გუნდი, რომელიც მთელ მსოფლიოში ატარებს მონიტორინგს და სისტემატურად შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობას. მათ პროგნოზებს საკმაოდ მაღალი ნდობის ხარისხი აქვს. საქართველოს შესახებ პროგნოზი ეფუძნება განვითარების იმ ტემპს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ბოლო პერიოდში ჰქონდა. ამიტომ, მოდი, მივიღოთ ეს ცნობა და იმაზე კი არ ვიკამათოთ, რამდენად სწორია ან არასწორია პროგნოზი, არამედ — რამდენად საკმარისია ეს მაჩვენებელი ჩვენი ქვეყნისთვის. ვფიქრობ, უმჯობესია ვენდოთ მსოფლიო ბანკის პროგნოზს და იმედი არ დავკარგოთ, რომ 2016 წელი გასულ წელზე უკეთესი იქნება.

— 3%-იანი ზრდა ბევრს არასაკმარისად მიაჩნია. თქვენც ეთანხმებით ამ სკეპტიციზმს?

— ალბათ თქვენი ჟურნალის

მკითხველთა ერთი ნაწილიც სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ 3%-იანი ზრდა არ არის საკმარისი. თუ ასე დავსვამთ საკითხს, კიდევ ერთი კითხვა გაჩნდება: არსებობს კი რაიმე დამატებითი რესურსი და რეზერვი იმისათვის, ჩვენი ეკონომიკა უფრო მეტად რომ გაიზარდოს? ვფიქრობ, საამისო რესურსი არ არსებობს, მაგრამ თუ არსებობს, სად

— სად შეიძლება ამ რესურსების მოძიება?

— ალბათ, ნებისმიერი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს დარგში — სოფლის მეურნეობაში. მართალია, ბოლო ხანებში ამ დარგში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა და ის „კლინიკური სიკვდილის“ მდგომარეობიდან გამოვიდა, მაგრამ დღეს ჩვენი სოფლის

ჩვენს სამეზობლოში შექმნილი კრიზისის გამო შეგვიძირდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტის და იმპორტის

უნდა ვეძებოთ? — იმპოტენციალში, რომელიც ქვეყანას აქვს. ვგულისხმობ არა მხოლოდ მატერიალურ რესურსს, არამედ — ადამიანურ კაპიტალსაც. ამიტომ, ახალი პრემიერისა და ძველი მთავრობის ამოცანა ამ ეტაპზე არის: როგორმე შეძლონ დამატებითი იმპულსების გაჩენა ქვეყნის ეკონომიკაში, რომ ქართველ საზოგადოებას ოპტიმიზმის საფუძველი და მომავლის იმედი მიეცეს.

მეურნეობა მე-19 საუკუნის ბოლო ხანების ევროპული და ამერიკული ქვეყნების დონეზეა. არადა, სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის უმნიშვნელოვანესი ბაზა ეკონომიკის სხვა დარგებისთვის და საერთოდ, ქვეყნის გაძლიერებისთვის. როგორმე უნდა შევქმნათ ბაზა ამ დარგის განვითარებისთვის, რათა უფრო ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული იმპორტზე. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი



ეროვნული ვალუტის გამყარებას, ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას და მოსახლეობის კეთილდღეობას... ყოველივე ეს კი საშუალებას მოგვცემს, საქართველოს ეკონომიკა უფრო მეტად განვავითაროთ. იმავე მსოფლიო ბანკის დასკვნით, 2017 წელს ჩვენი ეკონომიკის ზრდა 4,5% იქნება, 2018 წელს კი — 5,0%-ს მიაღწევს. მათი მონაცემები ოპტიმისტურია, მაგრამ ყოველგვარი წინსვლის მისაღწევად დიდი შრომაა საჭირო.

— ჩვენს რეგიონს თუ გადავხედა-

ექსპორტიორ ქვეყნებს შემოსავალი მკვეთრად შეუმცირდათ. თუმცა, როგორც ამბობენ, მედალს ორი მხარე აქვს და მეზობელი ქვეყნების ვალუტების გაუფასურებამ ერთგვარი შედეგადაც კი მოგვიტანა: გასული წლის 11 თვის მონაცემებით, ნავთობპროდუქტებში 250 მილიონი დოლარით ნაკლები გადავიხადეთ, ესე იგი, 250 მილიონი დოლარი დავზოგეთ ნავთობპროდუქტების შემოტანისას. თუმცა, ჩვენს სამეზობლოში შექმნილი კრიზისის გამო შეგვიმცირდა სავაჭრო სავაჭრო

— ეს იყო მოკლევადიანი რყევა, მაგრამ ამავე დროს — სიმპტომი იმისა, რომ საქართველო დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეინარჩუნებს უცვლელ კურსს, როცა მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორები ერთიმეორის მიყოლებით ახდენენ თავიანთი ვალუტების დეველვაციას ამერიკულ დოლართან შედარებით; ისინი ცდილობენ, „შემსუბუქებულ“ ვალუტით შეძლონ თავიანთი ექსპორტის ნახალისება. საქართველოს არა აქვს ისეთი მძლავრი ბაზა, რომ რეაგირების გარეშე დატოვოს თავისი მეზობლებისა და ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ქმედებები საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე. ახალი წლის პირველ დღეებში ლარის დეველვაციას დაუჟკავშირებდი არაწინასაახალწლო სამზადისს, არც იმას, რომ მოსახლეობა ამ დროს სერიოზულ თანხას ხარჯავს, არამედ იმ ტენდენციებს, რომელიც ყალიბდება ჩვენს სამეზობლოში და მთელ მსოფლიოში. საქართველო ჩართულია გლობალურ თამაშში. მართალია, ჩვენი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე დიდად არც იგრძნობა, მაგრამ სამაგიეროდ, მსოფლიოს გავლენა ჩვენზე დიდია. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მთელ მსოფლიოში დამთავრდა იაფი დოლარის ხანა და იწყება სხვა — უფრო ძვირი დოლარის ეპოქა.

— როგორ ფიქრობთ, ამ სიტუაციაში ქართული ლარი თუ მოახერხებს თავის გადარჩენას?

— თუ გავითვალისწინებთ, რა მოუვიდა რუსულ რუბლს, უკრაინულ გრივნას ან თუნდაც, აზერბაიჯანულ მანათს, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთული არ არის. ქართული ლარი ამჟამად ინარჩუნებს სტაბილურობას. მას ისტორიული ანტირეკორდისთვისაც კი არ მიუღწევია: ვგულისხმობ 1999 წლის თებერვალ-მარტში დაფიქსირებულ კურსს, როცა 1 აშშ დოლარი 2,45 ლარი ღირდა, ახლა კი — 2,41 ლარი ღირს. ბუნებრივია, საზოგადოებას სერიოზული პრეტენზიები აქვს ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ჩვენ როგორღაც შევძელით სტაბილურობის შენარჩუნება. საქართველოს მუდმივად უწევს „წვიმასა და ქარს შორის მოძრაობა“ და არჩევანის გაკეთება: ერთი მხრივ, ჩვენ გვემუქრება შედარებით იაფი იმპორტირებული საქონელი, რომელიც სერიოზულ

ახალი წლის პირველ დღეებში ლარის დეველვაციას დაუჟკავშირებდი იმ ტენდენციებს, რომელიც ყალიბდება ჩვენს სამეზობლოში და მთელ მსოფლიოში

ვთ, ნამდვილად არ გვაქვს ოპტიმიზმის საფუძველი: კრიზისია რუსეთში, უკრაინასა და ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. ამ ქვეყნებს უკვე აზერბაიჯანიც შეემატა, რაც თავისთავად გავლენას მოახდენს ჩვენს ეკონომიკაზე, თუნდაც, ქართული ნაწარმის ექსპორტზე. როგორ შეაფასებთ ამ სიტუაციას?

— ეს ქვეყნები და მათ შორის აზერბაიჯანიც, ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან. აზერბაიჯანული მანათის კურსი ბოლო წლის განმავლობაში დაახლოებით 70%-ით გაუფასურდა და ეს უკვე ახდენს ჩვენზე გავლენას. ნავთობის ფასების დაცემამ გამოიწვია ის, რომ ენერგო-

ბრუნვაც, ექსპორტიც და იმპორტიც. მაგალითად, რუსეთში ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა, მაგრამ ამ ქვეყნიდან შემოტანილი მარცვლეულის რაოდენობა გაიზარდა. 2015 წელს შემოვიტანეთ 26 ათასი ტონით მეტი მარცვლეული, მაგრამ 13 მილიონი დოლარით ნაკლები გადავიხადეთ, ესე იგი, გაცილებით იაფად შევიძინეთ. ეს სწორედ რუსული რუბლის დეველვაციის გამო მოხდა. მსგავსი მაგალითების მოშველიება ბლომად შეიძლება.

— რით შეიძლება ავხსნათ ახალი წლის დღეებში ლარის კიდევ უფრო გაუფასურება?



ქვეყანაში ნაკლები თანხა შემოდის და მეტი გადის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ლარის მსყიდველობითუნარიანობაზე



# პოლიტიკური ციებ- ცხელების წელი – 2016



**პოლიტოლოგი და კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბრიძე „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ თემაზე საუბრობს, მათ შორის, არჩევნებზე, რომლის მთავარი პრობლემაც, მისი აზრით, ნიჰილისტურად განწყობილი ამომრჩევლის საარჩევნო ყუთებთან მიყვანა იქნება, რისთვისაც მთელი პოლიტიკური სპექტრი მაქსიმალურად უნდა გააქტიურდეს. ბოლო დღეებში ძალზე აქტუალურ — „გაზპრომის“ საკითხთან დაკავშირებით, იგი განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ხედავს, თუმცა აღნიშნავს, რომ რუსეთი ამას პოლიტიკურ ბერკეტად იყენებს, და 2006 წლის ამბებსაც იხსენებს, როცა გაზსადენი აფეთქდა და მოსახლეობა გაზის გარეშე დარჩა.**

„მიღებული არსებულზე უკეთესია“, ასე აფასებს ძაბრიძე საარჩევნო კოდექსში შეტანილ „ტექნიკურ ცვლილებებს“ და 2016 წლის პროგნოზებსაც აკეთებს:

— 2016 წელი რომ მძიმე და რთული იქნება, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საშობაო დღესასწაულებმა ოდნავაც ვერ დააცხრო პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ. პირიქით, ქვეყნის გარეთ საფრთხის მოლოდინი იმდენად გაიზარდა, რომ ევროპის ზოგიერთი ქალაქი შობის დღესასწაულს ფეიერვერკების გარეშე შეხვდა. ქვეყნის შიგნით კი, წლის მიწურულს, პრემიერის დაჩქარებული წესით გადადგომამ ათასგვარი ვერსიის, ჭორის, ტყუილ-მართლის გავრცელებას მისცა დასაბამი. შესაბამისად, არც ისაა გასაკვირი, რომ ახალი პოლიტიკური სეზონი, რომელიც, როგორც წესი, პარლამენტის არდადეგების

დასრულებით იწყებოდა, ამჯერად პრეზიდენტის მიერ საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებზე ხელმოწერით და ამ ცვლილებებთან დაკავშირებით მის მიერვე გაკეთებული კომენტარებით გაიხსნა. რაოდენ მნიშვნელოვანია არჩევნების სამართლიანად ჩატარება მშვიდ და სტაბილურ გარემოში,

კონკურენციას გაუწევს ადგილობრივ ნაწარმს, მეორე მხრივ — ექსპორტის მაჩვენებლების გაზარდება ჩვენს ძირითად პარტნიორ ქვეყნებთან. ასეთ პირობებში საქართველო იძულებული იქნება, კვლავ განახორციელოს ეროვნული ვალუტის დევალვაცია — ეს იქნება იძულებითი ზომა, რომ არ ჩამორჩეს საყოველთაო თამაშის წესებს, რაც ჩვენი ძირითადი პარტნიორების ქცევაში შეინიშნება. მხედველობაში მაქვს არა მარტო რუსეთი, არამედ — აზერბაიჯანი, თურქეთი, ყაზახეთი და თვით ევროკავშირის ქვეყნები, სადაც ვალუტის დევალვაციის პროცესი აშკარად შეიმჩნეოდა. ჩინეთი რომ ჩინეთია, მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა, იმანაც კი შეზღუდა დოლარის გაყიდვა ფიზიკურ პირებზე. ანალოგიურად მოიქცა ყაზახეთი და ახლა უკვე — აზერბაიჯანი... აქვე უნდა შევეხო რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას: როდესაც ორი კარის მეზობელი ერთმანეთთან ჩხუბობს, ეს ჩვენთვის სულაც არ არის დადებითი მოვლენა. როგორმე უნდა მოვახერხოთ ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, რათა ორი დიდი ქვეყნის ურთიერთდაპირისპირებამ ირიბი ფორმით არ დააზიანოს ჩვენი ინტერესები. ჩვენს ხელისუფლებას ამ მიმართულებითაც მოუწევს მუშაობა და ძალისხმევის განწევა.

— **დაბოლოს, რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს და ქვეყანა უფრო წინ წავიდეს?**

— ამისთვის საჭიროა, საქართველოში შემოსული ფულადი ტრანზაქციები გაიზარდოს, მეტი ინვესტიცია შემოვიდეს და უცხოეთშიც მეტი საქონელი გავიდეს... სამწუხაროდ, ოპტიმიზმის საფუძველი ჯერჯერობით არ გვაქვს: შარშან ფულადი ტრანზაქციების მოცულობა დაახლოებით 400 მილიონი დოლარით შემცირდა, ქვეყანაში ნაკლები თანხა შემოდის და მეტი გადის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ლარის მსყიდველობითუნარიანობაზე. სხვათა შორის, დღეს უკვე ბევრი ქვეყანა ცდილობს, მიმოქცევიდან გამოდევნოს დოლარი, რომ ამ ვალუტის გავლენა ადგილობრივ ვალუტაზე შეამციროს, თუმცა, მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაექცევა. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა.

**ქვეყანა-სახსართა პრობლემები**

კოქსართოზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზური სპონდილიტას, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ზრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება.

მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. სისხლის მიმოქცევის აღდგენით, მარტივების, შლაკებისა და ქოლესტერინისაგან გაწმენდით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესო და მყარი.

**ტელ: 599 91-37-65 ქ-61: ქაითაოქ**



ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებას ამის შეხსენება არ სჭირდება. ისიც გვახსოვს, თუ რა საფრთხის წინაშე იდგა ქვეყანა, გნებავთ, 2003 წლის და გნებავთ, 2012 წლის არჩევნების პერიოდში. ამიტომ გასაგებია პრეზიდენტის მონოღება პოლიტიკური ძალებისა და თამაშის ერთიან წესებზე შეთანხმების შესახებ, რომელიც, როგორც თავიდანვე აღინიშნა, „ჯერ არ გვაქვს“, რაც, ისევე და ისევე, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. საერთოდ, საარჩევნო კოდექსი ის ფუნდამენტია, რომელმაც ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება უნდა მოაწესრიგოს და პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობა უზრუნველყოს, დაარეგულიროს ურთიერთობა პოლიტიკურ ძალებს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას, საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრს შორის, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი მოთამაშეებისა და ლიდერების გამოჩენას. თუ ამ კრიტერიუმებით მივუდგებით, არც ის ცვლილებები, რომლებიც პარლამენტმა მიიღო და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა, და არც ის, რომელსაც ოპოზიცია გვთავაზობს, არ ვარგა. მაგრამ, თუ ჩვენში დამკვიდრებული, ტრადიციად ქცეული, ფორმულით ვისარგებლებთ, რომ „მიღებული არსებულზე უკეთესია“, მაშინ ყველაფერი რიგზეა, რადგან მიღებული კანონი არსებულზე მართლაც უკეთესია. რაც შეეხება ამ ცვლილებების ერთ ქუდ ქვეშ მოქცევას და „ტექნიკურ ცვლილებებად“ მოხ-

სენიებას, აქაც გაურკვევლობასთან გვაქვს საქმე. მაჟორიტარული ოლქების საზღვრების შეცვლა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით განხორციელდა, მართლაც შეიძლება ჩაითვალოს „ტექნიკურ ცვლილებად“, მაგრამ მაჟორიტარებისთვის 50%+1 ბარიერის დანესება, ტექნიკურ ცვლილებად ვერ ჩაითვლება. ის არსებითად ცვლის მაჟორიტარ კანდიდატთა შორის ძალთა თანაფარდობას. ესაა ცვლილება, რომელმაც გააუმჯობესა არსებული კოდექსი. შესაბამისად, არ ველოდები მმართველი უმრავლესობის მიერ კონსულტაციების გაგრძელებას და საარჩევნო კოდექსის კორექტირებას.

— **ხათუნა გოგორიშვილის შეფასებით, მიღებული ცვლილებები „საარჩევნო აჯაფსანდალი“ უფროა, ვიდრე რაიმე სახის რეფორმა. ამასთან, თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ 2016 წელს მოვლენებმა შესაძლოა, ქუჩაში გადაინაცვლოს. როგორ ფიქრობთ — კიდევ რა ცვლილებებია შესატანი, რომ არჩევნების შემდეგ პროცესები მართლაც ქუჩაში არ გავიდეს?**

— ცოტა უხერხულია, როცა ქალბატონი ხათუნა გოგორიშვილი „სარჩევნო აჯაფსანდალზე“ საუბრობს, რადგან 1995 წელს, როდესაც ხელისუფლებამ პირველად მოახდინა არჩევნების მასობრივი გაყალბება, მონაწილეთა რაოდენობა ხელოვნურად გაზარდა და ოპოზიციური პარტიები ბარიერს მიღმა დატოვა, ამის ერთ-ერთი შემოქმედი ქალბატონი ხათუნა

გახლდათ. უფრო მეტიც, იქიდან მოყოლებული, 2012 წლამდე, არჩევნების გაყალბება სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილად აქციეს და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვრამდე მიიყვანეს. არჩევნების შემდგომ პროცესების ქუჩაში გადასვლა უშუალოდ საარჩევნო კოდექსთან არაა დაკავშირებული და არც რომელიმე პარტიის ან პოლიტიკური ჯგუფის სურვილთან. აქ მნიშვნელოვანია მოსახლეობის განწყობილება და მზადყოფნა ნებისმიერ ფასად შეცვალოს არსებული რეჟიმი. ასეთი განწყობილება მოსახლეობაში ნამდვილად არ არის. არის იმედგაცრუება, ნიჰილიზმი, სხვათა შორის — მთელი პოლიტიკური სპექტრის მიმართ და არა მხოლოდ „ქართული ოცნებისადმი“, მაგრამ რადიკალური მიუღებლობა არ არის. შესაბამისად, საფრთხის შემცველია არა იმდენად არჩევნები; ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, სამართლიან არჩევნებს და მის შედეგებს, არამედ — ხელისუფლების დაბალ ლეგიტიმაციას. ხალხი ქუჩაში არ გამოვა, მაგრამ არც არჩევნებზე წავა, რაც ქმნის გაურკვეველ და ფეთქებადსაშიშ სიტუაციას არჩევნების შემდგომ, მთელი ოთხი წლის განმავლობაში. ამ სიტუაციის გამოყენებას შეეცდება ოპოზიცია, რაც მუდმივი დაპირისპირების ხასიათს მიიღებს და თუ გაუცხოების პროცესი ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაგრძელდა, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო ფაქტორმა, შესაძლოა, დეტონატორის ფუნქცია შეასრულოს და პოლიტიკური პროცესი ქუჩის აქციებში გადაიზარდოს. ამიტომ, ამ ეტაპზე ხელისუფლების მთავარი ამოცანაა, ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან მიიყვანოს.

— **საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დავით ზალკალიანის დაბრუნებას საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ამასთანავე, საგარეო უწყების პირველ პირად დიპლომატიურ საქმიანობაში გამოუცდელი მიხეილ ჯანელიძე დაინიშნა. ამ საკითხებთან დაკავშირებით რა აზრი გაქვთ?**

— საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილედ დავით ზალკალიანის დაბრუნება უჩვეულო და სასიამოვნო პრეცედენტია ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში. არ მახსენდ-



გვახსოვს, თუ რა საფრთხის წინაშე იდგა ქვეყანა, გნებავთ, 2003 წლის და გნებავთ, 2012 წლის არჩევნების პერიოდში



ება შემთხვევა, ხელისუფლებას პროტესტის ნიშნით გადამდგარი მაღალჩინოსანი თანამდებობაზე დაებრუნებინოს. ხელისუფლებისთვის ეს ნაბიჯი გარკვეულ უხერხულობას ქმნის, მაგრამ ამ უხერხულობას რომ არ მოერიდა და პროფესიონალი მაღალჩინოსანი ისევ თანამდებობაზე დააბრუნა, მის სახელმწიფოებრივ მიდგომაზე მეტყველებს. იგივე შეიძლება ითქვას ბატონ დავით ზალკალიანის მისამართით: არც მისთვის იქნებოდა კომფორტული ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ მანაც სახელმწიფოებრივი ინტერესი დააყენა პარტიულ-პირადულ ინტერესებზე მაღლა და სასიამოვნო ფაქტია. რამდენადაც ვიცო, თავდაცვის უწყების თანამშრომელთა მიმართ სასამართლო პროცესი ჯერჯერობით არ დასრულებულა. ამ შემთხვევაში მათი სამსახურში აღდგენაც სრულად ჯდება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების ფარგლებში: „უდანაშაულოა ყველა, ვიდრე სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს“. მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რამდენად უკავშირდება ეს პროცესი ბატონი ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ ამბიციებს. თავის დროზე, ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო მმართველი გუნდის მიერ ალასანიას მიმართ გამოთქმული მძაფრი კრიტიკა პრეზიდენტობის კანდიდატად მისი წამოყენების შესახებ, რადგან ვთვლიდი, რომ ეს საკვებით ბუნებრივი და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი იყო. მმართველ გუნდს და უპირველესად მის ლიდერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ეს პროცესი კოალიციის შიგნით ახალი რეალური და არა დანიშნული ლიდერების წარმოსაჩენად რომ გამოყენებინა, არც კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ექნებოდა დღეს ლიდერის პრობლემა და არც ბატონ ივანიშვილს მოუწევდა თავის მართლება თუნდაც იმავე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის გამო. რაც შეეხება ბატონი მიხეილ ჯანელიძის დანიშვნას: ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება მთავრობის სწრაფად დაკომპლექტებითაა გამოწვეული.

— ასევე უამრავ პასუხგაუცემელ კითხვას ტოვებს კალაძე-„გაზპრომის“ ურთიერთობები. აღარავის

სჯერა, რომ აზერბაიჯანული გაზის „გაზპრომის“ და არა ირანის გაზის ჩანაცვლებით არ ხდება ქართული გაზის ბაზრის დივერსიფიკაცია. კალაძე „გაზპრომის“ ლობირებას კატეგორიულად უარყოფს. თქვენი აზრით, რა ხდება?

— რუსეთის ხელისუფლება „გაზპრომს“ პოლიტიკურ ბერკეტად რომ იყენებს, ვფიქრობ, სიახლეს არავისთვის წარმოადგენს. უფრო მეტიც: თუ საჭიროდ ჩათვლის, რუსეთი ყველა იმ ეკონომიკურ ბერკეტს გამოიყენებს, რომელიც საქართველოს ეკონომიკაშია ჩადებული, განურჩევლად იმისა, ამ აქტივების მფლობელი რუსეთის მოქალაქე კერძო ბიზნესმენია თუ — სახელმწიფო. მეორე მხრივ, ჩვენ

**ჩემი აზრით, ნელს უმთავრესი პრობლემა მაინც ამომრჩევლის გააქტიურება და არჩევნებში მიყვანა იქნება**

უკვე გვაქვს „გაზპრომთან“ ურთიერთობის მწარე გამოცდილება. როდესაც 2006 წლის ზამთარში გაზსადენი აფეთქდა და გაზის გარეშე დავრჩით, მაშინ ის ერთადერთი მომწოდებელი იყო და ამასთანავე, რუსეთში ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ საქართველოს გაზსადენის გაყიდვაზე დაიყოლიებდნენ. მაშინ შეეძელით და არა მარტო სიცივეს გავუძელით, არამედ მოვძებნეთ ალტერნატიული გაზმომარაგების წყაროები. ამჟამად სრულიად დამოუკიდებელი ვართ „გაზპრომისგან“ და შესაბამისად, ამ ბერკეტის გავლენა ფაქტობრივად, ნულის ტოლია. სხვა მხრივ, გასათვალისწინებელია ირანის ფაქტორი და მისი მარაგები, ასევე ის, რომ ირანს სანქციები მოუხსნეს და ის თავისი ენერგორესურსების ტრანსპორტირებას შეეცდება. მესამე მხრივ, დივერსიფიკაცია, თუნდაც ცუდი, უსაფრთხოების ყველაზე კარგი გარანტიაა, რადგან სახელმწიფოებს, როგორც ამბობენ, აქვთ მუდმივი ინტერესები, მაგრამ არ ჰყავთ მუდმივი მეგობრები. ამიტომ, „გაზპრომთან“ ურთიერთობაში ვერ ვხედავ განსაკუთრებულ პრობლემას, თუ, რა თქმა უნდა, მედია არ „დაიღლება“ და არც საზოგადოებრივი ინტერესი შესუსტდება.

— ბატონო ვახტანგ, 2016 — საპარლამენტო არჩევნების წელია. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები შიდა პოლიტიკაში და შეიძლება თუ არა ქვეყანა არჩევნების სერიოზული ექსცესების გარეშე ჩატარებას?

— 2016 წელი რთული და გარდამტეხი იქნება ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. იმაზე, თუ როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესი და, რაც მთავარია, როგორ ჩატარდება არჩევნები, მთლიანად არის დამოკიდებული არჩევნების შემდგომი პერიოდის სტაბილურობა და ისიც, ხელისუფლების შეცვლის მექანიზმად დარჩება ქუჩა თუ მას არჩევნების

შედეგები ჩანაცვლებს. ჩემი აზრით, ნელს უმთავრესი პრობლემა მაინც ამომრჩევლის გააქტიურება და არჩევნებზე მიყვანა იქნება. ამ პრობლემის გადაჭრა ყველა პოლიტიკური ძალისთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, სტაბილური და მშვიდი საარჩევნო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელი, უპირველესად, ხელისუფლებაა. თუ არჩევნები მშვიდ და სტაბილურ გარემოში სამართლიანად ჩატარდება, არჩევნების შემდგომ უახლოეს პერიოდში სერიოზულ ექსცესებს ნამდვილად არ ველოდები.

კობა ბენდელიანი  
(„ინტერპრესნიუსი“)

**გახლომა 5-დან 18 კმ-მდე თვაში**  
**განუქმება 3-დან 5-6 კმ-მდე თვაში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე, რეგულირდება მალა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მლაქებისგან, სისხლძარღვები-ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება ანალგაზრდა, ელასტიკური. დაღვებით სასურველ წონაზე და სტაბილურად შეინარჩუნებთ მას.

ასევე სიძალიეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად. კურსით 3-5მ მობატებით 25 წლამდე ეფექტურია გენეტიკური სიღატაკის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია, განმეორება შეუძლიათ სასურველ შედეგამდე. უკუვნება 0-ია.

**შედეგები 100%-იანი.**

**ტელ: 577 29-37-41, 247-58-83**  
**ქ-ში მარიაში**



# ლაბოდესში უგზო-უკვლოდ დაკარგული სამი მონადირის ამბავი

„რომ მცოდნოლა, ეს დაგმართებოლა, მუხლებში ჩავუპარდებოლი და არ გავუშვებოლი...“

ლაგოდესში დაკარგული მონადირეების ძებნა გრძელდება... ოთხი მონადირე — ავთო და დათო სამხარაძეები, ლევან ჯალალოვი და გიორგი თურქაძე კაბალის ხევიში სანადიროდ 28 დეკემბერს წავიდა. სახლში დაბრუნება მხოლოდ გიორგი თურქაძემ შეძლო, რომელმაც გაავადრებას გამოასწრო. დანარჩენი სამის ძებნა ამ დრომდე გრძელდება...

## ლალაი პაპასაიერი

7 იანვარს გავრცელებული ინფორმაციით, მონადირეები დაღესტნის საზღვარზე დააკავეს, მაგრამ შსს-მ ეს არ დაადასტურა. არადა, სამი ქართველის დაკავების შესახებ ინფორმაციას დაღესტნური საინფორმაციო საშუალებებიც ავრცელებდნენ და ლაგოდესის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კახა ჯამბურიაძემ დაადასტურა. მოგვიანებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში, ზურაბ აბაშიძემ, ქართულ ტელევიზიებთან საუბრისას აღნიშნა, რომ დაღესტანში დაკავებული საქართველოს სამი მოქალაქის თბილისისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით, რუსეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან კომუნიკაცია შედგა. თუმცა, საქართველოს შს სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა. გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა.

ირაკლი შიოლაშვილი, კახეთის გუბერნატორი:

— ამ ეტაპზე მხოლოდ ის შემთხვევა გვითხრათ, რომ მთაში, იმ ადგილის ზედაპირული დათვალიერება, სადაც ისინი ნადირობდნენ, დასრულებულია. დაღესტანში, რა თქმა უნდა, ვერ გადავიდოდით, რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ისინი დაღესტანში დააკავეს, გამორიცხული არაფერია და შესაძლოა, როგორც მართლაც მოხდნენ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ის ადგილი, ტყით დაფარული მთა, ახლოს არის საზღვართან, მაგრამ სანამ სამაშველო ოპერაცია არ დასრულდება და მათარვიპოვით, ვერაფერზე ვილაპარაკებთ.

— ოთხი მონადირიდან ერთ-ერთი, გიორგი თურქაძე სახლში დაბრუნდა. თუ შეხვედით მას და რას ჰყვება დანარჩენი სამი მონადირის შესახებ?

— დიახ, გიორგი თავადაც მონაწილეობდა სამძებრო სამუშაოებში... მისი თქმით, ნადირობა არ ჰქონდათ დასრულებული. უბრალოდ, ამინდი იმდენად გაუარესდა, რომ იქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა. უცებ წამოსულა თოვლი და ქარბუქიც ამოვარდნილა. ეტყობა, როგორც ხდება ხოლმე, ერთმანეთისგან ცოტა მოშორებით იყვნენ

და შეეცადა, ხმა მიენვლინა მათთვის, მაგრამ ვერ შეძლო... რახან დანარჩენი სამი დაკარგა, მარტომ აღარ გააგრძელა ნადირობა და სახლში დაბრუნდა. ხილვადობა უკვე ძალიან ცუდი იყო, მაგრამ როგორღაც მოუღწევია სახლამდე... მან ყველაზე კარგად იცოდა ის მონაკვეთი და იმედი გვქონდა, რომ რაღაც შედეგამდე მივიდოდით, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... გიორგისთან ერთად მისი ძმაც ჩართული იყო სამაშველო ღონისძიებებში. ამ დრომდე გრძელდება მათი ძებნა მამულებსა და სოფლის მოსახლეობის მიერ...

რაც დრო გადის, დაკარგულების გადაჩენის იმედი სულ უფრო მცირდება, მაგრამ ჯალალოვისა და სამხარაძეების ოჯახები კვლავაც იმედით ცხოვრობენ...

მარინა ბელაშვილი, ლევან ჯალალოვის დედა:

— რა გითხრათ, არც კი ვიცი, დახოცილები ვართ, ცოცხალ-მკვდარი დედა ვარ... ახალი წელი კი არა, სიკვდილი მინდა... ორი წელი პოლონეთში ცხოვრობდა და მუშაობდა ჩემი ლევანი. ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა საქართველოში, იქიდანვე ემზადებოდა ნადირობისთვის და როგორ არ გამეშვა,





პატარა ბიჭი ხომ არ იყო, თორემ, რომ მცოდნოდა, ეს დამემართებოდა, მუხლებში ჩავუვარდებოდი და არ გავუშვებდი... ბავშვობიდან დადიოდა სანადიროდ და გამოცდილებაც ჰქონდა. 30 დეკემბერს ვესაუბრე ბოლოს, — ახალ წელს სახლში ვიქნებიო, ჩემს გოგოსაც ესაუბრა... მონატრებული გვყავდა და ვერ ველეოდით გასაშვებად, მაგრამ უცხოეთიდანაც კი აქაურ მთებს ეფერებოდა. სიგიჟემდე უყვარს თავისი კუთხე, საქართველო. სული კბილით ეჭირა, სანამ ჩამოვიდოდა... ნეტავ, იქ დარჩენილიყო ჩემი შვილი. პოლონეთში მშვენივრად ცხოვრობდა და მუშაობდა. არ გვძინავს, არ ვჭამთ, არ ვცხოვრობთ მე და ჩემი ოჯახი. გზას გავყურებთ... იცოდა მთა, ნადირობა, რთული კლიმატი, ამის იმედი მქონდა და ახლაც ამ იმედით ვცოცხლობთ. უფლის იმედი მაქვს, რომ არ გამწირავს. მთელი სოფელი გასულია, მაშველებიც აქ არიან. რამდენიმე დღის წინ, ბიჭებმა თქვეს, როდესაც ვეძახებით, ხმას გვანგდენდნენ, მერე შეწყდაო... არ ვიცი, რა ვიფიქრო, რა ვთქვა...

**ლემზანი, გიორგი თურქაძის მეგობარი:**

— ბოლო წუთამდე ვიტოვებთ იმედს, რომ დაკარგული ბიჭები ცოცხლები არიან. მათგან ერთ-ერთი, ავთანდილ სამხარაძე ლაგოდეხის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიას კარგად იცნობს, მაგრამ ეტყობა, ერთბაშად მოსულმა თოვლმა გზა-კვალი აურია... ავთანდილ და დათო სამხარაძე ბიძაშვილები, ძმების შვილები არიან. დათო ასაკით პატარაა, 26 წლის. ავთანდილი 37 წლისაა, შინ ცოლ-შვილი ელოდება და მათი საცოდაობით აღარ ვართ, ისეთი იმედით შემოგვცქერიან თვალებში. ავთო გამოცდილი ბიჭია. ტყეში რომ მოესწრო ქარბუქს, სამშვიდობოს გამოსვლა არ გაუჭირდებოდა, იქ ქობიცი არის, სადაც მონადირეები თავს შეაფარებდნენ, სულის მოთქმას შეძლებდნენ, მაგრამ დიდხანს ვერ დარჩებოდნენ, მით უფრო, რომ ორ მეტრამდე თოვლი მოსულა. ისინი ალპურ ზონაში ყოფილან, როდესაც ქარბუქი ამოვარდა. სავარაუდოდ, ამიტომ დაიბნენ. გიორგიმ თქვა, — რაღაც დროის განმავლობაში მათი ხმა მესმოდა, — მეც ვეძახდი აქედან, შემდეგ კი, თანდათან მიიკარგა, თოფიც ვისროლე, ხმა რომ მიმენვდინა, მაგრამ პასუხი არ გამიგონიაო... ავთოს გამოცდილების გარდა, ისიც გვეიმედება, რომ სამივე ჯან-ღონით

სასვე ბიჭია. ასე გვეგონია, გამოძვრებიან. სტიქიის წინაშე ადამიანი ხშირად უძლურია ხოლმე, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არსებობს... მათ ოჯახებში მინც ძალიან მძიმე სიტუაციაა, ავთოს ცოლ-შვილი და იმ ბიჭების დედები ისეთი იმედით შემოგვცქერიან, უფალს ვევედრებით, რამე შეიცვალოს...

**ირაკლი, ლევან ჯალალოვის მეგობარი:**

— დღე და ღამე გასწორებული გვაქვს. მაშველებთან ერთად, ჩვენც ნიჩბებით ვჭრით და ვკვალავთ გზას. საკუთარი ძალებითაც ვეძებთ მთაში. ბიჭებმა თქვეს, ავთომ კარგად იცის იქაურობა და შესაძლოა, დაღესტნის საზღვარზე გადავიდნენ, სადაც შედარებით დაბალი თოვლიაო, — ალბათ აქედან გავრცელდა ეს ვერსია, დაღესტანში არიანო, შემდეგ კი, ოფიციალურმა უწყებებმაც თქვეს, იქ სამი პირია დაკავებულიო... სამივე საკმაოდ გამოცდილია, არც ერთი მათგანი პირველად არ იყო სანადიროდ, ცხოველზე ნადირობა საკმაოდ დიდი გამოცდილება და რისკი სჭირდება...

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი ნაკრძალის ტერიტორიაზე იმოფებოდნენ...**

— ლევანი, ამინდის არევაზე თავის ფეისბუქ-გვერდზე ფოტოებს დებდა. შედით, ნახეთ და შემდეგ იქაურობის მცოდნე ადამიანს შეაფასებინეთ, არის თუ არა ეს ნაკრძალის ტერიტორია. ყველა მონადირეს აქვს მცირე ცდუნება, მაგრამ ისინი იმდენ ხანს ემზადებოდნენ ამ გასვლისთვის, ლამის ორმა სოფელმა — მსხალგორმა და ახალსოფელმა იცოდა და ასე რომ ყოფილიყო, იმასაც მიხვდებოდნენ, რომ ვინმე აუცილებლად დაასმენდა მათ, კვალზე გაჰყვებოდნენ და აიყვანდნენ კიდეც. მით უფრო, რომ ყველა მონადირემ, ვისაც კი ოდესმე ხელში თოფი აუღია, იცის, რომ იქაურობა საკმაოდ კარგად კონტროლდება და ბრაკონიერობა სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. ლევანი პოლონეთში ყოფნისას ინერებოდა, ჩამოსვლისთანავე სანადიროდ უნდა გავვარდეთო.

**ბიორბი სულამანიძე, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის დირექტორი:**

— ჩემი ინფორმაციით, დაკარგული მონადირეები ნაკრძალის ტერიტორიაზე არ ყოფილან. როგორც ირკვევა, ისინი მდინარე კაბალის ერთ-ერთი შესართავიდან ლაკოს ხეობაში ყოფილან ასულნი, ის კი



გიორგი თავადაც მონაწილეობდა სამძებრო სამუშაოებში...

ნაკრძალი არ არის. საერთოდ, მონადირეები ნაკრძალში შემოსვლას ერიდებიან, რადგან საკვანძო ადგილებში ფოტოხაფანგებია დამონტაჟებული, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ისინი სახეს ნიღბებით იფარავენ. ჩვენი შესაბამისი სამსახურები ნიღბიან ადამიანებსაც აკავენ, მაგრამ ზოგი არ უშინდება და შემოდის სანადიროდ. ზოგი იარაღს წინასწარ მოფიქრებულ და გამზადებულ ადგილას მალავს და როგორც კი დროს იხელთებს, მაშინვე შეიარაღდება და ნადირობას შეუდგება. ასეთი შემთხვევა ბევრი არ არის, მაგრამ თუნდაც იმ ცალკეული შემთხვევის აღმოსაფხვრელად, ნაკრძალის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომები უნდა გამკაცრდეს.

**მემაქასუბის გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქვილი, ტკივილი. გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობების საგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან საზღაპოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხლების“, ნერვოზების, დერეისის, უძილობის, შიშების, აკვიტების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა. კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, კოლიტი, ბუასილი, ლეიქოსის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით (უფასო). ანონიმურობით. მყარი 100%-იანი შედეგით.

**მის: ნარაიონის 142, I სართული, VI კაბინაში  
ბაქ: 599 90-54-78, 234-02-38 ქაიოი**



# როგორ იხსნა პოლიციელმა სიკვდილისგან 25 წლის ბიჭი

საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორი, 29 წლის ბიორგი ბუჭია რამდენიმე წელია, პოლიციის რიგებში მსახურობს. ურთულესი დღის რეჟიმისა და დაუღალავი შრომის მიუხედავად, პროფესიული არჩევანით კმაყოფილია, მოსწონს თავისი საქმე და უხარია, როცა მისი შრომა ფასდება. ცოტა ხნის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა გიორგი ბუჭიას მამაცობისთვის ორდენი გადასცა. თბილისობის დღესასწაულზე 25 წლის ბიჭის გადასარჩენად გიორგი მტკვარში გადახტა და ახალგაზრდა სიკვდილისგან იხსნა. ამ და სხვა ამბების გახსენება პატრულ-ინსპექტორს ვთხოვე. — უხერხულია საკუთარ თავზე საუბარი. ჯობდა, იმ ადამიანს დაჰკავშირებოდი და ის განცდები გაეხსენებინა, რაც მაშინ იგრძნო, — მითხრა პოლიციელმა. მას აფუსუნენი, რომ პირველად სწორედ გადარჩენილთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ მცდელობის მიუხედავად, მასთან შეხვედრა ვერ შევძელი.

## თეა ხურცილავა

— 18 ოქტომბერი იყო, თბილისობის დღესასწაული. იმ დღეს ქალაქის სხვადასხვა ადგილას ტარდებოდა ღონისძიება და გზებზე შეზღუდვები იყო. განსაკუთრებით გადატვირთული იყო რიყის მიმდებარე ტერიტორია. ყველას მანქანით უნდოდა იქამდე მისვლა, საცობები შეიქმნა ქალაქში. სანაპიროს ცალი მხარე გადაკეტილი იყო, პოლიციელები ვაკონტროლებდით მოძრაობის წესებს. მართალია, გლდანის ტერიტორიაზე ვპატრულირებ, მაგრამ ხელმძღვანელობის დავალებით, მე და ჩემი მენეჯერ კოლეგებს ვეხმარებოდით. საღამოს 9-ის ნახევარი იყო, მეტეხის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმ-

ართზე ვმოძრაობდით. ძალიან ნელა მივდიოდით, რადგან ქუჩები გადაჭედ-ილი იყო. ამ დროს უცხო ადამიანმა მოიბრინა შემფოთებული სახით ჩვენს მანქანასთან, ყვიროდა, — ჩქარა, ახლა ჩემ თვალწინ ბიჭი მტკვარში გადახტა და იხრჩობო. მაშინვე გავიქეციტ მეტეხის ხიდისკენ. წვიმდა, გადავიხედეთ და რას ვხედავთ? — ადამიანი იხრჩობა, ამოყოფს თავს და ისევ იძირება... აშკარა იყო, ცურვა არ იცოდა. ჩემმა მენეჯერმა მაშინვე 112-ში დარეკა და სამაშველო სამსახურის მოსვლა ითხოვა, მაგრამ მივხვდი, ყოველი წამი გადამწყვეტი იყო, შეიძლებოდა, მაშველებს ვერც მოესწროთ მოსვლა. როგორც კი გავიაზრე, რომ შეიძლებოდა, ჩემ თვალწინ დამხრჩვავიყო ადამიანი, არც დაფიქრებულვარ, იარაღი მენეჯერს მივცე და მტკვარში გადავხტი. სიმაღლე გითხრათ, ცურვა ბავშვობაში მაქვს ნასწავლი და კარგად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობდი, რაც ვიციოდი, იმითაც შევძლებდი მის გადარჩენას. გადახტომის შემდეგ გავიფიქრე, — ფრთხილად უნდა ვიყო, ასეთ დროს შეიძლება ისე ჩამეჭიდოს ადამიანი, რომ დახმარების ნაცვლად, მეც დამხრჩოს ნყალში-მეთქი. საბედნიეროდ, დამემორჩილა და ნელ-ნელა შევძელი მისი გამოყვანა ნაპირისკენ. ამასობაში, ჩვენი მეორე ეკიპაჟიც მოვიდა, სხვებიც მოცვივდნენ და სამშვიდობოს გამოყვანილი ახალგაზრდა ბიჭებმა ნყლიდან ამომაყვანიეს. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ ძალაც გამომეცალა. „სასწრაფოც“ მოვიდა. ბევრი წყალი ჰქონდა ნაყლაპი, ძალიან მთვრალი იყო. „სასწრაფოს“ ბრიგადამ დახმარება აღმოუჩინა. წვიმდა საშინლად, სიცივისგან მეც ვკანკალებდი, მაგრამ რომ დავინახე, ადამიანი გონზე მოვიდა, ამოვისუნთქე. მივხვდი, ადა-



გადავიხედეთ და რას ვხედავთ? — ადამიანი იხრჩობა

მიანი სიკვდილისგან ვიხსენი. ეს საოცარი გრძნობა იყო, სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია.

— თვითმკვლელობის მცდელობა იყო? რა გიაზობთ მან?

— თავის მოკვლა სურდა. დავინტერესდი მიზეზით. მითხრა, — ოთახში დედასთან ერთად ვინქეი, მეძინა. რომ გავიღვიძე, საშინელება ვნახე: დედაჩემი მკვდარი იყო. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, ცხოვრება აღარ მინდოდა და ამიტომ გადავხტი მტკვარში. საავადმყოფოში გადაიყვანეს. როცა ვიკითხე მისი მდგომარეობა, მითხრეს, რომ გართულება არ ჰქონია, გადარჩა და სახლში გაენერაო. მას მერე არსად შევხვედრივარ. იმედი მაქვს, გაუკლავდებოდა დეპრესიულ მდგომარეობას. მაშინ ხელმძღვანელობამ მადლობა გამომიცხადა, ახლა მინისტრმა მამაცობისთვის მედალი გადამომცა და ეს ჯილდო მართლა მესიამოვნა.

— მსგავს სიტუაციაში სხვა დროსაც აღმოჩენილხართ?

— ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა ხიდის მოაჯირზე იდგა ადამიანი და მტკვარში გადახტომას ცდილობდა. მას ბევრი ველაპარაკეთ და შევძელით გადმოყვანა, მაგრამ ეს არ არის ადვილი საქმე. ასეთ დროს ესაუბრები და გეშინია, უცებ არ გადახტეს და შენ თვალწინ უბედურება არ დატრიალდეს.

— საპატრულო პოლიციის თანამშრომლები პირველები მიდიხართ ხოლმე გამოძახებაზე. რა სახის დანაშაულები ჭარბობს?

— შემთხვევის ადგილზე მისულელებს ხშირად გვხვდება აგრესიული ხალხი და სათანადოდ ვრეაგირებთ. გვინევს მათი დაკავება. 112-ში ბევრი ზარი შედის. სამწუხაროდ, ოჯახური ძალადობის ფაქტი, ვფიქრობ, ყველაზე ხშირია გლდანში.

— ასეთ დროს დამცავი ორდერის გამოწერა გინევთ?

— ძალიან ხშირად გავცემთ დამცავ ორდერს, რომელსაც მოსამართლე აკანონებს. ფაქტია, ძალადობენ ქმრები ცოლებზე, ცოლები — ქმრებზე, მშობლები — შვილებზე, შვილები — მოხუც მშობლებზე და ა.შ.

— მოძალადესთან გამკლავება რთულია. ხომ არ აღმოჩენილხართ ხიფათში და რამდენად მომზადებული მიდიხართ ასეთი შემთხვევების ადგილზე?

— მართლა რთული პროფესიაა. როცა პოლიციელად იწყებ მუშაობას, შესაბამისად მომზადებული უნდა იყო.



ხშირად ჩვენი სიცოცხლე რისკის ქვეშ დგას. ადამიანი ხარ, ყველა ნაბიჯს ვერ გათვლი, მაგრამ როცა გადმოგვცემს 112 ინფორმაციას, გვეუბნება, თუ რა მდგომარეობაა შემთხვევის ადგილზე. შესაბამისად, მომზადებული მივდივართ ხოლმე. გვეუბნებიან, ვთქვათ, — პანიკური ზარია ან შეიარაღებული პირია. თუმცა ყოფილა შემთხვევა, უთქვამთ, — კონფლიქტია, შედარებით მშვიდი ხმით დარეკესო, მაგრამ იქ მისულელებს ძალიან რთული ვითარება დაგვხვდებოდა. ერთი ასეთი ფაქტი იყო: ოჯახური კონფლიქტის გამო გამოგვიძახეს. სახლში მთვრალი ქმარი დაგვხვდა, სისტემატურად სვამდა და რალაცები ეჩვენებოდა. ცოლმა გამოგვიძახა, — მიშველეთო. პოლიციელების დანახვაზე უფრო აგრესიული გახდა. ხელში დანა ეჭირა, — არ შემოხვიდეთ, თორემ დაგხოცავთო, — გაიძახოდა. ცოლი ცალკე ჰყავდა გამომწყვდეული. შუაში იდგა და ცოლთან მიახლოების უფლებას არ გვაძლევდა. გაიძახოდა, — ცოლი ჩემია, რასაც მინდა, იმას ვუზამ, თქვენ ვინ გეკითხებათ ჩემი ოჯახის საქმეში ჩარევასო?!. ვითარება იმდენად რთული იყო, ისეთი ძნელი იყო მისი განიარაღება, სხვა ეკიპაჟიც გამოვიძახეთ. ძალიან დიდხანს ველაპარაკეთ, ვცდილობდით, მისი ყურადღება მოგვედუნებინა. ცოტა ხანში ნამიერად მოადუნა ყურადღება, ამით ისარგებლა ჩემმა მეწყვილემ, სწვდა დანიან ხელში და გააგდებინა. მერე დავადეთ ხელბორკილი და პოლიციაში გადავიყვანეთ. ეს ადამიანი ადმინისტრაციული წესით დავაკავეთ. არის შემთხვევები, როცა ქალები ძალადობენ არასრულწლოვან შვილებზე და შვილი რეკავს პოლიციაში. თუ ჩვენამდე მოვა ინფორმაცია, ვცდილობთ, ჩავერითო და მოვაგვაროთ პრობლემა. სამწუხაროდ, მსხვერპლი ხშირად არ რეკავს ოჯახური ძალადობის დროს ან უკიდურეს შემთხვევაში, თუ დარეკა, 112-ში ეუბნება ოპერატორს, პოლიციელები გააფრთხილეთ, არ თქვან, მე რომ დავრეკე, თქვან, რომ მეზობლის ზარი შემოვიდაო. ხშირად, მეზობლებიც იძახებენ, როცა ესმით ჩხუბის ხმა. ყველა საქმე ინდივიდუალურია და ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება. ყოფილა შემთხვევა, ქალს უთქვამს, — უკვე მერამდენედ იძალადე ჩემზე, მეტის მოთმენა არ შემიძლია, ამიტომ გადავწყვიტე პატრულის გამოძახება, მაგრამ გთხოვთ, არ თქვათ, რომ მე დავრეკეო... ამ ფაქტზეც მოვახდინეთ რეაგირება. მამაკაცი წაიყვანეთ

და მოსამართლემ ადმინისტრაციული წესით, 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

— **გასაგებია, რომ ასეთ დროს გამოსცემთ დამცავ ორდერს რამდენიმე თვით ან გამოგაქვთ 30-დღიანი ადმინისტრაციული სასჯელი, მაგრამ ეს ხომ არ არის პრობლემის მოგვარების გზა: ამ ვადის გასვლის შემდეგ ისევ გრძელდება ოჯახური ძალადობა. ერთსა და იმავე ოჯახში მისვლა რამდენჯერმე გინევთ?**

— ყოფილა შემთხვევა, 3-4 ჯერ გამოგვიცია დამცავი ორდერი. ვთქვათ, კონკრეტული ვადით მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან მიკარება. ეს ვადა რომ გადის, იგივე მეორდება. ერთ თვეში ისევ ბრუნდება მოძალადე ოჯახში და ისევ ძალადობს.

დავინყე მუშაობა. მაშინ ოჯახისთვის დრო ფაქტობრივად არ მრჩებოდა. მეუღლეს დახმარება სჭირდებოდა შვილის აღზრდაში, რადგან სტუდენტი იყო. მატერიალური ფაქტორიც იყო და ამიტომ გადავწყვიტე, საზღვარგარეთ წავსულიყავი, მაგრამ ხშირად, გეგმებს როგორც დაანყობ, ისე ვერ ასრულებ. ორი წელი ვიყავი საფრანგეთში, მაგრამ უკან დავბრუნდი. 2013 წელს ისევ დავბრუნდი პოლიციის რიგებს. ფაქტურაკები ახლავს ჩვენს საქმეს, მაგრამ როცა საქმე გიყვარს, ყველაფერი შესაძლებელია. მთავარია, გულითაკეთო და კისრებული მოვალეობა.

— **პროფესიით იურისტი ხართ?**

— არა, სკოლა რომ დავამთავრე, ეკონომიკურზე ჩავაბარე, ტურიზმის განხრით, და დავამთავრე კიდეც.



მინისტრმა მამაცობისთვის მედალი გადმოცა და ეს ჯილდო მართლა მესიამოვნა

ეს საკითხი ვფიქრობ, უკეთესად უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობით. როცა ქმარი ძალადობს ცოლზე, გამოსცემ დამცავ ორდერს და კაცი მიდის სახლიდან, მაგრამ სხვაგან წასასვლელი არა აქვს და ცოტა ხანში ისევ უკან, თავის სახლში ბრუნდება. არც ქალს აქვს წასასვლელი და იძულებულია, დარჩეს ქმრის სახლში, ისევ ხდება კონფლიქტები. ეს პრობლემა სერიოზულად დგას და ვფიქრობ, მოგვარების უკეთესი გზა გამოიხატება.

— **ოჯახისთვის დრო გრჩებათ? მეუღლეს თუ ეხმარებით შვილების აღზრდაში?**

— საპატრულო პოლიციაში ცვლაში გვინევს მუშაობა და ასე თუ ისე, ვახერხებთ ოჯახისთვის დრო გამოვნახოთ. კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს კი დრო თითქმის არა აქვთ. 22 წლის ვიყავი, რუსთავეში, კრიმინალურ პოლიციაში რომ

საკმაოდ პრესტიჟული და საინტერესო პროფესია მქონდა, მაგრამ ამ კუთხით არასოდეს მიმუშავია. ჩემი ძმა სულ მირჩევდა პოლიციელობას, ის წლების მანძილზე მუშაობდა ამ სამსახურში. ბოლოს მაინც პოლიციისკენ გამინია გულმა. პოლიციის აკადემიაც დავამთავრე. გავიარე კრიმინალური პოლიციის კურსებიც, შემდეგ — საპატრულო პოლიციის კურსი და ვფიქრობ, ღირსეულად ვემსახურები ჩემს საქმეს. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა შენი გადადგმული ნაბიჯისთვის მადლობას გიხდინან. ეს დიდი სტიმულია თითოეული ადამიანისთვის და ბუნებრივია, ჩემთვისაც... მყავს მეუღლე და ორი შვილი. უფროსი ვაჟია, ამ დღეებში კი გოგონას მამა ვავხდი და ძალიან ბედნიერი და გახარებული ვარ.

— **მეც გილოცავთ ქალიშვილის შექმნას და გისურვებთ წარმატებებს.**



# რატომ ვერ შეძლებს ხალხმა ზრუნვას ვერც ერთი ბიზნესმენი.

...და პოლიტიკოსი, რომელიც ქართველებს კარგ მაგალიტს აძლევს

ქალბატონი ეთერი მიიჩნევს, რომ ძირძველი თბილისელია და გული სწყდებოდა იმის გამო, რომ დედაქალაქს არა და არ ეღირსა ისეთი ძლიერი მერი, რომელიც მის საყვარელ ქალაქზე მთელი სულითა და გულით იზრუნებს. ფიქრობს: „აღამიანი თუ თბილისში არ დაიბადა, თუ აქ არ გაიზარდა, მას ვერასდროს ეყვარება დედაქალაქი ისე, როგორც ნაღდ თბილისელებს გვიყვარს. ის ვერ მიხვდება ადგილობრივების გულისწყვეტას, რადგან ამა თუ იმ რეგიონიდან ჩამოსულებს, აქ ყველაფერი ლამაზად ეჩვენებათ. ვინაიდან წყალიც არის, ბუნებრივი გაზიც და საპირფარეომოდე მისასვლელად გრძელი გზის გავლაც არ უნევთ, მიაჩნიათ, რომ თბილისში ცხოვრება უკვე თავისთავად კომფორტს ნიშნავს და აქ შიმშილიც მოსათმენია. ასეა ჩვენი საქმე: ვაის გავეყარე, უის შევეყარე“.

## ლიკა ქაჩია

ქალბატონი ეთერი 54 წლის გახლავთ. საკუთარი ფოტოს მოცემაზე უარი მითხრა, იმ მიზეზით, რომ თურმე, მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი მერიამია დასაქმებული და ემინია, — „ჩემ გამო მას შარი რომ მოსდონ, მერე ახალგაზრდები სახლიდან უცერემონიოდ მომიხვრიან და კარგსაც ვაკეთებენ: „უმუშევრობის საუკუნეში“ ვინმეს სამსახური რომ დავაკარგვინო, ხომ ვიქნები მოსაკლავი?..“

— ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს. ულევ სიხარულსა და გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ ჩემს საყვარელ ქართველებს. რა თქმა უნდა, მეკვლედ ალბათ, ვინმე ფულიანს ისურვებს ყველა, რომ ბევრი საჩუქარი მიიღოს ოჯახის თითოეულმა წევრმა, მაგრამ მე ყველაზე დიდი სიამოვნებით პატრიარქს ვუმასპინძლებდი. ღვთის მოშიში და მადლიანი ადამიანი რომ შემოაბიჯებს სახლში, მერწმუნეთ, ეს

სულ სხვა სიკეთეა. ადამიანს, რომელსაც გული ჩვილი ბავშვივით სუფთა აქვს და არანაირი ბოღმა, ღვარძლი არ ამოძრავებს, არ შეიძლება, „ცუდი ფეხი“ ჰქონდეს. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, არასდროს ვაქცევ ყურადღებას, ვინ არის მეკვლე. ჩემთვის ყველა სტუმარი ერთნაირად მისაღები და პატივსაცემია.

— პოლიტიკოსებისგან ვის სტუმრობას ისურვებდით თქვენს ოჯახში?

— ალბათ გაინტერესებთ, ვის გამოვარჩევ, არა? ქართველ პოლიტიკოსებს შორის, ყველაზე მეტად, რატომღაც, ირაკლი ალასანია მესიმპატიურება. შეიძლება, საქართველო ფეხზე ვერ წამოაყენოს, მაგრამ რაღაც საკეთილდღეოს გაკეთება რომ შეუძლია, ამაში დარწმუნებული ვარ. ბოლოს და ბოლოს, მამამისი საქართველოს ერთიანობის იდეას შეეწირა და ეს მაინც მუდამ ემასხვრება. მამის არჩეული გზიდან ბოლომდე არავის გადაუხვევია და რაღა ის უღალატებს საკუთარ მშობელს? მისი ცოლი —

ნათიაც ძალიან მომწონს (რასაც მის ნამინისტრალ დაზე ვერ ვიტყვი, სამწუხაროდ). კარგ საქმეს აკეთებს, ყველაზე უბედურადამიანებს ეხმარება და ამისთვის უფალი აუცილებლად დააჯილდოებს... სერგეენკოსაც სიამოვნებით მოვიპატიჟებდი და ვუმასპინძლებდი, ბევრ კითხვასაც დავუსვამდი და იმის გამოსწორებას ვთხოვდი, რაც გამოსასწორებელია. ხალხის თვლით დანახული რეალობა სხვა არის და მინისტრს რომ ჰგონია, ყველაფერი კარგადაა, მთლად ასეც არ არის საქმე — ეს ხომ ყველამ ვიცით. ასევე, სიამოვნებით მოვიწვევდი კალაძეს, თავის ოჯახთან ერთად. საყვარელი პატარები ჰყავს და მათი ჟრიაბული სიხარულით აავსებდა ჩემს ცხოვრებას. თან, ჩემი ქალიშვილი ერთ დროს ამ ფეხბურთელზე იყო შეყვარებული და ოჯახში მისი ნახვა ძალიან გაახარებს. დიმიტრი ლორთქიფანიძეც მომწონს, რადგან მაგალიტის აძლევს ქართველებს, რომ მრავალშვილიანობა საშიში კი არ არის, არამედ დიდი სიკეთე და მადლია.

— როგორ ფიქრობთ, კალაძე ისეთივე წარმატებული პოლიტიკოსია, როგორი წარმატებული ფეხბურთელიც იყო?

— (იციინის) ვიცი, უცხოეთში თამაშობდა, მაგრამ რამდენად კარგად, ვერ გეტყვით, ამაში კომპეტენტური არ ვარ. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს საკუთარ კარში გატანილი გოლის ამბავი და ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ უკვე პოლიტიკოსმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვას. მის ოჯახს შორიდან ვიცნობ. ბევრი რამ გადაიტანეს, მაგრამ ყველაფერს გაუძლეს. კახას აქვს იმის საშუალება, რომ კარგი საქმეები აკეთოს და მხოლოდ საკუთარი ბიზნესის გაფართოებაზე არ იფიქროს, მაგრამ წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, ხვალ შენი ახლობელი როგორ მოიქცევა.

— 2015 წელს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს როგორ შეაფასებთ?

— ასე კონკრეტულად არ მახსოვს, 2015 წელს რა გაკეთდა, მაგრამ ვიზალიბერალიზაციას რომ მივალწიეთ, ესეც ხომ დიდი წარმატებაა? სამწუხაროდ, თბილისში სასიკეთოდ ჯერ არაფერი შეცვლილა და ვერც საახალწლო განათების გამოცვლისთვის შევასხამ ხოტბას მერიას. იცოდვილეს, მაგრამ წელს ისეთი ლამაზი მაინც არ იყო თბილისი, კერძოდ — რუსთაველი, როგორიც სავარაუდოდ, თავადაც



მრავალშვილიანობა დიდი სიკეთე და მადლია



უნდოდან. გარეუბნებში ნაძვის ხეები კი დადგეს, მაგრამ საახალწლო განათებების არქონის გამო, იქაურობა მაინც დაჩაგრულად გამოიყურება... თბილისი ერთია და გარეუბანში ცხოვრობს ადამიანი თუ ქალაქის შუაგულში, ეს შესამჩნევი არ უნდა იყოს. ყველა უბნის დალაგება-გალამაზებაზე ერთნაირად უნდა ზრუნავდნენ — აი, ამ შემთხვევაში იქნება მერია წელგამართული და ხალხის წინაშე პირნათელი. ისე, ვერც იმ ათასობით დარგულ ხეს ვხედავ ირგვლივ, რომელზე ლაპარაკითაც თავს ასე იწონებენ, თორემ სხვების უმაქნისობაზე საუბარი ნამდვილად არ მხიბლავს... „ნაცები“ ბევრ რალაცებს რომ უკეთ აკეთებდნენ, ესეც უნდა შევნიშნოთ.

**— მაგალითად, რას აკეთებდნენ უკეთ?**

— უმრავლესობაში მათი ყოფნის დრო, ქალაქი უფრო მეტად გალამაზდა, სოფლებში გზა დაიგო, ბევრ „ღვთისგან მივიწყებულ“ ადგილას გაიყვანეს წყლისა და გაზის მიწები, საქართველოს სახელის საზღვარგარეთ „გაიტანეს“ — შედეგად კი ტურისტები მოიზიდეს და ა.შ. თუმცა, პარალელურად ბევრი ადამიანის ცოდო დაიდეს კისერზე და ამიტომაც გადატყდნენ წელში. ჰოდა, მას მერე, რაც „ნაციონალები“ „ქართული ოცნების“ კოალიციამ ჩაანაცვლა, გამუდმებით გვესმის ამ ორი ძალის ძიძგილობის შესახებ და ამის ფონზე რომ საქმე ფუჭდება, ეს თითქოს, დიდად არც აღარდებო. პოლიტიკატმცოდნეობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ ერთს გეტყვით: არ მომწონს ადამიანები, ერთმანეთს რომ აბრალებენ ყოველ დაშვებულ შეცდომას. ვიდრე მიტევებას ვერ შევძლებთ და თავად არ დავინყებთ რალაცების გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მანამდე არაფერი გვეშველება. რასაც სხვას ვუნუნებთ, იმის გამოსწორებაზე თავად თუ არ ვიზრუნებთ, უკეთესობისკენ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ და ეს ყველამ უნდა გაითავისოს. მიზანსაკმალო საქართველოს ისტორიაში ყოველთვის აქტუალური იქნება. საოცარი ადამიანია. მისი ესა თუ ის ნაბიჯი კი არ მალიზიანებს, არამედ ღიმღის მგვრის. ხომ გაიგეთ, კიდევ ერთი საყვარელი ქალი შვილს რომ უჩენს? მასზე ასეთ ამბებს რომ ვიგებ, ისტერიკა მემართება, კარგად ვხალისობ. საინტერესოა, ამ ამბის გაგების შემდეგ, მისი ცოლი, სანდრა რას ამბობს ან მისი საყვარელი ქალების არმია რა ჭკუაზეა?... სახელი — მიზა უკვე კარგ განწყობაზე მაც-

ენებს... ალბათ, „თავი გამოიჩინა“ ეკა ბესელიამაც, რადგან ყველა შოუში, ყველა არხზე ეგ ქალია. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მესიმპათიურება. წლის მოულოდნელობა კი ირაკლი ლარიბაშვილია, რომელმაც პოსტი დატოვა.

**— თქვენი აზრით, ასე რატომ მოიქცა?**

— ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ „ხელის ბიჭობა“ სახარბიელო არ არის ან კიდევ, უბრალოდ დაატოვებინეს თანამდებობა, რადგან ფხა ვერ გამოიჩინა. აბა, რა გითხრათ? მაგრამ ის კი ვიცი, რომ პრემიერობის მერე ბევრი რამ თავში აუფარდა და თუ ვინმე არ დაემორჩილებოდა, იბოღმებოდა. მისთვის სიმამრის სიტყვასაც დიდი ფასი აქვს და ამ კაცის გამოისობით ბევრი ადამიანი რომ დაინიშნა სხვადასხვა თანამდებობაზე, ესეც ხომ ცნობილი ფაქტია? ჰოდა, ვიდრე ამ ყველაფერს ყელში ამოადენდნენ, მანამდე უშველა თავს. ისედაც, არჩევნებამდე ნახევარი წელია დარჩენილი და მისი ასეთი ნაბიჯი „ოცნებისთვისაც“ მომგებიანი რომ არის, ამას რად უნდა ლაპარაკი? ღარიბაშვილს საქართველოში მომხრეები ვერ ეყოლება!

**— 2012-13 წლებში სასურველ მეკვლედ ბევრი ბიძინა ივანიშვილს ასახელებდა. თქვენ არ ისურვებდით მის სტუმრობას?**

— კი, ბატონო, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმედები გამიცრუა და მისი მხარდამჭერი აღარ ვარ. თუმცა, ამ კაცს კიდევ შეუძლია ჩვენი ქვეყნის იმ წუმპედან ამოყვანა, სადაც დღემდე ვართ თავით-ფეხებამდე ჩაფლული და ქართველების გულის მოგების დიდი მანსიც აქვს. ვერ ვხვდები, მიზნის მისაღწევად მაქსიმუმს რატომ არ აკეთებს? იქნებ დაიღალა ჩვენი წუნუნითა და უმადურობით?

**— უმადურობაში რას გულისხმობთ?**

— ადამიანს რამდენიც უნდა მისცე, მაინც არ არის კმაყოფილი, უფრო მეტს დამეტს ითხოვს. ბიძინაც ხომ გასცემდა ფულს ქველმოქმედებისთვის და მერე, როცა ხელი მოუჭირა, მონინალმდეგეებიც გაუჩნდნენ. დაფიქრდა ალბათ, — სიკეთის კეთება არ კმარა ხალხის გულის მოსაგებად, ბოლოს მაინც გავილანძღებო და ახლა კულისებს მიღმა აკეთებს თავის საქმეს... ისე, რომელ ბიზნესმენს მოუკლავს თავი მხოლოდ ხალხზე ფიქრით, ბიძინამ რომ შემოგვნიროს მთელი თავისი სიკეთე? ბიზნესმენის ტვინი, სავარაუდოდ, მხოლოდ მოგებას ითვისებს, ვერც ნაგებას



პატრიარქის მეკვლეობას ვისურვებდი

ეგუება და ვერც ქონების სხვისთვის მიცემას. ხომ იცით, შერეულის გადარჩევა იოლი არ არის და შესაბამისად, იმ საქმეებიდან, რომელსაც ხელს მოჰკიდებს, ბიძინამ მოგება რომ ვერ ნახოს, შეიძლება გადაიროს. ხალხის დასახნად რალაცას გასცემს, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაფერი გათვლილი აქვს და ზუსტად იცის, მის ამა თუ იმ ნაბიჯს რა შედეგი მოჰყვება. ასე რომ, ნაგებაზე არ იმუშავებს.

**— დაბოლოს, რას უსურვებთ ქართველ ხალხს და საკუთარ თავსაც?**

— მინდა, მშვიდობა გვეკონდეს. 2016 წელს მოეტანოს ბევრი სამუშაო ადგილი და ადამიანებს ჩვენს სამშობლოში, ადამიანურად გვეცხოვროს! წარმატებები თქვენი ჟურნალის რედაქციას!



სიამოვნებით მოვიწვევდი კალაძეს, თავის ოჯახთან ერთად

P.S. შემოგვიერთდით და გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები. ჩვენთვის თითოეული თქვენგანის სიტყვა მნიშვნელოვანია. დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81




სახე

მანანა ბაბრიჯიძე

— კარგი თამადის გარეშე სუფრა ისევე არ ვარგა, როგორც სახელმწიფო — მეთაურის გარეშე... ისე, ამ ხნის ხალხს არ უნდა გველაპარაკებოდეთ თამადებსა და სუფრებზე: ჩვენ ისედაც კარგად ვიცით მაგის ფასი! ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ, მაგრამ კარგი მასწავლებელი არ ჩანს!

— თქვენ რომ ასწავლოთ?


— ჩემით ნუ გადანწყვეტთ ამხელა ისტორიის მქონე ქართული სუფრის ტრადიციების სწავლებას... ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ქართული სუფრის მსგავსი არსად მინახავს, შვილო. ჩვენ ვაფასებთ ყველაფერს და იმიტომ! სხვა ქვეყანაში არ აინტერესებთ, იმიტომ, რომ თამადობა ძალიან რთულიცაა... კარგად საუბარი უნდა შეგეძლოს, განათლებული უნდა იყო, უკიდევანო სიყვარულის უნარიც უნდა გქონდეს, რომ მოეფერო ადამიანებს. მოფერება ყველას უყვარს. თუმცა, თუ გულწრფელი არ ხარ, წამებში გამოჩნდება. ქართულ სუფრაზე გულწრფელ სიყვარულს ვართ მიჩვეულები და იმიტომ. ხანდახან ხდება, რომ ადამიანი კარგ ხასიათზე ვერ არის, თავის ოჯახში საქმე კარგად ვერ მისდის და თამადობა მისთვის ბევრად უფრო



ქართულ სუფრაზე გულწრფელ სიყვარულს ვართ მიჩვეულები

# გუჯა ბურდულის სამი „მთავარი“ სადღეგრძელო და სუფრაზე შერცხვენის „საფირმო“ ხერხი

„ყველაზე მოსაფერებელი სუფრაზე გვყავს — უფალი, პატრიარქი და ქართველი ქალი!.. სახელმწიფოს კარგი მეთაური გვაკლია. იმასაც რომ გვადღეგრძელებინებდეს უფალი, მაშინ იქნებოდა საქართველო სრულყოფილი! სამწუხაროდ, არა და არ გვეღირსა, კარგი მეთაურის სადღეგრძელოს ვსვამდეთ!..“ ცნობილი მსახიობი — გუჯა ბურდული ქართული სუფრის ტრადიციებზე გვესაუბრება.



უფლის სიყვარულზე დიდი ჩვენ არაფერი გვქონია

რთული ხდება... თამადა კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს და ესმოდეს ხალხის. სახეზე ეტყობა ყველა კაცს და ქალს, რა განწყობაზეა, და ყველას უნდა გაუფრთხილდეს!

— რომელი თამადები იყვნენ თქვენთვის განსაკუთრებულად კარგები?

— საქართველოს ჰყავდა ისტორიული თამადები: გოგლა ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, ოთარ სხირტლაძე... ადამიანების განწყობის მიხედვით მიჰყავდათ სუფრა. ერთს გადახედავდნენ სუფრას და ხვდებოდნენ, მხიარულად უნდა წაეყვანათ თუ — სრული სერიოზულობით...

— თქვენ როგორ მიგყავთ სუფრა?

— პირველად უფლის სადღეგრძელოს ვამბობ. უფლის სიყვარულზე დიდი ჩვენ არაფერი გვქონია. ამ სიყვარულს მოჰყვება ყველა ის სიკეთე და ბედნიერება, რასაც ადამიანი ფიქრობს თავის თავზეც და სხვაზეც... შემდეგ პატრიარქის სადღეგრძელოს ვამბობ. მის გარეშე რა იქნებოდა დღეს საქართველო?! შემდეგ ყველაზე გამორჩეულებს ამოვირჩევ და ვეფერები. მათ სიცოცხლე უნდა გაუზუნდებოდეთ.

სუფრის არც ერთი წევრი არ უნდა დატოვო სადღეგრძელოს გარეშე!.. ქალის სადღეგრძელოს განსაკუთრებულად ვამბობ — დედა ხომ ყველაზე დიდი რამეა!

— ყველა ქალი დედა ვერ ხდება...

— ამას არა აქვს მნიშვნელობა!

ყველა ქალი მაინც დედაა. დედა მარტო იმ ქალს არ ჰქვია, რომელსაც შვილი ჰყავს! „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი შვილის მშობელი“ — ხომ გაგიგონიათ? მე უამრავი ქალი შემხვედრია ასეთი... ამას წინათ ტელევიზიითაც ვნახე, მაღალმთიან სოფელში ბავშვებს როგორ ასწავლიდა და ზრდიდა უსასყიდლოდ ერთი ქალბატონი. ეს უზარმაზარი შრომაა! რასაც ქალი აკეთებს ოჯახისა და ერისთვის, ეს ფასდაუდებელია! ძველ დროში ქართველი ქალები ქმრებს ომში გზავნიდნენ, მთელი ოჯახის ტვირთს საკუთარ მხრებზე იღებდნენ და ქმრებს უზრუნველდნენ, გამარჯვებული დაგვიბრუნდით, სამშობლოსთვის იომეთო... ხომ ხედავთ, ქართველი ქალები ახლაც რა ყოჩაღები არიან: მათ გადაარჩინეს მამაკაცებიც და ოჯახებიც!.. ამი-



# სალომე ღვინიაშვილის ახალი ამბოჯო და ქალის იმიჯის მისეული ვერსია

„ქალი მუღამ უნდა ბრწყინავდეს“ ...

პროფესიის არჩევაზე ბევრი არ უფიქრია. დამამთავრებელ კლასში სწავლისას იცოდა, რომ სამხატვრო აკადემიაში უნდა ჩაებარებინა. ბაბუა მოქანდაკე ჰყავდა, მამა — მხატვარი. თავად, პატარაობიდანვე გაპრანჭვა და ლამაზი ტანსაცმელი მოსწონდა. წარმატებული სამოდელო კარიერა დაასრულა და დღეს ბრენდ „სალომე ღვინიაშვილის“ დამფუძნებელია. საერთოდ, თვითკრიტიკული ადამიანია და ფიქრობს, რომ ეს კარგი თვისებაა.

## ნაწული ზოტიკიშვილი

— როგორ შეხვდით ახალ წელს?

— ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, უკვე საახალწლო განწყობა გვაქვს — მზადება და ფუსფუსია სამზარეულოში. 31 დეკემბრის საღამოს, 12 საათზე განწყობილ სუფრას მთელი ოჯახი მივუსხდებით. ასეა ტრადიციულად. ბავშვობაშიც ახალ წელს ყველანი ერთად ვხვდებოდით.

— დიზაინერისთვის მოდელირება კარგი გამოცდილება?

— დიდი პრაქტიკა გავიარე მოდელად მუშაობის დროს. ჯერ მარტო რამდენ ჩვენებაში გამოვსულვარ!..

ისეთ მოდის სახლებში, როგორებიცაა „დიორი“ და „ბალმენი“, ჩემს ტანზე ბევრი ტანსაცმელი შეკერილა. პარიზში მოდელად შოურუმებში და ე.წ. მოზომვებში (გიხდიან, რადგან შენს ტანზე კერავენ) ვმონაწილეობდი. უამრავ ცნობილ დიზაინერთან მიმუშავია, მათ შორის, ერთ-ერთი — ჟივანში იყო. როცა კოლექცია ჩემს ტანზე იკერებოდა, იმდენ ნიუანსს ვხედავდი და ვიმახსოვრებდი, სხვა ალბათ ყურადღებასაც არ მიაქცევდა. მახსოვს პირველი გრანდიოზული ემოციები, როცა უზარმაზარ სამკერვალოში მოვხვდი! მერე დიზაინერისთვის შთამბეჭდავი პრაქტიკაც მივიღე.

ტომაც ყველაზე მოსაფერებელი სუფრაზე გვყვანან: უფალი, პატრიარქი და ქართველი ქალი!.. სახელმწიფოს კარგი მეთაური გვაკლია. იმასაც რომ გვადღეგრძელებინებდეს უფალი, მაშინ იქნებოდა საქართველო სრულყოფილი. სამწუხაროდ, არა და არ გვეღირსა, კარგი მეთაურის სადღეგრძელოს ვსვამდეთ!

— დავით აღმაშენებლის კინოროლი შეასრულეთ და ქვეყნის ისეთ მეთაურს ნატრობთ?

— დავით აღმაშენებელი იყო ქვეყნის წინამძღვარი და ყოველგვარი სიკეთე ჩვენს დალოცვილ საქართველოში! თუმცა, ცოტა მაგარი ხელის პატრონი იყო. არავის არაფერს აპატიებდა... დღეს ნამდვილად სჭირდება საქართველოს ასეთი წინამძღვარი! თუმცა, აწი ჩვენი გამოზრდა შეუძლებელია, უკვე თავისუფლებას ვართ მიჩვეულები!.. მე მაინც ოპტიმისტად ვრჩები და ვფიქრობ, რომ შეუძლებელია, საქართველოს ცუდი მომავალი ჰქონდეს! დღესაც ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი გვყავს და ქვეყანას ფეხზე დააყენებენ!

— ისევ ქართულ სუფრას დაფუბრუნდეთ: კრიტიკაც ბევრი ისმის ბოლო დროს...

— გადამეტებული არაფერი ვარგა! სუფრაზე რომ ერთმანეთზე სამი თეფში დევს და ზევიდან კიდევ ამატებენ, ეს არ ვარგა, კაცო, და ოჯახის ბრალია! არავითარ შემთხვევაში ეს არ შეიძლება! ზომიერებას არაფერი სჯობია, თუნდაც სიყვარულში... როცა ვატყობ, რომ სუფრაზე დაძაბულობა იმატებს და შეიძლება, ჩხუბი მოხდეს, „შერცხვენის ხერხს“ მივმართავ: რას შვრები, ბიჭო? არ შეირცხვინო თავი, არ მომჭრა თავი-მეთქი!.. არავის უნდა, ცუდ კაცად გამოჩნდეს, თავი შეირცხვინოს, და ეს მეთოდი ჭრის... ძველად ოჯახის სირცხვილი იყო, მისი სახლიდან თუ ძალიან მთვრალი კაცი გამოვიდოდა. ოჯახს დაძრახავდნენ: ასეთი მთვრალი კაცი გარეთ გამოუშვესო?! ოჯახში უნდა მოესვენებინათ, თუ ეგრე დაათრობდნენ. ახლა საგანგებოდ ქერაობენ ხოლმე ისეთ თამადას, რომელიც ყველას გონების დაკარგვამდე დაათრობს. ეგ კაიკაცობად ითვლება და კაიკაცობა როგორ არის, კაცო?! ისეთი მთვრალი გარეთ რომ გამოვა, კარგ დღეს დააყრის ან თავისიანს, ან „სხვისიანს“?! არასოდეს მომბეზრდება იმის გამეორება, რომ ზომიერებას არაფერი ჯობს!



მომწონს და მიყვარს კამერასთან ან ვიდეოკამერასთან მუშაობა



ბურთის ფორმის პატარა მაცივარი და სკამი გვქონდა

— **სამოდელი ასპარეზზე პირველი გამოსვლის დროს რამდენი წლის იყავით?**

— 15-ის. მაკა ასათიანის გრანდიოზულ ჩვენებაზე ფრანგ მოდელეთან ერთად გამოვედი. ის პერიოდი განსაკუთრებული იყო იმ მხრივ, რომ მაკა დიდი და ლამაზი ჩვენებებს აწყობდა. ჩემი გამოჩენა ხალხმა შეამჩნია და პატარა გოგოსთვის ეს ძალიან სასიამოვნო ეტაპი იყო. მახსოვს ჩემი პირველი ინტერვიუც, ყველაფერი მახარებდა.

— **თქვით, პოდიუმზე აღარ გამოვალო, მაგრამ რომ გთხოვონ, არ დათანხმდებით?**

— ჟურნალებისთვის, სარეკლამო რგოლებში ახლაც ვმონაწილეობ. მომწონს და მიყვარს კამერასთან ან ვიდეოკამერასთან მუშაობა, მაგრამ ჩვენებისთვის, ვფიქრობ, რომ დრო და ასაკიც არ მაქვს შესაფერისი.

— **მოდელს შეუძლია ტანსაცმლის დიზაინში ცვლილების შეტანა?**

— გამორიცხულია. ის არის მანეკენი, რომელსაც ევალება, ჩაიცვას ის, რასაც სთავაზობენ. მას არა აქვს უფლება, თქვას, — ეს არ მიხდება და სხვა რამეს ჩავიცვამო. ეს უბრალოდ, დაუნერვლი კანონია. ადრე ჩვენებებზე რატომღაც, მოდელების მშობლები, ბებიები, ნათესავები დადიოდნენ. არადა, ეს სამსახურია, ბიზნესია. იქ უნდა მივიდეს მყიდველი, მაღაზიის წარმომადგენელი, ჟურნალისტი — სამუშაო პროცესი უნდა სუფევდეს.

— **ვისი აზრია მნიშვნელოვანი თქვენთვის, საქმის შეფასებისას?**

— კარგი სიტყვების მოსმენა ყველასგან სასიამოვნოა, მაგრამ მთავარია ჩემი ოჯახის აზრი, ჩემი მეუღლის კომპლიმენტი. ისე, ყველას ვერ მოეწონება ჩემი ნამუშევარი და, სიმართლე გითხრათ, არც მინდა, ყველას მოეწონდე. ეს ნორმალურია.

— **გამორჩეულ და განსაკუთრებულ**

**ბულ დღეებში ვისი შეკერილი ტანსაცმლით იმოსებით?**

— სანამ საკუთარი ატელიე მექნებოდა, ჩემს კოლეგებთან მივედიოდი. თითქმის ყველასთან — ავთანდილი იქნებოდა, თამუნა ინგოროყვა, ანუკი არეშიძე, დათუნა სულიკაშვილი თუ სხვა, — შემიკერია ან მიყივია ტანსაცმელი.

— **ქსოვილების შერჩევა ალბათ რთულია...**

— რთულია, მაგრამ სასიამოვნო. სტამბოლში „პრემიერ-ვიზიონის“ გამოფენაზე ვიყავი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ქარხნებიდან ჩამოტანილი ქსოვილების ნიმუშების შერჩევა ხდებდა.

— **უდროო დროს არ მოგნდომებოდათ რამე ჩანახატის გაკეთება?**

— ხშირად, როცა ღამით ვწევარ, რაღაც იდეა მომდის; ტელეფონში ვწერ, რომ არ დამავიწყდეს.

— **რა გეგმები გაქვთ ახლო მომავლისთვის?**

— კოლექციაზე ვმუშაობ, რომელსაც გაზაფხულის ფემინ-ვიკზე გამოვიტან და შემდეგ, პარიზის შოურუმზე მინდა წავიღო.

— **განტვირთვის დროს რას აკეთებთ?**

— თხილამურებზე სრიალი, მოგზაურობა მიყვარს. საყვარელი ქალაქებიდან გამოვარჩევ: ლონდონს, პარიზს, ბერლინს. ჩემთვის ყველაზე კარგი განტვირთვა — ცეკვაა. ბერლინში მეგობრებთან ერთად დავდივარ და იქ ბევრს ვცეკვავ ხოლმე.

— **საფეხბურთო ატრიბუტიკის ამსახველი ბევრი ნივთი გაქვთ?**

— ბურთის ფორმის პატარა მაცივარი და სკამი გვქონდა. რაღაცებს მეგობრებიც გვჩუქნიდნენ ხოლმე. ამ ტიპის საყურეც მიყივია.

— **ბოლოს, 2016 წლის ფერებისა და მოდის ტენდენციების შესახებ გვითხარით.**

— 2016 არის ძალიან ბრჭყვიალა და შესაბამისად, ნაირგვარი ფერების წელი. საერთოდ, ლამაზია, როცა რაღაც ბრწყინავს. ვფიქრობ, რომ ქალი მუდამ უნდა ბრწყინავდეს! არ ვგულისხმობ იმას, რომ მაინც-დამაინც ოქროსფერ და ბრჭყვიალა კაბაში უნდა გამოეწყოს; ამის მიღწევა პატარა დეტალითაც შეიძლება. ამასთან ერთად, გაზაფხულზე მოდაში იქნება პასტელური ფერები; შავი — ელევანტურ და კლასიკურ ფრად რჩება. დღეს მოდის სფეროში ჩარჩობები აღარ არსებობს, ამიტომ ვისაც რა უხდება, ის უნდა ჩაიცვას.



მთავარია ჩემი ოჯახის აზრი, ჩემი მეუღლის კომპლიმენტი





# „მაპატიეთ, ქალებო!..“

მსახიობს, ტელენამყვანს და უკვე „სამგზის ბიძას“ — გიორგი გაგლოვეს სქესთან დაკავშირებულ დასამსხვრევ თუ დამსხვრეულ სტერეოტიპებზე ვესაუბრეთ. ინტერვიუ გიორგის ძმისშვილის დაბადებასთან დაკავშირებულ აღნიშვნა-მოლხენამდე ჩავენერეთ...

## ეთო ყორღანაშვილი

— არაჩვეულებრივად ვარ! 31 დეკემბრის ღამიდან მოყოლებული, მუშაობა, გართობა და ქეიფი 4 იანვრამდე გამიგრძელდა. შემდეგ ძმისშვილი, გოგონა შემეძინა — ბიძა მესამედ გავხდი და, რა თქმა უნდა, ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ!..

— მშვენიერი ამბავია, გილოცავ!.. რადგან ქეიფი ახსენე, მითხარი — როცა ქალი მამაკაცზე მეტი ალკოჰოლურ სასმელს იღებს, მასზე როგორი წარმოდგენა გექმნება?

— თუკი ქალს სასმლის ატანა შეუძლია, სუფრაზე ნივთივით არ გდია, მშვენივრად ერთობა და დროს ატარებს, რა პრობლემაა?! მდებარეობითი სქესის რამდენიმე ისეთი მეგობარი მყავს, რომელიც იმდენს სვამს, ბევრი კაცი შემირცხვენია! თან, არც ფეხი ერევათ, არც — ენა, შეგნება და გაგება. მშვენივრად ერთობიან. შესაბამისად, ასეთი ქალების მიმართ ცუდი დამოკიდებულება არ მაქვს. როცა ადამიანს (მის სქესსა და ასაკს მნიშვნელობა არ აქვს) ალკოჰოლის ატანა არ შეუძლია და მაინც ბევრს სვამს, დადებითი დამოკიდებულება ვერ მექნება. მთავარი დალევა კი არაა, შერგება და მოლხენაა.

— „გენდერული თანასწორობის“ მნიშვნელობა როგორ გესმის?

— ამ საკითხის მიმართ აბსოლუტურად კარგად ვარ განწყობილი. ოჯახში გენდერული ბალანსი დაცული უნდა იყოს.

— საოჯახო საქმეები როგორ უნდა განაწილდეს ისე, რომ გენდერული ბალანსი არ დაირღვეს?

— რადგან 21-ე საუკუნეა და ადამიანების უმეტესობა დაკავებული ვართ, რამდენიმე სამსახური, „გადარბენა-გადმორბენები“ გვაქვს, არსებობს კარგი გამოსავალი — დამხმარე ქალი, რომელიც საშინაო პრობლემებს „ხუთიანზე“ მოაგვარებს. აი, ამ დროს იქნება გენდერული თანასწორობა ცოლსა და ქმარს შორის... თუმცა, მაგალითად, თუკი რომელიმე კერძის მომ-



თუ საჭირო გახდა, ბარსაც ავიღებ და დავბარავ კიდეც

ზადება ოჯახის რომელიმე წევრს კარგად გამოსდის, მოამზადოს, რა პრობლემაა? პირადად მე, არც ერთი კერძის მომზადება არ შემიძლია. შესაბამისად, ამ საკითხში ინიციატივას ვერ გამოვიჩინე, როცა საკუთარი ოჯახი მექნება. ახლა დიდ ოჯახში ვცხოვრობ და იმდენი ვართ, რომ ჩემი გასაკეთებელი არაფერი რჩება. რალა დაგიმალოთ და, არც ხელოსნობა გამომდის, რომ ლურსმანი მივაჭედო. მოკლედ, ასეთ საკითხებში მოვიკოჭლებ, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ბარსაც ავიღებ და დავბარავ კიდეც!..

— და დამხმარე ქალს ხელფასი ვინ უნდა გადაუხადოს?

— თუ ისე მოხდა, რომ გამოუვალი სიტუაციაა და ქმარს იმ დროს გადახდა არ შეუძლია, ცოლმა გადაიხადოს. უპირველეს ყოვლისა, ცოლ-ქმარი ძალიან კარგი მეგობრები არიან, ერთი ოჯახი აქვთ...

— თუ გამოუვალი სიტუაციააო, აღნიშნე... ანუ მამაკაცს მაინც მეტი შემოსავალი უნდა ჰქონდეს?

— დოგმატურად ვერ განვსაზღვრავთ, რომ მამაკაცს მეტი შემოსავალი ჰქონდეს. 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ: იცვლება დრო, დროსთან ერთად — ადამიანები, ამიტომ ცხოვრების წესიც იცვლება. მერე რა, თუ ცოლს უფრო მაღალი ხელფასი აქვს? პირიქით, ძალიან კარგია — ე.ი. ცოლის შრომა უფრო ძვირად ღირებულია და მეტი შემოსავალი აქვს.

— გარეგნული მახასიათებლების გარდა, ქალები და მამაკაცები ერთმანეთისგან რითი განსხვავდებიან?

— ჩემი სუბიექტური აზრით, მამაკაცი შინაგანად, ალბათ ქალზე უფრო ძლიერია. ცხადია, ეს ყველაზე არ ვრცელდება. იმედია, ცუდად არავინ გამოგებს (ქმრებზე ძლიერ ქალებსაც ვიცნობ, რომლებ-



საც ოჯახი „უჭირავთ“)... კიდევ ბევრი ნიუანსია, რაც ქალსა და მამაკაცს მეტ-ნაკლებად ერთმანეთისგან განასხვავებს.

— **ძმისშვილების აღზრდაში მონაწილეობ?**

— ვერ ვიტყვი, „გადამკვდარი“ ვარ-მეთქი, მაგრამ მათ გასეირნებაში, გართობაში, ბაღში მიყვანაში ვმონაწილეობ ხოლმე. ჯერ პატარები არიან და ვერც ხვდებიან, მათთვის ვინ ვარ. უბრალოდ, „გიოს“ მეძახიან. ვმეგობრობთ, ვძმაკაცობთ...

— **შენი აზრით, გოგონასა და ბიჭის აღზრდისას რა მნიშვნელოვანი დეტალებია გასათვალისწინებელი?**

— რა თქმა უნდა, არის დელიკატური საკითხები, რომლებზეც მამა გოგოს ისე ვერ დაელაპარაკება, როგორც — ბიჭს. ჩემი მესამე ძმისშვილი ქვეყანას სულ ახლახან მოეველინა და გოგოს ბიძობა ჯერ-ჯერობით ვერ გავითავისე. ცოტა რომ წამოიზრდება, უფრო ჩამოვყალიბდები და ამ შეკითხვასაც უკეთესად ვუპასუხებ.

— **დამისახელე სქესთან დაკავშირებით?**



„ნასკი“ გარეცხე, ქალო!“ — და მსგავსი რაღაცები არ მომწონს, ვერ ვიტან

**შირეზული სტერეოტიპი, რომელიც გალიზიანებს...**

— „ქალია და „კუხნაში“ უნდა იყოს“, „კაცია და ყველაფერი მან უნდა გააკეთოს“ (შეუძლია თუ არა)... რადიკალური შეხედულებები არ მიყვარს, მით უმეტეს — ოჯახში. „ნასკი“ გარეცხე, ქალო!“ — და მსგავსი რაღაცები არ მომწონს, ვერ ვიტან!..

— **შენი აზრით, ეს სტერეოტიპები ისევ აქტუალურია?**

ყველა ქალი ქარაფშუტა არ არის. ამ დასამსხვრევ სტერეოტიპს „ქალიშვილობის ინსტიტუტსაც“ მივამატებ

— თითქოს აქტუალური აღარ არის, 21-ე საუკუნეში ვართ და თანამედროვე ცხოვრებას ვენევიტ, არადა, არსებობს ოჯახები, სადაც „ქალი ვიცი, კუხნაში“ დღესაც აქტუალურია.

— **ეთანხმები მოსაზრებას, რომ მამაკაცებს უკეთესი მეგობრობა შეუძლიათ, ვიდრე — ქალებს?**

— გადაჭრით ვერ გეტყვით, რომ მამაკაცების ძმაკაცობა უფრო მყარია, ვიდრე ქალების დაქალობა. ქალებში მეგობრები მინახავს, რომლებიც ერთმანეთს შეაბერდნენ, 50-60 წელი დაქალები იყვნენ. ალბათ, ნებისმიერი სქესის შემთხვევაში, მეგობრობა ძლიერია.

— **სქესთან დაკავშირებულ რომელ სტერეოტიპზე გეცინება?**

— „ქალიშვილი უნდა ჩაჰბარდეს“... არა, ამაზე უკვე აღარ მეცინება... გამოდის, რომ მამაკაცები ცოლად „ქალიშვილობას ვთხოულობთ“ და არა — გოგონას?! ქალიშვილობა გვიყვარს და არა — ქალი?! ეს სტერეოტიპი მაგიჟებს!

— **სხეულზე ბევრი ტატუ შენთვის, ქალის რეპუტაციაზე რამეს მიაწინებს?**

— არა, ეს მისი გადამწყვეტილებაა, ჩემში არავითარ გალიზიანებას არ ინვეს. პირადად მე, ტატუებით სხეულის ზედმეტად გადატვირთვა არ მომწონს.

— **„მძიმე“ მაკიაჟიან ქალებზე რას ფიქრობ?**

— საერთოდ, მიყვარს, როცა ქალიც და კაციც თავს უფლიან. მთავარია, ფუფალა არ იყოს, თორემ მომწონს, როცა ქალს მაკიაჟი აქვს. შეიძლება, მკვეთრი წითელი პომადა

ან მუქი შავი ფანქარი ესვას, მაგრამ სამოსთან ისე გემოვნებიანად იყოს შეხამებული, რომ ძალიან მაგრად გამოიყურებოდეს.

— **მოგწონს, როდესაც რომანტიკული ურთიერთობის ინიციატორი ქალია?**

— გითხრა სიმართლე? მომწონს, მაგრამ შემდეგ ინტერესი მიქრება. რაც უფრო რთულად მისაღწევია, უფრო მაგარია. ინიციატივა დოზირებული უნდა იყოს. აბა, თუ საერ-

თოდ არ გამოჩნდა და ინიციატივა არ გამოიჩინა, ეს დეგენერატიზმია! მომწონს, როცა ურთიერთობის ინიციატორი ქალია. მთავარია, ეს ინიციატივა გადაჭარბებული არ იყოს.

— **მძლოლი ქალების მიმართ როგორი დამოკიდებულება გაქვს?**

— საშინელი! ავტომობილს ყველაზე ცუდად ატარებენ! ამას რომ ვამბობ, ქალებს არანაირ დისკრიმინაციას არ ვუწუნებ. მაპატიეთ, გამოცდილო მძლოლი ქალები, მე ახალბედა მძლოლი ქალებზე ვსაუბრობ... წარმოიდგინე, 1 საათი ფიქრობენ, ე.წ. „მიგალკა“ ჩართონ თუ — არა; 2 საათი ფიქრობენ, შეუხვიონ თუ — არა... ამის გამო, ბევრ საავარიო სიტუაციას შევსწრებივარ. რამდენჯერმე ძლივს გადავრჩი კიდევ — ლამის „დამარტყა“ ქალმა... დაბნეულები არიან, ზედმეტად ბევრს ფიქრობენ და ზედმეტად ნელა მანევრირებენ, რაც გზებზე სახიფათო სიტუაციებს ქმნის.

— **დამისახელე თვისება, რომელიც მეტ-ნაკლებად, ყველა ქალს ახასიათებს.**

— ცხოვრებას იოლად უყურებენ, ყველაფერს იოლად ითხოვენ. თითქოს მათთვის ყველაფერი იოლად მისაღწევია... მგონი, ცხოვრებას მამაკაცებზე უფრო მარტივად უყურებენ.

— **მოდი, სქესთან დაკავშირებული ერთი სტერეოტიპი დამისახელე, რომელსაც დაამსხვრევდი.**

— „ქალები ცოტა ქარაფშუტები არიან“... ყველა ქალი ქარაფშუტა არ არის. ამ დასამსხვრევ სტერეოტიპს „ქალიშვილობის ინსტიტუტსაც“ მივამატებ.



# „როცა ძალიან გამიჭირდება, ამ მონასტერში დიდი ხნით წავალ“

„მიყვარს, როდესაც ახალ წელს შინ ვხვდები. ოჯახური სიმყუდროვე, იდილია, სითბო კარგ განწყობას მიქმნის. ყოველ ახალ წელს იმედითა და საუკეთესო ამბების მოლოდინით ვეგებები“, — ამბობს მომღერალი მარიკო ლეჟავა. რა არის მისთვის სიყვარული, რის გამო იღებს საყვედურებს და როგორ იქცევა, როდესაც დაძაბული პერიოდი აქვს? ამ ყველაფერს მის მიერ დასრულებული წინადადებებიდან შეიტყობთ.

## თამუნა კვინიკაძე

— დაბადების თარიღი.  
 — ...1995 წლის 7 ივლისი.  
 — ბავშვობაში მინდოდა გამოვსულიყავი...  
 — ...მომღერალი. სიმღერა ღრმა ბავშვობიდანვე მომწონდა და მიყვარდა. მიზნად არ მქონდა დასახული, მაგრამ სცენაზე დგომა ყოველთვის ჩემი სურვილი იყო.  
 — ჩემზე ამბობენ...  
 — ...რომ ვარ „სტერვა“, მაგრამ ამას ის ამბობს, ვინც არ მიცნობს. გამიცნობენ და მერე მეუბნებიან, სხვანაირი ხასიათი გქონია, ვიდრე წარმოგვედგინაო. არ ვიცი, უცნობებზე ასეთ შთაბეჭდილებას რატომ ვტოვებ. ადამიანთან გაცნობისთანავე ზედმეტად გაშინაურება არ მიყვარს, შესაძლოა, ამის ბრალია. ოჯახში ამბობენ, რომ ზედმეტად მიმნდობი და გულუბრყვილო ვარ. ამის გამო გულს ხშირად მტკენენ. ოჯახის წევრები და მეგობრები იმასაც მეუბნებიან, რომ ჭკუას საკუთარ შეცდომებზე ვერ ვსწავლობ.  
 — ბედნიერი ვარ, რომ...  
 — ...ასეთ კარგ ოჯახში დავიბადე. არაჩვეულებრივი მშობლები და გარშემო ბევრი კარგი ადამიანი მყავს. ზუსტად ვიცი, ჩემს ცხოვრებაში რაც უნდა მოხდეს, მოვლენები როგორც უნდა განვითარდეს, ჩემი ოჯახის სახით, ძლიერი ზურგი, მყარი საყრდენი მაქვს. მხარში მიდგანან ადამიანები, რომელთა

იმედიც ყოველთვის უნდა მქონდეს.  
 — თვისება, რომელიც ჩემში ყველაზე მეტად მომწონს...  
 — ...ეს ერთგულების უნარია. თუ ადამიანზე ვიტყვი, რომ მიყვარს, ის ჩემი მეგობარია, მთელი ცხოვრების მანძილზე მისი ერთგული ვიქნები.  
 — თვისება, რომელიც არ მომწონს და ვცდილობ გამოვასწორო...  
 — ...დაუფიქრებლობაა. შესაძლოა, რაღაც მომენტში იმპულსურად ვიმოქმედო, გაბრაზებულ გულზე საშინელება ჩავიდინო, მაგრამ გაბრაზება რომ გამივიდეს, მერე ვხვდები, რომ სისულელე გავაკეთე. ამ დროს ჩემს თავზე მეც ვბრაზდები.  
 — ჩემი პირველი წარმატება...  
 — ...იყო ფილარმონიაში. პირველი პირდაპირი ეთერით გადაცემული კონცერტი. ვთვლი, რომ არაადეკვატური განცდა მქონდა. მანამდე არასდროს ვმდგარვარ ფილარმონიის მასშტაბის სცენაზე, ამდენი ადამიანის თანდასწრებით არასდროს მქონდა ნამდვირი პირდაპირ ეთერში და წესით, ძალიან უნდა მენერვიულა, არა? ჩემდა გასაოცრად, ეს ნერვიულობა როგორ გაქრა, სად წავიდა, არ ვიცი. იმ დღეს სცენაზე რასაც განვიცდიდი, ეს ჩემი საქმით მიღებული დიდი სიამოვნება იყო. სცენაზე გავედი თუ არა, დაძაბულობა მომეხსნა. კამერებს და ადამიანებს თითქოს ვერც ვხედავდი. იმ მომენტში ეს ჩემთვისაც აღმოჩენა იყო. მივხვდი,

რომ კამერები არ მბოჭავს. სხვათა შორის, დღემდე ასე გრძელდება.  
 — ყოველთვის მაქვს სურვილი...  
 — ...ვიმუშაო საკუთარ თავზე იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ვმუშაობ. ვიყო იმაზე წარმატებული, ვიდრე ვარ. საკუთარ გამოსვლებს ყოველთვის კრიტიკული თვალთ ვუყურებ და კმაყოფილი არასდროს ვარ. ვფიქრობ, ეს თვისება პროფესიულ ზრდაში დამეხმარება.  
 — არ მჩვევია...  
 — ...ლაღატი.  
 — საკუთარ გარეგნობაში შევცვლიდი...  
 — ...ერთადერთ ცვლილებას შევიტანდი — თმას დავიგრძელედი. ერთი პერიოდი ძალიან გრძელი თმა მქონდა, შევიჭერი და ახლანდელი ვარცხნილობა ძალიან არ მომწონს. ამის გამო ხანდახან ვტირი. ბუნებრიობა ძალიან მიყვარს. ვიზუალურად არაფერს შევცვლიდი. განა იმიტომ, რომ საკუთარი თავი ძალიან მომწონს და ვთვლი, რომ ყველა ნაკვთი იდეალური მაქვს. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და არ არის საჭირო, ტუჩები დაიბერო, წარბები აინიო და კიდევ რას აკეთებენ?.. მერე ის აღარ იქნები, ვინც ხარ და რა გამოდის?! დიდი ცხვირი თუ გაქვს, არა უშავს, ზოგიერთ შემთხვევაში, ის ცხვირი სახის ფორმას უხდება. მოკლედ, კოსმეტიკურ ქირურგიას არ ვცნობ.  
 — როცა საჯაროდ მაქებენ...  
 — ...ამ დროს თავს ძალიან უხერხ-



უაზრო რისკი არ მიყვარს

ულად ვგრძნობ. არ ვიცი, რა ვთქვა, რა გავაკეთო. მირჩევენია, იმ სიტყვებს არ ვისმენდე. განსაკუთრებით არ მიყვარს, როცა მშობლები მაქებენ. ეს ძალიან იშვიათად ხდება, რადგან იციან, რომ არ მიყვარს. ამავე დროს, დიდი კრიტიკოსებიც არიან.



ფლირტი და გაპრანჭვა არ მჩვევია. როცა რამე მინდა, მივდივარ და ვაკეთებ

— ვნანობ, რომ...

— ...ცხოვრების გარკვეულ პერიოდში ადამიანებს არასწორად მოვექეცი, არასწორი ნაბიჯი გადავდგი. ახლა ვხვდები, არ შევაფასე სწორად ის მომენტი. მართალია, დროს უკან ვერ დავაბრუნებ, მაგრამ ვთვლი, რომ თუ გულთმობილობა, შეცდომების გამოსწორება შეიძლება. ვნანობ, რომ მთელ რიგ საკითხებს იმ დროს ჭკუით და გონებით არ ვუყურებდი. თითოეულმა ჩვენგანმა ყველაზე კარგად ვიცით, რა დროს რა დავაშავეთ. შესაძლოა, სხვასთან თავი ვიმართლოთ, მაგრამ სიმართლე საკუთარ თავთან მარტო დარჩენილებმა ხომ ვიცი.

— ბოდიშის მოხდა...

— ...არ მრცხვენია. შემიძლია მივიდე ადამიანთან და გულწრფელად ვაღიარო, რომ შეემშალა.

— პატიება შემიძლია, თუ...

— ...ის ვილაც ნანობს და განიცდის ჩადენილს. ოღონდ, ამაში უნდა დავერწმუნდე, უნდა ეტყობოდეს თავლებში, ქმედებებში... მე ვინ მომცა იმის უფლება, არ ვაპატიო?!.

— ჩემი ყველაზე დიდი სისუსტე...

— ...მიმტყვევლობაა. იოლად ვპატიობ ადამიანს და ამით ცხოვრებას ვირთულებ. ერთ მეგობართან უსიამოვნება მომიხდა. ეს ადამიანი დღემდე ძალიან მიყვარს, მთელი შეგნებული ცხოვრება ერთად გავატარეთ, მერე დავშორდით. გავიდა დრო, ის დაბრუნდა ჩემს ცხოვრებაში, ბოდიში მომიხადა, მითხრა, რომ ის, რაც ჩვენ შორის მოხდა, აღარ გამეორდებოდა. მეც გულწრფელად ვაპატიე და მივიღე. ასე ოთხჯერ მოხდა და შემდეგ ჯერზე მივხვდი, რომ ის ვერ შეიცვლება, ასეთია.

— დაშვებულ შეცდომებს...

— ...ხშირად ვიხსენებ, არ მავიწყდება.

— საკუთარ შეცდომებზე ვისწავლე...

— ...სიტუაციის, ადამიანების დაფასება და შეფასება.

— ბოლოს ვიტყვი...

— ...ხშირად მეტირება. მოხუცები მიყვარს, დაბერებულებს, დაუძღურებულებს რომ ვუყურებ, მეტირება და სულ დამცინიან. მეტირება მაშინ, როცა მართალი ვარ და ჩემს სიმართლეს ვერ ვამტკიცებ. სხვა ასეთ დროს ჩხუბობს, მე ვტირი.

— ვიზნევი, როცა...

— ...მიყვარს. შეყვარებული სულ დაბნეული ვარ.

— სიყვარული ეს...

— ...არის დიდი ტკივილი, რომელიც უდიდეს სიამოვნებას განიჭებს.

— ახლა...

— ...შეყვარებული ვარ. იმ ბიჭის სახელსა და გვარს ვერ გაგიმხელ, მაგრამ გეტყვი, რომ არის ხელოვანი, ძალიან კარგი ადამიანი, განათლებული, პროფესიისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვს, რაც მასში ძალიან მომწონს. თბილი, კეთილი, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული, ლამაზთვალეა ბიჭია.

— ჩვენი ურთიერთობა...

— ...მეგობრობით დაიწყო. ერთ-ერთ სპექტაკლში ვმონაწილეობდით, ერთმანეთი იქ გავიცანით. ძალიან მომწონდა, ის ყურადღებას ნაკლებად მაქცევდა. საბოლოო ჯამში მიხვდა, რომ მომწონდა და ასე მოხდა ჩვენი „შეერთება“.

— ამ წუთში ძალიან მინდა ვიყო...

— ...სიცივე არ მიყვარს, ზამთრის პერიოდს გოაზე გავატარებდი. ჩემი საყვარელი სამოსი — შორტი და მაისურია. მზესა და წყალზე ვგიჟდები.

— წონასწორობიდან ჩემი გამოყვანა შეუძლია...

— ...უსამართლობას. როდესაც ვერ ვამტკიცებ, რომ მართალი ვარ და ვილაც უსინდისოდ ცრუობს. ამ დროს შემიძლია, ადამიანი ცუდი რამეებისთვის გავიშეგო.

— ვეპრანჭები...

— ...არ ვარ პრანჭია. გაპრანჭვა არც მეხერხება. ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ. ჩემს შეყვარებულს ურთიერთობის დასაწყისში დაჟინებული ვუტყევი, ვეკონტაქტებოდი, ვაქტიურობდი. ფლირტი და გაპრანჭვა არ მჩვევია. როცა რამე მინდა, მივდივარ და ვაკეთებ.

— ხშირად მსაყვედურობენ...

— ...რომ არაპუნქტუალური ვარ.

— ძალიან ბევრი ფული რომ მქონდეს...

— ...ერთ კვირაზე მეტხანს არც ერთ ქვეყანაში არ გავჩერდებოდი. მსოფლიოს შემოვივლიდი და ყველაფერს ვნახავდი, რაც კი შეიძლება, ადამიანმა ნახოს.

— რისკზე მივდივარ...

— ...ხშირად. კარგი ინტუიცია მაქვს და ეს უნარი მეხმარება იმაში, რომ გავთვალო, რა დროს როგორ ვიმოქმედო. იმდენად კარგი ინტუიცია მაქვს, რასაც გავიფიქრებ, ეგრე ხდება. ხანდახან საკუთარი თავის მეშინია. უაზრო რისკი არ მიყვარს.

— როცა მარტო ვარ...



# „ვოისში“ მონაწილეობა ჩემთვის რისკივით იყო“

**სალომე დოლიძე „ვოისის“ ბოლო სეზონის ერთადერთი ფინალისტი გოგონა გახლდათ. მისთვის „ვოისი“ პირველი მუსიკალური კონკურსი არ იყო: წლების წინ მაცურებლებმა მომღერალი „ნუცას სკოლიდან“ გაიცნეს. მაშინ სალომემ ამ პროექტში გაიმარჯვა კიდევ. შემდეგ, კარგა ხანს, მისი სასიმღერო კარიერის შესახებ არაფერი გვსმენია. ამას თავისი მიზეზები აქვს...**

## ეთო ყორღანაშვილი

— სალომე, „ვოისის“ ფინალში მოსახვედრად დიდი ძალისხმევა დაგჭირდა?

— კი. ნოდის გუნდი თავიდანვე ძალიან ძლიერი იყო. შესაბამისად, ბევრი შრომა დამჭირდა, რომ ფინალამდე მივსულიყავი.

— ფინალისთვის როგორ ემზადებოდით, როგორი განწყობილება გქონდა?

— ძალიან ამაღლებული განწყობილება მქონდა. არ მჯეროდა, რომ პროექტი მთავრდებოდა, რადგან 5 თვე ამ პროექტით ვიცხოვრეთ... სულ „ვრეპეტიციობდით“, ფინალს ველოდით. თავისთავად ცხადია, ვღელავდი...

— ფინალისტებს შორის, ერთადერთი გოგონა იყავი. ბიჭებისგან როგორ დამოკიდებულებას გრძნობდი?

— ძალიან კარგს, მეგობრულს. ყველანი ვმეგობრობთ. საერთოდ, არ იგრძნობოდა, რომ ფინალი იყო და 4 კონკურსანტი დავრჩით. ერთად ვემზადებოდით, რომ მთელი შოუ ძალიან კარგი ყოფილიყო, დასამახსოვრებელი ნომრები წარგვედგინა.

— ფინალში ყველაზე ძლიერ კონკურენტად ვინ მიგაჩნდა?

— რომელიმეს დასახელება არ შემეძლია, რადგან ყველანი კონკურენტები ვიყავით, ყველას თავისი მსმენელი, გულშემატკივარი ჰყავდა. ერთმანეთისგან განსხვავებული მომღერლები ვართ — ჩვენი სტილი გვაქვს, ამიტომ არ მიმაჩნია, რომ რომელიმე განსაკუთრებული კონკურენტი ვიყავით. მგონი, ჩვენი მანსები 50/50-ზე იყო...

— „ბრმა კასტინგზე“ ქეთას მცდე-



ბევრი შრომა დამჭირდა, რომ ფინალამდე მივსულიყავი

**ლობის მიუხედავად, ნოდის აირჩიე, რატომ?**

— მართლა არ ვიცი. ნოდის მანამდე დიდ პატივს ვცემდი. ძალიან მომწონდა, როგორც მომღერალი, ასევე — ქეთაც, მაგრამ იმ წუთში ნოდის უფრო მომხიბლა.

— ნოდისგან, როგორც მწვრთნელმა, შენი იმედი გაამართლა? მუშაობის პროცესი როგორ წარმოგებოდა?

— იმაზე მეტად გაამართლა, ვიდრე ველოდი. საერთოდ, ნოდის ძალიან შრომისმოყვარე ადამიანია. არ მახსოვს რეპეტიცია, რომელზეც 100%-ით არ დახარჯულიყო. თითოეულ კონკურსანტს დიდ ყურადღებას გვაქცევდა. მასთან მუშაობა საოცრად კომფორტულია. თავადაც, კონკურსში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს და ხვდებოდა, რომ ყველაფერზე ვღელავდით, ვწერდით... ყოველთვის მეგობრულად გვეპყრობოდა, რაც, ბუნებრივია, კომფორტს გვიქმნიდა.

— სალომე, ქეთასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— რამდენიმე საერთო მეგობარი გვყავს. მოგეხსენებათ, მეც მოსკოვში ვცხოვრობდი. მე და ქეთა ახლო

— ...ვფიქრობ იმაზე, რაზეც მართლ არყოფნის დროს არ ვფიქრობ. საერთოდ, ფიქრი მიყვარს. ისეთი რაღაცები მახსენდება, ლირიკულ განწყობაზე ვდგები. შინ თუ ვარ, დროის დიდ ნაწილს ჩემს ოთახში ვატარებ.

— როდესაც დაძაბული პერიოდი მაქვს...

— ...წყნარობა ერთი საყვარელი ადგილი მაქვს, დედა ანასთან ეკლესიაში მივდივარ ხოლმე. ეს ეკლესია ტყეშია. ულამაზესი ადგილია — ყვავილები, სიმწვანე... იქ ვმშვიდდები, გამოსავალს იოლად ვპოულობ. დედა ანა მეგობარმა გამაცნო. ჩემი დედა არის მონაზონი ჭიათურაში, მღვიმევის მონასტერში. ვფიქრობ, როცა ძალიან გამიჭირდება, ამ მონასტერში დიდი ხნით წავალ.

— ადამიანი, ვის აზრსაც ყოველთვის ვითვალისწინებ...

— ...მამა. ის ექიმი. შემეძლია, მას ნებისმიერ თემაზე დაველაპარაკო, რჩევა ვკითხო. გოგონები ხომ დედასთან მეტად მეგობრობენ. მამამ ჩემი ბევრი ისეთი ამბავი იცის, რომელიც დედასთან არ მოთქვამს. ის ჩემი მესაიდუმლეა.

— ვჯიუტდები, როცა...

— ...რაღაც ძალიან მინდა და არ მისრულებენ. თან, იმ სურვილის ასრულება ძალიან მარტივია. ბავშვური ჟინი იღვიძებს ხოლმე — მინდა და მორჩა! ეს ძირითადად, მშობლებთან ურთიერთობისას ხდება.

— თავისუფლება...

— ...ხანდახან აკეთო ის, რაც არ გინდა.

— ბედისწერის...

— ...ძალიან მჯერა. ჩემს ცხოვრებაში ყოფილა შემთხვევები, რომლებმაც ბედისწერის არსებობაში საბოლოოდ დამარწმუნა.

— დარიგება, რომელიც არასდროს დამავიწყდება...

— ...მამა ჩემს პირად ურთიერთობებში არასდროს ერევა, არც პროფესიულში, მაგრამ მეგობრულ რჩევებს ხშირად მაძლევს. მეუბნება, რომ უნდა ვიფიქრო იმაზე, რა შეიძლება მოჰყვას ჩემს საქციელს, რამდენად მეტკინოს ისევ მე, გავთვალო დადებითიც და უარყოფითიც.

— დაბოლოს გეტყვით, რომ...

— ...არასდროს დანებდით. არ არსებობს საქმე, რომელიც არ გამოვა, მთავარია მონდომება, სათანადო მონდომება. ეს ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი.



ნოდუკო შრომისმოყვარე ადამიანია

მეგობრები არ ვართ, უბრალოდ, ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ.

**— მოსკოვში მღეროდი კიდევ?**

— კლუბებში, კარაოკეში, სხვადასხვა ადგილას ვმღეროდი ხოლმე.

**— „ნუცას სკოლაში“ მონაწილეობის შემდეგ, სასიმღერო კარიერაში პაუზა რამ განაპირობა?**

— „ნუცას სკოლა“ რომ დამთავრდა, ჩემი ოჯახი მოსკოვში საცხოვრებლად გადავიდა. გადავწყვიტე, მეც წავსულიყავი, რადგან აქ მარტო ყოფნა არ მინდოდა. შესაბამისად, საქართველოში ჩემი კარიერის განვითარებას ხელი ამ ფაქტმა შეუშალა — არაფერი გამიკეთებია... მოსკოვში დიდი ხნით დარჩენას არ ვაპირებდი. ვიფიქრე, ერთი წლით გავემგზავრები-მეთქი, მაგრამ 6 წელი შევერჩი...

**— იქაური ცხოვრების სტილს ალბათ იოლად შეეგუე, რადგან ამდენ ხანს იცხოვრე...**



სახლში წამოწოლა და ტელევიზორის ყურება ჩემი საქმე არ არის

— უპირველეს ყოვლისა, მოსკოვში ცხოვრება იმიტომ გამიადვილდა, რომ ჩემი ოჯახი იქ იყო, შემდეგ — ბევრი მეგობარი შევიძინე, რომლებთანაც დღესაც ვურთიერთობ, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, მოსკოვში სამუდამოდ არ დავრჩებოდი. მაგარი ქალაქია, მაგრამ აქაურობას არც შევადარებ — თბილისში უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, აქაურობა უფრო ჩემია...

**— თბილისში მარტო ცხოვრობ?**

— არა, მამასა და ჩემს დეიდაშვილებთან ერთად ვცხოვრობ. დედაჩემი, ოჯახის სხვა წევრებიც ჩამოდიან ხოლმე, მაგრამ უკან, მოსკოვში ბრუნდებიან, რადგან იქ საქმეები აქვთ.

**— აღნიშნე, ფართო აუდიტორიის წინაშე გამოჩენამდე, ფორმაში ჩადგომას ველოდი.**

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ ადამიანი როცა სცენაზე დგას, ყველანაირად, მათ შორის — გარეგნულადაც (თუმცა ამას ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე — სხვაგან) კარგ ფორმაში უნდა იყოს. თან, საქართველოში რომ დავბრუნდი, დიდი ხნის განმავლობაში, ნამღერი არ მქონდა. საერთოდ, რაღაცას რომ ვაკეთებ, მინდა, საკუთარ თავში 100%-ით დარწმუნებული ვიყო. „ვოისში“ მონაწილეობა ჩემთვის რისკით იყო. ისეთ ფიზიკურ ფორმაშიც არ ვიყავი, როგორმაც მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ მივხვდი, ასეთი რაღაცების ლოდინს ჯობდა, კონკურსზე გავსულიყავი და არსებული დრო გამოეყენებინა.

**— სალომე, წონის პრობლემა რამ გამოიწვია? ახლა კვების რეჟიმს თუ იცავ?**

— წონის პრობლემა ჯანმრთელობის პრობლემის გამო დამენყო. უკვე დიდი ხანია, ჯანსაღად ვიკვებები. ვცდილობ, ადრე დავიძინო... სამწუხაროდ, პროექტში მონაწილეობისას ვარჯიშისთვის არ მეცალა, მაგრამ პერიოდულად მაინც ვვარჯიშობდი. საერთოდ, აქტიურად ცხოვრება მიყვარს. სახლში წამოწოლა და ტელევიზორის ყურება ჩემი საქმე არ არის. პროექტი დასრულდა და სპორტულ ცხოვრებას აუცილებლად დავუბრუნდები, რადგან ძალიან მომწონს!

**— მუსიკალური განათლება თუ გაქვს?**

— სამწუხაროდ, არა, რასაც ძალიან ვნანობ. სიმართლე გითხრათ, ბავშვობაში მომღერლობაზე არც ვფიქრობდი. სულ სწავლაზე

ვიყავი ორიენტირებული. 17 წლისამ პირველად ვიმღერე (სად — არც მახსოვს). ძალიან მწყდება გული, რომ მუსიკალური განათლება არ მიმიღია. პრინციპში, დაგვიანებული ახლაც არ არის (ილიმის)...

**— გრძნობ, რომ მუსიკალური განათლება გჭირდება?**

— კი. რა თქმა უნდა, საჭიროა. თან, არის რაღაცები, რისი ახსნაც მინდა, მაგრამ მუსიკალური ტერმინები არ ვიცი და მრცხვენია ხოლმე (იციინის). ძალიან მინდა, რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა ვიცოდე, განსაკუთრებით — ფორტეპიანოზე.

**— სხვა პროფესია გაქვს?**

— უნივერსიტეტი არ დამიმთავრებია. მოსკოვში რომ წავედი, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ახალი ჩაბარებული მქონდა. ისე მოხდა, რომ სწავლა შევწყვიტე, მაგრამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ განვაგრძე. მეორე კურსის სტუდენტი ვარ. კონკრეტულ სფეროში განათლების მიღების გარედა, სწავლის პროცესს ბევრი სხვა პლუსიც აქვს — პიროვნულად ვითარდები.

**— სასიმღერო კარიერის განვითარებას როგორ აპირებ?**

— პროექტის დასრულების შემდეგ დავისვენებ, განვიტვირთები და საქმეს შევუდგები — სიმღერებს ჩავწერ. სასიმღერო კარიერის გაგრძელებას აუცილებლად ვაპირებ, ჯერჯერობით — საქართველოში. მინდა, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთო.

**— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— ჯერჯერობით არაფერი. სიმართლე გითხრათ, ახლა ამაზე არც ვფიქრობ, არც მცალია. ასე რომ, ჩემს პირად ცხოვრებაში სიმშვიდეა.

**— „ვოისში“ მონაწილეობის შენი მთავარი მიზანი რა იყო?**

— საკუთარი თავის გამონევა! რატომღაც, თითქოს გადაწყვეტილი მქონდა, რომ აღარ მემღერა. რთული პერიოდი გამოვიარე... „ნუცას სკოლაში“ კარგი გამოცდილება მივიღე. მინდოდა, ეს ყველაფერი გამეხსენებინა, ახალი გამოცდილება მიმელო, საკუთარი თავი გამომეცადა... ცოტათი არ მეჯეროდა, რომ ფინალში მოვხვდი. არასოდეს ვფიქრობდი, ბოლოს რა იქნებოდა, უბრალოდ, მინდოდა, ყოველი შანსი მაქსიმალურად გამოეყენებინა და მაყურებლებისთვის დასამახსოვრებელი ვყოფილიყავი. ■



# რატომ ამბობს სერილებში მონაწილეობაზე უარს ლელა ალიბეგაშვილი

30 წელია, რაც რუსთაველის თეატრის მსახიობია და მაყურებელს თავი არაერთი გამორჩეული სახის შექმნით დაამახსოვრა. ლელა ალიბეგაშვილს თეატრში შეეხვები და მის საგრიმიორო ოთახში ფოტოგრაფთან ერთად შევედი...

ანა კალანდაძე

ლელა მაგიდაზე კოსმეტიკურ საშუალებებს ალაგებს და ამზადებს კოსტიუმს, რომელსაც ცოტა ხანში მოირგებს სპექტაკლისათვის — „მარია კალასი. ვაკვეთილი“. მანამდე კი მის საგრიმიორო მაგიდაზე ფოტოებს ვათვალიერებ: ერთ-ერთი კარლო საკანდელიძესთან ერთად გადაღებულია, სპექტაკლიდან „საშობაო სიზმარი“, რომელშიც ლილიენის როლისათვის ლელას წლის საუკეთესო მსახიობის ნოდება პირველად მიენიჭა. ამას სხვა პრიზებიც მოჰყვა, მათ შორის: პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სპექტაკლში — „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“, სადაც პარალელური სამყაროდან მოვლენილ ნიას განსახიერებდა.

აქვეა ჩარჩოში მოთავსებული თეატრალური პრემია „დურუჯის“ დიპლომი, რომელიც 2014 წელს გადაეცა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, რობერტ სტურუას სპექტაკლში „მარია კალასი. ვაკვეთილი“.

თვალში ლელას ფოტოპორტრეტი მომხვდა, რომლის უკანა მხარეს ილიკო სუხიშვილის წარწერაა: „დიდად ვაფასებ შენს შემოქმედებას“. მაგიდაზე ვხედავ დათო დარჩიასთან ერთად გადაღებულ სურათსაც (სპექტაკლიდან „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“). შედარებით ახალია ზაზა პაპუაშვილთან ერთად, „შობის მეთორმეტე ღამის“ კადრი.

ამბობს, რომ სპექტაკლი „საშობაო სიზმარი“ ყველაზე მეტად ენატრება, მაგრამ „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“ და „შობის მეთორმეტე ღამის“ ნოსტალგიაც აქვს.

— ქალბატონო ლელა, თქვენს პროფესია გრიმის გარეშე წარმოუდგენელია. გაიხსენეთ, როდის

„ზოგჯერ ბავშვებს ძიძა საკუთარი ღელა ჰგონიათ და ეს ძალიან მალეღვებს...“



## გაიკეთეთ გრიმი პირველად?

— პირველ სექტივებერს, თეატრალურ ინსტიტუტში პირველკურსელი სტუდენტები რომ გამოვცხადდით, თეთრ კაბაში გამოპრანჭული მივედი, მეკეთა ძალიან ლამაზი საყურე და მძივი. პროფესიასთან ზიარების ტრადიციული რიტუალის ჩატარებისას, როცა პედაგოგები და უფროსი ასაკის კოლეგები უმცროსებს სახეზე გრიმს უსვამენ, მე ამ „თეატრალური ნათლობისას“ დოდო ალექსიძემ, მაინცდამაინც წითელი გრიმი წამისვა ცხვირზე. სხვებს შავი, თეთრი, მე კი მაინცდამაინც წითელი! ეტყობა, ინტუიციით იგრძნო, რომ წითელი მიყვარს, ეს ჩემი საყვარელი და ზოგადად, მორიელების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთა ფერია.

მეორე კურსზე ვსწავლობდი, სერგო ფარაჯანოვმა თავის ფილმში რომ გადამიღო და ბუნებრივია, გადაღებების წინ გრიმიორი მამზადებდა კამერის წინ სამუშაოდ.

მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ თეატრალური გრიმი რასაც ჰქვია, ეს არც სტუდენტობისას და არც შემდგომ არ გამიკეთებია. თეატრში ტონალური კრემის გამოყენება საკმაოდ გვიან დავიწყე.



„შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ“



„საშობაო სიზმარი“

წარმოიდგინეთ, რა არის ახალგაზრდობა, რომ სპექტაკლებში: „მერი პოპინსი“, „სისხლიანი ქორწილი“, „სამგვარი სიყვარული“ — გრიმი არ მესვა. წამნამებზე ტუში, ტუჩსაცხი, ცოტაოდენი ჩრდილები ლოყებზე და სულ ეს იყო. გონიერი გოგონა ვიყავი. ვიცოდი, გრიმი კანს გამიფუჭებდა და ვუფრთხილდებოდი (ილიმის)...

**— კოსმეტიკურ საშუალებებს ხშირად გრეჭნიდნენ?**

— დედა ყოველი პრემიერის წინადღეს საჩუქარს მიკეთებდა. დილას გავიღვიძებდი და თავთან ტუში, ტუჩსაცხი ან მთლიანი კოსმეტიკის ნაკრები მხვდებოდა...

ბავშვობაში ლელა ალიბეგაშვილი ბალერინობაზე ოცნებობდა, სწავლობდა კიდეც ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, მაგრამ მეექვსე თუ მეშვიდე კლასის მოსწავლემ რუსთაველის თეატრში „კავკასიური ცარცის წრე“ რომ ნახა, აზრი შეეცვალა. როცა ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ამთავრებდა, უკვე იცოდა, რომ თვითგამოხატვისათვის მხოლოდ პლასტიკა არ იყო საკმარისი. მას სჭირდებოდა სიტყვა და სწორედ ამიტომ, გვიზი თეატრალური უნივერსიტეტისკენ აიღო...

მისი კინოდებიუტი სერგო ფარაჯანოვის ფილმში — „სურამის ციხე“ შედგა, რომლის გადაღების პირველი

ერთი ამბავი გამახსენდა: 1992 თუ 1993 წელს ესპანეთში წავედი გასტროლზე, სპექტაკლით — „ცხოვრება სიზმარია“ და მაშინ წავისვი გრიმი პირველად. მე და ნატო მურვანიძემ გადავწყვიტეთ, საკუთარი თავისთვის საჩუქარი გავგვეკეთებინა და შევედით მალაზიაში, სადაც თურმე, საკმაოდ ძვირად ღირებული რალაცები იყიდებოდა. ავარჩიე შესანიშნავი ხარისხის კოსმეტიკა და ამ ყველაფრის ჩასაწყობი ჩანთები. პროდუქციის ფასები რომ იანგარიშეს, შოკში ჩავვარდი. კიდეც კარგი, დასახელებული თანხა მქონდა — 400 დოლარამდე გადავიხადე.

**— რომელი პერსონაჟის თამაშისას გქონდათ ყველაზე რთულად გასაკეთებელი გრიმი?**


— რობერტ სტურუამ ოპერაში „კარმენი“ რომ დადგა და ბედისწერის როლზე მიმიწვია, სახეზე სქელი, თეთრი გრიმი მესვა. როგორც ამბობდა, ახალგაზრდობიდან ახსოვდა თბილისის ქუჩებში ერთი ფსიქიკურად შეშლილი, მონყალების მთხოვნელი ქალი, რომელსაც სახე თეთრად გაპუდრული ჰქონდა და თვალებს შავად იღებავდა. რობიკომ გადანყვიტა, მას დავმსგავსებოდი. ისე კი, სულ ვოცნებობ, ისეთი როლები მქონდეს, სადაც დიდი ცხვირის „დადება“, მხრებში მოხრა და გარეგნობის რადიკალურად შეცვლა მომიწევს. ალბათ, ანი ნელ-ნელა მომცემენ „ბაბა-იაგის“ მაგვარ როლებს (იციინის).

მარია კალასის კოსტიუმი ღია ლურჯი როლინგისა და ამავე ფერის, მაგრამ გაცილებით მუქი

შარვალ-კოსტიუმისგან შედგება. სამოსს ლურჯ აქსესუარებს უხამებს, თმას იკრავს და სცენაზე გასასვლელად მზადაა. საგრიმიორო ოთახში, რომელშიც ამჟამად მარი ჯანაშიასთან ერთად არის „დაბინავებული“, საუკლესიო კუთხის მონყობაზე არ უფიქრია. „ქრისტე გულში მყავს“, — ამბობს მსახიობი. სცენაზე გასვლის წინ კი აუცილებლად, ლოცვას კითხულობს და პირჯვარს იწერს.

**— „მარია-კალასის“ პრემიერამდე უსმენდით კალასს?**

— მთელი ის პერიოდი, რაც რეპეტიციები მიმდინარეობდა, მარია კალასს ვუსმენდი. მის შესახებ უამრავი მასალა წავიკითხე. ეს მომღერალი ბავშვობიდან განსაკუთრებით მიყვარდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მის ბიოგრაფიას დეტალურად გავეცანი, კიდეც უფრო მეტად ახლობელი გახდა



„მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“

დღე და თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი გოგონას დაბადების დღე ერთმანეთს დაემთხვა. როცა პირველი მთავარი როლი სერგო ფარაჯანოვთან გექნება ნათამაშები, მერე სხვა რეჟისორების წინადადების მიღება გიძნელდება. „სურამის ციხეზე“ მუშაობის შემდეგაც ასე მოხდა. ბევრჯერ თქვა უარი, თუმცა, გული არ სწყდება. ახლაც სერიალებში ინვევენ, მაგრამ თავს იკავებს, პოპულარობა მისი მიზანი არასოდეს ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ ლელა ალიბეგაშვილი ის მსახიობია, რომლის როლები არა დიდი რაოდენობით, არამედ ხარისხით გამახსოვრდება.

თავისი საქმის პროფესიონალი რომ არის, ამას მაყურებელიც ხედავს და მისი ჯილდოებიც მონმობენ.

სწორედ სერგო ფარაჯანოვის წყალობით მოხვდა რუსთაველის თეატრში. თეატრალურს რომ ამთავრებდა, რეჟისორმა ჰკითხა, — თავს რომელ თეატრში ხედავო? რუსთაველშიო, — უპასუხა ლელამ. ფარაჯანოვმა თავი დაუწია, მერე აიღო ახალგაზრდა მსახიობის ფოტოებით სავსე დიდი ალბომი და რობერტ სტურუასთან წაიღო ისე, რომ ლელას არაფერი უთხრა. მალე რობიკომ თეატრში დაიბარა. რუსთაველის თეატრში მისი პირველი როლი ჯეინი იყო, სპექტაკლში „მერი პოპინსი“.





ჩემთვის. სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო და ამით ბედნიერი ვარ. თავდაპირველად, ამ სპექტაკლს თეატრში — „ფაბრიკა“ შედარებით პატარა სცენაზე ვთამაშობდით. რუსთაველის თეატრში რომ გადმოვიტანეთ, ვშიშობდი, არ „დაკარგულიყო“. მეგონა, „ნააგებდა“, მაგრამ ასე არ მოხდა. ამბობენ, რომ სპექტაკლი აქ უკეთესი აღსაქმელია. თურმე, ბატონ რობერტსაც ასე ეუბნებიან. როგორც ჩანს, რუსთაველის თეატრში მაინც სხვა აურაა.

— სპექტაკლის შემდეგ ფიზიკურად იმდენად დაღლილი ხართ, რომ ვედარაფერს აკეთებთ თუ შეგიძლიათ, წახვიდეთ ვთქვათ, დაბადების დღეზე ან სხვაგან?

— ყველაფერი შემიძლია გავაკეთო სპექტაკლამდე და სპექტაკლის შემდეგაც (ილიმის). ახლა ჩემი შვილი 13 წლისაა. ბავშვი რომ გავაჩინე,



გრემი კანს გამიფუჭებდა და ვუფრთხილდებოდი

იმ პერიოდში თეატრში რემონტი მიმდინარეობდა და ისე გამოვიდა, რომ 4 წელი თეატრისგან თავისუფალი ვიყავი. ვინაიდან სახლში მიწევდა ყოფნა, ძიძაც საკმაოდ გვიან ავიყვანე და მოხარული ვარ, ასე რომ მოხდა. ზოგჯერ ბავშვებს ძიძა საკუთარი დედა ჰგონიათ და ეს ფაქტი ძალიან მაღელვებს. საბედნიეროდ, ჩემს შემთხვევაში ასე არ მოხდა. სახლში ყველაფერს თავად ვაკეთებდი, ცალ ხელში ბავშვი მეჭირა, მეორეში — მტვერსასრუტი, ვაკეთებდი სადილს, ვრეცხავდი... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ შემიძლია, პარალელურად სხვა რაღაცეებიც ვაკეთო (ილიმის).



# რა „ბიზნესი“ ჰქონდა ბავშვობაში პოლიციის უმცროს ლეიტენანტს

„მამას სიბარამის ღერებს ვპარავდი“

პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი, ელენე ზანბუში ამბობს, რომ მისთვის ლანგრით არავის არაფერი მიუერთმევია. ყველაფერს საკუთარი შრომით მიაღწია. აქედან გამომდინარე, ფულის ყადრი კარგად იცის და არასდროს აძლევს თავს უფლებას, უსარგებლო ნივთების შესაძენად ხარჯოს თანხა.

## სოფო ჟონიშვილი

— ფული არის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და აუცილებელი რამ საიმისოდ, რომ ვიარსებოთ. ეს ყველაზე დიდი მოტივაციაა დღევანდელ სამყაროში. ფული ყოველთვის ტკბილია და ზედმეტიც არასოდეს არის. უფულობა კი მართლა მწარეა.

— როგორ ფიქრობ, ფული ადამიანის საზოგადოებრივ სტატუსს განსაზღვრავს?

— რა თქმა უნდა, განსაზღვრავს! ხომ იცი, როცა მატერიალურად ძლიერი ხარ, უფრო მეტი შესაძლებლობა და მეტი შანსი გაქვს საიმისოდ, რომ აკეთო ის, რაც გულით გინდა; ფული გაძლევს საშუალებას გამოიყურებოდე ისე, როგორც გსურს და რაც მთავარია, ხარ დამოუკიდებელი, უფრო მეტი პერსპექტივა გაქვს მიზნების მისაღწევად...

— შესაძლებელია თუ არა წარმატების ყიდვა?

— ვფიქრობ, პირველი ნაბიჯების გადადგმაში ფული შეიძლება დაგეხმაროს, მაგრამ დანარჩენი პიროვნულ უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული. მხოლოდ ფულით ვერაფერს მიაღწევ. ფულთან ერთად, კიდევ ბევრი რამ არის საჭირო იმისთვის, რომ წარმატებულად იმუშაო ჩამოყალიბდე.

— პირველი ხელფასი როდის აიღე?

— პირველი ხელფასი 19 წლისამ ავიღე, მაგრამ რამდენი ლარი იყო, აღარ მახსოვს. იმ თანხით სიმბოლურად, საფულე ვიყიდე, რომელიც დღემდე მაქვს.

— ფინანსურად დამოუკიდებელი რა ასაკიდან ხარ?

— სრულიად დამოუკიდებელი 21 წლიდან ვარ. ცუდია, რომ საქართველოში ბევრი ზრდასრული ადამიანი ისევ მშობლების ჯიბეს უყურებს და ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ შვილები დედ-მამას ავალდებულებენ, უზრუნველყონ იმ ყველაფრით, რაც სჭირდებათ. ეს ალბათ, რაღაც დოზით, ალზრდის ბრალიცაა. თავად მშობლებიც უშვებენ შეცდომას და მერე ამის შედეგსაც იძიებენ.

— ბავშვობაში ყულაბა თუ გქონდა?

— ბავშვობაში ყულაბა ყოველთვის მქონდა. როცა რაღაცის შეძენა მინდოდა, ფულს ყოველთვის ყულაბაში ვაგროვებდი. ახლაც მაქვს ერთგვარი ყულაბა ჩემი ერთ-ერთი ოცნების ასარეულებად, ოღონდ — ამჯერად ბანკში მაქვს ანგარიში გახსნილი (ილიმის).

— შეგროვებული ფულით რა ოცნების ახდენა გინდა?

— მანქანის შეძენა მინდა... ვფიქრობ, ფული არასოდეს არის ბევრი. ადამიანს ყოველთვის იმაზე მეტი უნდა, ვიდრე აქვს. ფულის რაოდენობასთან ერთად მოთხოვნებიც იზრდება.

— ძირითადად, რაში ხარჯავ ფულს?

— ყველაზე მეტად, ფულს საკუთარი თავის მოსაველეად ვხარჯავ. ჯანმრთელობაზე ზრუნვაც აუცილებელია!

— ფულის ეკონომიურად ხარჯვა გეხერხება?

— ხანდახან მგონია, რომ ზედმეტად ეკონომიური ვარ. არ მიყვარს ფულის უაზროდ ხარჯვა. როცა მეგობრები საყიდლებზე მიდიან, მთხოვენ, გა-

ბაბრქაძე იხ. გვ. 42



**ცხოვრება**

# 10 წლის შემდეგ ბავარულები ანუ რა ჯობია ძილში „ბავარვას“

ძველით ახალ წლამდე, სიყვარულითა და შემოქმედებით გამთბარ კიდევ ერთ ოჯახში მოვასწარი სტუმრობა. საბედნიეროდ, ყველა შინ დამხვდა: კომპოზიტორი და არანჟირების შემსრულებელი თემურ მაისაშვილი, მისი მეუღლე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი და მომღერალი, ყველასთვის საყვარელი მომღერლის, ინოლა გურგულიას ქალიშვილი ია შულღიაშვილი და იდეებით დახუნძლული და საოცრად გონიერი მათი 10 წლის ვაჟი — ანდრია.

## ირმა ხარშილაძე

პატარა ლამაზი ნაძვის ხეც შესვლისთანავე შევნიშნე, თავზე ვარსკვლავითა და პატარ-პატარა „დათოვლილი“ სახლებით გვერდ-დამშვენებული. მხოლოდ იმის თქმა მოვასწარი, რა ლამაზია-მეთქი, რომ თემო და ია დატრიალდნენ — შენ განათებული უნდა ნახო, ახლავე ჩაგირთავთო, მაგრამ... ბევრს ეცადა თემო, თუმცა არაფერი გამოუვიდა, იამ კი წამში აანთო. — ბიოდენი აქვს ხელებში, თორემ თეორიულად, არ უნდა ანთებულიყოო, — აღნიშნა განზილებულმა და მაინც, მეუღლის ხელმარჯვეობით ამაცმა თემომ. — ბიოდენი კი არა, ყველაფერს მოფერება სჭირდებაო, — დაამშვიდა „იამ და მომიბრუნდა: გინდა, ჩვენს ნაძვის ხეზე გიამბოო? და დაიწყო:

— ეს ჩემი ბავშვობის დროინდელი ნაძვის ხეა და ვერ ვეღვევი. ამდენი წლისაა და არც გახუნებულა. ზედ ძველისძველი სათამაშოები კიდეა: ბადრიჯანი, თუთიყუში, კოსმონავტი, ზარი, ნათურები. ამ ძველებს ცოტ-ცოტას, ახალ სათამაშოებსაც ვამატებ ხოლმე. ბავშვობიდან მე ვანყობდი ნაძვის ხეს, ახლა ანდრიაც მეხმარება. ის მანათობელი ვარსკვლავი და სახლი თემურის ბავშვობიდანაა. სხვათა შორის, მეც და თემურსაც გვჩვენებია ძველი ნივთების, ხელოვნების ნიმუშების, თუნდაც — მუსიკალური ნაწარმოებების და ა.შ. შენახვა.



ძალიან დიდხანს მელოდა — 10 წელიწადს ვმეგობრობდით

თქმური:

— მაგალითად, ახალგაზრდებს ძველი მუსიკალური ნაწარმოებების გარემიქება უყვართ, ორიგინალური ნაწარმოებები კი ნაკლებად სრულდება. თუმცა, ბოლო ხანს ორიგინალისთვისაც ბევრი მაკითხავს, მე კი, საბედნიეროდ, შენახული მაქვს.

— ვფიქრობ, ძველის შენახვა, მოფრთხილება, არდავინწყება სულაც არ არის ცუდი, გინდაც, ნივთი იყოს ან თუნდაც — ტრადიცია... მაგალითად, კარგა ხანია, ტრადიციულად, ორ ახალ წელსაც კი ვზეიმობთ. მოდი, გვამბოთ, როგორ ჩაიარა თქვენმა „ახლით თუ ძველით ახალმა წელმა“ და ქრისტესშობამ?

ია:

— ჩემთვის — „თეატრალურად“, რადგან სპექტაკლები მქონდა, მაგრამ არც მეგობრებთან ყოფნა დამიკლია.

თქმური:

— ჩემთვის კი სევდიანად დაინყო, რადგან 30 დეკემბერს ავად გავხდი და მართალია, სანოლში არ შევხვედრივარ, მაგრამ არც ხალისის თავი მქონდა.

ია:

— დალევამ ცოტათი გამოაკეთა. ახალ წელს შინ მხოლოდ მე, თემო და

ანდრია ვიყავით, არადა, ჩემს ბიჭს ხალხმრავლობა უნდოდა: სტუმრები არ მოვლენო? — წამდაუნუნე კითხულობდა და გული დასწყდა, მარტონი რომ დაფრჩით. სამაგიეროდ, შობას ვიხალისეთ: ჩემი უფროსი ვაჟი — დათო, მისი ფეხმძიმე მეუღლე ნინო და მათი წლისა და თვეების ირაკლი შემოგვიერთდნენ.

— როგორც მახსოვს, დათოც მუსიკოსია, ხომ?

— ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ, ფაქტობრივად, მუსიკოსია. ახალ წელსაც იმიტომ ვერ შევხვდით ერთად, რომ ქუთაისში ჰქონდა კონცერტი.

თქმური:

— მეც და დათოც აგული ერისთავივით ვართ: „პიპინია გოგორილ, იდი ვ კავალერიიუ, ა ია პოშოლ ვ აკადემიიუ“ (იციინის).

ია:

— აი, შობას კი ვიმღერეთ, რა თქმა უნდა — „ალილო“. შობის შემდეგ, ძველით ახალ წლამდე კიდევ ერთ მომღერალ ოჯახში ვიყავით — დათოსთან, ჩემს ძმასთან. იქ მართლაც კონცერტი მოვანწყვეთ — ხან პიპინი-ნოზე ვუკრავდით, ხან გიტარაზე, ყველანი ვმღეროდით — თემო, ორივე დათო, მე და ჩემი რძალი.



**თემაური:**

— უმცროსი დათუნას ირაკლი-მაც კი „დაუკრა“ პიანინოზე. უკვე ეტყობა, რომ კარგი სმენა აქვს — „იაო-უაო“ თავის ენაზე წაიმღერა და პიანინოზე ბოლო აკორდიც ზედმინევით ზუსტად დააბრაზუნა. მოკლედ, შესანიშნავად ვიზნარულეთ, მაგრამ ამ საახალწლო დღეებში გადავიღალე კიდეც — რეპეტიციები მქონდა, თემურ ყვითელაშვილის 10 იანვრის კონცერტისთვის ვემზადებოდით. თანაც, დილის 10 საათზე გვიბარებდა და ხომ იცი, რა ზეპუნქტუალურია, წამსაც ვერ დაავიანებ. იქიდან მოსული კიდეც, გვიანობამდე ნოტებს ვწერდი და ა.შ. ღამით მიყვარს მუშაობა, მაგრამ სამაგიეროდ, დილით უნდა გამოვიძინო ხოლმე. ახლა ეგეც ვერ მოვახერხებ და, მოკლედ, ამ საახალწლოდ მეტისმეტად გამოუძინებელი დავრჩი.

საუბრისას ანდრიაც შემოგვიერთდა და მომახარა, — თოვლის ბაბუამ ოცნება ამისრულა, ჩემი წერილი წაიკითხა და ნაძვის ხესთან ღამაზად შეფუთული სკეიტბორდი დამახვედრაო. მერე სასწრაფოდ გამომირბენინა საჩუქარი და ოთახში გააქროლ-გამოაქროლა. ბოლოს იქვე ჩამომიჯდა და ჩემს კითხვებზე პასუხიც დააპირა, მაგრამ მშობლები ამკარად ხელს უშლიდნენ — კიდეც უფრო გააქტიურდნენ და ყველაფერს თავად პასუხობდნენ. თუმცა, მალევე აღვკვეთე მათი „პირდაპირი ჩართვა“ და ანდრიასაც ხელ-ფეხი გაეხსნა:

— იცი, როგორ ველოდებოდი

თოვლს?! ერთხელაც არ ამიშენებია თოვლის პაპა (დედა კი ამბობს, პატარაობისას გააკეთე და არ გახსოვსო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? რადგან არ მახსოვს, ე.ი. არ ამიშენ-



ინოლა გურგულია ოჯახთან ერთად

ებია) და ძალიან მინდა, თოვლი მოვიდეს — სამ დიდ გუნდას გავაკეთებ და სამსართულიან თოვლის პაპას ავაშენებ.

— ანდრია, ოჯახის საახალწლო სამზადისში, გარდა ნაძვის ხის განყოფისა, სხვაგვარადაც მონაწილეობდი?

— იას სუფრის გაშლაში მივეხმარე — ვიცი, ჩანგალი და დანა სად უნდა დავაწყო, კიდეც, წინსაფარი მაქვს და რალაცები მიმქონდა სუფრასთან. რომ გავიზრდები, მინდა, საკუთარი რესტორანი ავაშენო.

— მახსოვს, წლების წინ მითხარი,

**არქიტექტორობას ვაპირებო. გადაიფიქრე?**

— კომპიუტერში უკვე მთელი ქალაქი ავაშენე — სახლები, აუზები და კიდეც ბევრი რამ. მართლა ვაპირებ-

დი არქიტექტორობას, მაგრამ ახლა აღარ ვიცი, არქიტექტორი გამოვალ თუ არა. საკუთარი რესტორანი მინდა, სადაც ორიგინალურ კერძებს მოვამზადებ. წვენებს და ლიმონათებს ახლაც ხშირად ვაკეთებ.

— კერძების მომზადებაც გეხერხება?

— კი. მაგალითად, კატლეტის ინგრედიენტი მაქვს მოფიქრებული, მაგრამ საიდუმლოა და ვერ გაგიმხელთ. ერთხელ დამესიზმრა უგემრიელესი ბურგერი, სიზმარშივე რამდენჯერმე ვცადე გაკეთება... მერე სინამდვილეშიც ვცდი დაიმედი მაქვს, გამომივა. მაგალითად, შემეძლია, ვთქვათ, ვაშლი არ შევჭამო და ისე ვიგროძნო მისი გემო (უმალ ასახიერებს. — ავტ.).

— არტისტულიც ყოფილხარ. მსახიობობაზეც ხომ არ იფიქრებდი? ია:

— არტისტული მართლაც არის, მაგრამ ჯერჯერობით მსახიობობაზე არ ფიქრობს. სიმღერაც ნაკლებად ეხერხება, უფრო სწორად, არ მღერის...

ანდრია:

— სკოლაში ათიანი გამომყვა სიმღერაში. კლასიკას გავდივართ. ბევრი ქართული სიმღერა ვიცი, რა თქმა უნდა — ბებოს სიმღერებიც. ბებოს ყველა სიმღერა მომწონს და მიყვარს...

— ია, თემო, ბევრი ახალი წელი გა-



ახალ წელს იმიტომ ვერ შეგხვდით ერთად, რომ დათოს ქუთაისში ჰქონდა კონცერტი



ვიდა მას შემდეგ, რაც თქვენ ერთმანეთს იცნობთ, გაცილებით ნაკლები — რაც შეუღლდით. პირველად სად და როდის შეხვდით ერთმანეთს?

ია: — ბალაშვილების პროექტმა — „მღერიან და ხუმრობენ თეატრისა და კინოს ვარსკვლავები“ შეგვახვედრა. იქ მონაწილეობისთვის სიმღერას ვამზადებდი და მახსოვს, მკითხა, — რას მღერიო? ვუპასუხე: „ქარი კვლავ არხევს“ უნდა შევასრულო-მეთქი...

თქვენი:

— მთლად მასე არ იყო. ჩვენ გვყავდა საერთო ახლობელი, მსახიობი დათო დოლიძე — „ტაჰამატა“, შენც

სიმღერამდეც მომეწონა. სტუდიაში შესვლისთანავე შევნიშნე, იქვე კარგი გოგო რომ იდგა... თანაც, კარგად იმღერა, თანაც — დედამისის სიმღერა, ჩემთვის სანუკვარი და... მეტი რაღა უნდა მომხდარიყო პირველი შეხვედრისას?! მერე კი ნელ-ნელა დავმეგობრდით. მაგრამ მანამდე კიდევ ერთი ამბავი იყო, ჩემი სიყმაწვილის დროინდელი: მუსიკით გატაცებული 14 წლის მოზარდი ვიყავი, რაღაც ანსამბლში მოვხვდი, „სულიკო“ ერქვა და საახალწლოდ ტელევიზიის პირველი არხის გადაცემა „იავნანაში“ მიგვიწვიეს. იმავე გადაცემაში მოიწვიეს ინოლა გურგულიაც, რომელიც გადაღებაზე

დი. გათხოვებაზე აღარც ვფიქრობდი. საკმაოდ ძლიერი, უშიშარი და ამტანი ვიყავი, გვერდით მყავდნენ ძმები: მამუკა სალუქვაძე დედას პირველი ქორწინებიდან, დათო და მერე — დიტოც, 15 წლით უმცროსი ძმა, მამას მეორე ქორწინებიდან, რომელიც ფაქტობრივად, შვილივით გავზარდე. თემურს კი დიდ პატივს ვცემდი, საუკეთესო მეგობარი იყო, ერთგული და მოსიყვარულე, მაგრამ დაოჯახება არ მინდოდა. მერე მამაც გარდაიცვალა, მამუკაც და ჩემი დედობილიც. ძალიან გამიჭირდა.

თქვენი:

— მერე მეც წავედი საქართველოდან, ორი წელი იალტაში ვიყავი. რომ ჩამოვედი, ურთიერთობა აღვადგინეთ, მერე კი... გავიპარეთ. ვხუმრობდი კიდევ, ვიდრე ძილში გავიპარებოდით, ასე გაპარვა ვამჯობინეთ-მეთქი, — აბა, მე უკვე 47 წლის ვიყავი, ია — 37-ის (იციინის).

ია:

— სპონტანურად გადავწყვიტეთ: წეროვანში მეგობრები შევიკრიბეთ, ვმხიარულობდით და ერთ-ერთმა იხუმრა, ახლავე ჯვარი უნდა დაგწერთო. გამოიტანა ეს ჯვარი (მიჩვენებს. — ავტ.), გადაგვსახა და მერე გვაჩუქა კიდევ. მეორე დღესვე ბინა ვიქირავეთ და ცალკე დავსახლდით, მერე კი ეს ბინა ვიყიდეთ. საქორწინო მოგზაურობა იალტაში მოვიწყვეთ — ჩემი არჩევანი იყო, რადგან სულ ვნატრობდი იქ მოხვედრას. ერთ წელიწადში ანდრიაც გვეყოლა...

— ძველით ახალი წელია და წარმოიდგინეთ, მისალოცს უგზავნით საქართველოს. რას უსურვებდით ჩვენს ქვეყანასა და ხალხს?

— მოლოცვას სამ სიტყვაში ჩავტევ: ჩემს ხალხს ჯანმრთელობას, ბარაქასა და მშვიდობას ვუსურვებ!

თქვენი:

— თითოეულ მოქალაქეს ერისთვის, ქვეყნისთვის სარგებლის მოტანას ვუსურვებ და თუ ვერაფერს შემატებს, იმას მაინც ნუ გაანადგურებს, რაც წინაპრებს აქამდე მოუტანიათ. და კიდევ, ბებიაჩემმა იცოდა თქმა: ჯანი და ხერი გქონდესო! მეც იმავეს ვუსურვებ ჩემს ქართველებს.

ანდრია:

— ტელევიზორში თქვეს, 9 მილიონ წელში დედამინას მზე დანვავსო. მე მთელ დედამინას, თავისი ხალხითა და შენობებით, ვუსურვებ, რომ გადარჩეს.



საკუთარი რესტორანი მინდა, სადაც ორიგინალურ კერძებს მოვამზადებ

კარგად იცნობ. იას თორაძის ამ რომანისსი გაკეთება რომ მოუნდომებია, დათოს ურჩევია, თემური გააკეთებს კარგად. ასე შეხვდით სტუდიაში.

ია:

— ანგი ხმალაძესთან შეხვდით. ეს სიმღერა განსაკუთრებულად გამორჩეული იყო ჩემთვის და ვნერვიულობდი, ვაითუ, ზუსტად ისე არ დამიკრას, როგორც მინდა-მეთქი. პირველი აკორდის აღებისთანავე შევებით ამოვისუნთქე — ორკესტრივით დამიკრა. აუ, რა ამოვისუნთქე!..

თქვენი:

— სხვათა შორის, მეც ანალოგიური განცდა მქონდა: ჩემთვისაც განუმეორებელი იყო თორაძისა და ინოლას ეს რომანსი და ვფიქრობდი, შვილმა შეიძლება ვერც იმღეროს კარგად და მერე რა ვქნა-მეთქი, მაგრამ... ძალიან მომეწონა. ისე, ია

თავისი ორი პატარა შვილით მოვიდა. ცხადია, ინოლა ყველას ყურადღების ცენტრში მოექცა, შესაბამისად, ყველას ყურადღებას იქცევდნენ მისი შვილებიც. სწორედ იქ ვახე პირველად 4 წლის ია და მისი ძმა — დათო, ორი ძალიან საყვარელი ბავშვი.

ია:

— ჰოდა, იმ დღიდან ვახსოვარ, მაშინ დამადგა თვალი (იციინის).

თქვენი:

— აბა, ინოლას შვილებს არ დავიმახსოვრებდი?! მერეც, ფაქტობრივად, ინოლამ „შეგვახვედრა“ და დაგვაახლოვა.

ია:

— მაგრამ კარგა ხნის შემდეგ დავქორწინდით. ძალიან დიდხანს მელოდა — 10 წელი ვმეგობრობდით (ილიმის). თემურიმდე მყავდა მეუღლე, რომელთანაც დათო შემეძინა და რომელსაც 4 წლის შემდეგ დავცილ-



# საახალწლო კონცერტის რთული სამზადისი და ამბანი მომღერლები



„მთავარი იყო,  
ძალიან არ შეგვცვივნოდა“ ...

2016 წლის შესაგებებლად დაგეგმილ საახალწლო კონცერტს, რომელიც თავისუფლების მოედანზე გაიმართა, ახალგაზრდა დირიჟორი მირიან სუსუნაიშვილი დირიჟორობდა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ოპერის მომღერლები, უკრავდა თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ორკესტრი და იქვე იყო გუნდიც. შესრულდა არიები სხვადასხვა ოპერიდან, ხოლო კონცერტის მეორე ნაწილში, ოპერისა და ესტრადის მომღერლებმა დუეტში შეასრულეს მსოფლიოში ცნობილი საშობაო სიმღერები. ღონისძიების წამყვანებმა და თითოეულმა მონაწილემ შეუდარებელი ამბანობა გამოიჩინეს იმისთვის, რათა გაუსაძლის სიცივეში არაერთი საათი გაელამაზებინათ მოედანზე შეკრებილი ხალხისა და ტელეეკრანებთან მსხდომი მაყურებლებისთვის.

## ანა კალანდაძე

ვინაიდან 31 დეკემბრის ღამეს სცენიდან უმთავრესად კლასიკური მუსიკა ისმოდა, მიმა მდინარაძის პროექტი მანამდეც და კონცერტის შემდეგაც განხილვის თემად იქცა. თუ როგორ დაიგეგმა კონცერტი და რა იყო ღონისძიების ორგანიზატორების ძირითადი გათვლა? — ამ და სხვა შეკითხვებზე მირიან ხუხუნაიშვილმა მიპასუხა. ახალგაზრდა დირიჟორი შობა-ახალ წელს თბილისში შეხვდა და შემდეგ პოლონეთში გაემგზავრა. ის კრაკოვისა და თბილისის კონსერვატორიებში სწავლობს, კრაკოვშივე ხელმძღვანელობს პოლონელების გუნდს და მათ ქართულ ხალხურ სიმღერას ასწავლის.

— მირიან, როდის გადაწყვეტა, რომ საახალწლო კონცერტს უდირიჟორობდი?

— მოგეხსენებათ, იდეისა და პროექტის ავტორი მიმა მდინარაძეა. მასვე ეკუთვნოდა 2015 წლის „თბილისობის“ კონცერტის პროექტი, რომელსაც ასევე მე ვდირიჟორობდი. „თბილისობის“ კონცერტის შემდეგ, მიმამ ახალი წლის კონცერტის პროექტი თბილისის მერიის ნარადაგინა, ჩაატარა პრეზენტ-

აცია, ხოლო ნოემბრის დასაწყისში შეატყობინეს, რომ მოინონეს და შეგვეძლო, საქმეს შევდგომოდით. პარტიტურების მომზადება პოლონეთში დავინწყე, პარალელურად მიმა საშობაო სიმღერების შერჩევასა და არანჟირებაზე მუშაობდა. სოლისტებთან არანჟირებრივი რეპეტიტორი, ნათია აზარაშვი-

მარისად — არა, ამიტომ მონაწილეთა უმრავლესობა გაცივებულია და ავადმყოფობს. გათბობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა და არ ვიცი, ეს ვინმეს არაკომპეტენტურობის ბრალი იყო თუ სხვა მიზეზით მოხდა. ვიცოდით, რომ ღია სივრცეში უნდა ჩაგვეტარებინა კონცერტი და არ გვექონდა პრეტენ-

სცენა თბებოდა, მაგრამ საკმარისად — არა, ამიტომ მონაწილეთა უმრავლესობა გაცივებულია და ავადმყოფობს

ლი მუშაობდა. დღეში ათ საათს ვატარებდი კომპიუტერთან და ინტერნეტის მეშვეობით მქონდა კავშირი მიშასთან და ნათიასთან. თბილისში 13 დეკემბერს ჩამოვედი, წინასწარ რეპეტიციო სამუშაო ჩავატარე და 21 დეკემბერს უშუალოდ ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრთან დავინწყეთ რეპეტიციები. კონცერტში მონაწილეობდნენ: ამავე თეატრის გუნდი, საოპერო მომღერლები, სხვადასხვა ცნობილი ქართველი საესტრადო მომღერლები და ჯგუფი „ირიან“.

— მანდილოსნებს საკმაოდ ღია სამოსი ეცვათ. სცენა თბებოდა?

— სცენა თბებოდა, მაგრამ საკ-

ზია სითბოზე, მთავარი იყო, ძალიან არ შეგვცვივნოდა... ინსტრუმენტების ჟღერადობისთვისაც ძალიან ცუდია სიცივე — ეს განსაკუთრებით, ხის ინსტრუმენტებს ეხება. თუმცა, ორკესტრმა ძალიან მოინდომა, რომ მაქსიმალური შედეგი მიგველო და ჩვენი ნაშრომი მსმენელამდე მიგვეტანა.

— როცა ცნობილი გახდა, თუ რა შინაარსის იქნებოდა მიმა მდინარაძის საახალწლო პროექტი, საზოგადოების აზრი ორად გაიყო: ზოგი მიესალმებოდა კლასიკურ მუსიკას, ზოგიც ეჭვის თვალით უყურებდა ჩანაფიქრს, კითხულობდნენ, — უნდა თუ არა ახალი წლის ღამეს



**მსმენელს ოპერაო?.. ალბათ, თქვენც გასმენიათ ამის შესახებ.**

— დიახ, რა თქმა უნდა, და ამან ძალიან დამაფიქრა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია, ოპერა ამ დოზით მიგვეწოდებინა მსმენელისთვის, იყო 17 ოქტომბრის „თბილისობის“ კონცერტი: მაშინ დაახლოებით 20 წუთი დაეთმო საოპერო არიებს. ეს იყო ცნობილი არიების ერთგვარი პოპური, რომელსაც სცენაზე მომღერალი ასრულებდა. არიებს შორის გავაკეთე ერთგვარი „ხიდები“, ერთი არია მეორეს ისე ებმოდა, რომ მუსიკა არ ჩერდებოდა. ოთხი ნაწილისგან შემდგარი კონცერტის ამ ნაწილს მეიდანზე ყველაზე დიდი აპლოდისმენტები და ოვაცია მოჰყვა. სწორედ ამან გადაგვანყვეტინა საახალწლო კონცერტში საოპერო ნომრების გაზრდა. ერთგვარი რისკიც იყო, თუმცა, ისეთი არიები და დუეტები შევარ-

მიანები, ვინც იმღერებდა და მოუხდებოდა კონკრეტულ კომპოზიციას და არა — პირიქით. სიცვიემ ბევრი რამ გააფუჭა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კონცერტი გაიმართა, რისკი გამართლდა და შამპანურიც დავლიეთ (იღიმის).

**— ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ მუსიკოსების აზრია მნიშვნელოვანი. თუ გაცვანი სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა შთაბეჭდილებებს?**

— რასაკვირველია. კონცერტს დადებითი შეფასება მოჰყვა, ბევრი სოციალურ ქსელში წერდა და პირადადაც მოვისმინე, რომ ასეთი საახალწლო განწყობის კონცერტი არც ერთ წელს არ გამართულა. ბევრი ვიშრომეთ და ვფიქრობ, ჩანაფიქრმა გაამართლა. აქვე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მიშა მდინარაძეს, რომელთანაც წლებია ვთანამშრომლობ და მენდობა. ასევე, მადლობა ყველა მონაწილეს, რომ-

ბუნებრივი ხდება. სამწუხაროდ, ოპერა იშვიათად ისმის ტელეეთერთა თუ ლია სცენაზე. ვფიქრობ, ხალხი მონატრებულია და ამიტომ სიამოვნებით მიიღო საახალწლო კონცერტი. ქართველმა ხალხმა ოპერა შემოსვლისთანავე შეიყვარა: XIX საუკუნეში, როდესაც თბილისში პირველად დაიდგა საოპერო სპექტაკლი, ქალაქის ქუჩებში ყველა, დიდი და პატარა, ღიღინებდა ცნობილ არიებს. ბოლო რამდენიმე წელი, თეატრის რემონტის გამო, საოპერო მუსიკა თბილისში ნაკლებად ჟღერდა და ხალხს მონატრებული მუსიკა ამ კონცერტზეც შევთავაზეთ. ჩემი და ჩემი კოლეგების ერთ-ერთი მთავარი ტკივილი — მუსიკალური გემოვნების პრობლემაა. ვფიქრობ, ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფომ და ტელე-რადიომაუწყებლობამ უფრო აქტიურად უნდა იზრუნონ — გაუნიონ პოპულარიზაცია მაღალი გემოვნების მუსიკას.

**— როდის და სად მოგინია პირველად ორკესტრის დირიჟორობამ?**

— ჩემი პირველი კონცერტი ორკესტრთან შედგა ზაზა მარჯანიშვილის საავტორო სალამოზე „საჩუქარი თბილისს“. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი. ზაზა და მე სხვა საკითხთან დაკავშირებით შევხვდით ერთმანეთს და საუბრის შემდგომ მითხრა, რომ შემეძლო, ორკესტრი შემეკრიბა და მისი კონცერტისთვის მედირიჟორა. 2012 წელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებული ის კონცერტი ჩემთვის დაუფინყარია. შემდეგ ვუდირიჟორე კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილ სალამოს, ჩემი ახლო მეგობრის, მიხეილ მდინარაძის საავტორო კონცერტს და ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოების ცერემონიას. ამის შემდგომ მომეცა საშუალება, არაჩვეულებრივი პროექტისთვის — „წერილები ყანჩელს“ შემეკრიბა ორკესტრი და მედირიჟორა. სხვათა შორის, სასიამოვნო დამთხვევა მოხდა: კრაკოვში სადოქტორო თემად გია ყანჩელის მუსიკა ავირჩიე. დავით მაღაზონიასგან შემოთავაზება რომ მივიღე, გია ყანჩელის საიუბილეო სალამოსთვის მედირიჟორა, ეს ჩემთვის დიდი სიხარული იყო. ამ პროექტის მეშვეობით საშუალება მომეცა, ბატონი გია გამეცნო და



კონცერტს დადებითი შეფასება მოჰყვა

ჩიეთ, რომ იმ ადამიანებისთვისაც მისაღები ყოფილიყო, ვინც კარგად არ იცნობს ოპერას. თითოეულ ნომერზე ბევრი ვიფიქრეთ და ვიმსჯელებთ. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ბევრმა მომღერალმა თავადაც გამოთქვა პროტესტი, თუ რატომ ვერ მოხვდა კონცერტის მონაწილეთა სიაში. ჩვენ შევადგინეთ პროგრამა და მხოლოდ ამის მიხედვით შევარჩიეთ მომღერლები ანუ პროგრამას მოვარგეთ ის ადა-

ლებიც სამსაათ-ნახევრის განმავლობაში ყინვაში უკრავდნენ და მღეროდნენ სცენაზე.

**— გამოითქვა ასეთი აზრიც: „პროექტის ავტორებმა იზრუნეს საზოგადოების გემოვნების ამაღლებაზე“. საერთოდ, ოპერას — არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში — თავისი აუდიტორია, მცირერიცხოვანი მსმენელი ჰყავს...**

— რა თქმა უნდა, იყო ასეთი გათვლა. საერთოდ, საზოგადოებას რასაც ხშირად მიანვდი, მისთვის



არა მხოლოდ მისი საღამოსთვის მიდირიჟორა, არამედ პირადად მეკითხა ის, რაც მის მუსიკასა და ცხოვრებასთან დაკავშირებით მინტერესებდა. ამის შემდეგ იყო დათო ევგენიძეს საიუბილეო საღამო. რაც შეეხება 26 მაისის დასკვნით კონცერტს: საშუალება მომეცა, განსხვავებული ჟანრების გამორჩეულ მუსიკოსებთან მუსიციერებისა, რისი საშუალებაც არც ისე ხშირად ეძლევათ დირიჟორებს. დიდ მადლობას ვუხდით ორგანიზატორებსა და მუსიკალურ ხელმძღვანელს, დათო ევგენიძეს, რომ ასეთი ახალგაზრდა, ამ მასშტაბურ და მნიშვნელოვან ღონისძიებაში ჩამართო.

**— მაგისტრატურა კრაკოვის მუსიკალურ აკადემიაში გაიარე და ახლა, როგორც ვიცის, დოქტორანტურაში სწავლობ, ხომ?**

— კრაკოვის მუსიკალური აკადემიის დოქტორანტურის მეორე კურსზე სწავლის პარალელურად, თბილისის კონსერვატორიაშიც მაგისტრატურის მეორე კურსზე, საგუნდო-სადირიჟორო ვსწავლობ. ამის გამო, თბილისსა და კრაკოვს შორის ხშირი მიმოსვლა მიწევს.

**— სწავლის დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით გქონდა გაურკვეველობა. როგორ გადაწყდა ეს საკითხი?**

— დიახ, იყო დაფინანსების პრობლემა, რომელიც ნაწილობრივ გადაწყდა. სწავლის საფასურს ფონდი „იავნანა“ მიფარავს და მიწადა, დიდი მადლობა გადავუხადო ფონდსა და მის პრეზიდენტს, პაატა ბურჭულაძეს; გარკვეული ფინანსური დახმარება ასევე გამიწია თბილისის მერიამ და მასაც მადლობას ვუხდით.

**— მოკლედ, განვლილი გზის შესახებაც მოგვიყვი. ადრე მღეროდი და მინტერესებს, ახლა თუ გრჩება ამისთვის დრო?**

— მუსიკალური ნიჭი მამისგან მომყვა. ის პროფესიით არქიტექტორი და ამავდროულად, მომღერალი იყო. სხვადასხვა ანსამბლში მღეროდა, მათ შორის — „ერისიონსა“ და „რუსთავში“. ხუთი წლის ვიყავი, როცა ბავშვთა ანსამბლ „მართვეს“ სკოლაში შემეყვანეს. ხუთწლიანი კურსის წარჩინებით დამთავრების შემდგომ ანსამბლში მიმიღეს, სადაც 8 წელი ვმღეროდი. „მართვეში“ ყოფნის პერიოდში შევისისხლხორცე ქართული ფოლკლორი. ასევე, საშუალება მომეცა, გამოცდილება

მიმელო კლასიკურ მუსიკაშიც: 10 წლის ვიყავი, როდესაც ვახტანგ კახიძემ ანსამბლებიდან — „მართვე“ და „მძლევარი“ 16 ბიჭი შეგვარჩია მისი ნაწარმოებების შესასრულებლად და შვეიცარიაში გავემგზავრეთ. შვეიცარიის არმიის ლითონის ჩასაბერ ორკესტრთან ერთად, 10 ქალაქში ჩავატარეთ კონცერტები და ჩავწერეთ კომპაქტ-დისკი. შეიძლება ითქვას, ეს იყო ჩემი პირველი შეხება ორკესტრთან და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ალტაცებული ვუყურებდი დირიჟორს, მის ფესტიკულაციას და, როცა მარტო ვრჩებოდი, ვცდილობდი ხოლმე გამეორებას. როგორც ჩანს, ეს ემოციები ჩემში დაილექა და მოგვიანებით გამოხატულება პოვა. ხუთწლედის დამთავრების შემდეგ, სწავლა განვაგრძე კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ ათწლედში — საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაში სპეციალობით, ჯერ პროფესორ მენუელი თოფურისა, შემდეგ კი პროფესორ ლია ჭონიშვილის კლასში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს მუსიკოსად ჩამოყალიბებაში. ამას მოჰყვა კონსერვატორია, სადაც კვლავ ქალბატონი ლიას ხელმძღვანელობით განვაგრძე სწავლა. რაც შეეხება სიმღერას: თბილისში როცა ვარ, საბურთალოს პანთეონის წმ. ნინოს სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდში ვგალობ. პოლონეთში წამოსვლამდე, 5 წელი ამ გუნდის რეგენტიც ვიყავი. კრაკოვში პოლონეთის რადიოს გუნდთან ვთანამშრომლობ. კრაკოვში, ორგანიზაციის — „ხიდი საქართველოსთან“ ბაზაზე



ქეთი ერთი წლის განმავლობაში იყო საქართველოს ახალგაზრდა ელჩი პოლონეთში

იმედი მაქვს, ამ ინსტრუმენტებზე დაკვრასაც აითვისებენ.

**— მეუღლეს კრაკოვშია?**

— დიახ, ქეთი კრაკოვშია. ჩემმა მეუღლემ წელს მოიპოვა პოლონეთის განათლების სამინისტროს სტიპენდია, სრულად უფინანსებენ სწავლისა და ცხოვრების ხარჯებს. კრაკოვის ეკონომიკის უნივერსი-

**პოლონელებს ჩონგური უკვე ჩავუბრუნე, ახლა ფანდური და სალაგური მინდა წავუღო**

ჩამოვაცალიბე გუნდი, რომლის რეპერტუარშიც მხოლოდ ქართული ხალხური, ქალაქური და სასულიერო მუსიკაა. გუნდი მხოლოდ პოლონელი მომღერლებისგან შედგება, ხოლო მისი წევრების ასაკი 22-დან 60 წლამდე მერყეობს. მოყვარული მომღერლები არიან და საქართველოს სიყვარული აერთიანებთ. დიდი სურვილი აქვთ, ისწავლონ ხალხურ საკრავებზე დაკვრაც. ჩონგური უკვე ჩავუტანე, ახლა ფანდური და სალაგური მინდა წავუღო და დიდი

ტეტის მაგისტრატურაში სწავლობს. ქეთი ერთი წლის განმავლობაში იყო საქართველოს ახალგაზრდა ელჩი პოლონეთში. უამრავი ღონისძიება ჩაატარა საქართველოს პოპულარიზაციისთვის: ამას წინათ დავთვალეთ და პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში 40-მდე „ქართული დღე“ ჰქონდა ორგანიზებული. როგორც მოხალისე, კრაკოვში, ორგანიზაციაში — „ხიდი საქართველოსთან“ დაახლოებით 50 პოლონელს ასწავლის ქართულ ენას.



# ნაძვის ხეზე დაკიდებული ოცნებები

## ინგა ჯაყელი

„გზის“ ერთგული მკითხველი ინტერნეტით დამიკავშირდა:

— ძალიან მიყვარს ის საახალწლო ამბები, ტრადიციად რომ იქცა ჟურნალის ფურცლებზე და პირადად მე, საოცარი სიტოთი მავსებს ზღაპარს მიმსგავსებული ცხოვრებისეული სიუჟეტები, რომლებიც შეიძლება, არც დამეფერებინა, მსგავსი რამ თავად რომ არ გადამხდენოდა და მომინდა, ჩემი ამბავიც მომეყოლა თქვენთვის. ოღონდ, ვინაობის გამჟღავნებას ნუ მომთხოვთ. საქართველოში პოპულარული ვარ და არ მინდა, ხალხს ზედმეტი სალაპარაკო მივცე. თქვენი კოლეგები ისედაც ცდილობენ სენსაციად აქციონ ჩემი ცხოვრება და განვლილი გზა. არადა, მშვიდ და ნყნარ ცხოვრებას არაფერი ურჩევნია...

მამაკაცმა, რომელიც გოგიტად გამეცნო, მართლაც „გემრიელი“ რამ მიაბო:

— ახლა ვარ ცნობილი, თორემ დაახლოებით ოცდაათი წლის წინ ერთი გამოუსვლელი სოფლელი ბიჭი ვიყავი, რომელსაც ხატვა უყვარდა. არქიტექტორობაზე ვოცნებობდი და დედაქალაქში ჩამოსული თვალებს ვაცეცებდი, რომ შენობები დამემახსოვრებინა და ქუჩაში არ დავკარგულიყავი. მამაჩემის ბიძაშვილმა შემეფარა, რომელსაც ყოველ ზაფ-

ხულს ვმასპინძლობდით სოფელში. ის ყოველთვის მეუბნებოდა: როცა სწავლის გაგრძელებას თბილისში გადაწყვეტ, იცოდე, ჩემს ოჯახში ისევე შინაურად უნდა იგრძნო თავი, როგორც ჩვენ თქვენს სახლში გვისარია მოსვლაო. ასე კი მაიმედებდა, მაგრამ მართლა რომ მივადექი კარს, მალე მივხვდი, არ ვიყავი სასურველი სტუმარი. ოროთახიან ბინაში ხუთი სული ცხოვრობდა და მართლა არ იყო იქ ჩემი ადგილი. ამიტომ გალიზიანდნენ და ალბათ ლოცულობდნენ, რომ მისაღებ გამოცდებზე ჩავეჭრილიყავი...

საბედნიეროდ, გამიმართლა და სტუდენტი გავხდი. რაც მთავარია, საერთო საცხოვრებელშიც გამომიყვეს ადგილი და ეს ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ლარიბ ნათესავებთან სამზარეულოში გაშლილ „ლეჟანკაზე“ ძილი...

პირველსავე კურსზე შემეყვარდა ლალი. ჩემი კურსელი ულამაზესი გოგო, რომელიც აშკარად არ იყო ნიჭიერი და მიკვირდა, რა უნდოდა ჩვენს ფაკულტეტზე, მაგრამ მერე თავად წამოსცდა: მამაჩემის ნაცნობმა სადაც მოახერხა, იქ მომანყო, თორემ არასოდეს ვყოფილვარ ისე ნიჭიერი, რომ საკუთარი ჭკუით მოვწყობილიყავი უმაღლესშიო. ლალის მამა უნივერსიტეტის დირექტორი იყო და ფულიან კაცად ითვლებოდა. ერთადერთ შვილს არაფერს აკლებ-

და. ორი წელიწადი მე ვუკეთებდი საყვარელ გოგოს საკურსოებს და ასე გადადიოდა კურსიდან კურსზე. კარგა ხანს ვერ ვუტყუდებოდი სიყვარულში. მერე დავინახე, რომ ვიღაც ბიჭი აკითხავდა ლექციების შემდეგ ხან ფეხით, ხანაც — მანქანით და შემეშინდა მისი დაკარგვის...

ახალი წელი მოდიოდა და რაც შემეძლო, ის გავაკეთე: ცოცხალი ნაძვის ტოტებისგან ლამაზი ნაძვი ავანყვე. ფერადი ბაფთებით მოვრთე, როგორც ნატვრის ხე და მართლაც თითოეული ბაფთა თითო ოცნებასთან დავაკავშირე: სიყვარული, ლამაზი ოჯახი, ერთგული ცოლი და ლამაზი შვილები ვინატრე. შუაგულში დედის ნაქონი ოქროს ბეჭედი ჩავმაღე და 31 დეკემბრის საღამოს ასეთი „საჩუქრი“ ხელდამშვენებული მივადექი ლალის სახლის კარს, რომ მშობლების წინაშე გამოვტყუდომოდი სიყვარულში და ხელი მეთხოვა...


კარი თავად გამიღო. გაუკვირდა ჩემი დანახვა, მაგრამ გაუხარდა და შინ შემეპატიჟა: ბენზე მომისწარი. რესტორანში ვარ დაპატიჟებული და სადაცაა მომაკითხავს ჩემი საქმროო! — თავად კი მშვიდად მითხრა, მაგრამ მე თვალეში დამიბნელდა და ლალის კარში წავიქეცი. ძლივს ამოვოღულულუდე:

— ხომ იცი, რომ მიყვარხარ და ახლა შენი ხელის სათხოვნელად მოვედი...

დაიბნა, მაგრამ სიმართლე მაინც არ დაუმალავს:

— ვგრძნობდი, რომ გულგრილი არ იყავი ჩემ მიმართ, მაგრამ მეგონა, ამაზე სმამალა არასოდეს დამელაპარაკებოდი, რადგან განსხვავებული სოციალური მდგომარეობა გვაქვს და უნდა ხვდებოდე, რომ ჩემნაირი გოგო ვერ იცხოვრებს იმ პირობებში, შენ რომ გაქვს...

რალა აზრი ჰქონდა იქ დგომას და წამოვედი, სიტყვა აღარ დამიძრავს. ლალის სახლის წინ პარკი იყო და იქ შევედი, ჩამოვჯექი, რადგან ცუდად ვგრძნობდი თავს. უნებურად გავხდი იმისი მოწმე, როგორ მოაკითხა ლალის „საქმრომ“ და წაიყვანა. ძალიან უბედური ვიყავი იმ წუთში, მაგრამ უცებ, ტირილის ხმა შემომესმა და ჩემი უბედურება დამავიწყდა — გვერდითა სკამზე ატირებული ლამაზი გოგო დავინახე. ვკითხე, — რა გი-



ძალიან მინდოდა, ერთგული ცოლი და ბევრი შვილი





# კლუბებში გატარებული ახალი წელი და კურიოზული შეკვეთები

რეი ჩარლზის „დედათი“ დაწყებული პარიმრა



**დიჯეი გიგა პაპასპირის მიქსები, კლუბური და ელექტრონული მუსიკის მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. 24 წლის დიჯეი ქართველმა მსმენელმა, მის მიერ გარემიქსებული რეი ჩარლზის „დედათი“ გაიცნო — ეს იყო ტრეკი, რომელიც უამრავმა ადამიანმა აიტაცა.**

გიგა სოხუმში დაიბადა. 2 წლის იყო, როცა იქაურობის დატოვება მოუხდა და მშობლიურ ქალაქს მხოლოდ ფოტოებით იცნობს. ახალგაზრდა დიჯეის ოცნებად აქვს, რომ ოდესმე აფხაზეთში დაბრუნდეს, სადაც აფხაზი და ქართველი ახალგაზრდებისთვის საერთო, მხიარულ და სიყვარულით სავსე „ივენტს“ მოაწყობს... როგორ ერთობიან ქართველები ლამის კლუბებში, რა მუსიკას უსმენენ და ზოგადად, როგორია ლამის თბილისი? — ამის შესახებ გიგა გვიამბობს. ცნობისთვის, ის რამდენიმე თბილისურ კლუბში უკრავს.

## ლალი პაპასპირი

— დედაჩემს ყოველთვის უნდოდა, მუსიკას გაეყოლოდი. სმენა და ნიჭი მქონდა და მეც, კონსერვატორიაში ჩავაბარე. დედას ეგონა, მუსიკას თუ ავირჩევდი, ქუჩაში დგომას, ღამე გვიანობამდე გარეთ ყოფნას ამარიდებდა... დედისერთა ვარ და ხომ ხვდებით, მთელი ოჯახი შემომცინებდა. კონსერვატორიაში სწავლის დასრულების შემდეგ, რაღაც დროის განმავლობაში, კლასიკურ მუსიკაშიც მოვსინჯე ძალები, მაგრამ მერე მეგობარმა მომასმენინა ელექტრონული მუსიკა და ძალიან მომეწონა... 2007 წელს უკვე თავად დავინწყე „ქლაბერობა“. თავიდან სხვადასხვა ჟანრს ვუსმენდი, შემდეგ, კონკრეტულ ჟანრში ჩამოვყალიბდი და „პაპასაზე“ შევჩერდი. 2008 წელს პირველი ტრეკი დავწერე — ეს იყო რეი ჩარლზის სიმღერის — „დედას“ რემიქსი და მივხვდი, საქმე კარგად

გამომდიოდა. მსმენელსაც ძალიან მოეწონა, რაც ჩემთვის დიდი სტიმული იყო. მოგვიანებით, ის ერთ-ერთმა ცნობილმა ტელეპროექტმა წაიღო გადაცემის „ქუდად“ და დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა მთავარ მუსიკად. მას შემდეგ „ვაკეთებ“ იმ მუსიკას, რასაც ქართველი მსმენელი ითხოვს და მიკვეთს...

**— მსმენელები ძირითადად, რა სტილის მუსიკას ითხოვენ?**

— ამის გარკვევა ცოტა არ იყოს, ძნელია. ქართველ მსმენელს გაუგებარი გემოვნება აქვს და როდესაც ამას ვამბობ, ჩემს მეგობრებს არ სიამოვნებთ, მაგრამ რა ვქნა, ასეა...

**— რამდენად ხშირია შეკვეთები?**

— საკმაოდ ხშირია, განსაკუთრებით — ახალი წლის წინა დღეებში. თუმცა, კლუბში გართობაზე ხალხი უარს არც სხვა დროს ამბობს. ლამის კლუბებში მსმენელის 90% „პაპასა“ უსმენს. ერთხელ კლუბში დევიდ გუეტას ის კომპოზიციები დაფუქარი,

ჭირთ-მეთქი? აღმოჩნდა, რომ ლალის „საქმროსგან“ მოტყუებული გოგო იყო: მეფიცებოდა, რომ ვუყვარდი. ახლა სამი თვის ორსული ვარ და ის სხვაზე, მდიდარ გოგოზე ქორწინდება, ჩემს ოჯახს კი არაფერი გააჩნია...

— იმ გოგომ კი ჩემს სიყვარულზე თქვა უარი და... იქნებ ბედმა შეგვახვედრა ერთმანეთს?! — უცებ მივიღე გადაწყვეტილება და ორიგინალური ნაძვის ხე გავუწოდე, — ახალ წელს გილოცავ... ამ ხეზე ჩემი ოცნებები ჩამოვკიდე. ძალიან მინდოდა, ერთგული ცოლი და ბევრი შვილი. ჰოდა, შენი შვილი იქნება ჩემი პირველი ახდენილი ოცნება...

არ დამიჯერა, რომ გულწრფელი ვიყავი და როგორც გიჟს, ისე შემომხედა, მაგრამ არ მოვეპვი და ხიდან ბეჭედი ჩამოვხსენი, თითზე ნამოვაცვი:

— მივენდოთ ბედს...

— ცოტა ხნის წინ სიკვდილს ვნატრობდი და დასაკარგიც არაფერი მაქვს! — მითხრა და საერთო საცხოვრებელში გამომყვა...

ახლა მე და ეკას ოთხი შვილი გვყავს და სამი შვილიშვილი. ვერაფერს გამიბედავს თქმას, რომ უფროსი გოგონა ჩემი არ არის. არასოდეს გამომირჩევია ღვიძლი შვილებისგან და მასაც განსაკუთრებით ვუყვარვარ. ეკა ექიმი. მე ბიზნესში ჩავერთე და გამიმართლა. ახლა უფროსი ვაჟები და სიძეც მხარში მიდგანან და ჩემი საყვარელი საქმიანობისთვის — ხატვისთვისაც მოვიცალე, გამოფენებს ვაწყობ. სახლიც ჩემი პროექტით ავაშენე, სადაც ოთხივე შვილისთვის გამოვყავი სივრცე და ჩემგან შორს არც ერთს არ ვუშვებ. არ შემიძლია ჩემი ოჯახის გარეშე. წარმოიდგენთ ალბათ, როგორ გვიყვარს მე და ეკას ახალი წელი...

— თუ იცით, ლალის ცხოვრება როგორ აენყო?!

— არც ისე კარგად და დამიჯერეთ, გული მწყდება ამის გამო, თანაფერძნობ... ქმარი უმაქნისი გამოადგა. როცა მამამისი გარდაიცვალა და ოჯახს მარჩენალი აღარ ჰყავდა, იმ კაცმა ლალიც მიატოვა და ორი შვილიც. სხვა ქალთან წავიდა. სამწუხაროდ, ასეთი კაცებიც არსებობენ. შვილები რომ ერჩინა, ლალი სამუშაოდ იტალიაში წავიდა და სხვა არაფერი ვიცი მის შესახებ. აღარც მაინტერესებს, რადგან ფიქრიც არ მინდა იმაზე, რა მოხდებოდა, ეკასთან რომ არ შევეხვედრებინე განგებას. ■



ვინც ჩემს მუსიკას უსმენს, ყველაზე იცის, რას აკეთებს გიგა

რომელსაც ის თავის „ივენტებზე“ უკრავს და ხალხს არ მოეწონა. თავად გუეტას რომ დაეკრა, ალბათ, მოეწონებოდა... არის ადამიანების კატეგორია, რომელიც ყველანაირ მუსიკაზე ცეკვავს. ისეთი შემთხვევაც მახსოვს, როცა რუსული შანსონიდანაც კი მთხოვეთ რაღაცის დაკვრა. ნასვამი ადამიანი გახსნილია და რასაც ფიქრობს, რაც ენატრება და უყვარს, იმას გიკვითს... თუმცა, შეკვეთას ყველა კლუბში არ ვიღებ — ჩემი პროგრამა მაქვს, რომელსაც ვასრულებ და მორჩა! გოგონების უმეტესობას „ქოლდპლეი“ მოსწონს, ბიჭებს — რეპის სტილი. ასევე, ძალიან მოსწონთ „აქარული“ ელექტრონული ვერსია, ასევე, „მგ ზავრების“ სიმღერებისა და საახალწლო — ჯგუფ „სახის“ „თოვლი მოსულას“ რემიქსი...

— ყველაზე კუროზული, რისი დაკვრა უთხოვიათ შენტვის?

— ახლა ყველაფერს ვერ ვიხსენებ,

მაგრამ ძალიან ხშირად უკვითენ უცნობის „ვაგონი მიქრის“.

— ეს ლამის კლუბში ხდება?

— დიას და ეს ყველაზე „ლაითი“ შეკვეთაა...

— ახალ წელსაც მუშაობ?

— დიას, დამდეგს რამდენჯერმე კლუბში შევხვდი — ქართველებს ხომ ძალიან უყვართ გართობა. ახალწელს უამრავი ადამიანი ხვდება კლუბში. მეგობრები, ახლობლები ცდილობენ, ერთად ყოფნა, კარგ გარემოში დროს ტარება დაიბედონ, რომ მერე მთელი წელი მხიარულად გალიონ. ვიდრე „გახურდებიან“, ცოტა მორიდებული არიან, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ, კარგი გაგებით „აინყვეტენ“ ხოლმე. ზოგი ისეთი ენერგიულია, შეუძლია, მთელი ღამე იცეკვოს. ალკოჰოლის მეშვეობით რომ „შეუფუჭდებიან“, მერე იწყება გაუგებარი მუსიკალური გემოვნების რახარუხი და ვისაც რა მოეპრიანება, იმას ითხოვს შენგან. ასეთ დამკვეთებს შორის არიან ცნობილი ადამიანებიც და არაცნობილებიც, ახალგაზრდებიც და „დაღვინებული ასაკის“ ხალხიც... შუალამის შემდეგ, გამთენიისკენ, სიტუაციას თანდათან „ვანყნარებ“ და მშვიდ მუსიკას ვუშვებ. ზოგს მართლა ძალიან კარგი რითმის შეგრძნება აქვს, ზოგს — ცეკვის კომპლექსი ანუხებს — ყოველ შემთხვევაში, თავიდან, მერე კი გაილაღებენ და ვეღარ ჩერდებიან...

— ცნობილ ადამიანებთან გიმუშავია?

— დიას, რამდენიმე სიმღერის რემიქსი გავაკეთეთ მაგალითად, მე და მეგი გოგიტიძემ. მიმუშავია თიკა ჯამბურისასთან ერთადაც, ასევე, კახა კუხიანიძესთან. საკმაოდ

საინტერესო რემიქსი გავაკეთე ნინო ქათამაძესთან ერთად.

— როგორც ვხვდები, საკმაოდ დატვირთული სამუშაო გაქვს, არა?

— დიას, ჩემი სამუშაო ღამის 12-ზე იწყება და დილის 7 საათამდე გრძელდება. ძალიან იშვიათად, როდესაც საქმე არ მაქვს, სახლში დარჩენა მიჭირს. დღეს ვეღარ ვიტან და ერთი სული მაქვს, როდის დაღამდება. თუმცა, როცა კლუბში ვარ, შინისკენ მომინევს გული, რადგან სახლში ჩემი პატარა ქალიშვილი, ლილე მელიძეა. ოჯახის წევრები მეხუმრებიან ხოლმე, — დღე და ღამე არეული გაქვსო.

— მუსიკის შესაქმნელად განწყობა გჭირდება?

— რა თქმა უნდა. ყოველთვის არ შემიძლია, უბრალოდ დავვდე და რამე მოვიფიქრო, ამისთვის განწყობა და გარემო მჭირდება. თუმცა, ზოგჯერ მეგობრების თხოვნა შემისრულებია და მათთვის მუსიკა სახელდახელოდ დამინერია. ბოლო დროს, უცხოეთის კლუბებში დავუკარი: უკრაინაში, აზერბაიჯანსა და საბერძნეთში ვიყავი, სადაც ძველი და ახალი რემიქსები, ტრეკები დავუკარი. მიხარია, რომ ძალიან მოეწონათ. რამდენიმე უცხოელმა დიჯეიმ კონკრეტულ მუსიკებზე მთხოვეს, — დავგიტოვეო. მენანებოდა, მაგრამ მათ უარიც ვერ ვუთხარი. სხვათა შორის, რამდენიმე ადგილას ჩემს რემიქსს უკრავდნენ, ოღონდ — სხვისი ავტორობით. მენყინა, მაგრამ რაიმეს გარკვევა არც მიცდია. აბა, რა აზრი აქვს? ვინც ჩემს მუსიკას უსმენს, ყველა მიცის, რას აკეთებს გიგა.

— ზაფხულში სამუშაოდ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში ჩადიხარ?

— დიას, ძირითადად, ბათუმსა და ქობულეთში მივდივარ. ანაკლიაში „კაზანტიპის“ ფესტივალის დანაც მქონდა შემოთავაზება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, არ წავედი...

— სამომავლო გეგმებზეც მოგვიყვიე...

— რაიმე სიახლის შემოტანა მინდა. მიმაჩნია, რომ ყველა კლუბში ერთნაირ მუსიკას ატრიალებენ. ამიტომ მინდა, რაიმე განსხვავებული გავაკეთო და ბენდთან ერთად დავუკრა. ამ დროისთვის, დაახლოებით 85 ტრეკი და რემიქსი მაქვს. ახლა მინდა, კლიპებიც „დავადო“ კომპოზიციას. იმედია, გეგმების განხორციელებას მოვახერხებ. ■



რამდენიმე სიმღერის რემიქსი გავაკეთეთ



# სიკეთისა და დედობრივი ინსტინქტის შედეგი

ინგა ჯაყელი

დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ დაქორწინდნენ ირინა და შაკო. მეგობრებმა მათი ბედნიერებით ძალიან გავიხარეთ, რადგან ჯერ კიდევ მეხუთეკლასელებს შეუყვარდათ ერთმანეთი. მათი რომანტიკული ურთიერთობა ჩვენ თვალწინ განვითარდა და დაგვირგვინდა ულამაზესი ქორწილით...

არც ულხინდათ და არც მდიდრები ყოფილან, მაგრამ მათ ოჯახში შეკრება ყოველთვის განსაკუთრე-

ბუთი წუთი მაინც გავიდა და კართან მისულ შაკოს აღარავინ დახვედრია. შემოსასვლელში კალათი იდო, სადაც ორიოდ თვის ნამცეცას ტკბილად ეძინა. შეშინებულმა კაცმა ისე იღრიალა, ყველანი გარეთ გავცვივდით...

პირველი ჩვენი გინეკოლოგი მეგობარი — მამუკა მოვიდა აზრზე. კალათს დასწვდა და შინ შემოიტანა. ბავშვი ამოიყვანა და მაშინვე გახსნა — ლარიზულ, მაგრამ სუფთა საფენებში იყო გახვეული და წერილიც ჩაეჩურათათ ფეხებთან: „ახალ წელს



ბევრი წყვილია, რომელსაც ბავშვის აყვანის შემდეგ მიეცა საკუთარი შვილი...

ბით გვხიზავდა თანაკლასელებს, რადგან ყველაზე მთავარს — ლამაზ მოგონებებს და კიდევ უფრო ლამაზ ანწყოს გვახვედრებდნენ ყოველთვის. ერთი რამ გვადარდებდა მხოლოდ — დრო გადიოდა და შვილი არ უჩნდებოდათ. ჯერ თავად იარეს ექიმებში და მერე ჩვენი უჭკვიანესი კლასელი, მამუკა რომ გახდა გინეკოლოგი, ის გადაჰყვა თან მეგობრებს, მაგრამ არაფერი რომ არ გამოვიდა, გაოცება ვედარ დაფარა: ასეთი არაფერი მინახავს. ორივე ჯანმრთელია და წესით, ერთი კი არა, ათი შვილი უნდა ჰყავდეთ და რატომ არ ხდება განაყოფიერება, ვერ ამიხსნიაო...

მართალია, ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ისე გვინდოდა მეგობრების გახარება, რომ ფული შევაკონინეთ და ხელოვნური განაყოფიერება ჩაუტარდა წყვილს, მაგრამ ესეც წყალში ჩაყრილი შრომა გამოვიდა, ნაყოფი დედის ორგანიზმმა მალევე მოიშორა...

იმ წელიწადს მათ გასამხნევებლად უფრო გადაწყვიტეთ, დამდეგს მეგობრების ოჯახში შევხვედროდით. ლამაზისუფრა გავანწყვეთ და ის-ის იყო, საათმა თორმეტი ჩამოჰკრა, როცა კარზე დარეკეს. ვიდრე კარის გასაღებად მოვიცლიდით და „დაგვიანებული სტუმრის“ ვინაობით დავინტერესდებოდით,

გილოცავთ! გთხოვთ, თქვენთან დამტოვოთ, რადგან ჩემს დედიკოს არ შეუძლია მიპატრონოს და აქედან შორს მიდის, იძულებით. თქვენ კი შვილი გჭირდებათ“...

მხოლოდ ირინასა და შაკოს კი არა, ყველას მამუკას მოწყობილი სიურპრიზი გვეგონა და ვიდრე შვილები არ დაიფიცა, რომ მისთვისაც ყველაფერი მოულოდნელობა იყო, არ დაეუჯერეთ...

— ხომ დაიტოვებთ?! — მუდარით მივატყერდით ირას და შაკოს.

— თუ დაგვიტოვებს, კი! — ამოიხვნეშა შაკომ: — არ მინდა, პოლიციასთან პრობლემები შეგვექმნას...

— პოლიციამ და ქვეყანამ თუ გაიგო, შეიძლება, სულ სხვას მისცენ ეს ბავშვი, — თქვენზე წინ იდგნენ უშვილოების რიგში! — ხელები გაასავსავა იურისტმა კატომ და გავრისკეთ! ყველამ ჩვენ-ჩვენი კავშირი გამოვიყენეთ და პატარა, რომელსაც ლუკა დაარქვეს, ბედნიერმა ირინამ და შაკომ დაიტოვეს...

ლუკა ახლა ოთხი წლისაა და სიგიჟემდე უყვარს თავისი დედიკო, მამიკო და... პატარა ძამიკო ილია, რომელიც მეორე სასწაულად იქცა ჩვენი მეგობრების ოჯახში და გასული წლის ოცდათერთმეტ დეკემბერს ინდომა მაინცდამაინც დაბადება. არადა, მხოლოდ ორი

ახალ წელს გილოცავთ! გთხოვთ, თქვენთან დამტოვოთ, რადგან ჩემს დედიკოს არ შეუძლია მიპატრონოს

თვის შემდეგ ველოდებოდით — თებერვლის ბოლოს. შარშანაც მეგობრის ოჯახში გადაწყვიტეთ ახალი წლის შეხვედრა და ერთად გავანწყვეთ მაგიდა. შვიდი თვის ორსული ირინაც ჩვენთან ერთად ფუსფუსებდა — მოულოდნელად დაორსულდა ამდენი წლის შემდეგ და იმდენად არ ელოდა ამას, რომ ვიდრე ბავშვი არ შეინძრა, ვერც მიხვდა, თუ ორსულად იყო. ექიმებმა თქვეს, რომ დედობრივი ინსტინქტი ლუკამ გააღვიძა მასში, რაც თურმე, ხშირად ხდება და ბევრი წყვილია, რომელსაც ბავშვის აყვანის შემდეგ მიეცა საკუთარი შვილი...

ახალ წელს შევხვდით და დამლასაც ვაპირებდით, როცა ირინას მუცელი ასტიკვდა. შევშინდით, რადგან ჯერ ადრე იყო მშობიარობა და ექიმთან გავაქანეთ. რამდენიმე საათიანი წვალეების შემდეგ დაიბადა ილია და რომ დავრწმუნდით, არც დედას და არც შვილს საშიშროება აღარ ემუქრებოდა, დავიშალეთ უსაშველოდ დაღლილები...

P.S. ბედნიერ, სიხარულით სავსე ახალ წლებს გისურვებთ!



დასაწყისი იხ. გვ. 31

მოგვეყვირო. იციან, რომც მენუნუნონ, ზედმეტს არაფერს ვაყიდვინებ (იციინის).

- ანუ ფულის ყადრი იცი?
- ვიცი, თან — ძალიან კარგად.
- მოულოდნელად რომ გამდიდრდე, როგორ მოიქცევი?



მილიონებზე არასოდეს მიოცნებია

— მილიონებზე ნამდვილად არასოდეს მიოცნებია. ბედნიერებას სხვა რამეში ვხედავ — იმაში, რასაც ფულით ვერასოდეს იყიდი. ჩემთვის მთავარია, იმდენი ფული მქონდეს, რომ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეეძლოს და საყვარელი ხალხი მყავდეს ჯანმრთელად!.. გრძნობებისა და ემოციების ყიდვა შეუძლებელია, მაგრამ ისეთებიც



არსებობენ, რომლებსთვისაც ბედნიერება „ფემენ“-აგარაკები, ძვირად ღირებული ავტომობილები და მსგავსი რაღაცებია...

— საფულეში ფულს ხშირად აკონტროლებ?

— კი, ყოველთვის ვიცი, რამდენი დავხარჯე და რამდენი მაქვს (იციინის).

— რამდენად შესაძლებელია, ქალმა მინიმალური თანხით იზრუნოს საკუთარ გარეგნობაზე?

— მომწონს ეს კითხვა (იციინის)... ქალს ნამდვილად, ბევრი ფული სჭირდება იმისთვის, რომ საკუთარ თავს მოუაროს. მოვლილი ქალი, თუნდაც — გარეგნულად არცთუ ისე მშვენიერი, ყოველთვის უფრო მომგებიანად გამოიყურება, ვიდრე მოუვლელი ლამაზმანი.

— დაასახელე ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი, რომელიც საკუთარი შემოსავლით შეიძინე.

— ვერ ვიტყვი, რომ რაიმე ძვირად ღირებული შემიძენია. ერთადერთი, რაც მახსენდება, არის ის, რომ შარშან მამას დაბადების დღეზე ტელევიზორი ვაჩუქე.

— ყველაზე დიდი სიამოვნებით ფულს რაში ხარჯავ?

— არასოდეს დამენანება ფული საყვარელი ადამიანებისთვის საჩუქრების შესაძენად. ყველაზე მეტად მიყვარს და მსიამოვნებს იმ ემოციების დანახვა, რომლებსაც ჩემგან გახარებული ახლობლების თვალებში ვხედავ. ადამიანებმა ერთმანეთი უნდა გავაბედნიეროთ და ცხოვრება გავიხალისოთ.

კალიფორნიაში, სასტუმრო „ბევერლი ჰილტონში“ „ოქროს გლობუსის“ რიგით 73-ე დაჯილდოება გაიმართა. ცერემონიას უკვე მეოთხედ, ბრიტანელი კომიკოსი, რიკი ჯერვალისი უძღვებოდა, რომელიც ყოველი შოუს შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში ეხვევა თავისი ხუმრობების გამო. „ოქროს გლობუსის“ ტრიუმფატორი ფილმი The Revenant გახდა. მას მიენიჭა წლის საუკეთესო დრამატული ფილმის სტატუსი, რეჟისორმა ალესანდრო გონსალეს ინარჩუნა კი წლის საუკეთესო რეჟისურისთვის მიიღო ჯილდო, ხოლო ლეონარდო დიკაპრიომ მამაკაცის საუკეთესო დრამატული როლის შესრულებისთვის. მართალია, „ოქროს გლობუსს“ „ოსკარის“ რეპეტიციას უწოდებენ, მაგრამ ნაადრევია იმაზე საუბარი, მიიღებს თუ არა „ოსკარს“ დიკაპრიო, რადგან ეს გამარჯვება უკვე მესამეა მისთვის, წინა ორი ტრიუმფის დროს კი ის „ოსკარის“ გარეშე დატოვეს.

— ოდესმე ფული თუ დაგიკარგავს ან გიპოვია?

— არც დამიკარგავს და არც მიპოვია, მსგავს რაღაცებში ილბლიანი არ ვარ (იციინის). ჩემამდე ლანგრით არაფერი მოუტანიათ.

— ბავშვობაში ფულს გჩუქნიდნენ?

— ბავშვობაში ფულს უფრო ხშირად „ვიჩუქებდი“, ვიდრე მჩუქნიდნენ (იციინის). ჩემი ბიზნესები მქონდა. მაგალითად, მამას ვპარავდი რამდენიმე ლერ სიგარეტს და როცა გაუთავდებოდა, მერე ვეუბნებოდი, მოგყიდი-მეთქი. ვსარგებლობდი იმით, რომ მაღაზიაში ჩასვლა ეზარებოდა. სხვათა შორის, ეს „ბიზნესი“ მომგებიანი იყო.

— ხელფასის თვიდან თვემდე გადაწვინებას ახერხებ?

— ო, ეს მძიმე თემაა. კარგია პირველი კვირა: ამ პერიოდში მგონია, რომ მთელი სამყარო მე მეკუთვნის. აი, დანარჩენი სამი კვირა ძალიან რთულია.

— რა შეიძლება დათმო ბევრი ფულითა და უზრუნველი ცხოვრების გამო?

— ძალიან რთული კითხვაა... საკუთარ პრინციპებს ვერ დავთმო და ვერც იმას გავაკეთებ, რაც ჩემს ხასიათში არ ზის. ბინძური გზით მოპოვებული ფული და სხვის უბედურებაზე აშენებული ბედნიერება არაფერში მჭირდება.

— შენთვის თუ მოურთმევია ვინმეს ძვირად ღირებული საჩუქარი?

— საყვარელი ადამიანისგან მორთმეული ყველაფერი განსაკუთრებული და ძვირფასია ჩემთვის. ფასს არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი ზრუნვა და ყურადღებაა. ყველაზე ძვირად ღირებული ალბათ, მობილური ტელეფონი იყო, მაგრამ კიდევ უფრო ძვირფასია ჩემთვის საათი, რომელიც მეგობარმა მაჩუქა.

— როცა მატერიალური კრიზისი გაქვს, დახმარებას ვის სთხოვ ხოლმე?

— ნებისმიერი პრობლემის დროს დახმარებას მეგობრებს ვთხოვ.

— არის მომენტები, როცა ფულის სესხება გჭირდება?

— მსგავსი მომენტები უფრო სწავლის პერიოდში მქონდა — სწავლის საფასურს ჩემი გამომუშავებული თანხიდან ვიხდიდი. საბედნიეროდ, ამ პერიოდმა ჩააიარა.

— შენ თუ გაგისესხებია ფული?

— რა თქმა უნდა, გამისესხებია. თუმცა, თუ მეგობარს ფული სჭირდება, მირჩევნია გავიჭიროვ და ვაჩუქო, ვიდრე ვასესხო.



# მარბარეტ მიჩელი

ინგლისურიდან თარგმნა  
ნათია ჩუბინიძემ  
დასაწყისი იხ. „გზა“ №7, 2015-1, 2016



# ქარნადებულნი

## თავი ორმოცდამეჩვიდმეტე

რეტი მძიმედ ჩამოჯდა და მელანის შეხედა, რომელიც წინდას კემსავდა:

— მის მელი, მოვედი, რომ რალაც გთხოვოთ, რაც თქვენთვისაც კარგი იქნება და ჩემთვისაც, — რეტმა გაიცინა და პირი მოელრიცა, — მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ეს არ მოგეწონებათ, ტყუილი უნდა გათქმევინოთ.

— ტყუილი?

— დიახ, უფრო სწორად, საქმეზე მინდა, დაგელაპარაკოთ.

— ო, ღმერთო, მაშინ სჯობს, მისტერ უილქსს გაესაუბროთ. ბიზნესის არაფერი გამეგება, სკარლეთივით ჭკვიანი არა ვარ.

— მე ვფიქრობ, სკარლეთი მეტისმეტად ჭკვიანია და ამით საკუთარ თავს ვნებს, — თქვა რეტმა, — და სწორედ ამის გამო მოვედი თქვენთან. ხომ იცით... როგორ ავადა. ტარადან რომ დაბრუნდება, აუცილებლად მოინდომებს, ისევ ირბინოს მალაზიიდან იმ სამხერხაოებში, რომელთა მინასთან გასწორებაზე ამდენი ხანია ვოცნებობ. მისი ჯანმრთელობა მადარდებს, მის მელი.

— დიახ, მეტისმეტად ბევრს იღებს თავის თავზე. უნდა შეაჩეროთ და აიძულოთ, თავს მიხედოს.

რეტმა გაიცინა.

— თქვენ ხომ იცით, როგორი ჯიუტია. არც კი ვეკამათები ხოლმე, თავნება ბავშვივითაა. იმის უფლება-საც არ მომცემს, მე ან ვინმე სხვა დაეხმაროს. ვცადე, დამერწმუნებინა, სამხერხაოებში ჩადებული თავისი წილი გაეყიდა, მაგრამ არ დამიჯერა. ახლა კი მინდა გითხრათ, რა მსურს, რა საქმეზე ვაპირებ დალაპარაკებას. სკარლეთი თუ ვინმეს მიჰყიდის თავის წილს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისტერ უილქსი იქნება და მინდა, რომ სწორედ მან იყიდოს სამხერხაოები.

— ო, ღმერთო! ეს ხომ შესანიშნავი იქნებოდა, მაგრამ... — მელანი შეჩერდა და ტუჩზე იკბინა. სულაც არ უნდოდა, საკუთარ უსახსრობაზე ესაუბრა კაპიტანთან. მიუხედავად იმისა, რომ ეშლი სამხერხაოში მუშაობდა, მანაც არ ჰყოფნიდათ ფული. ეს მელის ადარდება, რადგან ძალიან მცირე თანხის გადანახვას ახერხებდა. არც კი იცოდა, სად ქრებოდა ეშლის ჯამაგირი. ეშლი მას იმდენს აძლევდა, რომ სახლისთვის ჰყოფნოდა, მაგრამ როგორც კი ცოტა მეტი ხარჯის გაღება მოუწევდათ, უკვე გაჭირვებით გაჰქონდათ თავი თვიდან თვემდე. თანაც ექიმებშიც გვარიანი თანხა ეხარჯე-



ბოდათ. მერე კიდევ ეშლი ნიუ-იორკში ნიგნებსა და ავეჯს უკვეთდა ხოლმე. გარდა ამისა, მარტო ოჯახის წევრების კი არა, სარდაფში შეფარებული ადამიანების კვებაზეც უნდა ეზრუნათ. ეშლი კი არც ყოფილ კონფედერაციის ჯარისკაცებს ეუბნებოდა უარს ფულის სესხებაზე...

— მის მელი, მე გასესხებთ ფულს, — თქვა რეტმა.

— ეს დიდი სიკეთეა, მაგრამ ჩვენ ამ ფულის დაბრუნება გავგიჭირდება.

— არ არის დაბრუნება საჭირო. არ გამიბრაზდეთ, მის მელი! უბრალოდ მომისმინეთ. მაგ თანხის ნაცვლად იმით გადამიხდით, რომ თავს დავიიმედებ. მეცოდინება, რომ სკარლეტი ვეღარ ივლის ყოველდღე ერთი სამხერხაოდან მეორეში და აღარ დაიღლება. მაღაზიაც ეყოფა, უსაქმოდ რომ არ დარჩეს და თავი ბედნიერად იგრძნოს... როგორ ფიქრობთ, მართალი არა ვარ?

— დიახ, მართალი ხართ, — ყოყმანით მიუგო მელანიმ.

— ნუთუ არ გინდათ, თქვენს ბიჭუნას პონი ჰყავდეს? ან ჰარვარდის უნივერსიტეტში ისწავლოს და ევროპაში იმოგზაუროს?

— დიახ, რა თქმა უნდა, მინდა, — შესძახა მელანიმ და ბოს სხენებაზე, როგორც ყოველთვის, სახე გაუნათდა, — მისთვის ყველაფერი მინდა, მაგრამ... დღეს ხომ ყველას უჭირს და...

— მისტერ უილკსი ერთ დღეს ამ სამხერხაოებით დიდ ფულს იშოვის, — თქვა რეტმა, — მე კი მხოლოდ გამიხარდება, ბო თუ იმას მიიღებს, რასაც ნამდვილად იმსახურებს.

— ოჰ, კაპიტანო ბატლერ, რა მოხერხებული არამზადა ხართ! — თქვა ლიმილიმორეულმა მელანიმ, — დედობრივ გრძნობებზე თამაშობთ! გადამლილი ნიგნით გაკითხულობთ, იცოდეთ.

— იმედია, ცდებით, — თქვა რეტმა და პირველად გაუკრთა სხივი თვალებში, — აბა, რა გადანყვიტეთ? დამრთავთ ნებას, რომ ფული გასესხოთ?

— მაგრამ ტყუილის თქმა რაში მჭირდება?

— შეთქმულება უნდა მოვანყოთ, სკარლეტი და მისტერ უილკსი უნდა მოვატყუოთ.

— ო, ღმერთო! არ შემიძლია!

— სკარლეტმა რომ გაიგოს, მის ზურგს უკან რაღაცას ვაკეთებ, კარგიც რომ იყოს მისთვის... ხომ იცით მისი ხასიათი! თან ვშიშობ, მისტერ უილკსი უარს იტყვის სესხის აღებაზე, რომც შესთავაზოთ. არც ერთმა არ უნდა იცოდეს, ეს ფული საიდან გაჩნდა.

— ო, დიახ, მაგრამ მისტერ უილკსი უარს არ იტყვის, თუ გაიგებს, რაშია საქმე. მას ხომ ძალიან უყვარს სკარლეტი.

— დიახ, ასეა, ამაში დარწმუნებული ვარ, — თქვა რეტმა წყნარად, — მაგრამ მაინც უარს იტყვის. ხომ იცით, როგორი ამაყები არიან უილკსები.

— ო, ღმერთო! — ნამოიძახა საცოდავად მელანიმ, — ნეტავ... კაპიტანო ბატლერ, ჩემს ქმარს ვერ მოვატყუებ.

— მაშინაც კი, თუ ამით სკარლეტს დაეხმარებით? — რეტი გულნატკენი ჩანდა, — ხომ იცით, მასაც როგორ უყვარხართ!

მელანის წამწამზე ცრემლი დაეკიდა.

— ხომ იცით, რომ სკარლეტისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ვერასოდეს გადავუხდი სამაგიეროს იმ სიკეთისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთა. ხომ იცით...

— დიახ, — მოკლედ თქვა რეტმა, — ვიცი, რაც გავგიკეთათ. შეგიძლიათ, მისტერ უილკსს უთხრათ, რომ რომელიღაც ნათესავისგან გერგოთ ეს ფული მემკვიდრეობით?

— ოჰ, კაპიტანო ბატლერ, ხომ იცით, ჩემს ნათესავებს ერთი პენიც კი არ გააჩნიათ!

— მაშინ ამ ფულს ფოსტით გადმოვუგზავნი მისტერ უილკსს, გამომგზავნის ვინაობას კი არ მივუთითებ. უბრალოდ, მერე ამ ფულით შეიძინეთ სამხერხაოები და არ... მოკლედ, ეცადეთ, რომელიმე გაჭირვებული ექსკონფედერატის ხელში არ ჩავარდეს.

თავიდან მელანის თითქოს გული ატკინა ამ უკანასკნელმა სიტყვებმა, ეშლის გაკილვად ჩათვალა, მაგრამ რეტმა გამგებინად გაუღიმა და თავადაც ლიმილით შეხედა:

— რა თქმა უნდა, ვცდები.

— მოკლედ, მოვილაპარაკეთ, არა? დაე, ეს ჩვენი საიდუმლო იყოს.

— მაგრამ მე ჩემს ქმართან არავითარი საიდუმლო არა მაქვს!

— დარწმუნებული ვარ, მის მელი.

მელი კაპიტანს უცქერდა და ფიქრობდა, რომ მართალი იყო, რასაც რეტზე ფიქრობდა, სხვები კი ცდებოდნენ. ხალხი ამბობდა, კაპიტანი ბოროტი, ცინიკოსი, არაკეთილსინდისიერი და ცუდად აღზრდილი ადამიანიაო. მართალია, ამ ხალხს შორის უმეტესობა ღირსეული ადამიანი იყო, მაგრამ ისინი ცდებოდნენ. დიახ! მელანიმ თავიდანვე იცოდა, რა ღირსეული კაცი იყო რეტი. იგი ხომ ყოველთვის კეთილად ექცეოდა, მოზომილად, გაგებითა და პატივისცემით ეპყრობოდა! და თან როგორ უყვარდა სკარლეტი! რა მოხერხებულად ცდილობდა, მისთვის მძიმე ტვირთი მოეხსნა მხრებიდან! უეცრად გრძნობამოჭარბებულმა მელანიმ რეტს უთხრა:

— რა ბედნიერია სკარლეტი, თქვენნაირი ქმარი რომ ჰყავს!

— ასე ფიქრობთ? მე კი ვშიშობ, ის ვერ დაგეთანხმებათ, ნეტავ ესმოდეს, რას ამბობთ. გარდა ამისა, მინდა, თქვენთვის რაღაც გავაკეთო, მის მელი. იმაზე მეტს გაძლევთ, ვიდრე სკარლეტს.

— მე? — ჩაეკითხა დაბნეული მელანი, — ალბათ, ბოს გულისხმობთ.

რეტმა ქუდი აიღო და წამოდგა. წამით შეყოვნდა, მელის ულამაზო, ქვრივის მწვერვალითა<sup>1</sup> და მიუქი,

<sup>1</sup> შუბლზე ლათინური V-ს ფორმით ამოსული თმა.



ფიქრიანი თვალებით შემკულ გულის მოყვანილობის სახეს შეხედა და გაიფიქრა, რა არამინიერი არსებაა, არსება, რომელსაც არ შეუძლია, თავი დაიცვას ამქვეყნიური განსაცდელისგანო.

— არა, ბოს არ ვგულისხმობდი, მე თქვენ უფრო მეტს გაძლევთ, ვიდრე თუნდაც ბოს, მაგრამ თქვენ ვერ ხვდებით.

— დიახ, ვერ ვხვდები, — თქვა მელანიმ და ისევ დაიბნა, — ამ სამყაროში ბოზე ძვირფასი არავინ გამაჩნია, ეშ... მისტერ უილკსს თუ არ ჩავთვლი.

რეტს აღარაფერი უთქვამს, შეატყუხა სახით მშვიდად შეხედა.

— ძალიან მიხარია, კაპიტანო ბატლერ, ჩემთვის ამდენი რამის გაკეთება რომ გსურთ, მაგრამ შემოდია ვთქვა, რომ ილბლიანი ქალი ვარ, ყველაფერი მაქვს, რაც კი ქალს შეუძლია, ისურვოს.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, — უპასუხა რეტმა და მოულოდნელად მოიღუშა, — მე კი მინდა, რომ ეგ ყველაფერი ბოლომდე შეინარჩუნო.

სკარლეთი ტარადან რომ დაბრუნდა, სახიდან ავადმყოფური სიფერმკრთალე გაჰქრობოდა, ლოყები კი ავარდისფერებოდა და დამრგვალებოდა. მწვანე თვალები ისევ უკიაფებდა, სიცოცხლის ნაპერწკალი ჩასდგომოდა და ამდენი კვირის მერე პირველად იციონოდა, რეტი და ბონი რომ დახვდნენ მას, უეიდსა და ელას სადგურზე... მაგრამ ეს სიცილი ერთდროულად გალიზიანებისა და სიხარულისა იყო. რეტს შლაპაზე ინდაურის ორი გაქუცული ფრთა ჩაემარებინა, ბონის კი თავისი საკვირაო კაბა საოცრად დაექმუჭნა, ლოყებზე მოიასამნისფრო-მოლურჯო ორი დიაგონალური ხაზი მოუჩანდა და კულულებში თითქმის თავისივე სიგრძის ფარშავანგის ფრთა ჩაებნია. როგორც ჩანს, მამა-შვილი ინდიელობანას თამაშობდნენ მატარებლის მოლოდინში, რეტს შეცბუნებული, მაგრამ მხიარული სახე ჰქონდა, დედილო კი აღშფოთებული ჩანდა, რადგან ბონი არ დაემორჩილა და უარი უთხრა, დედიკოს დასახვედრად წასვლამდე ტანისამოსი გამოეცვალა.

— ჩემო კონკიაჟლარუნავ! — უთხრა სკარლეთმა პატარას, გადაკოცნა და რეტს ლოყა მიუშვირა საკოცნელად. სადგურში უამრავი ხალხი ტრიალებდა, თორემ სხვა დროს ასე არ მოიქცეოდა.

მართალია, ბონის ჩაცმულობამ უხერხულ დღეში ჩააგდო, მაგრამ არ შეეძლო, არ შეემჩნია, როგორ უღიმოდა ხალხი მამა-შვილს. კი არ დასცინოდა, სიამოვნებდა მათი დანახვა და კეთილად შეხაროდა. ყველამ იცოდა, რომ სკარლეთის უმცროსი შვილი ცერზე ციციქნახელებზავლებული დაჰყვებოდა ყველგან მამას. რეტის ბავშვისადმი სიყვარულმა ატლანტელებს გული მოუღობო და კაპიტანმა ბატლერმა ქალაქში რეპუტაცია აღიდგინა.

შინ მიმავალ სკარლეთს უამრავი ახალი ამბავი დაჰგროვებოდა. ცხელი, მტვრიანი ამინდი ბამბას ხელს უწყობდა და საოცრად სწრაფად ზრდიდა, მაგრამ

უილი ამბობდა, წელს ფასი დაბალი ექნებაო. სიუღინი კიდევ ერთ ბავშვს ელოდა... სკარლეთმა ეს ისე თქვა, ბავშვებს რომ არ გაეგოთ... ელამ კი ისეთი ავი ზნე გამოავლინა, რომ სიუღინის უფროს გოგონას უკბინა. თუმცა, სკარლეთმა ისიც დაამატა, პატარა სიუზი იმსახურებდა ამას, რადგან მთლად დედას დაემსგავსაო. სიუღინი ამაზე გაბრაზდა და დები ძველებურად ნაკამათდნენ. უეიდმა წყლის მოკასინი მოკლა, რანდა და კამილა ტარლეთონები კი სკოლაში ასწავლიდნენ, განა სასაცილო არ იყო ეს ამბავი? ტარლეთონებს ხომ სიტყვა „კატაც“ კი არ შეეძლოთ, სწორად დაენერათ! ბეტსი ტარლეთონი ერთ მსუქან, ცალხელა ლავჯოელ კაცს გაჰყვა ცოლად და ჰეტი და ჯიმ ტარლეთონებთან ერთად მშვენიერი ბამბა მოჰყავდა თავიანთ ძველ პლანტაციის, რომელსაც „მშვენიერი გორაკები“ ერქვა. მისის ტარლეთონს წმინდა სისხლის ფაშატი და ღორების კოლტი ჰყავდა და ისეთი ბედნიერი იყო, თითქოს მილიონი დოლარი ეშოვოს. კალვერტების ძველ სახლში კი ახლა ზანგები ცხოვრობდნენ! მთელი ხროვა შეყრილიყო, მაგრამ ეს სახლი უკვე მათი საკუთრება გახლდათ! შერიფის მიერ მოწყობილ აუქციონზე ეყიდათ. მამული მთლად გაეპარტახებინათ და ისე საცოდავად გამოიყურებოდა, კაცი მის ნახვაზე ატირდებოდა. კეთლინი და მისი ქმარი სად წავიდნენ, არავინ იცოდა. ალექსმა სალი მოიყვანა ცოლად, თავისივე ძმის ქვრივი! წარმოგიდგინია? ისევ იმავე სახლში ცხოვრობენ ამდენი წლის მერე! ყველა ამბობდა, ანგარებით დაქორწინდნენო, რადგან მას მერე, რაც მოხუცი მისი და ახალგაზრდა მისი გარდაიცვალნენ, ხალხი ჭკორობდა, მთელი ქონება მათ დარჩათო. ამ ამბავმა თურმე გული გაუტეხა დიმიტი მანროს, მაგრამ ღირსი იყო. ამდენი ხანი ალექსისთვის რომ არ ეყურებინა, რომ არ ეცადა, როდის იშოვიდა მის მოსაყვანად ფულს, კარგა ხნის წინ გათხოვდებოდა სხვაზე.

სკარლეთი მხიარულად ლაყობდა ყველაფერზე, მაგრამ საგრაფოში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც გულს სტკენდა. უილთან ერთად მთელი საგრაფო შემოიარა და სცადა, ის ათასობით აკრი ნაყოფიერი მიწა არ გაეხსენებინა, რომლებიც ადრე ბამბის მწვანე ნარგავებით ახსოვდა დაფარული. ახლა პლანტაციები ტყეებმა დაფარა, მინდვრები კი უცვეთელამ, ახალამონვერილმა მუხებმა და ჯუჯა ფიჭვებმა. ეს მცენარეები თანდათან ფარავდა ოდესლაც ბამბით დაფარულ მიწას.

მხოლოდ რამდენიმე აკრი მიწა იყო ფერმების საკუთრება, არადა, ადრე ათასობით აკრს ხნავდნენ. კაცს ეგონებოდა, მიცვალბულთა სამეფოში მოვხვდიო.

— ამ ნაკვეთების ხელახლა დამუშავებისთვის მომზადებას ორმოცდაათი წელი მაინც დასჭირდება... ისიც მაშინ, თუ ვინმე მოინდომებს ამას, — უთხრა უილმა, — ტარა საუკეთესო ფერმაა ახლა საგრაფოში და ამას, სკარლეთ, შენ და მე უნდა გვიმადლოდნენ. მაგრამ ის მხოლოდ ფერმაა, რომელსაც ორიოდე მილი უჭირავს და არა პლანტაცია. ტარას მერე ფაუნტაინების პლან-



ტაცია მოდის და მერე კიდევ ტარლეტონების. მაგრამ სხვა ოჯახების ფერმები...

არა, სკარლეტს აღარ სურდა, გაეხსენებინა, როგორ გაუკაცრიელდა საგრაფო. იქაურობა, სიუხვით განთქმულ ატლანტასთან შედარებით, მეტისმეტად საცოდავი და ძველმოდური ჩანდა.

— აქ მოხდა რამე? — იკითხა ქალმა, როცა როგორც იქნა, შინ მივიდნენ და ვერანდაზე ჩამოსხდნენ. სკარლეთი სწრაფად და შეუჩერებლად ლაპარაკობდა შინ მომავალ გზაზე, ეშინოდა, დუმილი არ ჩამოვარდნილიყო. რეტს აღარც კი დალაპარაკებია მას მერე, რაც კიბიდან ჩამოვარდა და ახლაც მეტისმეტად უჭირდა მასთან მარტო დარჩენა. სკარლეთმა არც კი იცოდა, რეტი რას ფიქრობდა მასზე. მართალია, იმ ავბედითი დღის მერე სიკეთის განსახიერებად იქცა, მაგრამ მათ შორის მაინც გაუცხოება იგრძნობოდა. რეტი ყველაფერს უსრულებდა, ბავშვებს არიდებდა, რომ არ შეეწუხებინათ, მალაზიასა და სამხერხაოებს მართავდა, მაგრამ ერთხელაც არ უთქვამს, ვნუხვარო. შესაძლოა, არც ნუხდა. შესაძლოა, ახლაც ფიქრობდა, რომ ეს ბავშვი არ უნდა გაჩენილიყო, რადგან მისი შვილი არ იყო. როგორ შეეძლო სკარლეტს, მიმხვდარიყო, რა იმალეობდა მის გონებაში, მისი შავტუხა სახის მიღმა? მაგრამ რეტი ცოლქმრული თანაცხოვრების განმავლობაში პირველად ამჟღავნებდა სკარლეტთან ერთად ყოფნის სურვილს და ისე იქცეოდა, თითქოს... თითქოს... ნაღვლიანად ფიქრობდა სკარლეთი, არაფერი მომხდარიყოს მათ შორის. ძალიან კარგი, თუ ასე სურდა, სკარლეთი მხარს აუბამდა ყველაფერში.

— ყველაფერი რიგზეა? — გაიმეორა ქალმა, — მალაზიისთვის ახალი ყავარი ჩამოიტანეთ? ჯორები შეცვალეთ? ღვთის გულისათვის, რეტ, მოიშორეთ ეგ ფრთები ქუდიდან. მასხარას ჰგავხართ. თანაც, ქალაქში ისე დადიოდით, რომ არც კი გაგხსენებიათ, მოგეხსნათ.

— არა, — თქვა ბონიმ, ქუდი მოხადა მამას და გადანყვიტა, დაეცვა ფრთების მოხსნისგან.

— ყველაფერი კარგადაა, — უპასუხა რეტმა, — ბონი, მშვენიერი დრო გავატარეთ დღეს ერთად, მაგრამ, მგონი, დილიდან თმა არც კი დაგივარცხნია. ფრთებს ნუ ნუნნი, საყვარელო, ალბათ, ჭუჭყიანია. დიახ, ყავარი ჩამოვიტანეთ და მშვენიერი ჯორებიც შევიძინე. არა, ახალი არაფერია ქალაქში. საკმაოდ მოსაწყენი დღეები იდგა, მერე უცებ დაამატა, — ძვირფასი ეშლი იყო ნუხელ ჩვენთან. უნდოდა გაეგო, ერთ სამხერხაოს ხომ არ მიჰყიდდით, იმ სამხერხაოდან კი, რომელსაც მართავს, ნილს ხომ არ დაუთმობდით.

სკარლეთი ნელა ირწეოდა და ინდაურის ფრთების მართოთი ინიავებდა სახეს, მაგრამ ამ სიტყვებზე უცებ შეჩერდა:

— მივიყიდი? ეშლის ფული საიდან აქვს? ხომ იცით, რომ ერთი ცენტრიც კი არ გააჩნია. თუ რამე იშოვა, მეღვივებისგან ხარჯავს.

— მე მეღვივებ და ყაირათიანი ქალი მეგონა, თუმცა, უილკსების ოჯახის შესახებ თქვენსავით ბევრი არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა რეტმა.

ეს ჭიტლაყი უკვე რეტის ძველებური სტილი გახლდათ და სკარლეთი გალიზიანდა:

— გაიქეცი, საყვარელო, — უთხრა ბონის, — დედას მამასთან მარტო ლაპარაკი სურს.

— არა, — თქვა გადაჭრით ბონიმ და მამას ააცოცდა მუხლზე.

სკარლეთი მოიღუშა, ამის დანახვაზე კი ბონიმ ისე მუქარით შეხედა, რომ მთლად ჯერალდ ო'ჰარას დაემსგავსა და სკარლეთს ლამის სიცილი აუტყდა.

— დარჩეს, — თქვა რეტმა მშვიდად, — რაც შეეხება იმას, საიდან აქვს ეშლის ფული, ვილაცა ყვავილიან ტყვეს უვლიდა როკ-აილენდში და როგორც ჩანს, მისმა ოჯახმა გამოუგზავნა. ლამის დავიჯერო, რომ აღამიანებს მადლიერების გრძნობა არ დაუკარგავთ.

— ვინ იყო? ვიცნობ?

— წერილს გამომგზავნის ვინაობა არ ენერა და ვაშინგტონიდან იყო. ეშლიც კი დაიბნა, ვერ ხვდებოდა, ვინ უნდა ყოფილიყო, თუმცა, ხომ იცით, როგორი უანგარო აღამიანია. ეტყობა, იმდენი სიკეთე აქვს ჩადენილი, რომ აღარც კი ახსოვს.

ეშლის ამ მოულოდნელ წარმატებას ასე რომ არ გაეოცებინა, სკარლეთი ხელთათმანს ესროდა<sup>1</sup> რეტს, მიუხედავად იმისა, რომ ტარაში გადანყვიტა, ეშლიზე კამათში ქმარს აღარ აჰყოლოდა. იმდენად არამყარად გრძნობდა ფეხქვეშ ნიადაგს ორივე მამაკაცთან, რომ სანამ არ გაერკვეოდა საკუთარ გრძნობებში, არც ერთთან არ სურდა ურთიერთობის გაფუჭება.

— ჩემი ნილის ყიდვა უნდა?

— დიახ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვუთხარი, რომ არ გაყიდდით.

— იქნებ ნება მომცეთ, ჩემით გადავწყვიტო, საკუთარ ბიზნესს რა მოვუხერხო.

— კი მაგრამ, ხომ იცით, რომ სამხერხაოებს ვერ შეეღვევით. მე შევახსენე ის, რაც ჩემზე კარგად იცის. გიყვართ, როცა ყველაფერი თქვენს ჭკუაზეა მოწყობილი. არადა, თუ გაყიდით სამხერხაოებს, მათ ველარ გააკონტროლებთ.

— გაბედეთ და ეს ჩემ მაგივრად უთხარით?

— რატომაც არა? განა მართალი არ ვიყავი? მისტერ უილკსმაც იცის ეს, მაგრამ მეტისმეტად ჯენტლმენია, რომ ამის თქმა გაგიბედოთ.

— ტყუილია! მე მას სამხერხაოებს მივიყიდი! — დაიყვირა გაბრაზებულმა სკარლეთმა.

არადა, აქამდე არც კი უფიქრია, სამხერხაოებს შეეღვივებოდა. რამდენიმე მიზეზი ჰქონდა მათ შესანარჩუნებლად და ამ მიზეზებს შორის ფული უკანასკნელ ადგილზე იყო. სკარლეთი კარგ ფასად გაყიდდა ამ სამხერხაოებს, თუ მოისურვებდა ბოლო წლებში,

<sup>1</sup> ხელთათმანის სროლა შუა საუკუნეების ევროპაში დღემდე გამოწვევას ნიშნავდა.





მაგრამ ყველა შეთავაზებაზე უარს ამბობდა. სამხერხაოები ცხადად უჩვენებდნენ, რამდენს მიაღწია, მიუხედავად უსიამოვნებებისა, და ამით ამაცობდა. თანაც სამხერხაოები ეშლისთან შეხვედრის საშუალებას აძლევდა. მათ თუ გაყიდდა, გამოდის, ეშლის იშვიათად ნახავდა. მარტო მის ნახვას კი, ალბათ, ველარც კი შეძლებდა. არადა, აუცილებლად უნდა შეხვედროდა ეშლის პირისპირ. ასე გაგრძელება აღარ შეეძლო. აინტერესებდა, თუ შერჩათ გრძნობა ერთმანეთისადმი. სურდა, გაეგო, ეშლის სიყვარული თუ გაუნელდა იმ საშინელ ღამეს, მათ სახლში გამართული წვეულების მერე. საქმეს თუ მოიმიზეზებდა, ისევ შეეძლო უამრავჯერ ენახა ეშლი სასაუბროდ, თანაც ისე, რომ ხალხს არ ეფიქრა, განზრახ ეძებსო. გავიდოდა ხანი და ისევ ძველებურად შეაყვარებდა თავს, მაგრამ თუ სამხერხაოებს გაყიდდა...

არა, სულაც არ სურდა მათი გაყიდვა, მაგრამ რეტმა ისე ცუდად წარმოაჩინა ეშლისთან, ისე წააქეზა ამით, რომ უცებ გადაწყვიტა. ეშლის უნდა ეყიდა სამხერხაოები და თან ისე იაფად, რომ ადვილად მიმხვდარიყო, რა გულუხვი იყო სკარლეტი.

— გაყიდი! — დაიყვირა განრისხებულმა, — ახლა რას ფიქრობ?

რეტს სუსტი, მოზიემე ნაპერწკალი გაუკრთა თვალებში და დაიხარა, ბონისთვის ფეხსაცმლის თასმა რომ შეეკრა.

— ვფიქრობ, ინანებთ, — თქვა მერე.

სკარლეტი უკვე ნანობდა ნაჩქარევად ნათქვამ სიტყვებს. რეტის მაგივრად სხვა რომ ყოფილიყო, უსირცხვილოდ გადაიფიქრებდა. ნეტავ რატომ წამოსცდა? გაბრაზებულმა და წარბშეკრულმა შეხედა რეტს და დაინახა, რომ ისიც ძველებურად უცქერდა, სწორედ ისე, როგორც კატა უცქერის ხოლმე თავის სოროს. მისის ბატლერის წარბშეკრული სახის დანახვაზე კაპიტანმა უცებ გადაიხარხარა და თეთრმა კბილებმა გაუელვა. სკარლეტი დაეჭვდა, მიხვდა, რეტმა რომ გააცურა.

— ამ საქმესთან რამე კავშირი ხომ არა გაქვთ? — გადაუკრა უცებ სიტყვა.

— მე? — რეტმა გაკვირვებითა და დაცინვით აზიდა წარბები, — მეგონა, უკეთ მიცნობდით. თუ აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც არ მჩვევია კეთილი საქმეების კეთება.

იმ ღამეს სკარლეტმა სამხერხაოები და თავისი წილიც ეშლის მიჰყიდა. თუმცა, ბევრი არაფერი წაუგია, რადგან ეშლიმ უარი უთხრა, იაფად ეყიდა და იმაზე მეტი გადაუხადა, ვიდრე სხვა მისცემდა. საბუთებს ხელი რომ მოანერა და სამხერხაოებს დაემშვიდობა, მელანომ პატარა ჭიქებით ღვინო შესთავაზა ეშლისა და რეტს, ეს გარიგება რომ აღენიშნათ. სკარლეტი ისე საშინლად გრძნობდა თავს, თითქოს საკუთარი შვილებიდან ერთ-ერთი გაეყიდოს. სამხერხაოები მისთვის ძალიან ძვირფასი იყო. ეამაყებოდა, საკუთარი

დაუღლეი შრომის ნაყოფად მიაჩნდა. იმ შავ დღეებში, ატლანტაში რომ დაბრუნდა და სცადა, ნანგრევებისა და ფერფლისგან რალაც გამოსვლოდა, სწორედ ერთი პატარა საამქროთი დაიწყო. რამდენი იბრძოლა, რამდენი ხრიკი იხმარა, რამდენს ელოლიავა იმ საშინელ დროში, როცა იანკები ყველას ქონებას ართმევდნენ, როცა ფულის შოვნა საშინლად ჭირდა და ჭკვიანი მამაკაცებიც კი სიმწრით კედლებს ეხლებოდნენ. ატლანტა რომ ისევ დადგა ფეხზე, ყველგან ახალი შენობები რომ გამოჩნდა და ახალმოსახლეთა ნიაღვარი მოაწყდა, სკარლეტს უკვე ორი შესანიშნავი სამხერხაო ჰქონდა, ორი ხეტყის სანყოფი, თორმეტამდე ჯორი და კატორღელთა გუნდი ჰყავდა დაქირავებული იაფ მუშახელად. მათთან გამომშვიდობება სიცოცხლის იმ ნაწილისთვის კარის სამუდამოდ მიხურვას ნიშნავდა. მართალია, ეს ნაწილი სასტიკი იყო, უღმობელი და მწარე, მაგრამ მის გახსენებაზე გასაოცარი კმაყოფილება ეუფლებოდა ხოლმე.

ეს ბიზნესი თავად ააწყო. ახლა კი გაყიდა და დარწმუნებული იყო, მის დაუხმარებლად ეშლი ყველაფერს დაკარგავდა... ყველაფერს, რის შესაქმნელადც ამდენი იბრძოლა. ეშლი ყველას ენდობოდა და ორ მორს ერთმანეთისგან ვერ განასხვავებდა, პირველი რომ ოთხი ორზე ყოფილიყო სიგრძით, მეორე კი რვა ექვსზე. ამიერიდან ველარც რჩევას მისცემდა ხოლმე მისტერ უილკსს... იმის გამო, რომ რეტმა უთხრა, მეტისმეტად გიყვარს უფროსობაო.

„ოჰ, ეს წყეული რეტი!“ — ფიქრობდა ქალი და სულ უფრო უძლიერდებოდა ეჭვი, რომ ამ გარიგების მიღმა სწორედ მისი ქმარი იდგა. თუმცა, როგორ და რატომ, ვერ ხვდებოდა. რეტი ეშლის ესაუბრებოდა და მისმა ერთმა შენიშვნამ ქალი მოთმინებიდან გამოიყვანა.

— ალბათ, კატორღელებს გაუშვებთ, არა? — იკითხა რეტმა.

კატორღელებს გაუშვებს? რატომ უნდა გაეშვა, რატომ უნდა ეთქვა უარი მათ შრომაზე? რეტმა შესანიშნავად იცოდა, რომ ბევრად მეტი შემოსავალი სწორედ იმ საამქროდან შემოდიოდა, სადაც კატორღელების იაფ შრომას იყენებდა. ან რეტმა რატომ წამოჭრა ეს საკითხი? ასე დარწმუნებული რატომ იყო, რომ ეშლი ასე მოიქცეოდა? რა იცოდა მის შესახებ?

— დიახ, დაუყოვნებლივ გავათავისუფლებ, — უპასუხა ეშლიმ და გაოცებისგან ენაჩავარდნილ სკარლეტს თვალი აარიდა.

— გაგიჟდით? — დაიყვირა სკარლეტმა, — ასე ხომ მთელ ფულს დაკარგავთ, აბა, ვინ უნდა ამუშაოთ?

— თავისუფალი ზანგები! — უპასუხა ეშლიმ.

— თავისუფალი ზანგები! სი-სუ-ლე-ლე-ა! ხომ იცით, რა დაგიჯდებათ მათთვის ხელფასის გადახდა? თანაც, იანკები ყოველ წუთს თავზე დაგადგებიან და შეგამონმებენ, დღეში სამჯერ წინილის ხორცს თუ აჭმევთ, ღამით კი ბუმბულის საბნებს თუ ახურავთ. ზარმაც შავკანიანს ერთი-ორჯერ თუ მიტყეპთ, იანკე-



ბი ისე აყვირდებიან, დალტონამდე ჩაიტანენ ამბავს და ციხეში დაასრულებთ ცხოვრებას. კატორღელები ერთადერთი...

მელანიმ ხელები ერთმანეთზე გადააჭდო, კალთაზე დაილაგა და ზედ დაიხედა. ეშლი უბედური ჩანდა, მაგრამ ჯიუტად იდგა თავისაზე. ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე კი რეტს შეხედა და მისმა მზერამ წაახალისა, კაპიტანი ისე უცქერდა, თითქოს მისი კარგად ესმოდა... სკარლეტმა ეს შეამჩნია.

— მე კატორღელებს არ ვამუშავებ, სკარლეტ, — თქვა ეშლიმ წყნარად.

— კარგი, სერ! — სკარლეტს სუნთქვა აღარ ჰყოფნიდა, — მაგრამ რატომ? გეშინიათ, ხალხმა ისევე არ ილაპარაკოს თქვენზე, როგორც ჩემზე ლაპარაკობდა? ეშლიმ თავი ასწია.

— როცა მართალი ვარ, სულაც არ მადარდებს, ხალხი რას იტყვის. ყოველთვის ვთვლიდი, რომ კატორღელთა დაქირავება სწორი საქციელი არ იყო.

— მაგრამ, რატომ...

— ფულს სხვა ადამიანების იძულებითი შრომითა და მათი გასაცოდავებით ვერ ვიშოვი.

— თქვენ ხომ მონები გყავდათ!

— დიახ, მაგრამ ისინი საცოდავები არ იყვნენ. თანაც, მამარომ გარდაიცვალა, ისედაც გათავისუფლებას ვუპირებდი, ომს რომ არ დაესწრო და არ გაეთავისუფლებინა. ეს სულ სხვა რამეა, სკარლეტ. კატორღელების დაქირავების სისტემა საშუალებას აძლევს დამქირავებელს, ცუდად მოექცეს მათ. შესაძლოა, თქვენ ამას ვერ ხვდებით, მე კი ვხვდები. დანამდვილებით ვიცი, ჯონი გალაპერმა ბანაკში ერთი კაცი რომ მოკლა, შესაძლოა, მეტიც... ნეტავ ვის ადარდებს, ერთი კატორღელით მეტი იქნება თუ ნაკლები? მითხრა, გარბოდა და იმიტომ ვესროლეო. ისეთებსაც ამუშავებდა, რომლებიც მეტისმეტად იყვნენ დაუძღვრებული და არაფრის კეთება არ შეეძლოთ. თუ გასურთ, ცრურწმენა დაარქვით, მაგრამ მწამს, რომ სხვის უბედურებაზე ბედნიერებას ვერ ავაგებ.

— დასწყევლოს ღმერთმა! თქვენ რა... ღმერთო, ეშლი, ღირსი მამის, უოლასის ანკესზე ხომ არ წამოგვით, ბინძურ ფულზე რომ ლაპარაკობდა.

— სულაც არა, სანამ მოძღვარი იქადაგებდა, მანამდეც ამ აზრზე ვიყავი.

— მაშინ, ალბათ, თვლით, რომ მთელი ჩემი ფული უწმინდურია! — იყვირა სკარლეტმა და ბრაზი მოერია, — მე ხომ კატორღელებსაც ვამუშავებდი, სალუნიც მაქვს და...

— სკარლეტი უცებ გაჩუმდა, რადგან ორივე უილკსი შეცბუნებული ჩანდა, რეტი კი ფართოდ იღიმებოდა. „დასწყევლოს ღმერთმა რეტი, — გაიფიქრა აღშფოთებულმა სკარლეტმა, — ალბათ, რეტიც და ეშლიც ფიქრობენ, რომ ისევე სხვების საქმეში ვერევი. ნეტავ შემეძლოს, თავები ვახლეინო ორივეს ერთმანეთზე!“ მერე ბრაზი ჩაყლაპა და სცადა, ღირსეულად დაეჭირა თავი, მაგრამ არ გამოუვიდა.

— რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, — თქვა ბოლოს.

— სკარლეტ, არ გეგონოთ, გკიცხავთ! სულაც არა, უბრალოდ, ჩვენ სხვადასხვანაირად ვფიქრობთ. რაც თქვენ სწორად მიგაჩნიათ, ჩემთვის არასწორია.

სკარლეტმა უცებ ინატრა, მარტო ყოფილიყო ეშლისთან. ინატრა, მელანი და რეტი დედამინის მეორე ნახევარსფეროში ყოფილიყვნენ, რომ ხმამალა ეყვირა: „მე მინდა, ორივე ერთნაირად ვფიქრობდეთ! მითხარით, რა გაქვს გულში, იქნებ გაგიგოთ და მეც ისე მოვიქცე, როგორც გასურთ!“

მაგრამ მელანი ოთახში იყო და ამ სცენის შემყურე ცახცახებდა, რეტი კი სეირს უყურებდა და იღიმებოდა. სკარლეტს მხოლოდ ის შეეძლო, ცივად მიეღო ეშლის ნათქვამი. მთელი ძალა მოიკრიბა, რომ ეთქვა:

— ეს თქვენი საქმეა, ეშლი, მე უბრალოდ, რჩევას გაძლევთ, როგორ მართოთ სამხერხაოები. თუმცა, არ მესმის თქვენი შენიშვნები და დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

ოჰ, ნეტავ მარტო ყოფილიყვნენ, მაშინ იძულებული არ გახდებოდა, ასე ცივად მოქცეოდა და გაენანყებინა თავისი სიტყვებით!

— განყენინეთ, სკარლეტ! არადა, არ მინდოდა. დამიჯერეთ და მომიტყევით. იმაში, რასაც მე ვამბობ, უცნაური არაფერია. მე უბრალოდ ვთვლი, რომ ამ გზით ნაშოვნ ფულს ბედნიერების მოტანა არ შეუძლია.

— მაგრამ ცდებით! — იყვირა ქალმა, რადგან ველარ შეძლო თავის შეკავება, — შემომხედეთ! ხომ იცით, ფულს რა გზით ვშოულობ. ისიც იცით, რა გზა გამოვიარე, სანამ გავმდიდრდებოდი! ალბათ, გახსოვთ, როგორ გამოვიარეთ ის საშინელი ზამთარი ტარაში, როცა ისე გვციოდა, რომ ნოხს ვჭრიდით, ფეხსაცმელების შესაკერად. საქმელი არ გვეყოფნიდა და არც კი ვიცოდით, ბოსა და უეიდისთვის განათლება როგორ მიგვეცა. გახ...

— მახსოვს, — თქვა დაღლილი ხმით ეშლიმ, — მაგრამ მირჩევნია, არ მახსოვდეს და იმ დღეების დავინყება შემეძლოს.

— დიახ, მაგრამ იმასაც ხომ ვერ იტყვით, რომ მაშინ ამაზე უფრო ბედნიერები ვიყავით, ასე არ არის? ახლა კი ნახეთ, როგორ ვცხოვრობთ! თქვენ შესანიშნავი სახლი გაქვთ და კარგი მომავალი, მე კი ისეთ სასახლეში ვცხოვრობ, მასზე უკეთესს იშვიათად ნახავთ. საუცხოოდ მაცვია და წმინდა სისხლის ცხენები მყავს. ჩემსავით გულუხვ სუფრას ბევრი ვერ გაშლის ამ ქალაქში. ვერც ისეთ მიღებას მოაწყობს, როგორსაც მე ვმართავ ხოლმე. ჩემს შვილებს კი ყველაფერი აქვთ, რასაც ისურვებენ. მითხარით, სხვანაირად როგორ მეშოვა ფული? ხეები ისხამდნენ დოლარებს? არა, სერ! რომ არა კატორღელები და სალუნის დამქირავებლები...

— მოკლული იანიკი არ დაგავინყდეთ, — თქვა რეტმა შემპარავად, — სწორედ მას უნდა უმადლოდეთ, საქმე რომ წამოიწყეთ.

სკარლეტი რეტს მიუბრუნდა, მზად იყო, საშინელი სიტყვები ეთქვა.

— ფულმა კი ძალიან, ძალიან გაგაბედნიერათ, არა,



საყვარელო? — ჰკითხარეტიმა ტკბილად და ერთდროულად შხამიანად.

სკარლეთი ცოცხალი ხნით გაჩუმდა, პირი ღია დარჩა და თვალები სწრაფად მოავლო ოთახში მყოფ სამ ადამიანს. მელანის სირცხვილისგან ღამის ეტირა, ეშლი მოტეხილი და ძალაგამოცლილი ჩანდა, რეტი კი სიგარას ენოდა და ჯიქურ შეჰყურებდა. ჩანს, შესანიშნავად ერთობოდა. სკარლეთს სურდა, ეყვირა: „ღიახ, ფულმა გამაბედნერა!“ — მაგრამ რატომღაც ხმა ვეღარ ამოიღო.

**თავი ორმოცდამეთვრამეტი**

ავადმყოფობის მერე სკარლეთმა რეტიში ცვლილება შენიშნა, მაგრამ არც კი იცოდა, მოსწონდა თუ არა ეს ამბავი. რეტი ახლა ფხიზელი, წყნარი და საქმიანი დადიოდა. შინ ხშირად ბრუნდებოდა ვახშმად. მსახურებს უკეთესად ექცეოდა. უედიღა და ელასთან უფრო მოსიყვარულე გახდა. წარსულის ამბებს, რაც უნდა სასიამოვნო რამ ჰქონოდა გასახსენებელი, აღარასოდეს უბრუნდებოდა და, როგორც ჩანს, სურდა სკარლეთსაც აღარ გაეხსენებინა ისინი. სკარლეთი კი ცდილობდა, მშვიდობას გაფრთხილებოდა, რადგან ასე უფრო ადვილი იყო ცხოვრება და ისიც, გარეგნულად მაინც, მშვიდად მიედინებოდა. რეტი სკარლეთს ხაზგასმული ზრდილობიანობით ექცეოდა გამოჯანმრთელების მერე, სარკასტულად აღარ დასცინოდა და მშვიდად ესაუბრებოდა ხოლმე. სკარლეთი მიხვდა, თუ ადრე კაპიტანი მოთმინებას აკარგვინებდა და დასცინოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აზრი აინტერესებდა, ან უნდოდა, ენახა, როგორ მოიქცეოდა, ახლა კი ამ ინტერესს აღარ ამჟღავნებდა. სკარლეთს ხანდახან ძველებური რეტი ენატრებოდა, ენატრებოდა ძველი დღეები, კამათი და ქმრის გონებამახვილური შენიშვნები.

კაპიტანი ახლა გაცილებით სასიამოვნოდ იქცეოდა, მაგრამ კაცს ეგონებოდა, სკარლეთი მისთვის უცხო ადამიანიაო. მერე სკარლეთმა ისიც შენიშნა, რომ ის თვალები, რომლებიც ადრე მზერას არ ამორებდნენ, ახლა მხოლოდ ბონისკენ იყო მიპყრობილი. გეგონებოდა, ცხოვრება მხოლოდ ერთ, მშვიდ კალაპოტში მიედინებოდა. ხანდახან ქალი ფიქრობდა, რეტი მას რომ მოპყრობოდა ისე ნაზად და ყურადღებით, როგორც ბონის, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. ზოგჯერ გაღიმებაც კი უჭირდა, როცა ხალხი ამბობდა, შეხედეთ, კაპიტანი ბატლერი როგორ აღმერთებს ამ ბავშვსო. მაგრამ რომ არ გაეღიმა, იფიქრებდნენ, უცნაურიო. სკარლეთს ძალიან არ სურდა ამის აღიარება, მაგრამ მიხვდა, რომ შვილზე, პატარა გოგონაზე ეჭვიანობდა. თანაც, ეს პატარა თვითონაც გამორჩეულად უყვარდა. სკარლეთს სურდა, ბონის უპირველესად დედა ჰყვარებოდა, მაგრამ ცხადი იყო, ასე არ გახლდათ. რეტი და ბონი ერთმანეთზე ჭკუას კარგავდნენ.

ხშირად რეტი გვიან ბრუნდებოდა შინ, მაგრამ ფხიზელი იყო ხოლმე. სკარლეთს ბევრჯერ გაუგონია, როგორ უსტვენდა ჩუმად კაპიტანი, ცოლის ნახევრად შეღებულ კარს რომ ჩაუვლიდა. ხანდახან მამაკაცებიც მოდიოდნენ გვიან მასთან სტუმრად. ისხდნენ სასადილო ოთახში, მაგიდაზე კონიაკით სავსე გრაფინი ედგათ და საუბრობდნენ. ეს მამაკაცები ისინი არ გახლდნენ, ვისთან ერთადაც რეტი სვამდა ხოლმე ქორწინების პირველ წლებში. მათ შორის ვეღარ ნახავდით მდიდარ მესაკვოიანეებს, ჩრდილოელების მხარდამჭერებს ან რესპუბლიკელებს. სკარლეთი თითის წვერებზე მიიპარებოდა ხოლმე ზედა სართულის კიბის მოაჯირთან, მოსაუბრეებს აყურადებდა და რენე პიკარის, ჰიუ ელსინგის, სიმონსების ბიჭებისა და ენდი ბონელის ხმები ესმოდა. ბაბუა მერიუეზერი და ბიძია ჰენრი ასეთ თავყრილობებს არასოდეს აკლდებოდნენ. თავისდა გასაოცრად, ერთხელ სკარლეთს ექიმ მიდის ხმაც კი შემოესმა. არადა, ისინი ერთ დროს ფიქრობდნენ, რეტისთვის ჩამოხრჩობაც კი არ არის საკმარისი სასჯელი!

ეს მამაკაცები სკარლეთის გონებაში ფრენკის სიკვდილს უკავშირდებოდნენ. მათ გვერდით რეტის დანახვაზე კლანი მოაგონდა, რომელმაც ფრენკის სიცოცხლე შეინარა. სკარლეთს შიშით გაახსენდა რეტის ნათქვამი, თუ დამჭირდა, კუ-კლუქს-კლანსაც კი შევუერთდები, უფრო მეტად რომ დამაფასონო, მაგრამ იმედი ჰქონდა, ღმერთი ასეთი მსხვერპლის გაღებისგან დაიფარავდა. იქნებ ახლა ფრენკივით რეტიც...

ერთ ღამეს რეტი ჩვეულებრივზე გვიან მოვიდა და სკარლეთი ნერვიულობისგან ადგილს ვეღარ პოულობდა სახლში. მერე, საკეტში გასაღების გაჩხაკუნების ხმა რომ მოესმა, სასწრაფოდ მოისხა ხალათი, გაზის ღამპა აანთო დერეფნის გასანათებლად და კიბის საფეხურზე დახვდა ქმარს. რეტს დაბნეული და ჩაფიქრებული გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ცოლის დანახვით გაოცებულს სახე შეეცვალა.

— რეტი, უნდა ვიცოდე! უნდა ვიცოდე... კლანის... კლანის წევრი თუ ხართ, იქნებ ამიტომ მოდიხართ ასე გვიან? იქნებ თქვენც...

გაზის ღამპის კაშკაშა შუქზე რეტიმა ჯერ გულგრილად შეხედა, მერე კი გაეცინა:

— დროს ჩამორჩით, სკარლეთ, — მიუგო რეტი, — კუ-კლუქს-კლანი აღარ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ჯორჯიაში მაინც. ალბათ, მესაკვოიანე და ჩრდილოელთა მხარდამჭერი მეგობრებისგან გაიგეთ მასზე საშინელი ამბები.

— კლანი აღარ არსებობს? ცდილობთ, მომატყუოთ და ამით დამამშვიდოთ?

— ძვირფასო, განა ოდესმე მიცდია, დამემშვიდებინეთ? არა, კლანი აღარ არსებობს. ჩავთვალეთ, რომ მას მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი. იანკებისა და განსაკუთრებით იმ ღირსშესანიშნავი გუბერნატორის, ბალოკის წისქვილზე ასხამდა წყალს და მერე მეტად ამიანს უსწორდებოდნენ. გუბერნატორი ძალაუ-



ფლებას დღემდე თუ ინარჩუნებს, იმის წყალობით, რომ ფედერალურ მთავრობას ეუბნება, კლანის მომხრეები ყოველი ბუჩქის უკან არიან ჩასაფრებულები და ჯორჯიაში ამბოხებას აწყობენო. იანკების გაზეთები კი ამას აქვეყნებენ. სწორედ მას სჭირდება, კლანელების სასტიკ შურისძიებაზე მოიგონოს საშინელი ამბები. რესპუბლიკელებს მარიონეტებივით ათამაშებს და ეუბნება, თითქოს პატიოსან ზანგებს გაუპატიურების ბრალდებით ლინჩის წესით ვასამართლებთ. თუმცა, მიზანში ვერ ახვედრებს ამ განცხადებებით. მადლობელი ვარ, ჩემზე რომ ზრუნავთ, მაგრამ კუ-კლუქს-კლანი მას მერე აღარ არსებობს, რაც მე ჩრდილოელთა მხარდაჭერას შევეფიდა და თავმდაბალ დემოკრატად ვიქეცი.

ის სიტყვები, რაც რეტმა გუბერნატორ ბალოკზე თქვა, სკარლეტმა ცალ ყურში შეუშვა და მეორიდან გამოუშვა. გონებაში კლანის ამბავი უტრიალებდა. უხაროდა, ეს ორგანიზაცია რომ აღარ არსებობდა. რეტს ფრენკივით ველარ გამოასალმებდნენ სიცოცხლეს. აღარც მალაზიასა და ფულს დაკარგავდა. მაგრამ დიალოგის ერთმა ნაწილმა მაინც შეაშფოთა. რეტმა თქვა, „ჩვენ“ და საკუთარი თავი იმ ადამიანების გვერდით დააყენა, რომლებიც „ძველ გვარდიად“ მიიჩნეოდნენ.

— რეტ, — ჰკითხა უეცრად, — კლანი რომ აღარ არსებობს, თქვენი დამსახურებაა?

რეტი დიდხანს უყურებდა და თვალები მხიარულად გაუკრთა:

— დიახ, საყვარელო. ეშლი უილკსი და მე ვართ ამ ამბავზე პასუხისმგებელი.

— ეშლი... და თქვენ?

— დიახ, ბანალურია, მაგრამ ასეა. პოლიტიკა წარმოუდგენელ მოკავშირეებს შობს ხოლმე. ეშლი და მე სხვა შემთხვევაში არასოდეს ვიფიქრებდით ამაზე. ეშლისაც არასოდეს მოსწონდა კლანი, რადგან მიაჩნდა, რომ ძალადობრივი მეთოდებით უსწორდებოდნენ დამნაშავეებს. მე კი იმიტომ არ მომწონდა, რომ მათი სისულელის გამო შტატში საქმეები ცუდად მიდიოდა. ასე ხომ იანკები მეორედ მოსვლამდე ჩვენს კისერზე იქნებოდნენ. მოკლედ, მე და ეშლიმ დავარწმუნეთ ფიცხი დემოკრატები, რომ უფრო მეტს მიაღწევდნენ, თუ ხელსაყრელ დროს დაელოდებოდნენ და აი, მაშინ ააფრიალებენ გრძელ, თეთრ კვართებსა და ცეცხლმოკიდებულ ჯვრებს.

— გინდათ, მითხრათ, რომ ბიჭებმა თქვენს რჩევას დაუჯერეს, მიუხედავად იმისა, რომ...

— მიუხედავად იმისა, რომ სპეკულანტი, ჩრდილოელთა მხარდამჭერი და იანკების თანამზრახველი ვიყავი? მისის ბატლერ, ხომ არ გავინწყდებით, რომ ახლა დემოკრატებს ვუდგავარ მხარში, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვაპირებ მათ გვერდით დგომას და ვცდილობ, მოძალადეებისგან დავიცვა! ჩემი რჩევა მოენონათ და მიიღეს კიდევ. ხომ იცით, რომ საკანონმდებლო ორგანოში ახლა დემოკრატები უმრავლესობაში ვართ? მალე, საყვარელო, ჩვენს ძვირფას რესპუბლიკელთაგან საუკეთესოებს გისოსებს მიღმა ჩავსვამთ.

მეტისმეტად გაუმაძღრები გახდნენ ამ ბოლო დროს და გათამამდნენ.

— და თქვენ მათ ციხეში ჩასმას შეუწყობთ ხელს? რატომ, ისინი ხომ თქვენი მეგობრები იყვნენ?! სწორედ მათი წყალობით გქონდათ წილი სარკინიგზო ბიზნესში, რამაც ათასობით დოლარი გამოგვინათ!

რეტმა უეცრად ძველებურად, დამცინავად ჩაიცინა:

— ოჰ, ამაში მართალი ხართ, მაგრამ მე ახლა სხვა მხარეს ვდგავარ და სწორედ იქ მოვახვედრებ, სადაც მათი ადგილია. თანაც, მათთან ძველი ურთიერთობის გახსენება დიდ სარგებლობას მომიტანს! ბევრ მათ საქმეში შესანიშნავად ვარ გარკვეული და ჩემი ცოდნა დემოკრატებს გამოადგებათ, როცა საკანონმდებლო ორგანო მათ გამოძიებას დაიწყებს... ეს დღე კი შორს აღარაა. გუბერნატორის საქმის გამოძიებასაც აპირებენ და მასაც ციხეში ჩასვამენ, თუ შეძლებენ. კარგი იქნება, თქვენს კარგ მეგობრებს, გელერტებსა და ჰანდონებს თუ ურჩევთ, ქალაქიდან წასასვლელად გაემზადონ. გუბერნატორის შეპყრობის მერე მათი ჯერიც დადგება.

სკარლეტი ამდენი წელიწადია, ხედავდა, როგორ უმაგრებდა იანკების არმია ზურგს რესპუბლიკელებს ჯორჯიაში და რეტის ნათქვამის დაჯერება გაუჭირდა. გუბერნატორს ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა და საკანონმდებლო ორგანო ასე ადვილად ვერ გაუსწორდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ვერ დააპატიმრებდა მაინც.

— რა სისულელეებს ამბობთ, — დასძინა ბოლოს.

— ციხეში თუ ვერ ჩავსვამთ, გადავირჩევთ მაინც. ამჯერად დემოკრეტი გუბერნატორი გვეყოლება, მრავალფეროვნებისთვის.

— ალბათ, ამაშიც თქვენი ხელი ურევია, არა? — სარკასტულად ჰკითხა სკარლეტმა.

— დიახ, ჩემო ფისუნიავ, ნამდვილად ასეა! სწორედ ამიტომ მოვდივარ ხოლმე შინ გვიან ღამით. იმაზე მეტს ვშრომობ, ვიდრე ოდესმე მიშრომია, თუნდაც ოქროს ციებ-ცხელებისას, ნიჩბით რომ ვთხრიდი მიწას. ვცდილობ, არჩვენების ორგანიზებაში დავეხმარო დემოკრატებს. და... ვშიშობ, გულს გატკენთ ამის თქმით, მისის ბატლერ, მაგრამ დიდ ფულსაც უურიცხავ ამ ორგანიზაციას. გახსოვთ, ერთხელ, წლების წინ, ფრენკის მალაზიაში მითხარით, რომ არასწორი საქციელი იყო კონფედერაციის ოქროს გამოყენება? უნდა ვალიარო, რომ პირველად დაგეთანხმეთ და ახლა ამ ოქროს ისევ კონფედერაციას ვუბრუნებ, ვცდილობ, დავეხმარო, ძველი ძალა მოიკრიბოს.

— ეს იგივეა, ფული ვირთხის სოროში შეჩურთოთ!

— რაო? დემოკრეტი ულ პარტიას ვირთხის სოროს უწოდებთ? — რეტმა ისევ დამცინავად შეხედა სკარლეტს, მაგრამ მერე ეცადა, გულგრილი გამომეტყველება მიეღო, — ჩემთვის სულერთია, არჩვენებს ვინ მოიგებს. უბრალოდ, ყველამ იცის, რომ დემოკრატების მხარეზე ვარ და ფულსაც მათ ვახმარ. თანაც, ეს ამბავი მომავალში ბონის ნაადგება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# 15 წლის ბობონა, რომელსაც საახალწლო განწყობა არ აქვს

„დედა ის ციხესიმაგრეა, რომელიც არასდროს არ უნდა ჩამოიშალოს!“

გვანცა ძალიან განიცდის უდებობას. ის მშობელთან გაუსაძლის პირობებში ცხოვრებამ და უკეთესი მომავლის იმედმა დააშორა. როცა დედამისი საზღვარგარეთ მიდიოდა, ფიქრობდა, რომ შვილებთან დაბრუნების საშუალება მალევე მიეცემოდა, მაგრამ წლები გავიდა და დედას შვილების მონატრება ძველებურად ტანჯავს, ისევე — როგორც შვილს მშობლის გარეშე ცხოვრება. გვანცას წერილს უცვლელად გთავაზობთ:

## ლიკა ქაჩია

„გამარჯობა. ძალიან მინდა, ჩემზე გიამბოთ. დედაჩემი ემიგრანტია. საქართველოდან რომ წავიდა, გული ტკივილით ამევსო — მაშინ 11 წლის ვიყავი.

როცა ოჯახში გადაწყვეტილება მიიღეს, რომ საქართველოდან უნდა წასულიყო, თავიდან ამ ამბავს სიხარულით შევხვდი — ბევრი რამ მაკლდა და ბავშვურად ვფიქრობდი, რომ თუ დედა იმუშავებდა, ყველაფერი მექნებოდა. თან, ყველა მიჩინებდა, — დედა რომ წავა, გეშველებათო. მოკლედ, მეც სიხარულით გავაცილე. მხოლოდ ჩემი ძმა ჯღაოდა. ის 4 წლის იყო და უდებობას დიდხანს ვერ შეეგუა.

დედა რომ წავიდა, გიო მის ნივთებს კოცნიდა, მის პიჟამას გულში იხუტებდა და ეფერებოდა, ეტიკტიკებოდა, — ხომ მალე ჩამოხვალო?

ბავშვებმა დედის შესახებ კარგა ხანს არაფერი ვიცოდით. რატომღაც, არ გველაპარაკებოდა. მამა გვეუბნებოდა, — დედამ მოგიკითხათ. ასე თქვა, მალე ყველაფერი ექნებათ ჩემს შვილებსო და მისი გვეჯეროდა. მერე გავიგე, რომ დედა შეგნებულად არ ცდილობდა ჩვენთან დალაპარაკებას, რადგან ჩვენი ხმის გაგონებაც კი მასზე ცუდად მოქმედებდა. ცხადია, უზომოდ ენატრებოდა შვილები, მაგრამ მისი მხრიდან მსხვერპლის გაღება ალბათ, აუცილებელი იყო.

საბერძნეთში მულმა წაიყვანა. მამიდა წლებია, საზღვარგარეთ ცხოვრობს. ის პირველად 6 წლისამ ვნახე. სხვათა შორის, ბერძენი ქმარი ჰყავს, რომელიც ყურადღებას არ აკლებს ქართველ ცოლს. მამიდა მარიგებს, — უცხოელზე გათხოვდი, ქართველ ბიჭს ნუ შეიყვარებ. მაგათ გინებისა და ჩხუბის გარდა, არაფერი იციან, უცხოელებს კი



ჩემს ძამიკოსაც ძირითადად, მე ვუვლიდი და სწავლაში მაგრად ჩამოვრჩი

ქალის ფასი გააზრებული აქვთო. ასეა თუ ისე, მამიდა თავს კარგად გრძნობს. აი, მამა კი მასზე გამუდმებით ბუზღუნებდა. ამბობდა, — გაბოზდაო, მაგრამ მერე, როცა მისი და საქართველოში საჩუქრებით დაბრუნდა, აზრი შეიცვალა და საბოლოოდ, ცოლიც კი გაუშვა საზღვარგარეთ სამუშაოდ...

მამას ბევრ რამეში ვამტყუნებ. ხომ შეიძლებოდა, დას თავად გაჰყოლოდა და შვილებისთვის დედის მზრუნველობა არ მოეკლო? მაგრამ რა ქნას, მუშაობა არ უყვარს. თავს ასე იმართლებს, — იქ კაცის სამუშაო არ ყოფილაო. რატომ, დავიჯერო, საბერძნეთში მუშა არავის სჭირდება? მაგრამ ზარმაცია. აქაც, გაზაფხულზე ხალხი სათონხნად და სიმინდის დასათესად რომ გარბის, ამას ყანაში მუშაობაც ეზარება: იცის, დედიკოს გამოგზავნილი ფულით თავს იოლად გავიტანთ და რატომღა იმუშაოს? სხვები რომ ეუბნებიან, — მინას რატომ არ ამუშავებო? ამბობს: მერე, ჩემს შვილებს თქვენ მიხედავით? ვითომ გადაყოლილია ჩვენზე: 11 წლისამ

ვისწავლე სახლის დალაგება, დასუფთავება და თქვენ წარმოიდგინეთ, ძროხის მონველაც კი, რომ თვითონ თავი არ შეენუხებინა და პატარა ბავშვს ყინვაშიც კი მე მიშვებდა ბოსელში, — წადი, ძროხა მონველე, თორემ ყველის გარეშე დარჩებითო. ჩემს ძამიკოსაც ძირითადად, მე ვუვლიდი და სწავლაში მაგრად ჩამოვრჩი.

სამაგიეროდ, ჩემს ძამიკოს ვეხმარები და ის საუკეთესო მოსწავლეა. სამწუხაროდ, დედას არ უნახავს, როგორ წავიდა გიო სკოლაში, როგორ მიათრევდა პატარა ხელებით ჩანთას და როგორ ცდილობს, მამისგან დამიცვას, როცა ის მთვრალია და მეჩხუბება...

დედას ტელეფონით, „სკაიპით“ უკვე ხშირად ველაპარაკები, მაგრამ ვგრძნობ, ვმორდებით ერთმანეთს. გიოს მე ვგონივარ დედა, მშობელს კი ისე ელაპარაკება, როგორც ნათესავს, რომელიც უბრალოდ, საჩუქრებით ანებივრებს. დედა ამ ყველაფერს ძალიან განიცდის, მაგრამ ისიც იცის, რომ სიყვარულს ვერავის დააძალებ. ჰოდა, სულ ვეუბნები, —



ჩამოდი. აქ რომ იქნები, თავს ყველა უკეთ ვიგრძნობთ-მეთქი, მაგრამ ამბობს: ვერ გავრისკავ! თქვენ ხომ ახლა უფრო მეტი გჭირდებათ, ვიდრე მაშინ გჭირდებოდათ, როცა მიგატოვებ და სამუშაოდ საბერძნეთში გადმოვიხვეწე. მართალია, ფული ყოველთვის გვაქვს და საჭმელ-სასმელიც არ გვაკლია, მაგრამ ყველაზე მთავარი ადამიანი არ გვყავს გვერდით და ამაზე ფიქრი ნერვებს მიშლის. გარდაცვლილი რომ იყოს, ალბათ, ასე არ ვიდარდებდი, მაგრამ ცოცხალია და ჩემგან შორს რომ არის — ეს ძალიან ძნელი ასატანია. მე ის ჩემ გვერდით მჭირდება და არა სადღაც შორს, ფულის ტომრად ქცეული.

მის ადგილას მე როგორ მოვიქცეოდი? — ხომ ხედავს, რომ მამამ მისი არსებობაც კი დაივიწყა? ეს კაცი მე და ჩემს ძმასაც ვეღარ გვითხრობს (საკითხავია, სირცხვილის გრძნობა საერთოდ შერჩაკია?), გარეთ და გავყვარდა. ხანდახან რამდენიმე დღით იკარგება და მერე გვიწევს მის საძებნელად სიარული ალმა-დალმა. ჰო, ვეძებ, აბა, რა ვქნა, თავმოყვარეობა მაქვს, ის კი, მინდა თუ არა, მამაჩემია.

თანატოლებისგან აშკარად, გამორჩეული ვარ: მათ ვერ ვუგებ. ის რაღაცები არ მაინტერესებს, რითიც თავს ირთობენ. სულ სხვა რაღაცებზე ვფიქრობ. ჩემგან განსხვავებით, ისინი ძალიან ლაღები, მხიარულები არიან, მე კი გამუდმებით ჩემს უბედურებაზე ვფიქრობ და ღიმილსაც იშვიათად ვახერხებ. ცუდი მოსწავლე ვარ, მაგრამ უნიჭო — არა! სწავლა შემეძლია, მაგრამ საამისოდ დრო მაქვს ცოტა და ჩამოვრჩი კლასელებს. აბა, რა ვქნა, სახლის საქმეები თუ არ გავაკეთე, ჭუჭყი შეგვჭამს; ტანსაცმელი თუ არ დავრეცხე, ტილები დაგვესევა; ძმაზე თუ არ ვიზრუნე, სწავლას ისიც ჩამორჩება. ჰოდა, ჯანდაბას ჩემი თავი! ერთხელ ეს ყველაფერი დედას შევიჩველე: მთხოვა, ცოტაც გაუძელი და ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ გამო მეც ხომ ბევრი დამცირების გადატანა მიწევსო? მერედა, ვინ სთხოვა ამის გაკეთება? სულაც არ მინდა ფუფუნება, მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ ის იყოს ჩემ გვერდით და მეც ისე გავატარო ბავშვობის წლები, როგორც სხვებმა.

ჩემი ტკივილის გაგება ბევრს

უჭირს. ზოგიერთი თანატოლი მეუბნება, — დედაჩემი რომ იყოს საბერძნეთში, გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი თავს, ახლა კი ბევრი რამ მაკლიაო. ისინი ვერ აფასებენ მშობლის გვერდით ყოფნის სიამოვნებას ისე, როგორც საჭიროა. ჰგონიათ, მატერიალური კეთილდღეობა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ახლობლების მხარდაჭერა. არადა, ვინც ასე ფიქრობს, მწარედ ცდება.

თქვენი რუბრიკების ქვეშ მიწერილმა ტელეფონის ნომერმა და მეილმა გამათამაშა. ვინ იცის, ეს წერილი რამდენჯერ ავკრიბე და ნავშაღე, მაგრამ ახლა საბოლოოდ გადავწყვიტე, მომეწერა. იქნებ ჩემნაირების გასაჭირი გულთან მიიტანონ მთავრობის წევრებმა და შვილებს დედები დაგვიბრუნონ, უცხოეთში გადახვეწილები აქ დაასაქმონ და პატარები ნაადრევად არ დაგვაბერონ. მადლობა და ბოდიში, თუ შეგანუხეთ, მაგრამ ახალი წლის ღამეს სხვებმა რომ საჩუქრები დააბარეს თოვლის რბაჟსა, ჩემი სათხოვარი მხოლოდ ბავშვობის წლებში დაბრუნება იყო. სხვები რომ მამხალეებს ისროდნენ ფანჯრებიდან, მიუხედავად იმისა, რომ სახლში უამრავი მამხალეც გვექონდა და სავსე სუფრაც, მე ტირილით გავაცილე ძველი წელი და ცრემლით შევხვდი დამდეგს. ჩემს ლოცვებშიც მხოლოდ დედის დაბრუნების სურვილია.

არ მინდა, ამ ახალი წლის დღეებში გუნება კიდევ უფრო მეტად მოვიწამლოთ ჩემი ყოველდღიურობით და მამაჩემის საქციელზე წუნუნით, თორემ მერწმუნეთ, ძალიან შეგებრალეობოდი. დიდი მადლობა, თუ ამ წერილს გამომიქვეყნებთ და ბოდიში, თუ ჩემი წუნუნის გამო გული დაგიმძიმეთ. ყველას გისურვებთ დედის გვერდით ლაღად ცხოვრებას. დედა ის ციხესიმაგრეა, რომელიც არასდროს უნდა ჩამოიშალოს!”

**P.S.** „გზა“ გაძლევთ შანსს, თქვენც გახდეთ ჩვენი რესპონდენტი! თუ ფიქრობთ, რომ სხვებისგან რაიმეთი გამოირჩევით ან საკუთარი საინტერესო თავგადასავლის მოყოლა გსურთ, თუ სურვილი გაქვთ ვინმეს სიყვარულში გამოუტყდეთ ან სულაც, სოციალურ პრობლემებზე საკუთარი აზრი დააფიქსიროთ, მაშინ მოგვწერეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მეილზე: [lika.qajaia@gmail.com](mailto:lika.qajaia@gmail.com)



„ძველი რომის ქუჩების სატელეფონო ჯიხურები, წლების უკან ჩემი არსებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. დიდ, ქაოსურ და უცხო სამყაროში პატარა ოთხკუთხედი სივრცე იმ იმედად მესახებოდა, სადაც შემეძლო ქართულად მესაუბრა. მრავალციფრიანი კოდს წინასწარ ვიმასხოვრებდი, სამსახურიდან მოპარული რამდენიმე წუთიდან არც ერთი წამი ფუჭად რომ არ დამეხარჯა.

— დედიკო, შენ ხარ? — ამ სიტყვების გაგონების შემდეგ ყველაფერი ამქვეყნიური მავინწყებოდა.

რამდენი მონატრება, ცრემლი, კოცნა და ართქმული მიმიხდვია ამ წითელი ყურმილისათვის. რამდენჯერ მინატრია, მის მილს ხმასთან ერთად გავყოლოდი და შვილები გულში ჩამეკრა ძლიერ, ძლიერ ტკივილამდე. ოპერატორის ხმაც, რომელიც მეუბნებოდა:

— თქვენ არასწორად აკრიფეთ კოდი! — მშობლიური გახდა. მთავარი ის იყო, რომ ქართული ხმა მესმოდა.

წლების დინებამ ეს ემოციებიც გააუფერულა ჩემში...

საკომუნიკაციო საშუალებების სწრაფ განვითარებას, სატელეფონო ჯიხურების უმოქმედობა მოჰყვა, ამიტომ გაუქმებას ექვემდებარებაო, — განაცხადა იტალიის მთავრობამ.

არსებობენ ნივთები, რომელთა თავიდან მოშორებას მოგონებები არ მანებებენ... სადღაც, გულის სიღრმე მატიკინა ცნობამ სატელეფონო ჯიხურების გაუქმების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გულგრილადაც ჩავუვლიდი ხოლმე...

რამდენიმე დღეა, მივიწყებულმა სატელეფონო ჯიხურმა თავი შემასხენა.

ღილით გაჩერებაზე ავტობუსს



# სატელეფონო ჭიხური

ქალბატონმა ლიამ რომიდან გამოგვიგზავნა წერილი, რომელიც გულგრილს არავის დაგტოვებთ. ის ჰყვება, თუ რას ნიშნავს თითოეული ემიგრანტისთვის ტელეფონის ყურმილი და რაოდენ მნიშვნელოვანი თუ დასაფასებელია ადამიანების უნარი — ერთმანეთს გაუნაწილონ სიტბო და ილოცონ თუნდაც, უცხო პიროვნებების კეთილდღეობისთვის (სტილი დაცულია).

ველოდი. აფრიკელმა ბიჭმა, რომელსაც ხვეულ თმას ცისარტყელას ფერებში ნაქსოვი ქუდი უფარავდა, ნინ ჩამიარა და იქვე მდგომ სატელეფონო ჯიხურში შეაბიჯა. ზურგჩანთა დაავადო და ნელ-ნელა ძირს დაეშვა, ხელებში ჩარგული თავით. შემდეგ ხელი გაინოდა, ყურმილი ჩამოხსნა და ნომრის აკრების გარეშე დაიწყო საუბარი...

— სად მოასწრო ამ დილაუთენია?! — სამწუხაროდ, კარგი არაფერი მიფიქრია. მაგრამ ეს რომ მეორე და მესამე დღესაც განმეორდა, სული ამიფორიაქა. ნომრის აკრების გარეშე საუბრობდა და საუბრობდა. დროდადრო თავს ზემოთ ასწევდა, დიდ შავ თვალებში ცრემლი და ტკივილი ერთმანეთს ეკვროდა... ასაკითაც პატარა მეჩვენა... ნეტავ, ვის ესაუბრება წარმოსახვით? ვის ანდობს მის თავზე დატეხილ ამბებს?... დროდადრო მარჯვენა ხელს მუშტად აქცევს და გულზე იცემს... ალბათ, დედას... დედას უყვება, მშიერმა თუ როგორ გაათენა თეთრად კიდე ერთი ღამე. როგორ ენატრება დედის თბილი ხელები და მისი გულში ჩაკვრა ტკივილამდე... ტკივილამდე... უყვება, თუ როგორი იოლია უცხო ქალაქში თავი მარტოდ-მარტო იგრძნო. იმდენად ნელა და დამაჯერებლად საუბრობს, რომ თითოეული სიტყვა ფიქრში ნათელი ღამის ნაყოფია... ყურმილს იმდენად ნელ-ნელა კიდებს, ეტყობა, რომ საუბრის დასრულება ენანება. ფეხზე წამომდგარი ყურმილს ისევ იღებს და ისევ ნომრის აკრების გარეშე იწყებს საუბარს, მხოლოდ — ახლა, თვალებში სხვაგვარი ცელქი სხივი უციმციმებს, ილიმის კიდეც ზოგჯერ... ხელებს მალლა სწევს — აი, ისე, ვინმეს ძვირფას და მიუწვდომელს რომ ესაუბრები... ალბათ. შეყვარებულ გოგონას, მისი ქუდიდან მოპარული ცისარტყელას ფერებში უხატავს ცხოვრებას, რომ არ შეაშინოს და გული არ ატკინოს... ვინ იცის, რა აღსარებას აბარებს ეს სულაფორიაქებული ბიჭი ტე-

ლეფონის უტყვ ყურმილს...

ყოველივე ამან, უცხო მინაზე, ჩემი ცხოვრების პირველი თვეები შემახსენა... სადილს ვამზადებ, ჩემი 93 წლის იტალიელი ბაბუა სამზარეულოში შემოდის ატირებული და მეუბნება:

— საინფორმაციომ გამოაცხადა, რომ საქართველოში „ტერემოტო“ მოხდაო!...

სასწრაფოდ ლექსიკონი ავიღე. სიტყვა „ტერემოტო“ მნიშვნელობა არ ვიცოდი და... მაშინ გავიგე, თუ როგორ ეყრება ერთმანეთს სული და ხორცი, როცა „მინისძვრა“ ამოვიკითხე.

— ნადი, ნადი, გადარეკე და გაიგე, როგორ არიან შვილები. ღმერთმა გიმველოსო! — გზაში წამომენია ბაბუას სიტყვები. მოვწყდი ადგილს და გავიქეცი სატელეფონო ჯიხურისაკენ, რომელიც ქუჩაში იდგა და მაშინ ჩემთვის სამყაროს წარმოადგენდა.

ტელეფონზე არავინ მპასუხობდა... ღმერთო ჩემო, რა სიცარიელე იყო. მეგონა, მარტოდმარტო დავრჩი ამქვეყნად და არავინ ცოცხალი აღარ მყავდა... ხელები პირზე ავიფარე და კბილებით ხორცს ვიგლეჯდი, რომ არ მელრიალა... ისევ ვცაადე, ავკრიბე ნომერი, ვილაც ქალბატონმა აილო...

— არა, დედა, სხვაგან მოხვდი, — მითხრა და ტელეფონის გათიშვას აპირებდა.

— არ გამითიშოთ, ქალბატონო, ტელეფონი, შვილებს გაფიცებთ, არ გამითიშოთ-მეთქი, — უკვე ხმამალლა ვტიროდი.

— რა იყო, დედა, რა გიჭირს ასეთი, მითხარი.

— მინისძვრა მომხდარა და თუ არის მსხვერპლი? შვილებს ვერ ვუკავშირდები.

— არ არის მსხვერპლი, შვილო. არ გრცხვენია, ცოცხალ შვილებს რომ დასტირი? ყველაფერი კარგად არისო, — დამამშვიდა უცნობმა ადამიანმა. ათასი მადლობა გადავუხადე, მაგრამ სამწუხაროდ, არც სახელი მიკითხავს მისთვის. აცახ-

ცახებული ხელით ავკრიბე მაშინ ნომერი და არც ის დამამახსოვრდა, სად დავრეკე... თქვენ იქნებ დაგავინყდათ ერთი „გიჟი ქალი“... მაგრამ მე არასოდეს დაგივინყებთ, უცნობო ქალბატონო. იმ დღეს დედასავით რომ დამამშვიდეთ, ჩემო კეთილო ადამიანო... დღესაც, წლების შემდეგაც ჩაგიკრავდით და დაგიკოცნიდით თბილ გულს...

შემდეგ შვილებსაც დავუკავშირდი. უფლის ნებით, მშვიდობით იყვნენ. სახლში რომ დავბრუნდი, ბაბუა შემომეგება.

— მშვიდობაა! — ემოციებისაგან ისე ვიყავი დაცლილი, მხოლოდ ამ სიტყვის თქმა შევძელი.

ბაბუა მივიდა მადონას ხატთან და გადაინერა პირფარა... მადლობელი ვარ, შვილები ცოცხალი რომ ჰყავსო!

რა მნიშვნელობა აქვს, რა ენაზე



მივიწყებულმა სატელეფონო ჯიხურმა თავი შემახსენა

საუბრობდა ეს მოხუცი ან როგორ გადაინერა პირფარა?.. ჩემი ტკივილი გაიზიარა და ჩემმა ტკივილმა აატირა. დღეს, ჩემი ქართველი ბებია-ბაბუას სსოვნასთან ერთად, ჩემი იტალიელი ბაბუას სსოვნასაც ვატარებ...

ორი დღე და ღამეა კოკისპირულად წვიმს. არც ბიჭი გამოჩენილა სატელეფონო ჯიხურთან... ვაითუ... ან იქნებ გამოჩნდა ღვთისნიერი ადამიანი, ვინაც მოუსმინა და სული დაუმშვიდა.

ამ დილით სატელეფონო ჯიხურთან მივედი... ყურმილი ავიღე... გაუსაძლისი სიჩუმე იდგა... ■



# კვირის პალიტრა

## შუქკვირეული გუნდი

№2 (1119) ◆ 11 — 17 იანვარი, 2016 წ. ფასი 1,5 ლარი

### ფართოდ მოზიებული ქაბრები

**ექსკლუზივი**

როგორ „აუკრძალა“  
სელისუფლებამ საკუთარ  
თავს იაფფასიანი  
მანქანების ყიდვა



„ან არაკომპეტენტურობასთან  
გვაქვს საქმე, ან ღარიბაშვილი  
შეცდომაში მიზანმიმართულად  
შეიყვანეს“

„მთავრობის  
გადაწყვეტილების  
გამო ჩინეთის საელჩო  
გაკვირვებას გამოხატავს“

**ვინ ლოგირებს  
სანდალური  
საქმეების  
მოსამართლევს?!**



**„პრეზენციები  
ჩვენ  
სამსახურთან  
გაქვს“**



**„ვალისკრებთ,  
რომ პარტია  
პასიური  
იყო“**








## „ეგონა, უკსხეგონა!“

**რატომ აღაშფოთა  
საზოგადოება სოფო  
ნიჟარაძის ტელეფერში  
გამოჩენამ**

ნიკუშა შენგელაია: „სოფო  
ნიჟარაძის ადგილას საზოგა-  
დოებაში გამოჩენას მოვერი-  
დებოდი“

„ხალხმა, დიდი ხანია, ყველა-  
ფერს თავისი სახელი დაარქვა  
და ამას „ნაცმოდრაობის“ დროს  
შექმნილი მიუზიკლითა თუ რო-  
მელიმე შოუში გამოჩენით ვერ  
გადაფარავენ“

## ქართული გენეკალი „პარსკვლავური ოპერისთვის“ ლაზერულ იარაღს ქმნიდა



ლაზერული პისტოლეტის მთავარი დანიშნულება კოსმოსში მონინალ-მდეგის თანამგზავრის ოპტიკური ხელსაწყოების მწყობრიდან გამოყვანა გახლდათ



## ქურნალისტური მოკვლევა

# თაგაქოს ოპერის გენლი კუთხეები

„მსოფლიო ბაზრის ლიდერ კომპანიას, როგორც „ფილიპ მორისია“, საქართველოს ბაზარზე ასეთი ქაოსი არ აწყობს. სიგარეტის გაძვირება მომხმარებელს აგრესიას აღუძრავს და განვითარების ნაცვლად, ბიზნესს კლავს“

## ქურნალისტი იხვლის პროფესიას



# როგორ წვრთნიან ქართველ პარაშუბისტებს

რეპორტაჟი  
მედესანტეთა  
ბაზიდან

## დიდი კონტრაბანდული ჩეხუსი



„ანტონ ვან დეიკის ნახატი საბაჟო პუნქტიდან გაიტანეს საერთაშორისო საკითხებზე მომუშავე დიპლომატის დახმარებით“



# ბიბლუსი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

<http://svetnov.wordpress.com/>  
[gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

სვეთა კვარაცხელია

დასაწყისი ნი. „მზა“ №40-53, №1 2016

# თამაში ბედისწერასთან



ლამის კლუბში ტაქსით მივიდა. დაღევა უნდოდა და იმიტომ. დათრობა უნდოდა, უგონოდ დათრობა, რომ აღარ ეფიქრა ლელიზე. ერთი ღამე მაინც დაეძინა ნორმალურად, სასმლით გათიშულს, და სულის ტკივილს არ შეეწუხებინა.

კლუბში ცოტა ხალხი ირეოდა. მიკი ჯერ არ ჩანდა. კუთხის მაგიდას მიუჯდა და დაელოდა. აქედან მთელი დარბაზი ხელისგულივით მოჩანდა. უყვარდა, როცა ასეთ ადგილას იჯდა და ყველას შეთვალეობა შეეძლო, იმ ყველას კიდეც — მისი. კლუბში სუსტი განათება იყო, თანაც — წითელი ნათურებით, ამიტომ ნახევრად ბნელოდა, მოშორებით მაგიდებთან მსხდომ და ბართან მყოფ ადამიანთა სახეები ბუნდოვნად ჩანდა, გარკვევით მხოლოდ სილუეტები იკვეთებოდა.

სწორედ ამ დროს შემოსასვლელი კარი გაიღო და მიკი გამოჩნდა. იონამ ძმაკაცს გახედა და კოპები შეკრა — მიკის ქეთი ახლდა თან. ეგლა აკლდა! ნეტავ, ქეთი რატომღა მოიყვანა? ნუთუ სერიოზულად მოსწონს ეს გოგო?

წყვილი პირდაპირ ბარისკენ გაემართა. იონა წამოდგა და მათ მიუახლოვდა.

— კომპანიას გაუმარჯოს, — მიესალმა.

— სალამო მშვიდობისა, იონა, — ქეთიმ გაუღიმა და ხელი ჩამოართვა.

იონა გვერდით მიუჯდა მიკის და ბარმენს ვისკი შეუკვეთა:

— ყველაზე მაგარი რომელიც გაქვს, ის დამისხი.

ერთი ამოსუნთქვით გადაკრა ვისკი და მეორე შეუკვეთა. შემდეგ

ქეთისკენ შეტრიალდა და მხიარულად ჰკითხა:

— ტყუპისცალის გარეშე მოხვედნი? როგორ გამიტყდა! მე და მიკის ჯერ არ გვეოლია ტყუპი „ნაშა“. არა, მიკი?

— იონა! სიტყვებს დაუკვირდი! — მიკი მეგობრის გონზე მოყვანას შეეცადა.

ქეთიმ ჯერ დამცინავად შეხედა, მერე კი სიბრაღული გამოეხატა სახეზე.

— იმედი უნდა გაგიცრუო, ჩემო კარგო. ტყუპისცალის გარეშე მოვედი. მას თაყვანისმცემლების ძალიან გრძელი რიგი უდგას. ამიტომ შენც მოგინვეს რიგში ჩადგომა და დალოდება. — ზიზღით შეათვალიერა ქეთიმ მამაკაცი.

— შენ წარმოიდგინე, რიგში დგომა არ მიზიდავს, — ჩაიცინა იონამ, — არა უშავს, სხვას ვნახავ. იქნებ შენ გყავს რეზერვში კიდეც ერთი დაქალი? ქერთამიანები მომწონს, ხომ იცი. — იონამ მესამე სირჩა დალია.

— მოკეტე, თუ შეიძლება, — გაღიზიანდა ქეთი, — თორემ ვატყობ, ისეთი რამე წამოგცდება, რაც მერე სანანებელი გაგიხდება.

იონამ გადაიხარხარა.

— სანანებელი? მე არასდროს ვამბობ იმას, რასაც მერე ვინანებ.

ქეთიმ ისე შეხედა მამაკაცს, როგორც ავადმყოფს.

— შენ მხოლოდ გგონია ასე. ნამო, მიკი, ნავიდეო. არ მომწონს ეს კომპანია.

ქალი ადგა და გასასვლელისკენ

გაემართა, მიკი კი (იონამ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა) ქეთის მორჩილად უკან მიჰყვა და თავის მოუბრუნებლად მიაძახა ძმაკაცს:

— „იზვინი“, იო!

აი, მეგობარიც ამას ჰქვია! წამში გაცვალა ქალში. იონამ ბარის დახლს მთელი ძალით დაჰკრა მუშტი.

ასე რამ დაუმძიმა თავი? თითქოს ურო ჩაარტყესო. იონა ოდნავ შეირხა და ამოიხვნეშა. თავი გასკდომაზე ჰქონდა. არა, ამდენი არ უნდა დაეღია... აშკარად ზედმეტი მოუვიდა. არ ახსოვს, ბოლოს როდის გამოთვრა ასე.

წუხანდელი ღამე ვერ აღიდგინა მეხსიერებაში. რამდენ ხანს დაჰყყო ბარში, როგორ გამოვიდა იქიდან, სახლამდე როგორ მოაღწია... თვალები გაახილა და მიმოიხედა. თბილისში იყო, თავის ბინაში. კიდეც კარგი, საგურამოში არ წავიდა, თორემ ალბათ ველარც ჩააღწევდა. ან ჩაეძინებოდა გზაში, ან რამეს შეასკდებოდა.

როგორც ჩანს, ქვეცნობიერმა იმუშავა და პირდაპირ ბინას მოაშურა. უეცრად იგრძნო, რომ მის გვერდით ვიღაც სუნთქავდა. ნელა მიაბრუნა თავი მარცხნივ და თვალეები გაუფართოვდა. მის სანოლში გოგონა იწვა — ქერთამიანი, ოდნავ გარუჯული სხეულით და არც ისე ლამაზი სახის ნაკვეთებით, ამასთან, ძალიან ახალგაზრდა, თექვსმეტ წელსაც არ მისცემდა კაცი. ღმერთო, ეს რა უბედურებაა!



საიდან გაჩნდა ეს გოგო აქ? ნუთუ თვითონ მოიყვანა?! სრულწლოვანი მაინც თუა?

ძლივს აითრია წელი სანოლიდან და სააბაზანოს მიაშურა.

როცა უკან მობრუნდა, სანოლი ცარიელი დახვდა. სამაგიეროდ, სამზარეულოდან იფრქვეოდა ყავის სურნელი. აი, ჭკვიანი გოგონა, ყავა მოუდუღებია.

გოგონას ჯინსის შარვალი და უსახელო მაისური ეცვა. ნაბიჯების ხმაზე შემობრუნდა და გაიღიმა.

— დილა მშვიდობისა, — ჩურჩულით წარმოთქვა.

— დილა მშვიდობისა.

იონამ ახლა უფრო დაკვირვებით შეათვალიერა, მაგრამ არ იცოდა, რა ეთქვა, საუბარი რითი დაეწყო.

უცნობმა კიდევ გაუღიმა, ახლა — უფრო მორიდებით.

— მაპატიე, ცოტა გავეშინაურდი.

— ეგ არაფერი, მომნონს კიდევ. გამიმასპინძლები ყავით? ფინჯნები მარცხნივ, კარადის მეორე თაროზეა.

გოგონამ ყავა გაამზადა და იონას მოპირდაპირე მხარეს დაჯდა.

— რამდენი წლის ხარ? — „საჭირობოტო“ შეკითხვა დასვა იომ.

— ცხრამეტის.

კიდევ კარგი!..

— მაგრამ უფრო პატარის შეხედულება გაქვს.

— იმიტომ, რომ გამხდარი ვარ. თექვსმეტზე მეტის არავის ვგონივარ ხოლმე, — მიუგო გოგომ და კვლავ გაიღიმა.

რა სულელივით იღიმის. უნდა დაახვევინოს აქედან. რაში სჭირდება?

— იცი, მე მეჩქარება, შეხვედრა მაქვს. ტაქსი რომ გამოვიძახო, რამდენი დრო დაგჭირდება მოსამზადებლად?

— უკვე მზად ვარ. შეგიძლია, ახლავე გამოიძახო, — გოგონას ღიმილი გაუქრა.

როცა ტაქსი მოვიდა და იონამ კარამდე მიაცილა უცნობი, ისე, სასხვათაშორისოდ შეეკითხა:

— რა გქვია?

— ლელა.

პასუხი სილის განწასავით გაისმა. იონას მუხლები მოეკვეთა.

რა თქმა უნდა, არანაირი შეხვედრა არ ჰქონდა — უბრალოდ უნდოდა, გოგონა რაც შეიძლება მალე წასულიყო. ლელა მქვიაო.

თითქოს ბედმა დასცინა. ლელი და ლელა თითქმის ერთი და იგივე იყო. მისი დავიწყება დროებით მაინც უნდოდა და აი, კვლავ გაახსენდა.

სანოლამდე მილასლასდა ნაბახუსევი და ჩანვა. მალევე ჩაეძინა, მიუხედავად იმისა, რომ ყავა დალია.

ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. თვალი არ გაუხელია, ისე გაინვდინა ხელი ტუმბოსკენ და თითები ფრთხილად მოაფათურა ტელეფონის მოსაძებნად.

— გისმენთ, — ყრუ ხმით ჩასძახა.

მობილურში მაშოს შეშინებული ხმა გაისმა:

— იო, ორი საათია, გირეკავ, რატომ არ მპასუხობ? საერთოდ, ცოცხალი ხარ?

— მშვენიერი შეკითხვაა, — ჩაიცინა იონამ, — არ ვიცი.

მამაკაცს პირი გაშრობოდა, ენას ძლივს ატრიალებდა.

— შენ რა, მთვრალი ხარ? — მიხვდა მაშო.

— „პახმელია“ მაქვს. წუხელ მაგრად დავთვერი, არაფერი მახსოვს, — იონამ სიტყვები განელა, — შენ კიდევ, რა დაგემართა, რას რეკავ ასე გამწარებული?

— მამას ველაპარაკე წელან.

ამის გაგონებაზე ეგრევე გაეხ-

სნა გონება. სიტუაციის გააზრებას მსწრაფლ შეუდგა. ახლა მაშო ეტყვის, მასთან უნდა წავიდეთ და ვინახულოთო.

— სალამოს ჩემთან გამოდიო.

— დღეს რა დღეა?

— შაბათი.

— და რა უნდა, არ უთქვამს?

— არ ვიცი, სალაპარაკო მაქვსო.

საინტერესოა, რაზე უნდა ელაპარაკოს შვილებს? იმაზე, როგორ გააბა რომანი თავისი ვაჟის შეყვარებულთან? ან იქნებ, მის ცოლად შერთვასაც კი აპირებს და მათი ნებართვა სჭირდება? რატომაც არა?! გოგონა ახალგაზრდაა, ლამაზი, ალლოიანი, თუმცა, მამა აბრამის ბატკნად კი მოაქვს თავი. გასაკვირი არაფერია. ლელისნაირი გოგო ვის არ დაახვევს თავბრუს.

— არც მიგანიშნა, რაზე უნდა გველაპარაკოს? რა საიდუმლოებები გაუჩნდა ნეტავ, მამაშენს.

— წარმოდგენა არ მაქვს. მითხრა, ეს ძალიან მნიშვნელოვანიაო. რაღაც, უცნაური ხმა ჰქონდა. შემეშინდა, ცუდად ხომ არ არის-მეთქი? ახლავე მინდოდა წასვლა, მაგრამ დამარწმუნა, კარგად ვარო. შენ კიდევ, ეგრე აგრესიულად ნუ იხსენიებ მამას, გესმის? — საყვედური გაერია მაშოს ხმაში.





— კარგი, ჰო, ვიხუმრე. შენ როგორ ხარ?

— ნორმალურად. ლელისი რა იცი? ამ დღეებში ვურეკავდი და რატომღაც, მობილური გამორთული აქვს. ხომ კარგად ხართ? იმედია, თქვენი საქმეები კარგად მიდის.

— მაშო...

— მე მგონია, მამას ქორწილის დღის დანიშვნა უნდა. ალბათ ამიტომ გვიბარებს. ლელიც წამოვა?

მამომ ჯერ კიდევ არ იცოდა მათი დაშორების ამბავი. იონა არც ახლა აპირებდა ამის თქმას. სულერთია, ისედაც გაიგებდა სალამოს, რამაზს რომ ესტუმრებოდნენ.

— მაშკო, ძალიან ცუდად ვარ, თავი მაქვს გასივებული. დიდხანს ლაპარაკი არ შემიძლია. მოდი, სალამოს დამირეკე და გამოგივლი, კარგი? ცოტას გამოვიძინებ მანამდე.

მაშო წუთით მიჩუმდა. იონას გული უგრძობდა, რომ მაშო ინტუიციით მიხვდა, რაღაც ვერ არის რიგზეო, მაგრამ დამ დელიკატურობა გამოიჩინა:

— კარგი, იო, აღარ დაგტანჯავ. სალამოს დაგირეკავ, ასე, ხუთისთვის, და ტელეფონი არ გამორთო, იცოდე! და არ ჩაგეძინოს, კარგი?

— კარგი, კარგი. გკოცნი. ველი შენს ზარს.

მამასთან ბოლოს, ლელისთან ერთად იყო. მას შემდეგ რამაზის სახლისკენ აღარც გაუხედავს. იცოდა, მამა რომ ჩამოსული იყო, მაგრამ არ შეხმინებია. ფეხს ითრევდა. ეშინოდა, რამე არ წამოსცდენოდა. ქალის გულისთვის არ ღირდა მამასთან ურთიერთობის გაფუჭება.

არც საგურამოში ყოფილა კარგა ხანია. გულს ველარ უდებდა იქაურობას. ყოველი ბუჩქი, ყოველი ხე თუ ყვავილი ლელის აგონებდა. გული ეკუმშებოდა, როცა გაახსენდებოდა, თუ რა გულდასმით აწყობდა გოგონა მის კარ-მიდამოს. ის კი არა, რამდენჯერმე იმ აზრმაც გაუელვა, რომ იქაურობა გაეყიდა. ვერ წარმოედგინა, მარტოს როგორ უნდა ეცხოვრა იქ და მით უმეტეს — სხვა ქალთან. ლელის გარეშე საგურამომ მისთვის პენი დაკარგა.

პარადოქსია ეს ცხოვრება. ყოველთვის უნდოდა, ნამდვილი სიყვარული გამოეცადა, გვერდით საყვარელი მეუღლე ჰყოლოდა,

რომელიც თავს შემოეველებოდა, შვილებს გაუჩენდა, — ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება სწყუროდა. პირიქით კი მოხდა — წარსულში დაგროვებდა აღმა-დაღმა, ქალს ქალზე იცვლიდა, მანქანას — მანქანაზე. სერიოზული გრძობა კი არასდროს გამოუცდია. მხოლოდ სამსახურში პოვებდა შვებას. მხოლოდ მას მოჰქონდა კმაყოფილება. ასე იყო ლელის გამოჩენამდე. ალბათ აწიცი ასე გაგრძელდება, სამსახური და მხოლოდ სამსახური, ოჯახურ იდილიას კი ვერასდროს ეღირსება, რადგან ასეთი ყოფილა მისი ბედი. ოცნებები დაასამარა. შტერი რომანტიკოსი აღმოჩნდა. სასაცილოა ეს ყველაფერი, მაგრამ სულაც არ ეცინება.

არა უშავს, ამ ტიკვილსაც გაუმკლავდება როგორმე. ცოლსაც შეირთავს, შვილებიც ეყოლება. ყველაფერი ისე იქნება, როგორც სხვებს აქვთ. უბრალოდ, დრო უნდა ამ ყველაფერს, დრო უნდა გავიდეს, იარა მოუშუმდება. მერე მოიყვანს რომელიმე საყვარელ გოგონას სახლში, თუნდაც იმნარს, დილით რომ აღმოაჩინა სანოლში, მარად მოლიმარს, ყოველ დილით ყავას რომ მოუდუღებს და სანოლში მოართმევს. იქნება დამჯერი, მორჩილი, ერთგული, არა ძალიან მომთხოვნი და კატეგორიული ცოლი. მეტი რაღა უნდა?! იქნებ სწორედ ასეთია ეს ბედნიერება? მშვიდი და მყუდრო ოჯახური კერია. საკმარისია, რაც გამოსცადა, ექსტრიმების დრო დიდი ხანია, ნავიდა.

სწორედ ამას ფიქრობდა იონა, როცა სარკის წინ იდგა და წამოზრდილ წვერს იპარსავდა. არა და არ მოეხსნა დაძაბულობა, მით უმეტეს — ახლა, როცა თავის ცხოვრებას აანალიზებდა და მომავლის კონტურებს ბუნდოვნად ხაზავდა გონებაში. არადა, ეგონა, რომ შეძლო თავის ხელში აყვანა, ნერვების მოთოკვა. თურმე შეცდა. ეს უარესად აგიჟებდა. ახლა კიდევ ეს შეხვედრა. მამასთან პირისპირ შეხვედრა. უკანასკნელი ნაძირალა იქნება, თავი რომ ვერ შეიკავოს. უნდა შეძლოს, როგორმე უნდა შეძლოს, რომ წონასწორობა არ დაკარგოს და მამის თვალწინ ყველაფერი არ დაღწეოს.

ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმო. უხალისოდ გაემართა ჰოლისკენ. მეზობლის ქალი აღმოჩნდა.

— გამარჯობა, ბატონო იონა. აი, ეს მოიტანეს ფოსტიდან. კვირაზე მეტია, ჩემთან დევს, ამანათია. შინ არ იყავით, ამიტომ ჩემთან დატოვეს, მაგრამ ვერ გნახეთ, რომ გადმომეცა. — ქალმა ვეებერთელა ბრტყელი ამანათი კართან მიაყუდა.

— მაღლობა, ქალბატონო მზია. მაპატიეთ, რომ შენუხდით.

— არა უშავს, არ იყო პრობლემა. უბრალოდ ვიფიქრე, სასწრაფო არ იყოს-მეთქი. თქვენი ტელეფონის ნომერიც არ მქონდა, რომ დამერეკა. აქ იშვიათად ხართ ხოლმე, — ქალმა ღიმილით დაუქნია თავი და გატრიალდა.

იონამ პაკეტს ხელი დაავლო და ოთახში შეიტანა. რა უნდა იყოს? არავისგან არაფერს ელოდა. გაოცებული მისჩერებოდა ამანათს. მერე მაგიდაზე დადო და გახსნას შეუდგა. როცა ქალაღლი შემოაცალა უზარმაზარ პაკეტს და დახედა, გაქვავდა. რამდენიმე წამს თვალებზე გაშტერებული დასჩერებულა გზავნილს და არ იცოდა, რა მოეხერხებინა მისთვის. გადაეგდო? დაენვა? არა, ამას ვერ იზამდა. დაეტოვებინა? სიამაყე არ აძლევდა ამის ნებას.

ეს სწორედ ის სურათი იყო, რომელსაც ლელი პარკში ხატავდა მაშინ, როცა ერთმანეთი შემთხვევით გაიცნეს, — იასამნის ფერებში დახატული თბილისური ჰეიზაჟი. ლელის სურათი დაემთავრებინა და ჩარჩოში ჩაესვა.

რატომ გამოუგზავნა? კიდევ ერთხელ რომ ატკინოს გული?.. მოულოდნელად, ჩარჩოს კუთხეში გაჩრილი, წვრილად გაკეცილი ქალაღლი შეამჩნია. მიხვდა, წერილი იყო. ხელი აუკანკალდა, სანამ გახსნიდა.

„ეს ახალსახლობაზე შეპირებული საჩუქარია. სამახსოვროდ. ჩვენ ერთმანეთს არასდროს შევხვდებით. ლელი“.

და მორჩა, მეტი არც ერთი სიტყვა.

დაღლილივით დაეშვა სკამზე, კიდევ და კიდევ გადაიკითხა ბარათი. „არასდროს შევხვდებით“. ამ სიტყვებმა ჩააფიქრა. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ამით რისი თქმა სურს? როგორ ვერ შეხვდებიან, თუ მამამისთან რომანი აქვს?

გული უცნაურად აუძგერდა, თითქოს ლელის მონაწერს —



„არასდროს შევხვდებით“ — აპროტესტებდა. მას არ სურს, ოდესმე კიდევ ნახონ ერთმანეთი. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია?! ასე უბრალოდ არ ხდება ასეთი რამეები. დაე, ჰქონდეს რომანი რამაზთან, სოსოსთან ან თუნდაც სხვასთან, ვინც უნდა იყოს, მაგრამ სულაც არ ეთანხმება იმას, რომ ერთმანეთს ვერასდროს შევხვდებიან.

მაშოსთვის აღარ გაუვლია. დამუთხრა, ჩემი მანქანით მივალ, ოღონდ შენც დროზე წამოდი, არ დააგვიანო.  
როცა მამის სახლს მიუახლოვ-

— რატომ? რამე მოხდა? — გაიცოცა მამაკაცმა.

მაშომ მხრები აიჩიჩა. მეც არ ვიცი, რა ხდებაო.

— მგონი, ცოლი მოჰყავს, — იღუმალი ხმით უჩურჩულა იონამ დას, თან შეეცადა, ხუმრობით გამოსვლოდა.

მაშომ გაოცებული მზერა მიაჰყრო და ჟურნალი ისეთი სისწრაფით დადო მაგიდაზე, თითქოს აკრძალული ნივთი უჭირავს ხელშიო. სწორედ ამ დროს შემოვიდა რამაზი ოთახში, ვაჟს ხელი ჩამოართვა და ორივე შვილი სუფრასთან მიიპატიჟა.

და ცოტა ხნის შემდეგ, ბიბლით ხელში დაბრუნდა. იონა დაბნეული მისჩერებოდა მაშოს. რა ხდება, მამა ფსალმუნების კითხვას ხომ არ აპირებს? ასე დიდად არასდროს ყოფილა რელიგიით გატაცებული და ახლა რა მოხდაო? — მზერით ეკითხებოდა დას.

— მამა, რამე ხომ არ გტკივა? — მაშოს ხმა ჩაუნყდა.

— ნუ შიშობ, გოგონი. ახლავე ყველაფერს გაიგებთ, ცოტა მოითმინეთ.

მამა თავის საყვარელ სავარძელში ჩაჯდა და ნივთი ისე ჩაიხუტა გულში, თითქოს მისი ყველაზე ძვირფასი საგანძური ყოფილიყო. ასეთი სერიოზული მამა შვილებმა პირველად იხილეს.

— მაშო, იონა, თქვენ ორივემ იცით, რომ ჩემთვის ყველაზე მთავარი და ღირებული ყოველთვის ოჯახი იყო. ისიც კარგად იცით, როგორ მიყვარდა დედათქვენი, — დანიყო რამაზმა.

იონა ცდილობდა, აღელვება არ შეემჩნია. ხვდებოდა, რომ მამა ახლა სწორედ იმას აღიარებდა, რასაც ამდენ ხანს უფრთხოდა. დღეს ფარდას ახდიდა იმ ურთიერთობას, რაც ლელისთან აკავშირებდა. განა, წესიერი კაცი ასე მოიქცეოდა? მან ხომ იცოდა, რამდენად ძვირფასი იყო იონასთვის ლელი, მასზე დაქორწინებას აპირებდა. როგორ უნდა მოუბრუნდეს ენა ამის სათქმელად? მაგრამ იონა სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა. დილიდან ემზადებოდა ამ შეხვედრისთვის და მზად იყო, ყველაფერი ისე მიეღო, როგორც იქნებოდა. სხვა მაინც აღარაფერი დარჩებოდა.

მაგრამ მამამ მოულოდნელად გააკეთა ის, რასაც ისინი არაფრით ელოდნენ. მამაკაცმა ნივთი გადაშალა და იქიდან სურათი ამოიღო, რომელიც მაშოს გადასცა. მან კი, შეხედა თუ არა ფოტოს, ეგრევე იონას გადააწოდა.

ეს იყო ვილაც ლამაზი ქალის შავ-თეთრი ფოტო. იონა დასჩერებოდა სურათს და ვერაფერი გაეგო.

— ვინ არის ეს ქალი? — თითქმის ერთდროულად იკითხა და-ძმამ.

მამამ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და თქვა ის, რამაც იონას ლელის ამბავი სრულიად გადაავიწყდა.

— ეს ჩემი პირველი ცოლია, რომლისგანაც ქალიშვილი მყავს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



და, მაშოს მანქანა ჭიშკართან უკვე იდგა და გაუხარდა. სულაც არ უნდოდა, პირისპირ მარტო დარჩენილიყო რამაზთან. შეგნებულად დააყოვნა, რომ გვიან მისულიყო და დისთვის არ დაესწრო.

სასტუმრო ოთახში მაგიდა სამ ადამიანზე გაეშალათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვახშამზე მხოლოდ ოჯახის წევრები იქნებოდნენ.

მაშო მინისზედაპირიან პატარა მაგიდასთან იჯდა და ჟურნალს ფურცლავდა. მამა არსად ჩანდა.

— „პრივეტ“. რაღაც, გამოცოცხლება არ იგრძნობა, მომაკვდინებელი სიჩუმე დგას სახლში, — თქვა იონამ და დის გვერდით ხვნეშით ჩამოჯდა.

— მამამ მოსამსახურე დაითხოვა და იმიტომ.

— ჯერ ვივახშმოთ, — მხიარულად წარმოთქვა, მაგრამ ეგრევე შეეცყო, რომ მისი მხიარული ტონი ნაძალადევი იყო.

ვახშამმა ისე ვერ ჩაიარა, როგორც სხვა დროს. არავინ ხუმრობდა, არავინ მხიარულობდა. და-ძმა თითქოს სასწაულს ელოდა, სასწაულს, რომელიც მათთვის კარგს არაფერს მოასწავებდა. მხოლოდ რამაზ ნიშნიანი იქნებოდა, რა ხდებოდა, ის კი საუბრის დანყებას აჭიანურებდა.

ვახშმის შემდეგ მან მინის კარი, რომელიც ვერანდაზე გადიოდა, მჭიდროდ მიხურა. მეორე კარიც ჩაკეტა — გარეთ გასასვლელი, მერე კი ფანჯრებს დაუყვა და სათითაოდ ჩამოუშვა ჟალუზი ყოველ მათგანზე. მაშო და იონა გაოცებული მისჩერებოდნენ მამას... მერე რამაზი კაბინეტში გავიდა



# საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე აღიარება

10 იანვარი უორდროპის ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღე იყო. მისი ოცნება ასრულდა. ეს სასიხარულო ცნობა საქართველოს მთავრობის წევრებს პირველმა სწორედ უორდროპმა შეატყობინა. მეუღლისადმი მიწერილ წერილში ამ ამბავს შემდეგნაირად აღწერდა: „...ერთ-ერთი უბედნიერესი

დღეა ჩემს ცხოვრებაში. მოხდა ის, რასაც 33 წელი ველოდი... შენ მე მელოდები, მაგრამ მე სულაც არ ვნანობ ამ 33-წლიან ლოდინს, რადგან რაც ასე გულით გინდა, მისთვის ყოველთვის ღირს დალოდება... პირველად, ჩემი აივნიდან გადაკიდებული დროშა ამაყად ფრიალებს... ვერც კი ვაანალიზებ იმ გამარჯვებას, რომელიც მოვიპოვე. მე მოვიგე ეს ბრძოლა. ამ საქმისათვის ყველაზე მეტი გავაკეთე და აქ ეს ყველამ იცის. ძალიან მინდა, აქ რომ იყო, ჩემით იამაყებდი იმის დანახვაზე, თუ როგორ აფასებს ყველა შენს ქმარს... საქმე ბოლომდე მივიყვანე, წარმატებას მივალწიე და ვერც ერთი მარცხი, რომელიც შესაძლოა მომავალში მელოდეს, ვერ წაშლის ჩემს დღევანდელ ტრიუმფს. შემეძლია ვთქვა, რომ ამაოდ არ მიცხოვრია...“

## მიხეილ ბასილაძე

### გაგრძელება. დასაწყისი იხ. „გზა“ №1

შეუძლებელია იმ სახალხო სიხარულის სიტყვებით აღწერა, რომელიც საქართველოში დე ფაქტო აღიარებას მოჰყვა. საზეიმოდ რეკდნენ ეკლესიის ზარები, საქართველოს კათოლიკოსმა ლეონიდემ სიონის საკათედრო ტაძარში სამადლობელი წირვა გადაიხადა. სამთავრობო უწყებებმა, ბანკებმა და სხვა დაწესებულებებმა მუშაობა შეაჩერეს. ქუჩაში საყოველთაო ზეიმი დაიწყო. ტფილისის გარნიზონმა ჯერ სერგის ქუჩაზე ბრიტანულ



სერ ოლივერ უორდროპი:  
პირველად, ჩემი აივნიდან  
გადაკიდებული დროშა ამაყად  
ფრიალებს... ვერც კი ვაანალიზებ  
იმ გამარჯვებას, რომელიც  
მოვიპოვე. მე მოვიგე ეს ბრძოლა

მისიასთან, შემდეგ კი მთავრობის სახლთან ჩაიარა, რომლის აივანზეც უორდროპი ერთ-ერთად იდგნენ.

ოპერის თეატრში საზეიმო წარმოდგენა გაიმართა. მას მთელი მთავრობა და ოლივერ უორდროპიც ესწრებოდნენ. სცენაზე ფარდა მხოლოდ მაშინ ასწიეს, როდესაც ოპერაში უორდროპი მივიდა. ავანსცენაზე დადგმულ ტახტზე ოპერის ერთ-ერთი პრიმადონა იჯდა. იგი საქართველოს განასახიერებდა. მის გარშემო მთელი საოპერო დასი იყო შემოკრებილი. რამდენჯერმე შესრულდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი „დიდება“ და მას ყოველ ჯერზე დამსწრე საზოგადოებაც მღეროდა. დაუკრეს დიდი ბრიტანეთის ჰიმნიც, რომელმაც უორდროპის მისამართით მხურვალი ოვაციები გამოიწვია.

„მთელი დღე ბედნიერი ხალხის გარემოცვაში ვტრიალებდი. ქუჩაში გავედი თუ არა, ხალხის მასამ მხრებზე შემისვა და ველური სიხარულით მიმარბენინა ჩემს მანქანამდე. გაოცდებოდი, რომ გენახა, რაოდენ დიდი ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა შენი პროზაული ქმარი“.

საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველო საკუთარი ოჯახის წევრად მიიღო და მისი არსებობა აღიარა. მაგრამ დე ფაქტო აღიარების შემდეგ, „ანტანტას“ კავკასიური რესპუბლიკების დასახმარებლად თითოც არ გაუძღრევი. საქართველო ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას ამაოდ ელოდა. დასავლეთის ქვეყნებში სადმი მთავრობის მეთაურის, ნოე უორდროპის მიმართვა უპასუხოდ დარჩა: „ჩვენ მოუთმენლად ვე-

ლით, მაგრამ დღემდე არ მიგვიღია თქვენგან არც ერთი ვაზნა და არც ერთი ფუნტი პური“.

1920 წლის ზამთრის მიწურულს ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარება კიდევ უფრო გართულდა: ბოლშევიკებმა საბოლოოდ დაამარცხეს დენიკინი და რეგიონში დამკვიდრნენ. ქვეყნის დამოუკიდებლობას რეალური საფრთხე დაემუქრა. ამის შესახებ უორდროპი თავის მეუღლესაც სწერდა. 22 მარტი, 1920 წელი: „როგორც გავიგე, ვლადიკავკაზი და ლარსი უკვე ბოლშევიკების ხელშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტფილისს 100 მილი აშორებთ. ვისურვებდი, რომ აქაურები უფრო განონასწორებულეები იყვნენ. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი დამპყრობლის შემოტევას მოიგერიებდნენ და დაქირავებული აგენტების დახლართულ ინტრიგებსაც დაალწვედნენ თავს“.

გაზაფხულზე უორდროპი ავად გახდა. დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო, იგი თავს დაქანცულად და გამოფიტულად გრძნობდა. სერ ოლივერი იმდენად გადაიღალა, რომ ექიმმა წოლითი რეჟიმით გამოუწერა. აპრილის დასაწყისში უორდროპს მხარზე სიმსივნური წანაზარდი აღმოუჩინეს და მცირე ოპერაცია ჩაუტარდა. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, უორდროპმა სამშობლოში დაბრუნება ითხოვა და თავის შემცვლელად სტოქსს გაუწვინა რეკომენდაცია. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნა დააკმაყოფილა. 1920 წლის 26 აპრილს უორდროპმა ტფილისი დატოვა და ინგლისში გაემგზავრა.

მართალია, ეს უბრალო დამთხვევაა, მაგრამ უორდროპის გამგზავრებიდან ერთი დღის შემდეგ, ბოლშევიკები ამიერკავკასიაში შე-



იჭრენ და 27 აპრილს ბაქო აიღეს. აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა. ეს კავკასიაში ბრიტანული პოლიტიკის სრულ მარცხს ნიშნავდა. ბოლშევიკების მიერ ნავთობით მდიდარი ბაქოს რაიონის დასაკუთრებამ ლონდონს ჩვენი ქვეყნის მიმართ არსებული მცირე ინტერესიც დაუკარგა. აზერბაიჯანული ნავთობის გარეშე, ბრიტანელებისთვის საქართველო უმნიშვნელო ტერიტორია იყო, რომლის რუსეთისგან დაცვა ზედმეტ თავის ტკივილად მიაჩნდა. ამდენად, საქართველოს „გასაბჭოება“ მხოლოდ დროის საკითხიდა გახდა.

საქართველოდან უორდროპის ნასვლიდან ორი თვის შემდეგ, 1920 წლის 10 ივნისს, ბრიტანეთის მთავრობის სხდომაზე ბათუმის ოკუპაციის მოხსნისა და საქართველოსთვის ოლქის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღეს. 20 ივნისიდან ბათუმიდან ინგლისის ჯარის ევაკუაცია დაიწყო. 7 ივლისს 12 საათზე კი საქართველოს ჯარი ქალაქ ბათუმში შევიდა. ივლისის შუა რიცხვებში ბრიტანელთა ევაკუაცია უკვე მთლიანად დასრულდა და საქართველო ბოლშევიკური რუსეთის პირისპირ მარტო დარჩა.

აზერბაიჯანში შესვლის შემდეგ, ლენინის მთავრობამ დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის დალაგება დაიწყო. 1920 წლის მაისის ბოლოს ლონდონში, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის, ლეონიდ კრასინის ხელმძღვანელობით, ბოლშევიკური დელეგაცია ჩავიდა, რომელსაც მკაფიო ამოცანა ჰქონდა: ლენინის მთავრობას საერთაშორისო იზოლაცია უნდა გაერღვია და ამას დიდ ბრიტანეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში შეთანხმებით გეგმავდა. მოლაპარაკებები მძიმედ დაიწყო. ბრიტანეთი კომუნისტებთან თანამშრომლობას ყოყმანობდა. თუმცა საბოლოოდ, მხარეებს შორის საერთო ინტერესი მაინც გამოიძებნა: რუსეთი მცირე აზიაში, სპარსეთში, ავღანეთსა და ინდოეთში დიდი ბრიტანეთის ინტერესებს ცნობდა; თავის მხრივ, ლონდონი თანხმდებოდა, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიები, მათ შორის კავკასიაც, რუსეთის შიდა პოლიტიკის საქმე იყო. სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით დანყებულმა მოლაპარაკე-

ბამ პოლიტიკური გარიგების სახე მიიღო და გავლენის სფეროების გადანაწილებით დასრულდა. რას ფიქრობდა საქართველოს მთავრობა ან თუნდაც სხვა ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ამ გადანაწილებაში მოექცა, მეორეხარისხოვანი იყო.

კავკასიასთან დაკავშირებით, რუსეთმა ფარულ შეთანხმებას თურქეთთანაც მიაღწია. ათათურქის მთავრობა საქართველოს ისტორიულ კუთხეს — ტაო-კლარჯეთს ითხოვდა. საბოლოოდ გაირკვა, რომ თუ თურქეთი არდაღანისა და ართვინის ოლქებს მიიღებდა, იგი საქართველოს ძალისმიერი

ყარაულში იუნკერთა სასწავლებლის კურსანტები იდგნენ. ისევ ყვავილები და ისევ იმედი, ამჯერად — უკვე სტოქსთან დაკავშირებული. ქართველები მისგან უორდროპის დანყებული საქმის გაგრძელებას ელოდნენ. მაგრამ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში, საქართველო მხოლოდ გაცვლით პაიკს წარმოადგენდა და ამ ვითარების შეცვლა ერთი პიროვნების ძალისხმევას აშკარად აღემატებოდა.

1920 წლის დეკემბრის დასაწყისში ბოლშევიკები სომხეთში შევიდნენ. კავკასიაში დამოუკიდებელი მხოლოდ საქართველო დარჩა.



პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრები მთავრობის სახლთან (ახლანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე)

„გასაბჭოების“ ნინაალმდეგი არ იქნებოდა.

ამ დროისთვის დიდ ბრიტანეთს ამიერკავკასიაში უკვე ახალი უმაღლესი კომისარი — პოლკოვნიკი კლოდ ბეიფილდ სტოქსი ჰყავდა. უორდროპის შემცვლელი ტფილისში 1920 წლის 28 სექტემბერს ჩამოვიდა. მას თითქმის ისეთივე პატივით დახვდნენ, როგორც თავის დროზე სერ ოლივერს. სადგური ეროვნული დროშებითა და აღმოსავლური ხალიჩებით იყო მორთული. ბაქანზე მოწყობილ საპატიო

დიდი გამჭრიახობა არ სჭირდებოდა იმის მიხედვრას, რომ რუსეთის მომდევნო აგრესიის მსხვერპლი საქართველო იქნებოდა. უორდროპის მსგავსად, ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერას სტოქსიც ცდილობდა. პოლკოვნიკი ლონდონს მოხსენებით ბარათებს ყოველდღიურ რეჟიმში უგზავნიდა, მაგრამ — ამაოდ. 6 დეკემბერს სტოქსმა ლორდ კერზონს მისწერა ვრცელი წერილი, სადაც ბრიტანეთის მთავრობას საქართველოს მიმართ პოზიციის გადახედვასა და ქართ-



ველეებისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენას სთხოვდა: „თუ ამის გაკეთებას არ ვაპირებთ, მაშინ არ უნდა ჩავდგეთ ფარისველების პო-

თხვევაში. ერთა ლიგის სესიაზე საქართველოს განწევრების საკითხი 16 დეკემბერს დადგა. კენჭისყრაში მონაწილე 24 ქვეყნიდან მხარი

და, რომ საქართველო უკვე მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა, მაგრამ დე იურე ცნობის ფაქტი პრაქტიკულ ღირებულებას მოკლებული იყო. ბრიტანეთის მთავრობამ შესანიშნავად იცოდა, თუ რა მოელოდა საქართველოს, მაგრამ მაინც შეგნებულად გააკეთა ეს სვლა. 27 იანვრის აქტი ერთგვარ დიპლომატიურ რევერანსს წარმოადგენდა, რომელიც უფრო მსოფლიო საზოგადოების თვალში ბრიტანეთის პრესტიჟის, მისი ავტორიტეტის დაცვისთვის იყო განკუთვნილი.



ტფილისის გარნიზონმა ჯერ სერგის ქუჩაზე ბრიტანულ მისიასთან, შემდეგ კი მთავრობის სახლთან ჩაიარა

პარიზიდან მიღებულ ცნობას ტფილისში დიდი სიხარულით შეხვდნენ. ისევე, როგორც ერთი წლით ადრე ქუჩები მოზეიმე მოქალაქეებით აივსო. საქართველოს მთავრობამ დე იურე აღიარებასთან დაკავშირებით, 6 თებერვალს დიპლომატიური კორპუსისთვის საზეიმო მიღება მოაწყო. რუსთაველის გამზირზე სამხედრო აღლუმი გაიმართა. ყველას სჯეროდა, რომ საქართველომ, როგორც იქნა, თავი დააღწია რუსეთის გავლენას და საბოლოოდ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ზაში და ქართველებს ტყუილი არ ვაკადროთ, სჯობს ვუთხრათ მწარე სიმართლე“.

1920 წლის ნოემბერში შენევაში მუშაობა დაიწყო ერთა ლიგის პირველმა სესიამ. ეს იყო დღევანდელი გაეროს მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი წესდების

10-მა დავიჭირა, ოთხმა თავი შეიკავა, 10 წინააღმდეგი აღმოჩნდა. მონინააღმდეგეთა შორის იყვნენ: საფრანგეთი, ინგლისი და დიდი ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნები — კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. ლონდონის პოზიცია ჩვენთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა. დე იურე აღიარებიდან ორ კვირაში ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმია საქართველოში შემოიჭრა. 11 თებერვალს დაწყებული, საქართველოს „გასაბჭოების“ ოპერაცია 35 დღეში დაასრულა. 1921 წლის 18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყანა დატოვა და ემიგრაციაში წავიდა.



პირველი რესპუბლიკის ჯარი ბათუმში

რუსეთმა და თურქეთმა კი ამიერკავკასიაში გავლენის სფეროები გაინანსლეს. ეს პროცესი საბოლოოდ, 1921 წლის 16 მარტს დასრულდა, როდესაც მოსკოვში რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. პირველი მუხლის თანახმად, თურქეთს გადაეცა საქართველოს ისტორიული ოლქები: ართვინი, არდალანი, ოლთისი. მეორე მუხლით თურქეთმა ცნო საქართველოს (იმავე რუსეთის) უფლებები ბათუმსა და ბათუმის ოლქზე. საბოლოოდ, საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა და ხანმოკლე დამოუკიდებლობის შემდეგ, კვლავ რუსეთის განახლებული იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

მე-10 მუხლის თანახმად, ლიგის წევრი სახელმწიფოები ვალდებული იქნებოდნენ, დახმარებოდნენ ერთმანეთს გარე აგრესიის შემ-

1921 წლის 27 იანვარს პარიზში მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ იურიდიულად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს იმას ნიშნავ-





# კუზანოვების ახალი წელი და საყვარელი რძლის შექმნილი კულინარიული პალიტრა

ექიმი-კარდიოლოგი, კლინიკის დირექტორი და ახლა უკვე საკუთარი გადაცემის წამყვანი — ნინო ნადირაძე-კუზანოვა, გარდა იმისა, რომ თავის საქმეში წარმატებული და აქტიური ქალბატონია, როგორც ჩანს, კარგი კულინარიცაა და ნიჭიერებით სამზარეულოშიც გამოირჩევა, თუმცა ეს „სამსახური“ მისთვის „ერთჯერადი“ ხასიათისაა და წლიდან წლამდე არ „ანუხებს“ ანუ მანამ, სანამ კუზანოვების ოჯახში წინასახალწლო დიდი სამზადისი და ფუსფუსი არ დაიწყება...

## თამთა დაღეპული

### წარმატებული საქმიანი ქალი და სამზარეულო

— კულინარია ცურვასავითაა: თუ იცი, არ გავინყდება. ოჯახში საქმელების კეთება არ მიწევს, რადგან დამხმარე ქალბატონი გვყავს და გემრიელ კერძებს ის გვახვედრებს ხოლმე. თუმცა, ყველაფრის გაკეთება მეხერხება, ხაჭაპურის გარდა; არასდროს მიცდია. ყოველ ახალ წელს მთელი ოჯახი ვიკრიბებით — გუგას მშობლები, ჩემი მამის ოჯახი, ჩემები. ამ დღისთვის ყველა კერძს მე ვამზადებ ხოლმე და მთელი ეს „კულინარიული შედეგები“ წელიწადში ერთხელ ჩემ მიერ იქმნება (იციან). სხვა დღეებში სამზარეულოში საფუსფუსოდ ვერ ვიცილი. ძალიან დაკავებულები ვართ და ყველა ერთად, ფაქტობრივად, მხოლოდ ასეთ დღეებში ვახერხებთ თავშეყრას.

### დედამთილთან ერთად თუ ამზადებდით, სანამ ასეთი დატვირთული გრაფიკი გექნებოდათ?

— რაც თავი მახსოვს, სულ ასეთი დაკავებული ვარ (იციან). საერთოდ, სამზარეულოში ჯგუფური მოძრაობები არ მიყვარს, კეთება მარტოს მირჩევნია, „შავ სამუშაოს“ თუ დავავალებ ვინმეს, თორემ ისე — არა. ოჯახში ყველა კარგი კულინარი მყავს და საქმლის კეთებაც მათგან ვისწავლე. დედაჩემი იმერელია და უგემრიელეს კერძებს ამზადებს. აგური რომ დაუდო, რამე გემრიელს იქიდანაც გამოიყვანს (იციან). ბებიებიც — ასევე. მოკლედ, გემრიელი საქმელების „გარემოცვაში“ გავიზარდე და გარკვეულად, ჭამის კულტივაცია ჩვენს ოჯახში, რაც დედაჩემის ჭარბი წონით გამოიხატება. ოჯახში დიდი სუფრები ადრე უფრო იყო. ახლა 40-კაციანი მიღებები სახლში აღარცაა. ყველაფერმა რესტორნებში გადაინაცვლა და შინ უფრო ვინრო წრე იკრიბება ხოლმე. მგო-

ნია, რომ მრავალკაციანი ღრებები ტრენდში აღარაა, ამის დრო და საშუალება ბევრს აღარ აქვს.

### უცხოეთი, „აუტანელი“ მოგზაურობა და კულინარიული ნიმუშები

— არაერთხელ მითქვამს, რომ მოგზაურობას ვერ ვიტან. საზღვარგარეთ ყოფნისას ერთადერთი, რაც მიყვარს, იმ სამზარეულოს გასინჯვაა, სადაც ჩავდივარ. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ქვეყანაში ვიყავი და იქაური სამზარეულო არ მომეწონა. ყველას აქვს თავისი სპეციფიკური, საინტერესო კულინარიული ნიმუშები და უცხო კერძების გასინჯვა ძალიან მიყვარს. ყველაფერს აქვს მნიშვნელობა: როგორ მოგართმევენ კერძს სუფრაზე, მათი წესჩვეულებები და ა.შ. როგორც წესი, საკვების მიმართ დამოკიდებულებაც განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში, სუფრის კულტურა და სხვა. აზიის ქვეყნებიდან, თურქეთის ქალაქებში, დუბაიში, არაბეთის მხარეში ვარ ნამყოფი. ყველა ქვეყანაში ვნახულობ საჩემო გემრიელ საქმელს, გურმანი ვარ. ძირითადად, ხორციანი კერძები და თევზეული მიყვარს. ტკბილეულის მოყვარული დიდად არ ვარ, მაგრამ სადაც კი გამისინჯავს, ლატვიური ყველაზე მეტად მომწონს. რიგაში რალაცნაირი ტკბილ-მუავე ნამცხვრები იყიდება, მსუყე არ არის და გემრიელია. იქ კი მივირთმევე ხოლმე, სხვაგან — ნაკლებად. მაგალითად, ვენაში შტრუდელის ჭამას, შნიცელი მირჩევნია. ბელგიიდან ისე წამოვედი, შოკოლადი არ გამისინჯავს. გუგა ძალით თუ წამიყვანს ხოლმე სადმე. არც მცალია და ჩემთვის მოგზაურობა დიდი დისკომფორტია.

### გემრიელი უხარხამლოები

— გველი, ნიანგი, კუ — არ გამისინჯავს, გარეგნულად არ მომწონს, სხვა კი — თითქმის ყველაფერი. თუმცა, კარგად შეკაზმულს თუ მო-



გუგა რომანტიკული იყო, მაგრამ ჩემთან თანაცხოვრების შედეგად, რომანტიკულობის მუხტი ჩაგუხშე

მიტანენ, ალბათ დავაგემოვნებ. ბევრნაირი გემრიელი კერძი მინახავს და მაინცდამაინც გველის ხორცს არ „მივფრენივარ“ (იციან). ლოკოკინები მიჭამია და მომწონს. საერთოდ, უხერხემლოები ძალიან მიყვარს, ყველანაირად მომზადებული.

### არარომანტიკული და არაგამბტული ლამაზმანი

— იმდენად პრაგმატული არსება ვარ, მე და რომანტიკა ერთმანეთისგან ძალიან შორს ვართ. ასეთი ვარ, ახლა ვეღარ შევიცვლები. არც მახსოვს, რომანტიკული ვახშამი ბოლოს როდის გვექონდა... გუგა რომანტიკული იყო, მაგრამ ჩემთან თანაცხოვრების შედეგად, რომანტიკულობის მუხტი ჩაგუხშე (იციან). ზედმეტად მიწიერი არ-



სება ვარ. ვფიქრობ, სიყვარული არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად ვარდის ფურცლები და განახნახებული სანთლები უნდა დააყარო თავზე. შეიძლება, კიბეზე ჩამომს-

ვალა, ივა დამრჩა მშობლად. ასე იყო იმ წამიდან, რაც მათ ოჯახში შევედი. ვკამათობთ, ვრიგდებით — ყველაფერია, როგორი ურთიერთობაც მამა-შვილს შორის შეიძლე-



ივას ჩემი მომზადებული ყველა კერძი მოსწონს და სულ წუწუნებს, რომ ამით ხშირად არ ვანებივრებ

ხდრებმა ჰამბურგერები მიირთვათ რომანტიკულად (იციინის).

**ოჯახური სადილი**

— მე და გუგა მოუცლელიობის გამო, შინ სადილობას ვერ ვახერხებთ და ქუჩაში გადარბენით თუ შევჭამთ ხოლმე, მაგრამ საერთოდ, ძალიან მიყვარს სახლში გაკეთებული საჭმელი — ბორში, კატლეტი, ვერმიშელი და ა.შ., ზედმეტი „გაპრანჭულობების“ გარეშე. სადილი ძირითადად, ივიკოსთვის კეთდება ხოლმე. ბაკოც ჩვენსავით, სულ გადარბენაზეა. ჩვენი ოჯახი ჩვეულებრივი მელიებისა და მგლების ოჯახია — ხორცი თუ არ არის, ითვლება, რომ იმ დღეს საჭმელი არ გვაქვს. „სალატიკები“ და მსგავსი კერძები საჩვენო არაა, იშვიათად კეთდება. ყველა ბავშვს ხომ უყვარს შემწვარი კარტოფილი! ჩვენთან ის საერთოდ არ განიხილება, როგორც კერძი.

**ივა კუზანოვი — მამა და დიდი მებოგარი**

— ივას ჩემი მომზადებული ყველა კერძი მოსწონს და სულ წუნუნებს, რომ ამით ხშირად არ ვანებივრებ. მე და ივას ძალიან მამაშვილური დამოკიდებულება გვაქვს. რაც მამაჩემი გარდაიც-

ვა იყოს, და მეც ძალიან მიყვარს ის და მასაც ვუყვარვარ. შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს და, როგორც კოლეგას, ძალიან მაფასებს. სხვა კარდიოლოგს არ ენდობა დედამინის ზურგზე (იციინის).

**— როგორია ბატონი ივა ოჯახში, სტუმრებთან? თამაღობა თუ ეხერხება?**

— კი, მაგრამ ძირითადად, ჩემი მაზლი — ალექოა ხოლმე თამაღა, კარგად გამოსდის სადღეგრძელოების თქმა. მას გადავებარეთ ეს ამბავი, თორემ ივაც მშვენიერი თამაღაა. რაღაც, ახლა ნაკლებს სვამენ. ისე, ღვინოს თვითონ ამზადებენ, სულ აქვთ ხოლმე რამდენიმე სახეობის, თეთრიც, შავიც. ივა და ჩემი მაზლი ნურავენ ხოლმე ყურძენს, გუგას ეზარება. მთვრალი გუგა არის საშინელი, კატასტროფული (იციინის). მიძიმეა, ყველანაირი ცუდი რამ სიმთვრალეში ახსენდება და ჯუჯღუნებს, შენიშვნებს იძლევა და ა.შ.

**„მოვიდა, ნავიდა, მოვა — ახალი წელი“**

— პირადად მე, ახალი წლის მიმართ ძალიან „მდარე“ დამოკიდებულება მაქვს. ვერ ვხვდები, რა საჭიროა ეს დღესასწაული: ერთი დღე ლამდება და მეორე დღე ინყე-

ბა... მამაჩემი იყო ასეთი. ბავშვობაში ეგრევე მითხრა, თოვლის ბაბუა არ არსებობს და ეგ ყველაფერი ზღაპარიაო. დედაჩემი ძალიან ხალისიანი და მოტივირებული ქალია და, რა თქმა უნდა, ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა, მიუხედავად მამაჩემის ჯუჯღუნისა. ისე, ასაკში და სიბერეში უფრო შეუყვარდა; სანამ ახალგაზრდა იყო, — რა საჭიროა ეს უაზრო ღრებები?! — მამა ამბობდა. მე ვთვლი — როდესაც კარგ ხასიათზე ხარ, ცხოვრება გიხარია და ბედნიერი ხარ, იმ დღესაა შენთვის ახალი წელი და არა მაინცდამაინც 31 დეკემბერი რომ დაღამდება. მაშინ უნდა განყდეს მთელი საქონელი დედამინის ზურგზე, ყველა ქალი წელში უნდა განყდეს საქმის კეთებით, ამზადო და ამზადო. ორი დღე ღუმელში ვარ ხოლმე შემძვრალი და რაღაცებს ვაკეთებ, თუმცა ივას ხათრს ნამდვილად ვერ გავუტეხავ და — რაზეა საუბარი?! — წელიწადში ერთხელ, საყვარელ მამამთილს ზეიმი შეიძლება მოვუწეს, თორემ პირადად ჩემთვის, სულერთია. დაბადების დღეების მიმართაც ასეთი დამოკიდებულება მაქვს შინაგანად, თუმცა, რა თქმა უნდა, სადაც მივდივარ, ყველგან ვხალისობ. არც საახალწლო საჩუქრების გაკეთება მიყვარს. მთელი ცხოვრება ვილაცხას რაღაცას ვუკეთებ და მაინცდამაინც ახალ წელს უნდა გავიფცქვნა (იციინის)?!. შვილებიც საკმაოდ დასაჩუქრებლები არიან; მადლობა მითხრან, რომ გავაჩინე. თუ ვინმესთვის რამის ჩუქება მიწადა, ახალ წელს არ ველოდები და ვალის მოხდის მიზნით საჩუქრის მირთმევის პრინციპი ხომ საერთოდ მაღიზიანებს. ბავშვებს ბებიებაბუები ჩუქნიან რაღაცებს.

**— ახალი წლის პერიოდში ბაზარში თქვენ დადიხართ ხოლმე?**

— ადრე ხანდახან დავდიოდი, ახლა ივა თვითონ მახვედრებს ყველაფერს. ჩემი ქმრისგან განსხვავებით, უყვარს პროდუქტების საყიდლად სიარული. გუგამ, მაგალითად, ხორცის ყიდვაც არ იცის, მგონი.

**საყვარელი დღესასწაულები**

— ორი დღესასწაულია, რომელსაც ვაღიარებ და მიყვარს, რაღაცნაირად შინაგანად ვგრძნობ სიხარულს, ჩემდა უნებურად. ესენია — აღდგომა და შობა. მოვიტყუები,



რომ ვთქვა, ეკლესიური ვარ-მეთქი, მაგრამ რელიგიური ნამდვილად ვარ. შობა ორმაგად მიყვარს: მამას დაბადების დღეა და ძალიან მწყინს, რომ მესამე წელი გახდება, რაც ამ დღეს მის გარეშე აღვნიშნავთ. შობას ყოველთვის დედასთან და მამასთან ვიკრიბებოდით.

**გოჭის ზენვის ნინოსაული მეთოდ**

— თუ გინდათ, რომ გოჭს მეორე-მესამე დღეს ისევე ისეთი კრანუნა კანი ჰქონდეს... ნუ, მისი გარეცხვა, გაფუტვა, პინცეტიტ დამუშავება ლუპის ქვეშ — ეს ცალკე მძიმე თემა და ხანგრძლივი პროცედურაა. სხვაგან გოჭის ჭამა არ მიყვარს. მე ისე ვაკვდები ზედ, ყურების გამოსუფთავებინადა... ლამის, კბილებს ვაცლი ხოლმე (იციანის). მოკლედ, გოჭი იდეალურად გარეცხილ-განმენდილი უნდა იყოს და როდესაც შენვას დავინყებთ, დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ არ უნდა დაიზაროთ და 10-15 წუთში ერთხელ, მარინწყალი უსვავთ, პლუს — კარაქი. შეიძლება ლამაზი არ იყოს და მუქი ზოლები ცოტათი დააჩნდეს, მაგრამ ძალიან აგემრიელებს — გამომხმარი არაა, კარაქი და მარინწყალი რომ გამოყოფას, ქვემოდან ხორციში შედის და გადასარევი გამოდის ხოლმე. ქათამი ყველა მხრიდან გემრიელად რომ შეიბრანოს, ნაწილ-ნაწილ ვჭრი ხოლმე და ისე ვწვავ. სალათების კეთება ვიცი, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, არ მიყვარს ფოთლებისა და „სისულელეების“ ჭრა, დროისა და ენერჯის ფუჭი ხარჯვა მგონია, ორი საათის შემდეგ ისევე მშვირი ხარ. საერთოდ, როცა რაღაცას წლების განმავლობაში აკეთებ, უკვე შენი თვალის ზომით მიჰყვები და, ახლა რომ მკითხოთ, რაოდენობრივად რა რამდენი უნდა, ვერ გეტყვით. რეცეპტების მოყოლა არ შემიძლია, ყველა დიასახლისს თავისი მეთოდები აქვს.

**სასარგებლო რჩევები მკითხველს**

— ნუ შესწირავთ ჭამას ცხოვრებას. დანაყრებამდე არასდროს ჭამოთ, რადგან მერე, ვეღარც საჭმლის გემოს იგებ და მხოლოდ სუქედები. ყოველთვის პატარა თეფშზე მიირთვით ულუფა, გემრიელად იკვებეთ, რადგან ჭამა ყველაზე დიდი სიამოვნებაა: ყველაზე მე-

ტი ენდორფინი და სეროტონინი სწორედ გემრიელი და საყვარელი საკვების მიღების შემდეგ გამოიყოფა, ამიტომ, ამ სიამოვნებას ნუ მოვიკლებთ, უბრალოდ, ზომიერების დაცვა უნდა ვიცოდეთ. ყოველდღიურ საკვებს მხოლოდ ენერჯის შესანარჩუნებლად საჭირო კალორის მიღების ფორმა უნდა ჰქონდეს და თვეში ორ-სამჯერ თავს მიეცით უფლება, გემრიელად იკვებოთ. ამას, როგორც კარდიოლოგი, ისე გირჩევთ (იციანის). ცხიმოვანი, კალორიული საკვები ყოველდღე რომ მიიღოთ, ფიზიკურად დამძიმდებით და არ გესიამოვნებათ, ამიტომ მცირე-მცირე ულუფებით მიირთვით. ეცადეთ, ხორცი და კარტოფილი ერთად არ ჭამოთ: ნახშირწყლები და ცილები განსხვავებულად მოინელება, ამიტომ ჯობს, ასეთი პროდუქტები ცალკე მივირთვათ და მონელების პროცესი ბევრად უფრო მარტივი იქნება და ეს შეამცირებს როგორც კუჭ-ნაწლავის, ასევე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს. ყველა ადამიანმა იცის, რა საკვებია მარგებელი, მაგრამ საკუთარ თავს არ უმხელენ, სანამ რაიმე პრობლემა შეანუხებთ და ექიმს მკაცრ დიეტას დაუნიშნავთ. ცხიმში მცურავი

**დიეტების მავნებლობა და მარჯობის აუცილებლობა!**

— მუდმივი დიეტა ორგანიზმს ანგრევს. არავინ თქვას, ვარჯიშის დრო და საშუალება არ მაქვს, ტყუილია. კატასტროფულად დატვირთული ვარ, სამ ადგილას ვმუშაობ, მაგრამ ისე არ დავიძინებ, რომ არ ვივარჯიშო სახლში. მაგას ფული და დარბაზში სიარული სჭირდებაო, რომ ნუნუნებენ... დადექი და ელემენტარული ვარჯიშები გააკეთე, რა პრობლემაა?! ჩაბუქნე, ერთი ფეხი მარცხნივ გაიქნე, მეორე — მარჯვნივ, პრესი და კუნთი გაავარჯიშე და ეგ არის. არა მგონია, დღეს თბილისში ვინმე ისეთი დაკავებული იყოს, რომ საკუთარი თავისთვის 10-15 წუთი ვერ გამოყოს. რაც შეეხება ცელულიტს: გასაჩენი ცელულიტი მაინც გაჩნდება, ქალების 90%-ს აქვს და პათოლოგიად არ ითვლება, ნორმაა. არც სიმსუქნეზეა დამოკიდებული, არც სიგამხდრეზე, ესტროგენული ცხიმოვანი, რომელიც ადრე თუ გვიან ყველას უჩნდება. მგონია, რომ ფარმაცევტულმა და კოსმეტიკურმა კომპანიებმა ძალით შექმნეს რაღაც პრობლემა, მერე გამოუშვეს მილიონნაირი წამალი და საშუალება, თუმცა, ცელულიტს



ინტელექტუალურ-გასტრონომიული „კატლეტ-ფართი“ ია ფარულავასთან ერთად

საჭმელი რომ არ უნდა ვჭამოთ, არ ვიცით? კარგად მოგვეხსენება, რომ ორთქლზე მოხარშული კატლეთი უფრო მარგებელია, ვიდრე — ბევრ ცხიმში შემწვარი. ცხიმოვანი ცილა და ნახშირწყალიც საჭირო დოზებით უნდა მივიღოთ, რადგან ორგანიზმისთვის აუცილებელია.

დედამინის ზურგზე არაფერი შველის. ჭაყელასავით გოგონები რომ გამოვარდებიან ხოლმე და, — ცელულიტს ვებრძვითო, — იტყვიან, მინდა ხოლმე, „გავჭყეჭყო“ (იციანის)... მოკლედ, ქალბატონებო, ეს არის ჩვეულებრივი ნორმა.



# „ბევრ უარყოფით პერსონაჟს ვამართლებ“

„მსახიობობა იმიტომ არის ძალიან კარგი პროფესია, რომ გამუდმებით გინევეს კითხვა, ერუდირებული ხდები. როლზე რომ მამტიცივებენ, არა მხოლოდ პიესებს, არამედ დრამატურგების ბიოგრაფიებსაც კი ვეცნობი“, — ამბობს მსახიობი ზუზუ ბეჟაშვილი. მას ყველაზე მეტად ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურა უყვარს და გული სწყდება, რომ ცნობილ ქართველებზე ფილმებს არ იღებენ.

თამუნა კვინიკაძე

## პრეამბულის მახიერ

— ნიგნის ნაკითხვა მოსწრებაზეა, ყველა ნაწარმოებს თავისი დრო აქვს. სათავგადასავლო ლიტერატურა ბავშვობაში რომ არ წამეკითხა, ამ ასაკში ალბათ აღარ ნავიკითხავდი. ვთვლი, რომ ასაკის შესაბამისად, ბევრი კარგი ავტორის გაცნობა მოვასწარი. ალბათ ნასაკითხიც ბევრი დამრჩა. სელინჯერი პირველად სტუდენტობის წლებში ნავიკითხე. ერთი ნაწარმოები რომ მომეწონა, მერე მთელ მის შემოქმედებას გავეცანი. საერთოდ, ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურა ძალიან მიზიდავს. ავთო ვარაზზე, გია ფერაძეზე ძალიან კარგი ფილმების გადაღება შეიძლება. სიამოვნებით ვიმუშავებდი ასეთ ფილმებში, მაგრამ სად არის? ასეთ პიროვნებებს საზღვარგარეთ ძალიან აფასებენ. ჩვენ მაქსიმუმში, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ისაა, რომ დაკრძალვის ცერემონიას დავეცნოთ.

თანამედროვე ავტორები ისევე ძლიერ მაინტერესებს, როგორც ახალგაზრდა რეჟისორები. გავიგე, რომ კლასიკა კარგია, მაგრამ სიახლეც საჭიროა. თანამედროვე ავტორები ამიტომ მაინტერესებს. ბოლო დროს იაპონელი ავტორების შემოქმედებამ გამიბაძა. აკუტაგავას ნოველები ნავიკითხე და ყველას ვურჩევ, გაცნონ, ბევრ საინტერესო მინიშნებას ნახავენ და კარგი იქნება, რეალობასთან პარალელებსაც თუ გაავლებენ.

ნიგნი არასდროს მომიპარავს, მაგრამ მითხოვია

და უკან აღარ დამიბრუნებია. ჩემთვის მოუპარავთ. ეს ცუდი შეგრძნებაა. ოჯახში ძალიან კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა და ბინის ხშირი გამოცვლისას გადასვლა-გადმოსვლაში ზოგიერთი ნიგნი დამეკარგა.

დიდი სიამოვნებით შევასრულებდი მიშკინის როლს დოსტოევსკის „იდიოტში“. ეს პერსონაჟი, როგორც ადამიანს და როგორც მსახიობს, ძალიან მზიბლავს. მას ბევრი საინტერესო „ლილაკი“ აქვს. ეს გმირი იმდენად ახლობელია, ახსნაც კი მიჭირს. არ მიყვარს პერსონაჟების დაყოფა — ეს კარგი პერსონაჟია, ის — ცუდი. ბევრ უარყოფით პერსონაჟს ვამართლებ.

არ მიყვარს ავტორების „ბრაზუნი“: ცვაიგი, მარკესი, ბულგაკოვი... რა თქმა უნდა, ნაკითხული მაქვს ეს ყველაფერი, მაგრამ მარკესის ხსენებისას ყველას „მარტოობის ასი წელიწადი“ ახსენდება. მე ყველაზე მეტად, „ჩემი ნალვლიანი მეძავეები“ მიყვარს. ისეთი მაგარი ნოველაა, ვიზოგავდი, რომ მალე არ დამთავრებულეიყო. ძალიან მომწონს და მიკვირს, ამ ნოველაზე პიესას რატომ არ დგამენ. მარკესმა 90 წლის ასაკში დაწერა და ძალიან საინტერესოა.

ინტელექტუალური თამაშები მიყვარს, მაგრამ ძალიან ვიძაბები, როცა მაიძულებენ, სწრაფად ვუპასუხო. დასაფიქრებელი დრო თუ მაქვს, მაშინ მშვიდად ვთამაშობ. ამიტომ დღეს გთხოვ, პასუხის გაცემა არ დამაჩქარო.

— სტატისტიკამ დაამტკიცა რომ ისინი დღეში 920 კითხვას სვამენ. ვინ?

— ჟურნალისტები, არა?

— ცდები. მიგანიშნებ: რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებზე არ არის ლაპარაკი.

— როგორ დავიბრალო, ვიცი-მეთქი? ვერ გიპასუხებ.

— ბავშვები.

— ა! ბავშვებთან ნაკლებად მაქვს ურთიერთობა და აი, სად იჩინა თავი. ერთხელ ჩემთან დეიდაშვილის შვილი იყო და იმდენი კითხვა დამისვა, ლამის გამაგიჟა.

— გაიხსენე ყველაზე უცნაური შეკითხვა, რომელიც ბავშვისგან მოგისმენია.

— ეს რა არის? — ბალიში. — ბალიში რა არის? —

ბალიშზე თავი უნდა დადო. — რატომ უნდა დადო?

— კარგად რომ დაგეძინოს. — რომ არ დადო? — არ

დაგეძინება. — რატომ არ დაგეძინება? სულ არ დაგეძინება?.. ამას მოყოლებული კიდევ ათასი შეკითხვა.

ამდენის ახსნა სად შემიძლია?!

— უნგრეთის ერთ-ერთი ქალაქის არქივში იპოვეს 200 წლის წინანდელი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს უნდა გადაეხადა ე.წ. კვამლის გადასახადი. ეს თანხა სახანძრო სამსახურის შესანახად გამოიყენებოდა. ვის ახდევინებდნენ ამ

გადასახადს?

— ადამიანებს, რომლებიც გარემოს აბინძურებდნენ.

— რა ფორმით აბინძურებდნენ?

— რადგან კვამლი ახსენე, შესაძლოა, თამბაქოს მწვევლებს ახდევინებდნენ.

— გამოიცანი. ყველას კარგად გვახსოვს ფრთიანი გამონათქვამი: „რელიგია — ეს ხალხისთვის ოპიუმი“. რომელი სიტყვით შეცვალა სიტყვა „რელიგია“ ამერიკელმა ნიქსონმა?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ: ეს სიტყვა შენს პროფესიასთან კავშირშია.

— დავიბენი.

— ტელევიზია. შენთვის რა არის „ოპიუმი“?

— ჩემი „ოპიუმი“ არის კომუნიკაცია სად, ჯანმრთელ ადამიანებთან, „ოპიუმი“, როდესაც ჩემს საქმესთან ჰარმონიაში ვარ.

— პოეზია გიყვარს?

— ძალიან მიყვარს. ვთვლი, რომ ლექსის კითხვა — ცალკე პროფესიაა. ძალიან მიყვარს რუსული პოეზია. სამწუხაროდ, ინგლისური ენა ისე არ ვიცი, რომ შექსპირი ორიგინალში ნავიკითხო. ლექსი არასდროს დამინერია და არც არასდროს არაფერი დამიხატავს.



ბავშვობაში დღეურებს ვწერდი. გალაკტიონი ხომ ბუმბერაზია, ვგიჟდები, მაგრამ ჩემთვის ნიშნაინიძე უფრო მეტად ახლობელია. პუშკინი ძალიან ძლიერი ავტორია, მაგრამ პასტერნაკი მეტად შინაურია. ცვეტა-ევას „ქალების პოეტს“ ეძახიან, მაგრამ მე სიამოვნებით ვკითხულობ. მოკლედ, პოეზია ძალიან მიყვარს, მით უმეტეს, კარგ რომანსად თუ იქცევა.

— როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,/ ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო! / როგორ არ მინდა, ჩემს სიტყაბუკეს/ დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები! / ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუკე, / პირს მარიდებენ ქალიშვილები!..“ რომელი პოეტია ამ სიტყვების ავტორი?

— ლადო ასათიანი.

— რომელი ფრინველი დებს კვერცხს სხვის ბუდეში?

— ვაიმე! ვიცოდი, უნდა გავიხსენო! არ მითხრა, არ გამაგიჟო! (პაუზის შემდეგ) გუგული.

— „მე შემოძლია გავუძლო ყველაფერს, გარდა ცდუნებისა“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— ცვაიგი?

— ცდები. ოსკარ უაილდს ეკუთვნის. თავად, ცდუნებების გაძლების უნარი რამდენად გაქვს?

— ეს ჩემი დიდი სისუსტეა. საერთოდ არ მაქვს, მაგრამ ვცდილობ, ეს უნარი გამოვიმუშაო. ბევრი ცდუნება ძალიან სასიამოვნოც არის...

— რომელი გამონათქვამია უფრო სწორი: 14+9 არის 22 თუ უდრის 22-ს?

— მე და მათემატიკა ისე ვართ ერთმანეთთან, როგორც — ვირი და სიმღერა.

— სწორი პასუხი მაინც რომელი გგონია?

— უდრის 22-ს, არა? რა გაცილებს?... ა! მივხვდი, რა სისულელე მათქმევინე!

— დაიბენი.

— 23-ია. რატომ მატყუებ?

— რა ერქვა ელადაში ადამიანს, რომელსაც ერთ-ერთი სტუმარი ოჯახში დაუპატიჟებლად მიიყვანდა?

— ეს საიდან უნდა ვიცოდე?!

— პარაზიტი.

— ვაა! რა საინტერესო პასუხი ჰქონია!

— ის თავისი ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს. მას დროდადრო უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოს ანიჭებდნენ. პირველი ორდენი წერა-კითხვის გავრცელებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო. მისმა ასიათასობით თანამემამულემ კითხვა მხოლოდ იმისთვის ისწავლა, რომ მისი ბიოგრაფია წაეკითხა. რა სახელით არის ცნობილი ის მთელ მსოფლიოში?

— პელე.

— რუანდის დასავლეთ საზღვართან არის საოცარი ტბა — კივუ. მის მახლობლად მდებარე ვულკანის ამოფრქვევისას, ადუღებული ლავა ტბაში იღვრება. ამის შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებლები ნაევბში სხდებიან და ტბაზე დაცურავენ. რატომ?

— საკვების მოსაპოვებლად?

— რას აგროვებენ?

— თევზს. ტბაში სხვა რა იქნება?

— მოხარშულ თევზს აგროვებენ. ეს ხე იყო ერთადერთი მცენარე ამ ცნობილი ადამიანის ბაღში. 1820 წელს მას მეხი დაეცა, მაგრამ ხისგან სავარძელი გააკეთეს. ეს სავარძელი ინგლისში კერძო კოლექციონერთან ინახება და ფასდაუდებელ რელიკვიას წარმოადგენს. დაასახელე ეს პიროვნება და ხის ჯიში.

— (ფიქრობს).

— ფიზიკა გაიხსენე.

— ფიზიკა? ჩემი ფიზიკის მასწავლებელი უნდა გაცნო, გეტყვის, ამ საგანს როგორ ვსწავლობდი...

— ეს პიროვნება გახლდა ნიუტონი...

— (მანყვეტივებს) ხე ვაშლის იქნებოდა. მისი კანონები ნაკითხული მაქვს და არ ვეთანხმები.

— ფრენის ბეკონი ამბობდა: „ფული კარგი მსახურია, მაგრამ ცუდი ბატონი“. რის გამო დაითხოვეს ის სახელმწიფო სამსახურიდან?

— არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რომ მიზეზი ფულთან იქნებოდა კავშირში.

— დიას. ქრთამის ალების გამო დაითხოვეს. ნამში არის ერთხელ, წუთშიც ერთხელ არის, დღეში არ არის, თვეში არ არის და წელიწადში არის ორჯერ. რა არის?

— ახალი წელი.

— ამ პასუხს არ ველოდი.

— ახალ წელს ხომ ორჯერ აღვნიშნავთ. ნამი და წუთი ის მომენტია, როცა ახალი წელი დგება. აბა, თვეში თუ არ არის, წელიწადში ორჯერ როგორ არის? გამაგიჟებ ახლა შენ! ჩემგან რა გინდა? არადა, პასუხი ძალიან მაინტერესებს. მითხარი, რა, გთხოვ. დაწერე, ვერ მივხვდაო.

— ასო „წ“. დაბოლოს, დაასრულე დოსტოევსკის ცნობილი გამონათქვამი: „თუ გინდათ, კარგად გაიცნოთ ადამიანი, მიაქციეთ ყურადღება არა იმას, თუ როგორ ლაპარაკობს იგი, როგორ ტირის ან როგორ აღელვებს კეთილშობილი იდეები. დააკვირდით, როდესაც ის...“

— „...როდესაც ის იცინის“. დოსტოევსკი ძალიან მიყვარს. კონკრეტულად ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვდა, მაგრამ ლოგიკას მივყევი და მივხვდი.





# რატომ ინება უფალმა წყალში შთასვლა და ნათლისღება იოანესთან

19 იანვარს ქრისტეს მორწმუნენი უფლის ნათლისღების დღესასწაულს ეგებებიან, რომელსაც ღვთის გაცხადებაც ეწოდება. ნათლისღების დღესასწაულით წმინდა ეკლესია იხსენიებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრებიდან — იესო ქრისტეს ნათლისღებას.

## შორენა მერკვილაძე

— სახარების თანახმად, იესო ქრისტეს ნათლისღების შესახებ თხრობა იოანე ნათლისმცემლის — უფლის წინამორბედის სინანულის ქადაგებით იწყება: „შეინანეთ, რა-

საზრისით, რა თვალსაზრისითაც ქრისტესმიერი ნათლისღება მიმტევებელი ცოდვათა. იოანეს ნათლისღება იყო იუდეველთა წყლით განწმენდის წესს მიმსგავსებული: როდესაც იუდეველები მიცვალებულს, ან რაიმე არანმინდას შეე-

და ადამიანის ხელახლა სულიერად შობა, გამოდის, მაცხოვრის ჯვარცმა ამო ყოფილა. ამის გაფიქრებაც კი საშინელი ცოდვაა. მხოლოდ მაცხოვრის მიერ მოცემული ნათლისღება და მრონცხება ადამიანის ცოდვებისგან განწმენდელი, რომლის დროსაც კვდება ძველი კაცი და იბადება ახალი, კვდება კაცი ფშვინვიერი და იბადება კაცი სულიერი. მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული ნათლისღება უხსნის ადამიანს კარს სასუფეველისაკენ. იოანეს ნათლისღება ადამიანებს ქრისტეს მოსვლისთვის განამზადებდა.

— რას მიანიშნებდა იოანეს ქადაგება?

— „მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ — ამ სიტყვებით ქადაგებდა იორდანეს სანაპიროზე იოანე ნათლისმცემელი ქრისტეს მოსვლას. ძველი აღთქმის ყველა წინასწარმეტყველი ქადაგებდა ქრისტეს მოსვლას, იოანე კი ქადაგებდა ქრისტეს გამოჩენას და განამზადებდა ადამიანებს, მათ გულებს, რომ მიელოთ მაცხოვარი, ქრისტეს სიტყვა და გამხდარიყვნენ ქრისტეს მონაფეები. იოანე არის ძველი აღთქმის ბოლო წინასწარმეტყველი, რომელსაც კაცობრიობა ძველიდან ახალ აღთქმაში გადაჰყავს, იგი შეიქმნა ხიდად ძველ და ახალ აღთქმას შორის...

— რით იყო გამორჩეული თავად იოანე ესოდენ უდიდესი მისიისთვის — გზა განემზადებინა მაცხოვრისთვის? ვიცით, რომ შემდგომში მას თავად უფალმა უწოდა უდიდესი ადამიანთა შორის. საერთოდ, რატომ დასჭირდა უფალს წინამორბედი, დამონება იოანესგან?

— ნაწინასწარმეტყველები იყო, რომ მოვიდოდა წინამორბედი, რომელიც გზას განუმზადებდა მაცხოვარს. იოანე ქადაგებდა, — მე არ ვარ მესია, ის ჩემ შემდგომ მოვაო. ამგვარად, წინამორბედი არა უფალს, არამედ ადამიანებს სჭირდებოდათ: როდესაც იხილავდნენ,



როგორც სახარება გვეუბნება, მაცხოვრის ნათლისღების დროს, სულიწმიდა გარდამოვიდა ვითარცა მტრედი

მეთუ მოახლოებული არს სასუფეველი ცათა“ — ქადაგებდა იგი და მასთან მისულ ადამიანებს მდინარე იორდანეში ნათლავდა. რას მოასწავებდა იოანეს ნათლისღება?

**არქიმანდრიტი მაკარი (აბუქაძე):**

— ამ პერიოდამდე იოანე გამოვიდა უდაბნოდან და მოუწოდებდა ადამიანებს სინანულისკენ. ვინც მასთან სინანულით აღვსილი მიდიოდა და აღიარებდა თავის ცოდვებს, იორდანეში ნათლისღებით განიწმინდებოდა. იოანე ნათელს სცემდა წყლით. ეს იყო განსაწმენდელი ნათლისღება და არა — ცოდვათა მიმტევებელი, იმ თვალ-

ხებოდნენ, ან ცოდვას ჩაიდენდნენ, წყლით განიწმინდებოდნენ, განიბანებოდნენ. იოანეს ნათლისღება უფრო აღმატებული იყო, ვიდრე წყლით განწმენდის წესი, მაგრამ არა ისეთი, როგორც მაცხოვარმა მოგვცა. ქრისტიანული ნათლისღებით ადამიანს მიეტევება ადამისეული ცოდვა, რომელიც მეშვიდრეობით გადადის თითოეულ ჩვენგანზე, და პირადი ცოდვები, რაც ადამიანს ნათლისღებამდე ჩაუდენია. რასაკვირველია, იოანეს ნათლისღება ვერ იქნებოდა პირველქმნილი ცოდვის მიმტევებელი, რადგან თუ იოანეს ნათლისღებას შეეძლო ადამის ცოდვის მიტევება



რომ უკვე წინამორბედი მოვიდა, განმზადებულიყვნენ მხსნელთან შესახვედრად. სინანულისკენ მოწოდებით, იოანე განწმენდა ადამიანთა გულებს იმისათვის, რათა ღვთის სიტყვა უფრო ადვილად მიეღოთ. არა მარტო იმ დროს მცხოვრებ ადამიანებს, არამედ საერთოდ კაცთა შორის, იოანე იყო უპირატესი თავისი ღვანლითა და ღვთისმოსავი ცხოვრებით, უფლის მცნებათა აღსრულებით (ცხადია, არ ვგულისხმობ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს). მას მთელი ერი აღიარებდა, მისი სწამდათ და სჯეროდათ იმდენად, რომ იმასაც კი ეკითხებოდნენ — შენ ხომ არ ხარ მესიაო?

— როდესაც იოანე წყლით ნათელს სცემდა ადამიანებს, მდინარე იორდანეს სანაპიროზე მაცხოვარიც გამოჩნდა, რათა ნათელ-ილო იოანესგან. იოანე შეეწინააღმდეგა და უთხრა: „მე ვსაჭიროებ შენგან მონათვლას. შენ კი ჩემთან მოდიხარ?“ იესომ კი მიუგო: „აცადე ან, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“. იოანე დაემორჩილა იესოს და

**ნათელ-სცა მაცხოვარს. რატომ ინება უფალმა წყალში ჩადგომა და იოანესგან ნათლისღება...**

— ცხადია, თავად უფალს ნათლისღება არ სჭირდებოდა ისე, როგორც ეს სჭირდება ყველა ადამიანს, რამეთუ მასზე არ იყო ადამის ცოდვა; იესო იყო სრულიად

ნავს, რომ ჩვენ ნათლისღება აღარ გვჭირდება. თითოეული ჩვენგანი საკუთარი ნათლისღებით უნდა შეუერთდეს ამ ნათლისღებას — მხოლოდ ამის შემდეგ ვხდებით თანაზიარნი იმ გამომხსნელი მსხვერპლისა, რომელიც მაცხოვარმა მთელი კაცობრიობისთვის აღას-

**ხატის უპირველესი მნიშვნელობა ის არის, რომ მიგვაახლოოს უფალთან, უფრო ხშირად გავხვდეთ მაცხოვარი და მათზე გავმოსახული პირველსახეები**

უცოდველი, მაგრამ როგორც მამები გვასწავლიან, როდესაც უფალმა ნათელ-ილო იორდანეში, იოანე ნათლისმცემელმა ხელი შეახო მაცხოვრის ყოვლადწმინდა თავს, თავად იოანემ და მთელმა კაცობრიობამ ილო ნათელი ქრისტეში, ქრისტეს ნათლისღებით მოხდა ადამიანის განწმენდა. კაცობრიობის გამოსხნა სწორედ მაცხოვრის ნათლისღებით დაიწყო. როგორც ადამში შესცოდა ყველა ადამიანმა, ასევე ქრისტეში ნათელ-ილო ყველა ადამიანმა, მაგრამ ეს არ ნიშ-

რულა. ამასთან, მაცხოვარი მიდის ნათლისღებად იმისათვის, რათა აღასრულოს სჯული და მოგვცეს მაგალითი სჯულის აღსრულებისა და ნათლისღებისა.

— როდესაც ქრისტე წყლიდან ამოვიდა, გაიხსნა ცა და სულიწმიდა გარდამოვიდა მასზე მტრედის სახით, ზეციდან კი გაისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვყავ“, — ანუ მაცხოვრის ნათლისღების ჟამს კაცობრიობას განეცხადა ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო, ამიტომაც ნათ-

24 PALITRA NEWS საათიანი მაუწყებლობა ახალი ამბების ტელევიზია



**ლისლებას ღვთის განცხადებასაც უწოდებენ...**

— ძველ აღთქმაშიც გვხვდება ადგილები, სადაც განცხადებულა ყოვლადწმინდა სამების შესახებ, ოღონდ — დაფარულად. წმინდა წინასწარმეტყველებმა და მამამთავრებმა იცოდნენ წმინდა სამების შესახებ, მაგრამ ეს არ განეცხადებოდათ ადამიანებს. თითქმის მთელ სამყაროში გავრცელებული იყო კერპთაყვანისმცემლობა, მრავალმერთიანობა, ამიტომაც, ძველი აღთქმის პერი-

ბმელეთიც და წყლებიც, თუმცა, ხილული სამყარო არ დაპბრუნებია პირვანდელ მდგომარეობას, როგორც უფალმა შექმნა. სრულყოფილად ბუნებრივ მდგომარეობას სამყარო მხოლოდ უფლის მეორედ მოსვლის შემდგომ დაუბრუნდება.

**— რატომ აღესრულება ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევა?**

— როგორც ვთქვით, უფალმა მთელი სამყაროს წყლები განწმინდა. სწორედ ამ სასწაულის აღსანიშნავად და ამ მოვლენაში

დროს, სულიწმინდა გარდამოვიდა ვითარცა მტრედი; ეს იყო ხორციელი თვალისთვის, კაცთათვის სახილველი ანუ — არა სულიწმინდა იყო მტრედი, არამედ ადამიანთა თვალთათვის შესახებდავად, როგორც მტრედი, ისე გამოჩნდა ამ დროს. ნათლისღების ხატზე გამოსახული არიან ანგელოზებიც. სახარება არ მოიხსენიებს, რომ მაცხოვრის ნათლისღების დროს ვინმეს ეხილოს ანგელოზები, მაგრამ ცხადია, იქ იმყოფებოდნენ, რადგან ანგელოზები თავიანთ მარადიულ, დაუსაბამო და დაუსრულებელ მეუფეს ყველგან ემსახურებიან.

ხატის უმთავრესი დანიშნულებაა, რომ ადამიანებმა უფრო ადვილად აღიქვან საღმრთო მადლი, რადგან ჩვენი მიწიერი, გამიწიერებული გონება ძნელად აკეთებს მობილიზებას, რომ უფალთან მყოფობას მიაღწიოს, უფალთან დაიმკვიდროს. ხატები არის სარკმლები მიღმურ, ზეციურ სამყაროში, სწორედ ის სინამდინეები, რომელთა ხილვითაც ჩვენი გონება უფრო მობილიზებული ხდება. როდესაც ხატების წინაშე ვლოცულობთ, გვახსენდება უფალი, წმინდა მოვლენები, წმინდანები და ამ დროს ჩვენი გონება და გული ღვთისკენ მიიდრიკება. რაც უფრო გულისყურითა და ყურადღებით ვლოცულობთ, მით მეტად ვართ მიმღებნი იმ მადლისა, რომელიც დაუსრულებლად მოედინება უფლისგან მთელ სამყაროზე.

ხატები, განსაკუთრებით — სადღესასწაულო ხატები ემსახურებოდა ადამიანთა სასულიერო განათლებასაც. იმ პერიოდში, როდესაც სადღესასწაულო მოვლენების ამსახველი ხატები იქმნებოდა, უამრავმა ადამიანმა არ იცოდა წერა-კითხვა, მხოლოდ სმენით, ეკლესიაში ქადაგების მოსმენისას იღებდნენ სწავლებებს, ხოლო როდესაც მოსმენილ საღმრთო მოვლენას ხატებზე გამოსახულს თვალთ ხედავდნენ, უფრო იოლად იმახსოვრებდნენ ამ ყველაფერს. მაგრამ ეს დატვირთვა უფრო, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ჰქონდა ხატებს, რადგან ხატის უპირველესი მნიშვნელობა ის არის, რომ მიგვაახლოოს უფალთან, უფრო ხშირად გაგვახსენოს მაცხოვარი და მათზე გამოსახული პირველსახეები. ■



ოდში უფალმა არ განუცხადა ადამიანებს ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო, რადგან გაუგებარი იქნებოდა ადამიანებისთვის, როგორ შეიძლებოდა, ღმერთი ერთი ყოფილიყო, თანაც — სამპიპოსტასიანი. ბუნებრივია, ადამიანი სამების საიდუმლოს ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდება, მაგრამ ახალ აღთქმაში, როდესაც მაცხოვარი მოვიდა, კაცობრიობა, ასე თუ ისე, სულიერად მზად იყო ამ საიდუმლოს მისაღებად.

**— როგორც წმინდა მამები გვეუბნებიან, ნათლისღების ჟამს მაცხოვრის წყალში შთასვლით წყლის ბუნება განიწმინდა...**

— როდესაც ადამი დაეცა, მთელი ხილული სამყარო შეიცვალა, ადამის მიერ ჩადენილი ცოდვა ხილულ სამყაროზე გარდამოვიდა. მაცხოვრის შობით და მაცხოვრის ნათლისღებით, ადამიანიც განიწმინდა და ხილული სამყაროც —

თანაზიარებისთვის, ეკლესია აღასრულებს წყალკურთხევას. ნათლისღების დღესასწაულზე აღესრულება დიდი აიაზმა. არსებობს წყალკურთხევის ორი წესი — დიდი აიაზმა და მცირე აიაზმა. მცირე აიაზმის აღსრულება შეიძლება ნებისმიერ დროს, როდესაც სასულიერო პირი მოინდომებს, დიდი აიაზმა კი მხოლოდ ნათლისღების დღესასწაულზე აღესრულება.

**— ნათლისღების ხატზეც ვისაუბროთ. საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს სადღესასწაულო მოვლენების ხატწერით გამოსახვას?**

— ცხადია, ნათლისღების ხატზე გამოსახულია მაცხოვრის ნათლისღება მდინარე იორდანეში. მასზე ვხედავთ, რომ მაცხოვარი დგას იორდანეში და იოანე ნათელს სცემს მას. ასევე გამოსახულია მტრედი. როგორც სახარება გვეუბნება, მაცხოვრის ნათლისღების





# ჰერპესი გადაედები დაავადებაა

ჰერპესი — ეს უსიამოვნო, ვირუსული დაავადება მოსახლეობის დიდ ნაწილს აწუხებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მოსახლეობის 90% მარტივი ჰერპესის ვირუსის მატარებელია. დაინფიცირების შემდეგ ვირუსი რჩება ადამიანის ორგანიზმში მთელი ცხოვრების განმავლობაში და ჯანმრთელი ადამიანი ხანგრძლივად არის ამ ვირუსის მატარებელი. ასეთ დროს პატარ-პატარა ბუშტუკები ჩნდება ტუჩზე და სხეულის სხვადასხვა ნაწილში. ალბათ ბევრი ადამიანი ფიქრობს დაავადებისგან განკურნების გზებზე.

## თეა ხურცილავა

ადამიანის იმუნური სისტემის მდგომარეობაზეა დამოკიდებული დაავადების კლინიკური გამოვლინებები: ჯანმრთელ ადამიანებში ჰერპესის რეციდივი მსუბუქად მიმდინარეობს, ხოლო ვისაც იმუნური სისტემის დარღვევები აღენიშნება, დაავადება რთულდება. როგორც ამბობენ, ყველაზე ხშირად ჰერპესი დაბალი იმუნიტეტის მქონე ადამიანებში ვლინდება და განსაკუთრებით ინფექცია გაცივების, ალკოჰოლისა და ანტიბიოტიკების ხანგრძლივი მოქმედების შემდეგ მწვავედება. აღინიშნება როგორც კანისა და ლორწოვანი გარსის, ასევე შინაგანი ორგანოების დაზიანებით. რაც ყველაზე საყურადღებოა, დაავადება გადამდებია. ჰერპესის ვირუსის შესახებ ვესაუბრეთ კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის ექიმ-დერმატოლოგს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, ხათუნა კუდავას.

— რა დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს ჰერპეს-ვირუსით დასნებოვნებამ?

— ჰერპეს-ვირუსებით გამოწვეული დაავადებები იყოფა მარტივი ჰერპესისა და ჰერპეს ზოსტერის ჯგუფებად. მარტივი ჰერპესის ორი ტიპის ვირუსს გამოყოფენ. პირველი ტიპი იწვევს პირის ღრუსა და კანის დაზიანებას (ძირითადად ტუჩების, ცხვირის არეებში, თუმცა შესაძლებელია კანის სხვა უბნებიც დაზიანდეს), მეორე — გენიტალიურ ინფექციებს. ჰერპეს ზოსტერის გამომწვევია ჩუტყვავილას ვირუსი.

— ის გადამდები დაავადებაა, იქნებ ჩამოვთვალოთ ის გზები, რომლითაც გადადის ჰერპესი?

— მისი სახეობიდან გამომდინარე, გადადების გზები განსხვავებულია. მარტივი ჰერპესის პირველი ტიპის შემთხვევაში ინფიცირება ხდება ჰაერნვეთოვანი გზით ან

უშუალო კონტაქტით დაზიანებულ კერასთან, კოცნის დროს. დაავადების გადადება ასევე შესაძლებელია დაინფიცირებული სამართებლის ან სხვა პირადი ნივთის გამოყენებით. მარტივი ჰერპესის მეორე

ვლინდება, რაც გამოცდილ დერმატოლოგს დიაგნოსტიკის საშუალებას აძლევს. იმის დასადგენად, პროცესი მწვავეა თუ ქრონიკული, საჭიროა სისხლში სპეციფიკური ანტისხეულების ტიტრის განსაზღ-



ტიპის დროს გადაცემის გზა სქესობრივია. რაც შეეხება ჰერპეს ზოსტერს, უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ დაავადებასა და ჩუტყვავილას ერთი და იგივე ვირუსი იწვევს. პაციენტს უკვე გადატანილი აქვს ჩუტყვავილა ბავშვობაში და გარკვეულ პირობებში ხდება მისი რეაქტივაცია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰერპეს ზოსტერით დაავადებული მოზრდილისგან შეიძლება ბავშვს გადაედოს ინფექცია ჩუტყვავილას ფორმით.

— ხშირად აქვთ ჰერპესი ტუჩზე, რასაც ახლავს წვა. რა იწვევს ამას?

— ეს მარტივი ჰერპესის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა. დასაწყისში იწყება წვისა და ტკივილის, ზოგჯერ ქავილის შეგრძნებით, რასაც მოჰყვება ამ ადგილზე გამონაყარის გაჩენაც ჯგუფად განლაგებული ბუშტუკოვანი გამონაყარის სახით.

— როგორ ხდება ამ დაავადების დიაგნოსტიკა?

— ჰერპესული ინფექცია მისთვის მახასიათებელი გამონაყარით

ვრა. რთულ სიტუაციებში საჭიროა დაზიანებულ ადგილებში წარმოქმნილი ბუშტუკების შიგთავსის გამოკვლევა; პაციენტის სისხლის დეტალური ანალიზი.

— რა იგულისხმება მისთვის დამახასიათებელ გამონაყარში?

— კანის დაზიანებულ უბნებზე ჩნდება ჯგუფად განლაგებული ბუშტუკოვანი გამონაყარი. მარტივი ჰერპესის შემთხვევაში ეს ლოკალურ ხასიათს ატარებს და სუბიექტური ჩივილებიც მწირია, ჰერპეს ზოსტერის შემთხვევაში კი სიგრძივად, დაზიანებული ნერვის გასწვრივ არის განლაგებული და ძლიერი ტკივილის შეგრძნება თან ახლავს. მოგვიანებით, რამდენიმე დღეში ბუშტუკები სკდება და წარმოიქმნება ეროზიული უბნები, რომლებიც შემდგომში ქერქით იფარება.

— როგორ იკურნება იგი? როგორ უნდა მოვიქცეთ ჰერპესის გაჩენის შემთხვევაში? მართო მალამოების წასმა რამდენად ეფექტურია?



— მკურნალობის ტაქტიკა განსხვავებულია მისი ფორმებიდან გამომდინარე და დამოკიდებულია სიმწვავესა და გართულებებზეც. ასევე მნიშვნელოვანია, დაავადების დაწყებიდან მერამდენე დღეს ვინყვებთ მკურნალობას. საჭიროა სრულყოფილი კომპლექსური მკურნალობის ჩატარება, თუმცა ზოგჯერ პირველი ტიპის მარტივი ფორმის ჰერპესის დროს ადგი-

მთლიანობის დარღვევის შემთხვევებშიც, ნახეთქების, ნაკანრებისა და დამწვრობების არსებობისას.

**— ორსულებს ამონებენ ჰერპესზე, ეს რატომ ხდება და რამდენად საშიშია ორსულობის დროს ჰერპეს-ვირუსით ინფიცირება?**

— ძალზე მნიშვნელოვანია ეს გამოკვლევა. თუ ორსული აღმოჩნდება მეორე ტიპის მარტივი ჰერპეს-ვირუსით ინფიცირებული,

დედისგან შვილზე გადაცემა კი ძალიან საშიშია — შესაძლოა, ბავშვის სიკვდილი ან მყარი ნევროლოგიური დაზიანება გამოიწვიოს. თუ ქალი ორსულობამდე იყო ინფიცირებული ჰერპეს-ვირუსით და ორსულობისას გაუმწვავდა, ამ შემთხვევაში დაავადება შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს და მკურნალობის ტაქტიკას ექიმი ინდივიდუალურად არჩევს.

**ჰერპესის მკურნალობის რამდენიმე ხალხურ საშუალებას გთავაზობთ: თუ ტურის ჰერპესი გაგჩნდათ, შეიძლება წაისვათ სოჭის ზეთი მტკივან მონაკვეთზე ყოველ ორ საათში ერთხელ. შეიძლება სახლში მალამოც დაამზადოთ: ერთმანეთში აურიეთ ნახევარი სადილის კოვზი თაფლი, ერთი სადილის კოვზი ფერფლი, შეგიძლიათ ქალაღდის ნაგლეჯი დაწვით და დარჩენილი ფერფლი გამოი-**

**ყენოთ, დაამატეთ სამი კბილი წვრილად გახეხილი ნიორი. ეს ნაზავი რაც შეიძლება ხშირად წაისვით ტურის ჰერპესზე. ყველაზე გავრცელებულ სამკურნალო საშუალებად მიჩნეულია ქაცვის ზეთი და ალოეს წვენი. დაზიანებულ ადგილზე რეგულარულად წაისვით ალოეს წვენი, უკეთესი ეფექტისთვის შეგიძლიათ ერთი ჩაის კოვზი ჭამის წინაც დალიოთ, ოღონდ ალოეს წვენი ძალიან მწარეა, ამიტომ**

**უმჯობესია, მას თაფლი შეურიოთ. ამ დაავადების საწინააღმდეგოდ გამოიყენეთ საკვები სოდაც. შემოდგით ცეცხლზე ნახევარი ჭიქა წყალი, როგორც კი წამოდულდება, ჩაყარეთ ერთი სადილის კოვზი საკვები სოდა, მაშინვე გადმოდგით ცეცხლიდან და მოურიეთ. დაასველეთ მასში ბამბის ტამპონი და ჰერპესზე დაიდეთ. ორი საათის შემდეგ შეგიძლიათ პროცედურა გაიმეოროთ.**



ლობრივი თერაპიაც საკმარისია. იმისათვის, რომ უკვე დაინფიცირებულმა ადამიანმა თავიდან აიცილოს დაავადების განმეორებითი გამოვლინება, გამოიყენება გერპეტიკული ვაქცინა.

**— ისიც ცნობილია, რომ თუ ადამიანს ერთხელ აღმოაჩნდა ჰერპესი, შეიძლება გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ გაუჩნდეს. რა შემთხვევაში მწვავედება ეს დაავადება?**

— ამ შემთხვევაში მარტივი ჰერპესის ქრონიკულ ფორმაზე ვსაუბრობთ. ეს ხდება ისეთი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რომლებიც ხელს უწყობს ვირუსის რეაქტივაციას, მაგალითად, სისტემური ცვლილებები ორგანიზმში (ვირუსული ან ბაქტერიული ინფექციით გამომწვეული ცხელება, დაღლილობა). ხელშემწყობი გარემო იქმნება კანის

აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილე და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, რათა არ მოხდეს მშობიარობის დროს ნაყოფის ინფიცირება. ჰერპეს-ვირუსით (განსაკუთრებით — II ტიპის ვირუსით) ინფიცირებამ, თუ ეს ორსულობისას მოხდა, შესაძლოა, ნაყოფის ინფიცირებაც გამოიწვიოს. განსაკუთრებით საშიშია გენიტალიური ჰერპესის გამწვავება ორსულობის 32-ე კვირის შემდეგ. თუ მკურნალმა ექიმმა გამწვავება ამ დროს აღმოაჩინა, სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ანტივირუსული პრეპარატებით მკურნალობა. თუ მშობიარობა გამონაყარის გაქრობამდე დაიწყო, რეკომენდებულია საკეისრო კვეთა, ვინაიდან მაღალია სამშობიარო გზებში გავლისას ნაყოფის ინფიცირების რისკი. სასქესო ორგანოების ჰერპესის

**— არის მოსაზრება, რომ ჰერპესი უჩნდებათ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც შინაგანად სხვა დაავადებები აწუხებთ. რამდენად რეალურია ეს?**

— ქრონიკული ჰერპესის გამწვავება შესაძლოა უკავშირდებოდეს ნებისმიერ პროცესს, რაც იმუნური პასუხის ცვლილებებსა და იმუნოდეფიციტს იწვევს.

**— რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ხშირად აწუხებთ ჰერპესი, პროფილაქტიკისთვის რა უნდა გააკეთონ ამ ადამიანებმა?**

— რადგან მკურნალობის პერიოდში ვირუსის ელიმინაცია ვერ ხდება, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ იმ ფაქტორების მოქმედება, რასაც უკავშირდება ქრონიკული პროცესის გამწვავება. გამონაყარი ხელახლა ხშირად ჩნდება გაცივებისა და გრიპით დაავადების შემთხვევაში. ამასთანავე დროულად უნდა დაიწყოთ მკურნალობა, სუბიექტური შეგრძნებების დაწყებისთანავე. გახსოვდეთ, დაავადება გადადის იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაავადებულს არ აღენიშნება გამონაყარი. ამიტომ, მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ და გამოვიყენოთ მიღებული ინფორმაცია. ჰერპესის გართულებები საკმაოდ სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანისთვის, ამიტომ მკურნალობა დაუყოვნებლივ დაიწყეთ.



# ენდრიუ ლოიდ-ჯებერის ფერადი სიზმრები

საკულტო მიუზიკლისა და ცნობილი როკოპერის — „იესო ქრისტე-სუპერვარსკვლავი“ ავტორი, ახალი მუსიკალური ჟანრის ერთ-ერთი შემქმნელი, კლასიკისა და როკის გამაერთიანებელი — ენდრიუ ლოიდ-ჯებერი კვლავაც შემოქმედებითი საქმიანობის წყურვილითაა შეპყრობილი.

ირინა ჰანდიერი

1948 წლის 22 მარტს დაბადებული მომავალი კომპოზიტორი შეიძლება, ისტორიკოსი გამხდარიყო. ბავშვობაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსპექტორობაზე ფიქრობდა. 1956 წელს ვესტმინსტერის სკოლაში შევიდა, სადაც მედივისტიკით (ისტორიული მეცნიერების ნაწილი, რომელიც შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ისტორიას სწავლობს) იყო გატაცებული. 1965 წელს, როცა ოქსფორდის სტიპენდია მიიღო, არჩევანი უყოყმანოდ, ისტორიულ ფაკულტეტზე შეაჩერა. საინტერესოა, რომ ისტორიის მიმართ პირადი მისწრაფების რეალიზება მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში შეძლო: უკვე ვარსკვლავური კარიერის მქონე კომპოზიტორმა ჰემფშირის გარეუბანში მამული — Sydmonton Court შეიძინა, სადაც არა მხოლოდ XVI საუკუნის რამდენიმე ნაგებობა, არამედ ნამდვილი სასახლეცაა აღმართული. სწორედ იქ ეწყობა ხოლმე ამჟამად, ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალი, სადაც უმეტესად, ამამულის მფლობელის ნაწარმოებები სრულდება.

## მისი მუსიკის ისტორია

მართალია, ენდრიუ თითქოს საკუთარი საყმაწვილო ოცნების საწინააღმდეგოდ იქცა კომპოზიტორად, მაგრამ სამაგიეროდ, მისი ოჯახური ტრადიცია გაგრძელდა: ვებერთა სახლი მუდამ მუსიკით იყო სავსე. მამა ორგანისტი გახლდათ და ლონდონის მუსიკალური კოლეჯის ხელმძღვანელად მუშაობდა, დედა — ფორტეპიანოს კლასის პედაგოგი, უმცროსი ძმა — ვიოლონჩლისტი იყო. საკვირველი არც არის, რომ ენდრიუს ბავშვობიდან ემარჯვებოდა ფორტეპიანოზე დაკვრა. 9 წლის ასაკში კი 6-ნაწილიანი სიუიტა დაწერა.

სტუდენტ ლოიდ-ჯებერისთვის ისტორიული განათლება ერთ სემესტრში დასრულდა. ის ოქსფორდიდან გაიქცა, რათა მიუზიკლის — The likes of us („ისეთები, როგორც ჩვენ



რაინდის წოდება 1997 წ. მიენიჭა

ვართ“) დადგმაზე ემუშავა. მიუზიკლში მოქმედება ვითარდება ბრიტანელი პროფესორი ფილანტროპის გარშემო, რომელიც ობოლ ბავშვთა თავშესაფრებს მფარველობს. სწორედ ამ მიუზიკლის წყალობით (რომელიც, სხვათა შორის, არასდროს დადგმულა) დაიბადა ბრწყინვალე შემოქმედებითი ტანდემი: ენდრიუ ლოიდ-ჯებერი-ტიმ რაისი (მუსიკოსი-პოეტი). მათი პირველი რეალიზებული და საკმაოდ წარმატებული ერთობლივი პროექტი გახდა მიუზიკლი — „იოსები და მისი საკვირველი ფერადი სიზმრების მოსახლამი“ (1968 წ.; განახლდა 1972 წ.). უკვე ამ ნამუშევარში გამოიკვეთა ლოიდ-ჯებერის მომავალი „საფირმო ნიშანი“ — სხვადასხვა სტილის მუსიკის ურთიერთშერწყმა: ფრანგული რესტორნული შანსონით დაწყებული, აფრიკულ-კარიბული კალიფსოს ჰანგებით დამთავრებული; ქანთრით და როკით დაწყებული — ჯაზური იმპროვიზაციით დამთავრებული.

სანამ ენდრიუსთან ერთად მუშაობას შეუდგებოდა, ტიმოტი მაილს ბინდონ რაისი იურიდიულ კანტორაში საქმიანობდა. ლექსები მხოლოდ ჰობი როდი გახლდათ — ეს მისი უდიდესი გატაცება იყო, ისევე როგორც — როკი. ამიტომაც, როცა ნაცნობმა შეატყობინა, რომ ახალგაზრდა ლოიდ-ჯებერი ტექსტის

ავტორს ეძებდა, ტიმმა ენდრიუს მისწერა და ისინი მაშინვე შეუდგნენ მუშაობას. მათ წინ მსოფლიო ჰიტები ჰქონდათ, ასევე — ჯილდოებიც და... განშორებაც (როგორც იტყვიან — ხასიათით ვერ შეეწყვენ).

## მთავარი ჰიტი

„იესო ქრისტე-სუპერვარსკვლავი“ (1971 წ.) დაწერა ჟანრში, რომელშიც კლასიკური ოპერა და როკი გაერთიანდა. მიუზიკლი ქრისტეს ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე, საკულტო ნაწარმოებად იქცა (აშშ-ში დაახლოებით 3 მილიონი ასლი გაიყიდა) და როკოპერებს შორის პირველობას დღემდე არც ერთს არ უთმობს. სწორედ ამ მიუზიკლიდან ჩაეყარა საფუძველი ლოიდ-ჯებერისა და რაისის ცნობილ ტრადიციასაც — ჯერ დისკო ჩაენერათ და შემდეგ განეხორციელებინათ დადგმა.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ, ლოიდ-ჯებერმა შექმნა მიუზიკლი „ჯივს“ (ვუდჰაუსის რომანების მიხედვით). 1976 წელს ტანდემმა ისევ ერთად იმუშავა და გამოუშვა მიუზიკლი არგენტინელი დიქტატორის (ხუან პერონის) ცოლზე, მსახიობ ევა პერონზე — „ევიტა“. კრიტიკოსებმა ნაწარმოები გააცამტყერეს. ლოიდ-ჯებერს კი „საცოდავ მიმბადველად“ მოიხსენიებდნენ: ბრალს



სდებდნენ იმაში, რომ უხეშად გამოიყენა განსხვავებული მუსიკალური მიმდინარეობები და მათი ელემენტების კომპილირება მოახდინა. თუმცა, „ვილაც კრიტიკოსებს“ არ შეეძლოთ შეეჩერებინათ ადამიანი, რომელსაც მუსიკის წერა სურდა, მით უმეტეს — ალბომი „ევიტა“ წარმატებით იყიდებოდა ბრიტანეთში, მიუხედავად ყოველგვარი თავდასხმისა.

**შტრიხები პორტრეტისთვის**  
ვებერის მამა გულის შეტევით, 68 წლის ასაკში გარდაიცვალა, დედა კი — 72 წლის. ენდრიუ იგონებდა, რომ დედის ერთადერთი მონოდება მუსიკა იყო. როცა პირველი დიდი გამარჯვების შემდეგ („იესო ქრისტე-სუპერვარსკვლავი“ გამოსვლა) დიდძალი შემოსავალი მიიღო, დედასთან მივიდა და მაცივრის ყიდვა შესთავაზა. ქალმა

მელთანაც ორი შვილი ჰყავდა. 1984 წელს სარა ბრაიტმანმა, პლასიდო დომინგოსთან ერთად, ლოიდ-ვებერის „რეკვიემი“ შეასრულა, რომელიც ავტორმა მამის ხსოვნას მიუძღვნა. სწორედ სარა აღმოჩნდა ის მუზა, რომელმაც კომპოზიტორს ახალი მიუზიკლის — „ოპერის აჩრდილის“ დაწერა შთააგონა. პრემიერაზე მთავარი როლი — კრისტინ დაეს პარტია შეასრულა. როგორც ცნობილია, სიუჟეტი დაფუძნებულია ფრანგი მწერლის ლერუს რომანზე — „ოპერის აჩრდილი“. ეს გახლავთ მუსიკის გენიოსის თავგადასავალი, რომელიც საკუთარ სახეს მალავს და პარიზის ოპერის მინისქვეშეთში ბინადრობს. „მოჩვენებას“ ერთ-ერთი მოცეკვავე შეუყვარდება და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა გოგონა თეატრის პრიმადონად აქციოს. პრემიერა 1986 წელს, ლონდონში, „ვესტ-ენდში“ შედგა, ხოლო 1988 წლიდან, სანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, „ოპერის აჩრდილი“ ბროდვეიზე კვირაში 8-ჯერ ავსებდა დარბაზს. 30 წლის მანძილზე მიუზიკლს 70-ზე მეტი ჯილდო მიენიჭა.



ტიმ რაისთან ერთად

ენდრიუ განაგრძობდა წერას, ქმნიდა ნაწარმოებთა ციკლებს ვილონჩელოსთვის, სპეციალურად საკუთარი ძმის — ჯულიანისთვის.

მომდევნო ჰიტად მიუზიკლი „კატები“ (1981 წ.) იქცა, რომელიც თომას ელიოტის სახელგანთქმული ნიგნის მოტივებზე დაიდგა. ტიმ რაისი სპეციალურად იყო მიწვეული, რათა დაეწერა ტექსტი მსოფლიო ჰიტად ქცეული სიმღერისთვის — **Memori**. თუმცა, საფინანსო დადგმაში სპექტაკლის რეჟისორის — ტრევორ ნანის ვერსია შევიდა. იმ დროისთვის, ტიმსა და ენდრიუს შორის უკვე უთანხმოება ჩამოვარდა. **Memori**-ს ისტორიის შემდეგ, პარტნიორები საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს. რაისმა შევედურ ჯგუფ **ABBA**-სთან ერთად შექმნა მიუზიკლი — **Chess** („ჭადრაკი“), ლოიდ-ვებერს კი რომანტიკული ისტორია გადახდა თავს, რომელმაც ის მორიგ ჰიტამდე მიიყვანა, უკვე — რაისის გარეშე.

უარი უთხრა — ის ძალზე მოკრძალებული ადამიანი გახლდათ. როცა სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს, ევთანაზია მოითხოვა. თუმცა, კიდევ 5 წლის სიცოცხლე დარჩენოდა (იმ ქვეყნად 1993 წელს ნავიდა) და მთელი ამ ხნის განმავლობაში, მუსიკის გაკვეთილებს ისევ ატარებდა, რასაც შემდგომ დიდი მადლობებით იგონებდნენ მისი მონაფეხები.

ლოიდ-ვებერი მძიმე სენს (პროსტატის კიბო) თვითონაც ებრძოდა 2000-იან წლებში. ახლა ის კვლავ ფორმაშია და სავსეა შემოქმედებითი გეგმებით.

**მუსიკის ანგელოზი**

ერთმა მომღერალმა „კატების“ მოსმენებისას ენდრიუ ვოკალური მონაცემებით მოაჯადოვა. მალე მათ სიყვარულიც ეწვიათ. ქალს სარა ბრაიტმანი ერქვა. 1983 წელს სარა და ენდრიუ შეუღლდნენ. მის გამო მაესტრო პირველ ცოლს — სარა-ჯეინ ჰაგილს გაეყარა, რო-

**სერ ენდრიუ**  
საკუთარ „მუსიკის ანგელოზს“, სარა ბრაიტმანს ლოიდ-ვებერი 1990 წელს დაემშვიდობა. ის მადლენ გერდონზე დაქორწინდა და განაცხადა, რომ სურს, წერტილი დაუსვას მიუზიკლების შეთხზვას. ახლა საკუთარი თავი კინოში უნდა მოსინჯოს — მაგალითად, სპილბერგთან ერთად გააკეთოს „კატების“ კინოვერსია. თუმცა, წერისთვის თავი არ დაუნებებია. 1993 წელს გამოუშვა მიუზიკლი ბლიი უაილდერის ფილმის — „სანსეტ-ბულვარის“ მიხედვით; კინოვერსიად იქცა მისი მიუზიკლი „ევიტა“ (რეჟისორი ალან პარკერი, მთავარ როლებში — მადონა და ანტონიო ბანდერასი). ენდრიუ ლოიდ-ვებერმა მოიპოვა სიმდიდრეც, სახელიც და ამა ქვეყნის ძლიერთა აღიარებაც. 1997 წელს დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ რაინდის ნოდება უბოძა. 2000 წელს, მან ბრიტანეთის ერთ-ერთი მსხვილი თეატრალური კომპანია — **Stoll Moss** შეიძინა, რაც 85 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.



# თეთრი საუნჯე

ადამიანს ყოველდღიურად 15 გრამამდე მარილი ესაჭიროება. ამ საკაზმ-მისგან ხანგრძლივი თავშეკავება იწვევს საერთო სისუსტეს, მადის დაკარგვას, კუნთების დამბლას, ზოგჯერ კი ლეტალურ შედეგსაც.

რამდენიმე ათეული წლის წინ ირლანდიის უიტფილდის ციხეში ამბოხებაში მონაწილე პატიმართა დასასჯელად მათი რაციონიდან ხორცი და თევზი ამოიღეს, აგრეთვე შეწყვიტეს მათი საკვების დამარილება. რამდენიმე ხნის შემდეგ მრავალი ადამიანი დაავადდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი გარდაიცვალა. ციხის ადმინისტრაციამ ეჭვი შეიტანა, რომ საქმე რაღაც ეპიდემიას ეხებოდა და სამედიცინო კომისია გამოიძახა. ექიმებმა დაადგინეს, რომ ამ ყველაფრის მიზეზი რაციონში მარილის არარსებობა იყო. იგივე გამოვლინდა გასული საუკუნის შუა ხანებში გერმანიის ქალაქ მიუნხენის ციხეში.

## პაატა გეგელაშვილი

### გამრიელი ძველი

მონადირეები ხშირად ხდებოდნენ იმის მომსწრე, რომ ცხოველები ზოგჯერ რაღაც თეთრ ქვეს ლოკავდნენ. მონადირეები ამ ქვეს ამსხვრევდნენ და თავადაც უსინჯავდნენ გემოს. ეს სწორედ ის არომატი გახლდათ, რაც ასე აკლდათ მათ ტრაპეზის დროს. ასე გაიცნეს ადამიანებმა ქვაპარილი.

ზოგჯერ წყალსატევთა ნაპირებზე თეთრ ფხვნილს პოულობდნენ. ერთხელაც მას გემო გაუგეს და ასე შედგა ნაცნობობა ზღვის მარილთან.

მაგრამ მრავალი საუკუნის მანძილზე ადამიანებს ამ საკაზმის მხოლოდ მოძებნა შეეძლოთ და არა — მოპოვება, ამიტომ ის მათთვის უდიდეს ფასეულობას წარმოადგენდა. მარილის აღმოჩენიდან მის მოპოვებამდე ძალზე ბევრი დრო გავიდა. ძველ დროში ამ საკაზმის მიმართ გაორებული დამოკიდებულება არსებობდა. ერთი მხრივ, ცნობილი იყო, რომ მარილი არა მარტო აუმჯობესებდა საკვების გემოს, არამედ ადამიანებს ჯანმრთელობასა და ხალისს ანიჭებდა, ამასთან, ამ სასწაულმოქმედი თეთრი ფხვნილით დაზეული ხორცი გაცილებით დიდხანს ინახებოდა. ამის გამო ამ საკაზმს სინმინდედ თვლიდნენ და ეთაყვანებოდნენ, სხვა მხრივ, ადამიანები იმასაც ხედავდნენ, რომ მარილით გაჟღერთილ მინაში არაფერი ხარობდა, რომ ასეთ ადგილებში არც საქონლის ძოვება შეიძლებოდა და არც მარცვლოვანის მოყვანა. ამიტომ მარილი, ამავე დროს, ბოროტების

სიმბოლოც იყო. ჩვენი წინაპრებისთვის მართლაც ძნელი გახლდათ ამ პროდუქტის მიმართ სწორი დამოკიდებულების დადგენა.

### რომის წარმოშობა

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მეორე ათასწლეულში მდინარე ტიბროსის შესართავის მახლობლად, ერთ-ერთ ბორცვზე დასახლება წარმოიქმნა. ადამიანები ამ ადგილას იმის გამოც მივიდნენ, რომ იცოდნენ: აქ მარილის მოპოვება შეიძლებოდა, ტირენის ზღვიდან.

მის მოსაპოვებლად არხებს თხრიდნენ, რომელთა მეშვეობითაც წყალი სპეციალურ აუზებში ჩაედინებოდა. ეს ელემენტარული ტექნოლოგია გახლდათ: სითხე ორთქლდებოდა, მარილი კი რჩებოდა.



მარილით გაჟღერთილ მიწაში არაფერი ხარობდა

დაბაიზრდებოდა, ვითარდებოდა და ქალაქ რომად გადაიქცა, რომელმაც მარილის სხვა „საბადოების“ დაუფლებაც მოინდომა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში რომსა და კართაგენს შორის სისხლისმღვრელი პუნიკური ომები დაიწყო. საა-

მისოდ მრავალი მიზეზი არსებობდა, მათ შორის — ვერცხლის მალაროები და მარილის სარეწები. დაპირისპირება 118 წელს გაგრძელდა. უკანასკნელი ომი კართაგენის სამწლიანი ალყით დამთავრდა, რომელიც საბოლოოდ, შიმშილითა და სნეულებით განამებულ დაეცა. რომაელებმა ქალაქი გაანადგურეს, ხოლო მის მინას, რათა მას აღარასოდეს მოეცა მოსავალი, მარილი მოაყარეს.

რომაული ჯარის სარდალმა სციპიონ ემილიანუსმა დამცინავად განაცხადა:

— ჩვენი მარილი გინდოდათ? მაშ, მიიღეთ.

### მარილის ფული

„მარილის ომები“ სხვა ადგილებშიც მიმდინარეობდა, მაგალითად, გერმანულ ტომებს — ალემანებსა და ბურგუნდებს შორის.

აცტეკთა მონარქებს ძალზე ახარებდათ მრგვალი თეთრი ზოდები, რომელთა წყალბოთითაც მდიდრები და ძლევაშობილები გახდნენ. მარილი ხომ მეზობელ ტომებთან საქონლის გაცვლის მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა. სწორედ მარილის მარაგები გახდა ესპანელთა მიერ მექსიკის უსწრაფესი დაპყრობის ერთ-ერთი მიზეზი, რომლებიც ასევე ოცნებობდნენ სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე.

ზოგიერთ ქვეყანაში მარილისგან ფულსაც კი „ჭედავდნენ“. ასეთ ფულს, მაგალითად, ჩინეთში

აკეთებდნენ. იქ ამ მონეტებზე ბეჭედსაც ასვამდნენ. ასეთი ფულის გაყალბებისთვის სიკვდილით საჯაროდ სჯიდნენ. მეოცე საუკუნეშიც კი, 1936 წლამდე, მარილის მონეტები ეთიოპიაში იყო მიმოქცევაში.



# 1 მამაკაცი – ბივი ბერიკაშვილი და 6 შინაბერა – პატიმარი ქალბატონი...

რა ხდებოდა 1999 წელს, გრიბოედოვის თეატრის სცენაზე

ცოტა ხნის წინ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ქალთა V პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულების მონაწილეობით, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე, სპექტაკლი — „ჩემი მძევალი ანგელოზები“ გაიმართა, სადაც მსჯავრდებულებთან ერთად, რუსთაველის თეატრის მსახიობი, გიორგი ზანგური მონაწილეობდა. ღონისძიებას მთავრობის წევრებთან ერთად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც დაესწრო.

## მარი ჯაფარიძე

სპექტაკლის დასრულების შემდეგ პატრიარქმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მადლობა გადაუხადა და კახა კახიშვილს საჩუქრად ხატი გადასცა. ასევე, უნმინდესმა სიტყვით მიმართა მსჯავრდებულებს,



კოტე სურმაგა

მთავრობას და დამსწრე საზოგადოებას, სპექტაკლის მონაწილეები დააჯილდოვა, ხოლო პრემიერ-მინისტრს საკუთარი გულის ჯვარი უსახსოვრა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ უნმინდესმა განაცხადა, რომ პატიმრების შეწყალების უფლება პატრიარქსაც უნდა ჰქონდეს, რამაც საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი გამოიწვია.

თითქმის ყველა მედიასაშუალება აღნიშნავდა, რომ მსჯავ-

რდადებულთა მონაწილეობით სპექტაკლის პენიტენციური დაწესებულების გარეთ დადგმა უპრეცედენტო შემთხვევაა.

თუმცა, ჩემს მეხსიერებას შემორჩენილი ჰქონდა მსგავსი ამბავი — სპექტაკლი, რომელშიც პატიმარი ქალბატონები მონაწილეობდნენ და ისიც მახსოვდა, რომ მათ სცენაზე პარტნიორობას გივი ბერიკაშვილი უწევდა. თუმცა, სპექტაკლის სახელწოდება და რეჟისორის ვინაობა ვერ გავიხსენე.

საკმაო ხანი მოვანდომე არქივში ქექვას და როგორც იქნა, მივაგენი ინფორმაციას, რომელსაც ვეძებდი.

1999 წლის 18 ივნისს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში, რეჟისორმა კოტე სურმაგამ დადგა სპექტაკლი — „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, რომელშიც 5 პატიმარი ქალი და გივი ბერიკაშვილი მონაწილეობდნენ.

კოტე სურმაგას შვილს, მსახიობ მანანა სურმაგას დავუკავშირდი და მამის ცხოვრებიდან ამ ეპიზოდის გახსენება ვთხოვე...

აღმოჩნდა, რომ სპექტაკლის შემდეგ, პატრიარქის მსგავსი სურვილი მაშინაც გასჩენია არაერთ ადამიანს...

მაშინდელი პრესა წერდა: „სახელმწიფო თეატრის სცენაზე სპექტაკლის დადგმა და მასში მსჯავრდებულები ქალებისა და პროფესიონალი მსახიობის ერთობლივი მონაწილეობა უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიოს პენიტენციური სისტემის მუშაობის პრაქტიკაში“.

### მანანა სურმაგა:

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა „მედ“-ს თეატრი, რომელსაც მინისტრის თხოვნით სათავეში მამა ჩაუდგა.

მისი შექმნიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ პატიმარი ქალების მონაწილეობით სპექტაკლის დადგმა გადაწყდა. სიმათლე რომ გითხრა, ინიციატივა ვისგან წამოვიდა, არ ვიცი. თუმცა, იდეის განხორციელება მამამ დაიწყო. ლამის მთელი წელი დადიოდნენ საპრობილემო და ამზადებდნენ სპექტაკლს.

— ხომ არ გახსოვთ, როგორ შეარჩიეს მსახიობები?

— ასე ვთქვათ, ქასთინგი საპრობილემო ჩატარდა. სხვადასხვა როლზე არჩევენ ქალებს და მამას შეუნიშნავს კუთხეში ჩუმად მიმჯდარი ახალგაზრდა ქალი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ხმას არ იღებდა და მდუმარედ ადევნებდა თვალყურს... მისთვის შეუთავაზებიათ, მოესინჯა თავი, მაგრამ თავი გაუქნევია უარის ნიშნად. ესენი კი აძალებდნენ თურმე. შემდეგ თანამშრომელს უთქვამს, — თავი დაანებეთ, ეგ ქალი ქმრისა და მულის სასტიკი მკვლელობისთვის იხდის სასჯელს და არ დაგთანხმდებათო.

— მათთან ურთიერთობაზე გიყვებოდათ რამეს?

— ისე თბილად ლაპარაკობდა ხოლმე ამ ქალბატონებზე, თითქოს მისი ოჯახის წევრები იყვნენ. ხანდახან ძალიან ბევრს მოითხოვდა მათგან, როგორც მსახიობებისგან, რადგან ავინყებოდა, რომ ისინი პატიმრები იყვნენ... პრემიერამდე 2 რეპეტიცია გრიბოედოვის თეატრის სცენაზე ჩატარდა. პირველი რეპეტიციის შემდეგ შინ საოცრად დანაღვლიანებული მოვიდა: ეზოში ველოდებოდი, გოგონებს (ასე მოიხსენიებდა ხოლმე) და დავინახე, მანქანა გაჩერდა, ჩემი გოგონები ბორკილდადებულები ჩამოიყვანეს და თან თითოს 2 ბადრაგი მოჰყვებოდაო. საპრობილემო ქალები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ და მამაზე ძალიან იმოქმედა,



მისთვის უკვე საყვარელი ადამიანების მიმართ ასეთმა მოპყრობამ. თუმცა, იცოდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ვერ აიტანა. შემდეგ, ბადრაგი სცენიდან ჩამოიყვანა და რეპეტიცია ისე ჩაატარა. დედაც ძალიან გულშემატკივრობდა, თუმცა, ხანდახან მსუბუქად შეახსენებდა ხოლმე — იკითხე, რა ჯამაგირი გექნება მაგ სპექტაკლის დადგმაშიო, მაგრამ მამა პასუხობდა, — სულ რომ არაფერი გადამიხადონ, ამ ქალებს ველარ მივატოვებ, რადგან მათ თვალეში დიდ იმედს ვხედავ და ვერ გავუცრუებო.

**— პრემიერაზე თქვენც იყავით?**

— რა თქმა უნდა. სავსე იყო დარბაზი. ასეთი რამ პირველად ხდებოდა და ყველას აინტერესებდა. თითქმის ყველა თეატრის მსახიობები, რეჟისორები ესწრებოდნენ. ბუნებრივია, პატიმრების ოჯახის წევრებიც. ხალხი ფეხზეც კი იდგა. დარბაზი ტაშით დაინგრა... ტიროდნენ სცენაზე და ტიროდნენ დარბაზში... სცენაზე იდგნენ და სიტყვით გამოდიოდნენ მინისტრი, მისი მოადგილეები და სასჯელალსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელები... ამ დროს დარბაზიდან სცენაზე ავიდა ლენა ყიფშიძე... თეთრებში იყო ჩაცმული, ანგელოზივით... კუთხეში დადგა და — გივი, გივი, — გაიძახის. ბერიკაშვილმა გააგონა, მაგრამ ლენამ უთხრა, შენ არა, ყვარელაშვილს ვეძახიო (გივი ყვარელაშვილი მაშინ სასჯელალსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახლდათ). მიხედა ყვარელაშვილმაც, — რა გნებავთო? ლენა წინ წამოდგა სცენაზე და უთხრა, — ბატონო გივი, ერთი თხოვნა მაქვს და უარი არ უნდა მითხრათ, მოდი ახლა, ეს გოგონები ჩავსვით მანქანებში და სახლებში ჩამოვარიგოთო... რა თქმა უნდა, ამას არავინ იზამდა, მაგრამ ამით იმის თქმა მინდა, რომ როგორც ჩანს, როდესაც ასეთ სიტუაციაში ხვდები, იჯერებ, რომ ეს ადამიანები ყველაზე კარგები არიან მსოფლიოში და მათი დახმარების სურვილი გიჩნდება.

**— მამას და მსახიობების ურთიერთობა ხომ არ გაგრიძელებულა?**

— ქალბატონებმა მამას ბიბლია აჩუქეს წარწერით, სადაც ძალიან თბილი სიტყვები დაუნერეს. დიდი დრო იყო ამ ამბიდან გასული, რო-

დესაც სახლში ტელეფონმა დარეკა და მამა იკითხა უცნობმა ქალბატონმა. ვკითხე, — ვინ ხართ-მეთქი? — მე ყოფილი პატიმარი ვარ,

ნანყვეტი პრესკონფერენციიდან, რომელიც მაშინდელ ქართულ მედიაში გავრცელდა: კოტე სურმავა: „ჩემი ამ საქ-



დედაც ძალიან გულშემატკივრობდა

მის დადგმულ სპექტაკლში ვმონაწილეობდი, გავთავისუფლდი და მინდოდა, მომეკითხაო. მამას წნევის ნამლები ჰქონდა ახალი მიღებული და ჩაეძინა. არ მინდოდა მისი შეწუხება და ქალბატონს ვუთხარი, — სძინავს-მეთქი... დღემდე გულში ხინჯად მაქვს ეს ამბავი და ვნანობ, რომ მამა არ გავალვიძე. ხომ შეიძლებოდა, იმ ქალს ეფიქრა, რომ მამას იმიტომ „ეძინა“, რომ მასთან ლაპარაკი არ სურდა, რადგან ის ყოფილი პატიმარი იყო... თუმცა, ახლა ველარაფერს შევცვლი.

მეში მონაწილეობა ბატონ გივი ყვარელაშვილის დამსახურებაა. სპარტაკიადაზე შევხვდით ერთმანეთს და სწორედ იქ გამანდო სურვილი, — „ექვსი შინაბერას და ერთი მამაკაცის“ დადგმა მინდა ქალთა კოლონიაშიო. თავიდან ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ისე ვიყავი მისგან დავალებული ჩვენი თეატრის დაარსებისთვის ბრძოლის დღეებიდან, რომ უარი ვერ ვუთხარი. თანდათან, მუშაობის პროცესში, საქმისადმი ჩემი დამოკიდებულება იცვლებოდა. არცერთ



„ექვსი შინაბერას და ერთი მამაკაცის“ დადგმა მინდა ქალთა კოლონიაშიო



მსახიობ მანდილოსანს, ჩემს მსახიობს, ცხოვრებაში თეატრზე არ უოცნებია, მაგრამ უნდა გენახათ, როგორ მოდიოდნენ რეპეტიციები... ადამიანის მობრუნება საზოგადოებისაკენ, ძალიან რთული და ფაქიზი რამ არის. ამ დროს უნდა გადწყვიტო: ან გიყვარს ადამიანი, ან — არა. ხანდახან რეპეტიციაზე ისიც კი მაგინდებოდა, რომ მსჯავრდადებულებთან მქონდა საქმე. 12 თვე ვიმუშავეთ სპექტაკლზე, მაგრამ თავის დანებების სურვილი არ გამჩენია. ეს მარტო სპექტაკლი არ იყო, ეს იყო რაღაც სხვა მოვლენა...

ამონარიდი პრესის ფურცლებიდან: „სპექტაკლი თითქმის მზად იყო, ბატონ კოტეს ერთ-ერთი მსახიობის როლიდან მოხსნა რომ მოუხდა. მიზეზი მისი ოჯახიდან წამოსული მუქარა იყო: — სცენაზე თუ დავინახავთ, არ ვაცოცხლებთო. მსჯავრდადებულ ქალბატონს მშვიდად მიუღია როლიდან გათავისუფლების ცნობა, ჩუმად გამოსულა ოთახიდან, მაგრამ კართან ჩაკეცილა და გული წასვლია. — ასეთი რამ, 14 წელი რომ მიუსაჯეს, მაშინ არ მოსვლიათ, უთხრა ჟურნალისტებს გივი ყვარელაშვილმა. ასევე, სპექტაკლის მომზადების დროს მსახიობს ამნისტია შეეხო და როლზე სხვა პატიმრების აყვანა გახდა საჭირო.

გრიბოედოვის თეატრში რეპეტიციის დროს ერთ-ერთი ქალბატონი რეჟისორს ჩახუტებია, — ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ, აქედან ჩემს სახლს ვხედავო, — თეატრთან ახლოს უცხოვრია, თურმე.

სცენაზე სასწაული ხდებოდა, თურმე. უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინ მსახიობი იყო და ვინ — მსჯავრდადებული, ვინ მკვლელი ბისთვის იყო გასამართლებული და ვინ — ყაჩაღობისთვის; ვის 10 წელი ჰქონდა მოსახდელი და ვის 2 წელი — დარჩენილი. ყველანი ასრულებდნენ თავიანთ როლს და ცდილობდნენ, დროებით მაინც დაევიწყებინათ რეალური ცხოვრება. ისინი თავისუფლები იყვნენ მხოლოდ 1999 წლის 18 ივნისს, საღამოს ექვსიდან 10 საათამდე... დარბაზშიც და სცენაზეც ბევრს უბრწყინავდა თვალში ცრემლი. სცენის კიდესთან მსჯავრდადებული დედა და მისი ვაჟი ეხვეოდნენ ერთმანეთს. ისინი ბედნიერები იყვნენ და ეს დღე იყო უფრო გრძელი, წუთისოფელზე...

## თვითმარქვია როკფელერმა მოტყუებულ ადამიანებს დასცინა

ნებისმიერი აფერა ადამიანისგან დიდ ძალას, ენერჯიასა და გონების საკმაოდ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ, როგორც საქმეში ჩახედულნი ირწმუნებიან, მათ შორის ყველაზე ძნელი და საშიში მაინც სხვა ადამიანის თამაშია. თუმცაღა, თაღლითები ადამიანების გაბრწყინების ამ ხერხს საკმაოდ ხშირად და წარმატებითაც მიმართავენ. ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ თაღლით-„მსახიობად“ კი სავსებით სამართლიანად ითვლება ფრანგი კრისტოფერ როკანკურტი, რომელიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში თავს ხან კრის ლანაკორტად, ხან კრის ორტუნოდ და ხანაც სახელგანთქმული როკფელერების შთამომავალ კრისტოფერ როკფელერად ასაღებდა და ფულს საბუთების გაყალბებით, ფინანსურ აფერებში მონაწილეობით, საიუველირო მალაზიების გაძარცვით და ვინ იცის, კიდევ რა ხელმრუდობით აღარ შოულობდა.



თავს ხან დოდი ალ-ფაიედის ძმად, ხან სოფი ლორენის შვილად, ხანაც პროდიუსერ დინო დე ლაურენტისის ძმისშვილად ასაღებდა

### რუსუდან ლებანიძე

კრისტოფერ როკანკურტი 1967 წელს საფრანგეთში დაიბადა. დედა მეძავი, მამა კი ლოთი ჰყავდა. ხუთი წლის იყო, ასეთი მშობლების გარეშე რომ დარჩა და თავი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში ამოყო. ზრდასრულობის ასაკის მიღწევისთანავე კითხველსაფრიდან პირდაპირ პარიზისკენ აიღო გეზი და თაღლითობის გზასაც სწორედ იქ დაადგა.

პირველივე სერიოზულმა წარმატებამ (როკანკურტმა საბუთების გაყალბების გზით სხვისი სახლი თავისად გაასალა და მისი გაყიდვის შემდეგ მილიონ ოთხასი ათასი დოლარიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიჯიბა) დამწყებ თაღლითს ფრთები იმდენად შეასხა, რომ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მსგავსი აფერა კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა. 1991 წელს კი, საცხოვრებლად შვეიცარიაში გადასულმა, უკვე სა-

იუველირო მალაზიის გაძარცვაშიც მიიღო მონაწილეობა. მართალია, შვეიცარიელებმა ბრალი ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ როკანკურტს ამ ქვეყანაში შესვლა 2016 წლამდე მაინც აუკრძალეს.

ამის შემდეგ თაღლითმა დროებით ჩრდილში გადგომა გადაწყვიტა, მაგრამ უსაქმოდ დიდხანს ვერაფრით გაძლო და 1990-იანი წლების შუა ხანებში ისევ სამოვარზე გამოვიდა. ამ დროისთვის ის უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და მიზანშიც იქაური მდიდარი ქალები ჰყავდა ამოღებული. მარტოხელა მდიდარი ქალბატონების ნდობის მოსაპოვებლად როკანკურტი მათ წრეში თავს ხან დოდი ალ-ფაიედის ძმად, ხან სოფი ლორენის შვილად, ხანაც პროდიუსერ დინო დე ლაურენტისის ძმისშვილად ასაღებდა, რაც საკბილოს ცდუნებას და გაძარცვას საგრძობლად უადვილებდა. თუმცაღა, გამოუსწორებელ გაიძვერას





ეს ასპარეზიცი ეპატარავებოდა და ამიტომაც, თავისი დიდი სამსახიობო პოტენციალის უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, მალე ახალი ლეგენდა შეთხზა, რის შემდეგაც პირველი ამერიკელი მილიარდერის, როკფელერის „შთამომავალი გახდა“.

როკანკურტს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენებოდა, რომ ამ ახალ ზღაპარს ასე იოლად არავინ დაუჯერებდა, მაგრამ უკვე იმდენი ფული ჰქონდა ნაშოვნის, რომ ადამიანებისთვის თვალში ნაცრის შეყრა დიდად მაინც არ გასჭირვებია. ბევრლი-ჰილზზე დასახლებული თაღლითი ქალაქში მხოლოდ ლიმუზინით დაბრძანდებოდა, ბოჰემური თავშეყრის ადგილებში ნაირ-ნაირი ლამაზმანის თანხლებით ჩნდებოდა, რომელთაგან ერთ-ერთი — „ფლეიბოსი“ ვარსკვლავი, პორნომსახიობი მარია ჰია რაისი მალე მისი ცოლიც გახდა. თვითმარქვია როკფელერი მდიდრულ რესტორნებში ნაცნობებს ხშირად ეპატიჟებოდა, ყველაზე ძვირად ღირებული შამპანურითა და სიგარეტით უმასპინძლდებოდა და თან, ვითომ სასხვათაშორისოდ, ბილ კლინტონთან თავისი ახლო ნაცნობობის ამბავსაც „საიდუმლოდ“ უმხელდა.

კლინტონის რა მოგახსენოთ, მაგრამ როკანკურტის ნაცნობების წრე მალე საგრძნობლად გაფართოვდა და მასში, ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავებთან ერთად, თვით მიკი რურკი და ვან დამიც კი შევიდნენ. მეტიც, ჰოლივუდის ეს ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი



როკანკურტის ნაცნობების წრე მალე საგრძნობლად გაფართოვდა

როკანკურტს თავიანთ ძმაკაცადაც კი გულწრფელად თვლიდა, რასაც თავად თაღლითზე ალბათ, ძნელად თუ იტყოდა კაცი, რადგანაც მისი რეალური მიზანი ვარსკვლავებთან მეგობრობა კი არა, მათი დახმარებით მსხვილი ბიზნესმენებისა და მენარმეების გაცნობა და მათი ნდობის მოპოვება იყო.

ამ მიზნის მიღწევის შემდეგ როკანკურტ-როკფელერი ბიზნესმენებს „სარფიან საქმეში“ ფულის ჩადებას სთავაზობდა. თაღლითის გასახარად, ბევრმა ბიზნესმენმა მისი წინადადება მართლა ყურად იღო და, მოგების იმედით, დიდი ფულიც გაიღო, მაგრამ უკან, რა თქმა უნდა, აღარაფერი დაჰბრუნებია. ლოს-ანჯელესის პროკურატურის თანამშრომლის, ჯორჯ მიულერის თქმით, რამდენიმე წლის განმავლობაში „როკფელერმა“ ამერიკელ ბიზნესმენებს საკმაოდ დიდი ფული დასტყუა. „მისი დანაშაულებრივი ქსელის ძაფები მაიამიდან და სან-ფრანცისკოდან ჰონკონგამდე იყო გადაჭიმული... ფინანსური აფერების მასშტაბებზე კი მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეიძლება, თუმცა აშკარაა, რომ საქმე მილიონობით დოლარს ეხებოდა“, — აცხადებდა პროკურატურის თანამშრომელი.

გაბრიყვებულ ინვესტორებს, ბოლოს და ბოლოს, შემოსავლის ლოდინი მოჰბეზრდათ და დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს. თვითმარქვია როკფელერი დააპატიმრეს, მაგრამ დიდალი გირაოს გადახდის შემდეგ გამოუშვეს. საპატიმროდან დროებით თავდაღწეულმა თაღლითმა მამიწვე გაქცევით უშველა თავს, რადგან კარგად იცოდა, რომ სასამართლოზე, ინვესტორების „გადაგების“ გარდა, არაერთ სხვა ცოდვასაც გამოუჩხრეკდნენ. მისი დაპატიმრებით ხომ უკვე ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიც კი იყვნენ დაინტერესებულნი და თაღლითობაში, ფულის გათეთრებაში, ძარცვაში, ინვესტორების მოტყუებასა და მკვლელობაშიც კი სდებდნენ ბრალს.

კრისტოფერ როკანკურტი ამერიკიდან ვენესუელაში, იქიდან კი კანადაში გაიქცა და გამოგონილი სახელით ცნობილ სამთო-სათხილამურო კურორტ უისტლერს შეაფარა თავი. თუმცა, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, ცოტა ხანში ისევ



ბოლდოკმა კომპანიაში 5 მილიონი დოლარი ჩადო, მაგრამ თაღლითმა ესეც არ იკმარა

ძველ ხელობას დაუბრუნდა და ადგილობრივი ბიზნესმენი რობერტ ბოლდოკი ვითომდა, თავის კუთვნილ, ფრიად წარმატებულ კომპანიაში — Heartlink Canada ფულის ჩადების სარფიანობაში დაარწმუნა. ბოლდოკმა კომპანიაში 5 მილიონი დოლარი ჩადო, მაგრამ თაღლითმა ესეც არ იკმარა და მიმდობი ბიზნესმენი იმ „თავიდან ბოლომდე განიკნეკებული“ სახლის ყიდვაზეც დაითანხმა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჯერ ბოლომდე აშენებულიც კი არ იყო. ამის შემდეგ, გაცოფებულმა ბოლდოკმა პოლიციას მიმართა. აფერისტი მალევე დააპატიმრეს და ორი წელი მიუსაჯეს.


კანადის ციხეში ჯდომისას როკანკურტმა დანერგა მემუარების წიგნი, რომელშიც მის მიერ მოტყუებულ ადამიანებს და განსაკუთრებით გულუბრყვილო და მიმდობ ინვესტორებს დასცინა. ამასობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მისი ექსტრადირება მოითხოვა და კანადის ციხიდან გამოსვლისთანავე თაღლითმა უკვე ამერიკის სასამართლოში ამოყო თავი, სადაც ამაყად განაცხადა, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში „ფულის ტომრებს“ თითქმის 40 მილიონი დოლარი დავტყუეო. ამერიკულმა სასამართლომ როკანკურტს 19 ადამიანის მოტყუება დაუშტყიცა და 9 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.



## გზავნილები



# მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბი



იმისათვის, რომ თქვენი განცხადება „მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბში“ მოხვდეს, მისიჯი უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: **95 130** მისიჯის ფასი 50 თეთრი. ტექსტის რაოდენობა შეზღუდული არ არის.



## ქალები

109614 ოჯახის შექმნის მიზნით დამირეკოს თბილისში მცხოვრებმა, განათლებულმა, მატერიალურად უზრუნველყოფილმა მამაკაცმა, 37-50 წლამდე. ვარ მხიარული, უკონფლიქტო, მაღალი, ექიმი. უცხოეთში ასეთი განცხადებები ამართლებს. აქ არ ვიცი. ხელოსნები, მძღოლები, ალფონსები არ შეწუხდეთ. ვალიარებ, წუნია ვარ.

109475 ვარ 53 წლის ქალბატონი. გავიცნობ ჩემი ასაკის შესაფერის მამაკაცს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურად და ამომიდგება მხარში ყველანაირად.

109485 ვარ 55 წლის, განათლებული ქალბატონი, გაუთხოვარი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს, 60 წლამდე.

109504 მოგესალმებით. ვეძებ 45 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს, რომ შეძლოს მანდილოსნის მოვლა და დაფასება. ვარ ქმარს გაცილებული, 40 წლის. ასაკი არ მეტყობა. თბილი, ერთგული და სასიამოვნო ადამიანი ვარ.

109522 დასაოჯახებლად გავიცნობ მამაკაცს, რომელსაც სულიერი საზრდოს დეფიციტი აქვს. ვარ 49 წლის, ქვრივი.

